

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოს
ისტორიის საკითხები

IV



გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი - 2009

**MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF
GEORGIA
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE**

**THE QUESTIONS OF
SOUTHERN-WESTERN
GEORGIA HISTORY**

IV

Publishing House
«Shota Rustaveli State University»
Batumi - 2009

**МИНИСТЕРСТВО ОБРАЗОВАНИЯ И НАУКИ
ГРУЗИИ
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ**

**ВОПРОСЫ ИСТОРИИ
ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ**

IV

Издательство
«Государственный университет Шота Руставели»
Батуми – 2009

წინამდებარე კრებული – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები IV“ – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის განცოფილებაში გამოსაცემად მომზადებული აღნიშნული სერიის მეოთხე ტომია. მასში, ტრადიციისამებრ, შესულია ბათუმისა და ობილისის სხვადასხვა სამქრინიერო დაწესებულებაში (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და სხვ) მოდგაწეს მეცნიერთა შრომები.

კრებულის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი მოიცავს საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხს უძველესი დროიდან დღემდე, აგრეთვე თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარებისა და პოლიტიკური აზროვნების ამსახველ მასალებს.

კრებული სათანადოდ ეხმაურება ჩვენს რეალობაში არსებულ ბევრ მტკიცნეულ პრობლემას, რაც, უდავოდ, კიდევ უფრო მეტად ზრდის მის დირსებას. იგი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი – მალხაზ სიორიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები – გახაბერ სურგულაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ნანა ხასუბაიშვილი
ისტორიის აკადემიური დოქტორი.
ოლეგ ჯიბაშვილი
ისტორიის აკადემიური დოქტორი

მოსხების // მესხების ისტორიისათვის

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა საქართველოს ისტორიის ის პერიოდია, როდესაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასა და კულტურის სფეროში მიმდინარეობს კარდინალური ძვრები: დემოგრაფიული ცვლილებები და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მოძრაობა თუ აღილგადანაცვლება, წნდება მსხვილი დასახლებები, ხმარებაში შემოდის რკინა – ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძლავრი ლითონი, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს კაცობრიობის ისტორიაში, ფართოდ ვითარდება ხელოსნური წარმოება და ხდება მისი სპეციალიზაცია და ა. შ. ამდენად, საზოგადოებრივ-კულტურული განვითარება ადის ახალ, მაღალ საფეხურზე (გ. მელიქიშვილი, 1965., ოთ. ჯაფარიძე, 1991: 228-258., ოთ. ლორთქიფანიძე, 2002: 102-124, 127-153).

სწორედ ამ დროს, ძველადმოსავლურ წყაროებში გაჩნდა პირველი მოხსენიება ქართველი ტომებისა და მათი დიდი პოლიტიკური გაერთიანებებისა. მათგან პირველ რიგში უნდა დაგასახლოთ მუშქები, რომელიც, როგორც ჩანს, ქართულ-კოლხურ ერთობაში მიმდინარე დიფერენციაციისა და განცალკევების პროცესის შედეგად წნდებიან ისტორიის ასპარეზზე. მოგვიანებით, სწორედ მუშქთა შთამომავლი მოხსენი/მესხები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს – ქართლის სამეფოს (ბერძნულ-რომაული წყაროებით - იბერიის) შექმნაში. მესხთა ტომებს უკავშირებენ ასევე ხეთურ-მცირეაზიური წარმოშობის კულტების შემოტანას და რიგი გეოგრაფიული სახელების გაჩენასაც, მათ შორის ქალაქ მცხეთის სახელწოდებას (Γ. მელიქიშვილი, 1959: 111-ცლ.).

ჩვენს წინაშე დგას როგორი და სადისკუსიო საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არიან მესხები, რომელთაც მიეწერებათ ასეთი დიდი როლი აგრეთვე კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში მოგვიანებით მოედ რიგ ეთნოკულტურულ სიახლეებში, რაც ნათლად აისახა არქეოლოგიურ მონაპოვარშიც (ოთ. ლორთქიფანიძე, 2002: 124-241).

იმისათვის, რომ ვუპასუხოთ კითხვაზე, თუ ვინ არიან მესხები, კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ქართველური ტომთა ეთნიკური განვითარების ისტორიას პროქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ (Г. Климов, 1961: 239-253. გ. მელიქიშვილი, 1970: 338). როგორც ვიცით, საერთო-ქართველური ფუძე-ენა უკვე არსებობდა ძვ. წ. IV - III ათასწლეულებში, ე. ი. ადრებრინჯაოს ეპოქაში. ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის იწყება საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან სვანური ენის გამოყოფის პროცესი, ხოლო ძვ. წ. VIII საუკუნით ათარიღებენ ზანურ-ქართული ერთობის დაშლას (Г. Климов, 1961: 35-ცლ., ო. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965: 17., გ. მელიქიშვილი, 1970: 338). თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც. ახალი არქეოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე, მკვლევართა ნაწილი დღეისათვის უფრო მდ აზრს ემხრობა, რომ ქართულ-კოლხური (ქართულ-ზანური) ენობრივი ერთობის დაშლა და, შესაბამისად, კოლხური ენის გამოყოფა უნდა დათარიღდეს უფრო ადრეული ხანით. მათი აზრით, ეს პროცესი ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის შემდეგ სანებზე ადრე უნდა დაწყებულიყო (ო. მიქელაძე, 1974: 72, 194., ოთ. ლორთქიფანიძე, 1986: 48-57., თ. გამყრელიძე, 1984: 909., ოთ. ჯაფარიძე, 2003: 193-218).

აკად. გ. მელიქიშვილს (Г. Меликишвили, 1959: 98-100) ქართველური ტომთა ეთნიკური განვითარების ისტორია ასე აქვს წარმოდგენილი: “უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში სვანური ეთნიკური ჯგუფი ენობრივ და, ამასთან დაკავშირებით, ფაქტიურ განცალკევებას განიცდის ქართულ-ზანური ჯგუფისაგან. რადგანაც ამ უკანასკნელს სამხრეთით

ხეთურ-ხურიტულ მოსახლეობასთან კონტაქტები უჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ სვანური ტომები ამ დროს ქართველურ ტომთა გავრცელების ჩრდილოეთ არეალში იყვნენ დასახლებული, ხოლო ქართულ-ზანური ტომები – სამხრეთით... ამრიგად, ქართველური ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან, საფიქრებელია, რომ ისინი ნაწილობრივ დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოსახლეობდნენ, კერძოდ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. ამას მოწმობს, ჯერ ერთი, კულტურის მხრივ ამ რაიონების მჭიდრო კავშირი, ხშირ შემთხვევაში სრული ერთობაც კი დასავლეთ საქართველოსთან, რაც კარგად ჩანს არქეოლოგიური მასალის შუქზე, აგრეთვე მთელი რიგი ენობრივი ფაქტები, რომლებიც მეტყველებს ქართველი ტომების კონტაქტზე მცირე აზიის ცენტრალურ და მესოპოტამიის ჩრდილო რაიონებში მოსახლე ხეთურ (პროტოხეთურ, ნეხიტურ) და ხურიტულ მოსახლეობასთან” (გ. მელიქიშვილი, 1970: 341-343).

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, წერილობითი წყაროების სიმცირის გამო, არ ხერხდება ამიერკავკასიაში მესხების განსახლების არეალის განსაზღვრა (ივ. ჯავახიშვილი, 1950: 18). კ. კავაიგნაქმა ზემო მესოპოტამიაში ძვ. წ. XII საუკუნეში შექრილი მუშქები ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ოლქებიდან გამოლაშქრებულ მასად მიიჩნია (E. Cavaignac, 1953: 140., გ. მელიქიშვილი, 1970: 321). მოსხების (მუშქების) არაფრიგიულ წარმომავლობას ემსხობა ემინ აკურგალიც, რომელიც მუშქებს აღმოსავლეთ ანატოლიის მკვიდრებად მიიჩნევს (E. Akurgal, 1955: 113).

გვიანდელი მესხები, როგორც ცნობილია, ქართველური მოდგმის ქართის ტომთა ჯგუფს მიეკუთვნება, მეორე მხრივ კი, ჰეკატეოს მილეტელის ცნობით, “მოსხები კოლხური ტომია და ცხოვრობენ მატიენების მეზობლად” (“დედამიწის აღწერილობა,” 188). გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, “... მოს-

ხების კოლხურ ტომად გამოცხადება გასაგები გახდება, თუ “კოლხური” ცნების ქვეშ ჩვენ საერთო-ქართველურ ან, უფრო ზუსტად, ქართველ-ზანური ერთობის აღმნიშვნელ სახელწოდებას ვიგულისხმებთ” (გ. მელიქიშვილი, 1970: 82). 6. ლომოურის ვარაუდით, ამ ცნობაში იმ პერიოდის ვითარებაა ასახული, “როდესაც მოსხური ტომების ნაწილი სამხრეთი-საქენ არის გაჭრილი და სწორედ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ან მის მეზობლად ჩანს. ასურული წყაროების მიხედვით... მესხების ძირითადი ძველი ადგილსამყოფელი მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქი იყო” (6. ლომოური, 1963: 11-12).

6. ხაზარაძის გამოკვლევით, “ზემო ევფრატის რეგიონში (ალზი-ფურულუმზი-ქათმუხის მხარეში) მუშქების პირველი გამოჩენა ძვწ. XII საუკუნითაა (ძვ.წ. 1165 წ.) დათარიღებული, დაახლოებით ამავე ტერიტორიაზე სომხების წინაპრების მოსვლა კი – არაუადრეს ძვ.წ. VII საუკუნის 70-60 წლებით” (6. ხაზარაძე, 1984: 174).

ძვწ. XII საუკუნის შემდეგ, ვიდრე VII საუკუნემდე, მუშქების განსახლების არეალი, როგორც 6. ხაზარაძემ მიუთითა, უნდა ვეძებოთ ქაშიარის მთების (თანამედრ. ტურ-აბდინის) ჩრდილოეთით, ტიგროსის მარჯვენა სანაპიროსა და მისი ზემო დინების (თანამედრ. მურად-ჩაის) ახლომდებარე რეგიონში და ალზი-ფურულუმზი-ქათმუხისა და ხაოგს ქვეუნების მეზობლად (6. ხაზარაძე, 1984: 91). აქ იყო განსახლებული მუშქების ის ნაწილი, რომელიც, როგორც ჩანს, ქართველური მოდგმისა იყო და გვიანდელი მესხების წინაპრებს შეადგენდნენ. “სხვადასხვა დროის (ძვწ. XII-VII სს.) ასურულ და ურარტულ წყაროებში “მუშქების ქვეყნის” სახელით აღინიშნებოდა ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მხარე. ერთ შემთხვევაში “მუშქების ქვეყანა” მოიცავდა მდ. ევფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით (დღევ. მურად-სუს სამხრეთით), ქაშიარის მთების (დღევ. ტურ-აბდინის) ჩრდილოეთით, ტიგროსის მარჯვენა სანაპიროსა და მის ზემო დინებასთან მიმდებარე ოლქებს (ალზი, ფურულუმ-

ზი, ქათმუხეთი), ხოლო მეორე შემთხვევაში – მდ. ევფრატის დასავლეთით გადაჭიმულ რაიონებს. ამ ორ სხვადასხვა რეგიონს შორის არსებულ კრცელ ტერიტორიაზე მოსათავსებელია, ზემოაღნიშნული ლოკალიზაციიდან გამომდინარე, ისეთი დიდი და მცირე პოლიტიკური ერთეულები, როგორიცაა თაბალი, თუნა, შინუხოვა, ხილაქე, ქუქ, თილგარიმუ, გურგუმი, ქამანუ-მელიდი, ქუმუხი და სხვა... მასალები იმაზეც მიუთითებენ, რომ ზემო ევფრატისპირეთში მუშქების გამოჩენა ძვ.წ. XII ს-ით, უფრო სწორად, ძვ. წ. 1165 წლითაა დასათარიღებელი, ხოლო ასურეთის პროვინციების დასავლეთით მდებარე რეგიონში (ჰალისისპირეთი) – ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედით (დაახლ. ძვ. წ. 717 წ.)” (ნ. ხაზარაძე, 1984: 105-106).

გ. მელიქიშვილის აზრით, მუშქების უძველესი ადგილსაცხოვრისი მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზეა საძიებელი, საიდანაც ისინი, უფრო მათი ერთი ნაწილი (ე. წ. “აღმოსავლეთის მუშქები”) ჩრდილო მესოპოტამიაში შეიტრა, ხოლო მეორე ნაწილი (ე. წ. “დასავლეთის მუშქები”) ცენტრალურ და დასავლეთ მცირე აზიაზე ავრცელებს თავის გაფლენას და იქ ძლიერ სამეფოს ქმნის. ამ სამეფოს (ქვეყნას) ასურელები “მუშქების ქვეყნას” ეძახიან, ხოლო ანტიკური ავტორები – ფრიგიას. ძვ. წ. 676 წ. კიმერიელთა და ურარტელთა ერთიანი ძალისხმევით ფრიგიის სამეფო განადგურდა, რის შემდეგაც მუშქების ერთმა ნაწილმა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ წამოიწია და გვიანდელი მესხეთის ტერიტორიაზე დასახლდა. მისი სიტყვით, მუშქები-მესხები აღმოსავლურ-ქართული მოდგმაა (გ. მელიქიშვილი, 1959: 84-135, გ. მელიქიშვილი, 1965: 72-73, გ. მელიქიშვილი, 1959: 104 և ს.). ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღვენიშნა, რომ ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე – ჭოროხისა და მტკვრის დინებათა შესაბამისი მონაკვეთები – გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რეინის ხანაში დასტურდება ნივთიერი მონაცემები, რაც დასავლეთ საქართველოს, შიდა ქართლის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის

ნივთიერი კულტურის ერთიანობაზე მიუთითებს და კოლხური ბრინჯაოს კულტურაში ჩანს ასახული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ქართულ-ზანური ერთობის შიგნით უკვე უნდა არსებულიყო დიალექტური სხვაობა და მოსხების კოლხური სამყაროსადმი მიკუთვნება გარკვეული დროიდან შესაძლოა უფრო პოლიტიკური მოტივით იყო შემაგრებული, თუმცა ეთნიკური ერთობაც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული (გ. მელიქიშვილი, 1970: 395).

მოსხების ეთნიკულ კუთველუბაზე ქართველური სამყაროსადმი აკად. გ. მელიქიშვილი აკვთებს დასკვნას: „სახელწოდება მოსხები /მესხები/ გავრცელებული ჩანს უზარმაზარ ტერიტორიაზე მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილიდან ქართულ მესხეთამდე... ტერიტორია, რომელზედაც ჩვენ ვნახულობთ ამ სახელწოდებას, თითქოს ნახევარ წრედ ერტყმის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზღვისპირა ზოლს. რამდენადაც უკანასკნელი, ძირითადად, მეგრულ-ჭანური ტომების ადგილსაცხოვრისი იყო, რომელთა წრდილოეთით იმყოფებოდა სვანების ტერიტორია, მაშინ ბუნებრივია, თუნდაც გვიანდელი ვითარებიდან გამოვიდეთ, მათგან აღმოსავლეთით მიმდებარე ზოლი ჩავთვალოთ ტერიტორიად, რომელზეც განსახლებული იყო ქართველურ ტომთა მესამე ძირითადი ჯგუფი - ქართები. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მოსხები (მესხები) იყვნენ ქართის (აღმოსავლურ-ქართული) ტომები. ცნობილია, რომ მესხთა ტომებმა დიდი როლი შეასრულეს აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოებრიობისა და აღმოსავლურ-ქართული ხალხის ფორმირებაში... შეიძლება აღინიშნოს იმ ვითარების შესახებაც, რომ ქართულ ენაში არ შეინიშნება მოვლენები, რომლებიც სათავეს იღებდნენ... ძლიერი არაქართული ფენისგან... ნათქვამს ისიც შეიძლება დავამატოთ, რომ მოსხების ტერიტორიას ნაწილობრივ ფარაგს ისტორიული სპერის სახელწოდება, რომელიც ორგანულად უკავშირდება სწორედ აღმოსავლურ-ქართულ სამყაროს” (გ. მელიქიშვილი, 1970: 395-396.,

გ. მელიქშვილი, 1959: 111). ეხება რა პეკატეოს მიღებელის ცნობას მესხების კოლხური წარმომავლობის შესახებ, გ. მელიქიშვილი აღნიშნავს: “თუ გავითვალისწინებთ, რომ მესხეური ელემენტი მუდამ ქართების ელემენტს ემთხვევა, “კოლხი” – სახელს აქ დასავლურ-ქართულის მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ, რადგან, ძველი, ლეგენდარული კოლხეთის არსებობის ხანაში (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეები) კოლხეთი ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებულ ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს მოიცავდა. ამ დროს მეგრელ-ჭანებსა და ქართებს შორის ენობრივი განსხვავება, ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ უნდა ყოფილიყო. ამიტომაც, “კოლხი” სახელი ამ უძველეს ხანებში საერთო-ქართველური თუ ქართულ-ზანური (მეგრულ-ჭანური) ელემენტის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. იონიელი ბერძნები ქართველ ტომებს ჯერ კიდევ ქართულ-ზანური ერთობის არსებობის კოლხურ ხანაში გაეცნენ და “კოლხ” სახელსაც, უნდა ვიფიქროთ, ამ ერთობის ადსანიშნავად ხმარობდნენ. ამიტომაც მოსხების “კოლხურ ტომად” მოხსენიება პეკატეოს მიღებელთან, საერთოდ, მათ ქართველობაზე მიუთითებს და მეგრულ-ჭანურ წარმომავლობაზე არაფერს ლაპარაკობს” (გ. მელიქიშვილი, 1970: 395).

თ. მიქელაძის შეხედულებით, მესხები სწორედ კოლხური მოდგმაა (თ. მიქელაძე, 1974: 26., თ. მიქელაძე, 1976: 116-შმდ.). საამისოდ მას ძველი წერილობითი წყაროების (პეკატეოს მიღებელი, სტრატონი და სხვ) გვერდით მოაქვს დღვეან-დელი მესხეთის ტოპონიმები, რომელთა ახსნა ზანურის მეშვეობით შეიძლება (ზანავი, ჩორჩანი, ჩხროჭა, არტანუჯი, ოშ-ქა-ოშკა, ხვილიშა, ჭიხორიში, ოჯორჯალი, ოხომა, ფოცხოვი, ჭითახევი, მტკვარი, ტობა, ტოლოში, ჯინჯიგორა, ხონა, კოჩანეთი, მაზანათი, ჭანკეთი, დადეში და ა. შ.) (თ. მიქელაძე, 1974: 27-28). მისი აზრით, “ასეთი მძღავრი ზანური კვალის არსებობა ამ მხარეში, რომელიც ერთი პირველთაგანი განიცდის ქართიზაციის ინტენსიურ პროცესს, ხოლო შემდეგ

თვით ხდება ქართიზაციის მედროშე და ქართული ეროვნული სახელმწიფო ეროვნული მუზეუმის კერა, მიუთითებს იმაზე, რომ ქართების მოსვლამდე აღნიშნული მხარის მოსახლეობა, კ. ი. მესხები, თუ ამ უკანასკნელთ მესხეთის უძველეს ბინადრებად ჩავთვლით, ზანური იყო. ამიტომ მესხესა და ქართს შორის ტოლობის ნიშნის დასმა არ უნდა იყოს გამართლებული.” თ. მიქელაძემ სამართლიანად შენიშნა, რომ “... მესხეთის ტოპონიმიაში ზანური ფეხის დადასტურების ფაქტი კარგად ეთანხმება ამ მხარეში აღმოჩენილ ნივთიერ ძეგლებს (კოლხური ცული, სეგმენტისებრი იარაღი, წალდი, თოხი), რომლებიც თავის ერთობლიობაში განსაზღვრავენ სწორედ დასავლეურ-ქართული, კოლხური კულტურის სპეციფიკას და რომელთა გავრცელების არეალი ზანური ტოპონიმიის გავრცელების ფარგლებს ემთხვევა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ზოგიერთი აღმოჩენის თავისებურებათა მიხედვით (კოლხური ცულის თელოვანის ყალიბი, წალგერის სახელოსნოს ნაშთები, უდეს განძი, ტანძოთის აღმოჩენები და სხვა), მესხეთში შეიძლება გამოიკვეთოს კიდევ ერთი კერა კოლხური კულტურისა” (თ. მიქელაძე, 1974: 30).

მოსხების განსახლების არეალი, ბუნებრივია, მუდმივმოცემული სიდიდე არ იყო.

როგორც აღინიშნა, ჰეკატე მილეტელის მიხედვით, მესხები კოლხური ტომია, რომელიც მატიენების მეზობლად ცხოვრობდა (ჰეკატეოს მილეტელი, ფრ. 188). ნ. ლომოურის ვარაუდით, ამ ცნობაში იმ ხანის ვითარებაა ასახული, “როდესაც მოსხური ტომების ნაწილი სამხრეთისაკენ არის გაჭრილი და სწორედ ჩრდილოეთ მესხოპტამიაში ან მის მეზობლად ჩანს ასეურული წყაროების მიხედვით” (ნ. ლომოური, 1963: 11). იგი არ გამორიცხავს, რომ მესხების “ძირითადი, ძველი ადგილ-სამყოფელი – მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქი” იყო (ნ. ლომოური, 1963: 11-12). ვარაუდობენ, რომ მხოლოდ ამგვარი ლოკალიზაციის პირობებში არის გასაგები ჰეკატეს ცნობა მოსხების მატიენებთან (მისი განმარტებით – მიტანელებთან) მეზობლობაზე.

6. ხაზარაძე სპეციალური კვლევის შემდეგ მივიღა დასკვნამდე, რომ “რადგან პირველწეროებისა და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის საშუალებით საკმაოდ კარგად ხერხდება მოსხებთან ერთად მოხსენიებული მატიენების, ტიბარენების, კერკეტებისა და ქარიმატების ადგილმდებარების დადგენა, ამიტომ ზემოთ მოყვანილი ცნობების უბრალო ურთიერთშეჯრებიდანაც კი ნათელია, რომ ძვ. წ. VI-V საუკუნეების წერილობით წყაროებში მოხსების ლოკალიზაციის ორი, ერთიმეორისაგან განსხვავებული ვარიანტია ასახული: ჰეკატეოს მილეტელისა და ჰეროდოტეს თანახმად, მოხსები ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაში ბინადრობენ, ხოლო ჰელანიკე მიტილენელისა და პალეფატე აბიდოსელის მიხედვით, იგივე სახელწოდების მატარებელი ტომები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე არიან სამიებელნი” (ნ. ხაზარაძე, 1984: 6).

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს როგორც განსახლების სურათი დროის სხვადასხვა მონაბეჭოზე, ისე მისი კუთვნილება ქართველური სამყაროს ამა თუ იმ ნაწილისადმი.

ძვ. წ. VI ს. ელინები, როგორც ჰეკატე მილეტელის მიხედვით ჩანს, მოხსებს კოლხურ ტომად მიიჩნევდნენ და, მაშასადამე, ეთნიკურად კოლხური სამყაროს ნაწილად წარმოიდგენდნენ. რა თქმა უნდა, ამგვარი წარმოდგენა ანტიკურ სამყაროში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო იმ ნიადაგზე, რომ მოხსები, მისი ერთი ნაწილი მაინც, კოლხას სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და, როგორც ჩანს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბინადრობდა. ამისი პირდაპირი მოწმობაა ჰეროდოტეს ცნობა აქემენიდური სამეფოს ადმინისტრაციული აღწერილობიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ აქემენიდი მეფეებისაგან “მოხსებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინიებსა და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი. ეს არის XIX სატრაპია” (თ. ყაუხჩიშვილი, 1960: 75). ქსენოფონტე ათენელის “ანაბასისიდან” ვიცით, თუ როგორი იყო მაკრონების, მოსინიებისა და ტიბარენების განსახლების არეალი

(თ. მიქელაძე, 1967: 85-112). ეს არის, ძირითადად, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ შავიზღვისპირეთი. ის გარემოება, რომ ქსენოფონტე არ იხსენიებს მოსხებს, გვაფიქრებინებს, რომ მათი განსახლების არეალი ზღვის სანაპირო ზოლი-საგან დაცილებით, ქვექნის სიღრმეში იყო გაშლილი, მაგრამ ისე, რომ იგი არსად გადაკვეთდა 10000 ბერძენი მოლაშქრის მარშრუტს. და, მართლაც, მოსხების განსახლების არეალის კიდევ უფრო დასაკონკრეტებლად გარკვეულ მონაცემს იძლევა ჰეროდოტეს კიდევ ერთი ცნობა ქსერქსეს ლაშქრის აღწერილობიდან: “მოსხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, ხოლო ფარები და შუბები – პატარა, შუბის წვერები კი გრძელი ჰქონდათ. ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები მოსხებივით აღჭურვილი ლაშქრობდნენ. მათ საომარ რიგებს მართავდნენ შემდეგი მეთაურები: მოსხებსა და ტიბარენებს – არიომარდე, რომელიც დარიოსისა და პარმისის შვილი იყო. მაკრონებსა და მოსინიკებს წინამდოლობდა არტაიკტე, რომელიც ჰელესპონტის სესტოსს განაგებდა” (თ. ყაუხჩიშვილი, 1960: 113). მოსხების დასავლელი მეზობლები მატიენები იყვნენ. 6. ხაზარაძის აზრით, “ჰეკატე მილეტელისა და ჰეროდოტეს ცნობების შუქზე, მატიენების ეს გაერთიანება საძიებელია მდ. ჰალისის რკალის შიგნით პატლაგონიელების, სირიელი კაპადოკიელებისა და ფრიგიელების მეზობლად” (6. ხაზარაძე, 1984: 21). რაც შეეხება ტიბარენებს, ქსენოფონტის “ანაბასისის” მიხედვით, მათი განსახლების არეალი მოიცავდა ქალაქ კოტიორას (დღევანდელ ორდუს) მიდამოებს და ვრცელდებოდა მესუდიემდე და მდ. თერმეჩაის სათავეებამდე (თ. მიქელაძე, 1974: 52., 6. ხაზარაძე, 1984: 29). მათგან აღმოსავლეთით, ზღვისპირა ზოლში, ბინადრობდნენ მოსინიკები, ხოლო უფრო აღმოსავლეთით კოლხი ტომების მაკრონულ-სანური ჯგუფი. ეს მოგვიანო დროის ჭანებია თავისი მრავალი თემით.

6. ხაზარაძის გამოკვლევით, “ტიბარენების განსახლების არეალია დღევანდელი ორდუდან (ანტიკური კოტიორა) პონტოს მთებამდე გაშლილი ტერიტორია. რაკი მათ აღმოსავ-

ლეთით, როგორც წესი, მოსინიკებს ასახელებენ, დასავლე-
თით – ხალიბებს ან სირიელებს, ერთადერთი მისაღები შეიძ-
ლება იყოს ისეთი ლოკალიზაცია, რომლის მიხედვით მოს-
ხები უნდა მოთავსდნენ ტიბარენების სამხრეთით, დღევანდვ-
ლი ტოკატ-ყარაპისარ-გიუმიშხანეს სანახებში” (ნ. ხაზარაძე,
1984: 30).

“კოლხური ტომების” გავრცელების არეალის ძიებისას
საინტერესო მონაცემებს იძლევა ჰეროდოტეს ცნობა, რომ
“...კოლხეთიდან მიღიაში დიდი არაა გადასავალი, არამედ
მხოლოდ ერთი ტომია ამ /ქვეყნებს/ შორის. ეს არის სას-
პეირების /ტომი/, ამათ რომ ჩაუვლი, ხარ მიღიაში” (თ. ყაუხ-
ხიშვილი, 1960: 65). და კიდევ, “სპარსელები ცხოვრობენ და
აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მეწა-
მულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრო-
ბენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ – სასპეირები, სასპეი-
რების ზემოთ – კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის
ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი
ტომი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე” (თ. ყაუხხიშვილი, 1960:
82).

მოსხები “კოლხურ მოდგმად”, როგორც ჩანს, “დარჩნენ”
ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულამდე, როცა გაძლიერებულმა
იბერიის სამყარომ დაიწყო კოლხური სამყაროს ქართიზაცია.
მას თან ახლდა ქართის მოდგმის განსახლების არეალის
გაფართოება სამხრეთით და დასავლეთით, რაც კოლხური
ტომების განსახლების არეალის შემცირების ხარჯზე ხდე-
ბოდა. ამ დროს ზანურ-ქართული (კოლხური) ერთობა უკვე
დაშლილია ზანურ და ქართულ ეთნოკულტურულ არეალე-
ბად. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და იბერიის მიმდე-
ბარე, მცირე კავკასიონის დასავლეთით გაშლილი რეგიონი
თანდათანობით ქართის მოდგმის განსახლებად იქცა. ასე
გაფორმდა ქართიზებული პროვინციები – სამცხე, შავშეთი,
კლარჯეთი, კოლა, არტანი, სპერი, ტაო, აჭარა, გურია,
იმერეთი და ა. შ.

როგორც ნ. ხაზარაძემ გამოიკვლია, ძვ. წ. I - ახ. წ. I საუკუნეებში მოსხები (მესხები) ბინადრობენ მცირე კაფ-კასიონის სამხრეთ ნაწილის მიმდებარე მხარეებში. მისივე სიტყვით, „... მოსხების ქვეყანა (სამ ნაწილად გაყოფამდე) მოიცავდა, ფეოდალური ხანის ქართული ნომენკლატურით, კოლა-არტაანს, კლარჯეთს, შავშეთს, ამიერ და იმიერ ტაოს, ჯავახეთს, სამცხეს, აჭარას, ბასიანს და სპერს, ანუ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს” (ნ. ხაზარაძე, 1984: 55., გ. ლორდკიპანიძე, 1978: 22).

ამდენად, ძვ. წ. IV საუკუნიდან მაინც უნდა დაჩქარებულიყო მოსხების ქართიზაციის პროცესი, მაგრამ ძვ. წ. II საუკუნიდან ხდება კიდევ ერთი ფაქტი, რომელსაც არ შეიძლება უურადღება არ მივაქციოთ. კერძოდ, სტრაბონის ცნობით, „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო (ლაპარაკია ლევკოთეას ტაძარზე), სამ ნაწილს შეიცავდა: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე – იბერებს და მესამე – არმენიელებს” (თ. ყაუხხიშვილი, 1957: 125). არმენული მოდგმის ექსანსია ჩრდილო-დასავლეთსა და დასავლეთისაკენ, როგორც ჩანს, მართლაც ააშკარავებდა ქართველური მოდგმის განსახლების არეალის შემცირების ტენდენციას. სტრაბონის ცნობით, არმენია „...პირველად პატარა ყოფილა, გაზრდილა არტაქსიასა და ზარიადრის მეშვეობით, რომლებიც პირველად ანტიოქ დიდის სარდლები იყვნენ, ხოლო მერე, მისი დამარცხების შემდეგ, გამეფდნენ, ერთი სოფენეს, აკისენეს, ოდომანტიისა და ზოგ სხვა მხარეში, ხოლო მეორე – არტაქსატას მიდამოებში. ამათ გაზარდეს ქვეყანა იმის ხარჯზე, რომ მეზობელ ხალხებს ჩამოაჭრეს ნაწილები: მიდიელებს – კასპიანე, ფავნიტი და ბასოროპედა, იბერებს – პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომლებიც მტკვრის გადადმა არის, ხალიბებსა და მოსინიკებს – კარენიტი და ქსერქსენე, რომლებიც მცირე არმენიის მეზობლად არიან, თუ მის ნაწილს შეადგენენ ... ისე რომ

ყველანი ეხლა ერთ ენაზე ლაპარაკობენ” (თ. ყაუხიშვილი, 1957: 189).

ამგვარად, სტრაბონის დროს მომთავრებული ჩანს ქართველური მოდგმის ზოგიერთი ტომის ადგილსაცხოვრისის გარკვეული ნაწილის არმენიზაცია, რაც უშუალო გამოხატულებას არმენული ენის გაძატონებაში ნახულობს. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს პლინიუს სეკუნდის ცნობა, რომ „მთელი დაბლობი, მდ. მტკვრიდან მოკიდებული, დასახლებულია ალბანელთა ტომის მიერ, ხოლო შემდეგ იბერთა მიერ, რომლებსაც პირველთაგან საზღვრავს მდ. ოკაზენე, რომელიც კავკასიის მთებიდან მომდინარეობს და მდ. მტკვარს ერთვის. მთავარი ქალაქებია: ალბანეთში – ქაბალაქა, ხოლო იბერიაში - პერმასტუსი. მდ. ნეორისთან (შემდეგ დევს) თასიისა და თრიარის ოლქები პარიპელრიის მთებამდე. მათ გადაღმა ძევს კოლხეთის დაბლობები. იმ მხარეს, რომელიც კერავნის მთებისკენაა მიქცეული, ცხოვრობენ არმენხალიბები და ძევს მოსხების მიწები მდ. იბერიამდე, რომელიც მტკვარს ერთვის, ხოლო ქვემოთ საკანენები, შემდეგ მახერონები მდ. აფსაროსამდე” (Plin., VI, 29).

არსებული მონაცემების ურთიერთშეჯერება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველური მოდგმის განსახლების ეთნიკური რუკა მც წ. II-I ათასწლეულებსა და ას. წ. I ათასწლეულის დამდეგს საგრძნობლად შეიცვალა. კერძოდ, მნიშვნელოვნად შემცირდა მოსხების როგორც განსახლების არეალი, ისე მათი რიცხობრივი ოდენობა, მოხდა მათი ერთი ნაწილის ქართიზაცია (იბერიზაცია), ხოლო მეორე ნაწილის – არმენიზაცია. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მოსხების ერთი ნაწილი დარჩა იმ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შემადგენლობაში, რომელსაც ურარტული და ასირიული წყაროები კოლხა-კულხას, ხოლო ანტიკური ტრადიცია – აია-კოლხიდის სახელით იცნობდა. ამგვარი რეალობის ასახვა უნდა იყოს ჰეკატეოს მილებელის ცნობა კოლხურ სამყაროზე კუთვნილების შესახებ და სტრაბონის ცნობა მოსხების საც-

ხოვრისის განაწილებაზე კოლხებს, იბერებსა და არმენებს შორის.

ჰეკატეოს მილეტელის ცნობასთან დაკავშირებით, აქვე შეიძლებოდა აღგვენიშნა, რომ მოსხების განსახლების ტერიტორიის ერთი ნაწილი, კერძოდ, შუა საუკუნეების სამცხის ის ნაწილი, რომელიც მტკვრის მარცხენა მხარეს მოიცავდა ტაშისკარამდე, ადრერეკინის ხანის მატერიალური კულტურის მიხედვით, გვიანდრინჯაო-ადრერეკინის ხანის კოლხური კულტურის არეალში შედიოდა.

ამგვარად, ძვ. წ. II ათასწლეულის შეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხური მოდგმის სამხრეთი ჯგუფის, მოცემულ შემთხვევაში - მოსხების განსახლების არეალის სამხრეთი საზღვარი ჰალისის (ყიზილ-ირმაკის), ევფრატის და ჭოროხის (აფსაროსის) წყალგამყოფი ქედების ზონაში გადიოდა. ჩრდილოეთით იგი ტიბარენებსა და ხალიბებს ებჯინებოდა, აღმოსავლეთით - ხალიბებსა და მოსინიკებს, დასავლეთით - მატიენებს, ხოლო სამხრეთით - კილიკიებს (არმენებს?). მათი განსახლების არეალი მოგვიანებით გავრცელდა ჭოროხსა და მტკვრის ზემო წელის ხეობებშიც, თუმცა განსახლების არეალი სამხრეთ-დასავლეთით ძლიერ შემცირდა.

როგორც გხედავთ, მუშქების/მესხების ეთნიკური წარმომავლობისა და ქართველურ ეთნიკურ სამყაროსთან მათი გენეტიკური კავშირის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მუშქების შთამომავალ მესხებს მკვლევართა უმრავლესობა აღმოსავლურ-ქართულ ტომად და ქართის ანუ საკუთრივ ქართული ენის მატარებლად მიიჩნევს. მაგრამ გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება მესხების კოლხური ეთნოსისადმი კუთვნილების შესახებ. ეს მოსაზრება, როგორც აღვნიშნეთ, ემყარება, ერთი მხრივ, ცნობას, რომელიც შემონახულია სტეფანე ბიზანტიელთან და მიეწერება ძვ. წ. VI ს-ის ავტორს ჰეკატეოს მილეთელს, მეორე მხრივ - იმ ფაქტს, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდში, ე. ი.

ძვ. წ. XV-VIII სს. მესხეთი კოლხური კულტურის არეალშია მოქცეული და ამ ტერიტორიაზე მეგრულ-ჭანური (კ. ი. კოლხური) ტოპონიმებიცაა დადასტურებული. შესაბამისად, ამტკიცებენ, რომ მესხები თავდაპირველად კოლხურ ტომებს წარმოადგენდნენ, რომელიც შემდგომ ასიმილირდებიან აღმოსავლურ-ქართულ ტომებთან, რის შედეგადაც, თითქოს დაკარგეს თავიანთი პირვანდელი კოლხური ენა (თ. მიქელაძე, 1974: 30, 73-75).

ბიბლიოგრაფია:

გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

ლორთქიფანიძე თო. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986.

ლორთქიფანიძე თო. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.

ლომოური ნ. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, “მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,” ნაკვ. 35, თბ., 1963.

მელიქიშვილი გ. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფო წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1959.

მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.

მელიქიშვილი გ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი გაერთიანებები, “საქართველოს ისტორიის ნარკვევები,” I, თბ., 1970.

მელიქიშვილი გ. ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, “საქართველოს ისტორიის ნარკვევები,” I, თბ., 1970.

მიქელაძე თ. ქსენოფონტის “ანაბასიის,” თბ., 1967.

მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.

მიქელაძე თ. მესხთა საკითხისათვის, ივ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.

გაუხნიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

გაუხნიშვილი თ. პერიდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960.

ხაზარაძე ნ. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები /მოსხები/, თბ., 1984.

ჯაფარიშვილი ივ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

ჯაფარიძე თო. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბ., 1976.

ჯაფარიძე თო. საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა), თბ., 1991.

ჯაფარიძე თო. საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ., 2003.

Вестник Древней Истории, №2, М. 1949.

Климов Г.А. О лексико - статистической теории М. Своденца. «Вопросы теории языка в современной зарубежной лингвистике», М., 1961.

Климов Г.А. Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

Лордкипанидзе Г.А. Колхида в VI-II вв. до н. з., Тб., 1978.

Меликишвили Г. К истории древней Грузии, Тб., 1959.

Akurgal E. Phrigische Kunst, Ankara, 1955.

Cavaignae E. Mushki et Phrigiens, Journal Aziaantique, XLI, 1953.

Nana Khakhutaishvili

Towards The Issue of the History of the Meskhi-Moskhi

Summary

In the given work we have tried to present and generalise the material which gives the possibility to discuss an ethnical properties of Meskhi/Moskhi tribes during the period from II millenium BC till first half of I millenium, and also about an area of expansion of the given tribes during the epoch under study.

The presented material allows us to assert that the Meskhi/Moskhi are the East Georgian tribes which play a serious role in ethnocultural process of the Colchis. It is assumed that the given tribes or at least their one part create the basis of formation of the East - Georgian, Iberian state.

Нана Хахутаишвили

К вопросу истории Месхов // Мосхов

Р е з ю м е

В данной работе мы постарались представить и обобщить материал, который дает возможность беседовать об этнической принадлежности племен Месхов/Мосхов в период с II тысячелетия до н. э. по первую половину I тысячелетия, а также об ареале расселения данных племен в изучаемую эпоху.

Представленный материал дает возможность утверждать, что Месхи/Мосхи являются Восточно-Грузинскими племенами, которые играют серезную роль в этнокультурном процессе колхов. Как предполагают, именно данные племена или их одна часть создает основу, позднее, формирования восточно-грузинского, Иберийского государства.

მოსაზრებები ხეთების საზოგადოების პუმანურობის შესახებ

პუმანიზმის კლასიკური განმარტებიდან თუ ამოვალთ და შევთანხმდებით იმაზე, რომ პუმანიზმი მდგომარეობს ადამიანისთვის ცენტრალური ადგილის მინიჭებაში, გონების აღიარებაში პროგრესის წყაროდ, კრიტიკულ აზროვნებასა და შემწყნარებლობაში, ხეთების საზოგადოებაში შეიძლება მართლაც დავინახოთ პუმანიზმი ან მისი რომელიმე ასპექტი.

ხეთურ კანონთა კრებულის აღმოჩენისთანავე (XX საუკუნის დასაწყისი) მეცნიერთათვის თვალშისაცვი გახდა აქ მითოებულ სასჯელთა ნაკლები სისასტიკე ბაბილონურ, ასურულ, ეგვიპტურ კანონებთან შედარებით. ძველი აღმოსავლეთის ცნობილი მკვლევრები აღნიშნავდნენ, რომ ხეთებთან, ზემოთ ჩამოთვლილ საზოგადოებებთან შედარებით, უფრო ფასობდა ადამიანის სიცოცხლე და პიროვნება. მაგალითად, ედუარდ მაიერი საგანგებოდ აღნიშნავდა ხეთების “მკაფიოდ გამოხატულ პუმანურ-სამართლებრივ შეგნებას”, რაც მათ განასხვავებდა ეგვიპტელებისგან და მიუთითებდა იმაზე, რომ ხეთებთან ხშირად დასტურდება “მკაცრად სამართლებრივი და პუმანური შეხედულებები” [E. Meyer, 1928: 28, 482, 517]. ალბრეხტ გოეტცე ხეთურ კანონებთან დაკავშირებით შენიშნავდა: “შემარცხვენელი სასჯელის სახეები, როგორიცაა, მაგალითად, ცემა ან დასახიჩრება, რაც ხშირად გამოიყენებოდა ასურულ სამართალში, აქ თითქმის არ არის; ხოლო იქ, სადაც ვხვდებით, მხოლოდ მონების მიმართ არის გამოყენებული. ამით ვლინდება ხეთებსა და ძველი წინა აზიის სემიტურ ხალხებს შორის არსებითი განსხვავება, რაც საბოლოო ჯამში შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს ისე, რომ

ხეთებთან მეტად ფასობდა ადამიანის სიცოცხლე და ღირსება” [A. Götze, 1933: 109; 1936: 65]. იმავე აზრის იყო ხეთოლოგიის უუძემდებელი, ხეთური კანონების ტექსტის პირველი გამომცემელი – ბ. პროზნი. ხეთების გამორჩეულ ჰუმანურობაზე მიუთითებდა ცნობილი ფრანგი მკვლევარიც ა. მორკ, რომლის თქმით, “ხეთური სამართლის წიგნი მკვეთრად განსხვავდება, ჩვეულებებისა და კანონების სირბილით, ხამურაბის სამართლის წიგნისგან, აგრეთვე ასურული კანონების სისტემატური სისასტიკისგან. ... სხვადასხვა რასისა და ენის ხალხთა ამ (ხეთურ) კონფედერაციაში გაერთიანებას ახორციელებს სამეფო ადმინისტრაცია; ის იყენებს მესოპოტამიიდან მომდინარე კანონთა კრებულს, მაგრამ უფრო ჰუმანურ ინტერპრეტაციას ჟაკეთებს მას. კანონის ამ შერბილებაში ჩვენ შევნიშნავთ პირველ ნიშნებს ახალი სოციალური სულისა, ინდოევროპელების სულისა, რომელიც პატივს სცემს საზოგადოებაში პიროვნებას. მაშინაც კი, როდესაც ბოლაზე ქოის დინასტია ადმოსავლეთის უფრო ძველი მონარქიებიდან აიღებს ღვთაებრივი წარმოშობის გარეგნულ ასპექტებსა და საკრალური დესპოტიზმის რიტუალს, რიგითი მოქალაქე შეინარჩუნებს საკუთარ დირსებასა და თავის უფლებებს” [A. Moret, 1936: 574-575].

ასეთი შეფასება 40-იანი წლების საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მოინათლა ინდოევროპელი ხეთების სემიტებისადმი რასობრივ დაპირისპირებად. ვ. სტრუვე ხეთების ჰუმანიზმს საგაგოდ მიიჩნევდა და თვლიდა, რომ “ხეთური სამართლის ე.წ. ჰუმანურობა განპირობებული იყო ხეთური საზოგადოების მკაფიოდ გამოხატული მონათმფლობელური ხასიათით” [B.B. Струве, 1947: 11 შმდ.]. ასეთი ახსნა თავისთავადაც არ გამოიყერება მთლად ლოგიკურად, ხოლო დღეს სათუოა არა მხოლოდ ხეთური საზოგადოების “მონათმფლობელურობა” [Г.А. Меликишвили, 1985: 3 სლ.; ვ. А. Менабде, 1961: 55 სლ.], არამედ საერთოდ “მონათმფლობელური ფორმაციის” არსებობაც კი [ლ. გორდეზიანი, 2002: 54 შმდ.]. თუმცა, ხეთური

პუმანიზმი შეიძლება გარკვეულწილად უკავშირდებოდეს საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ თავისებურებებს. დიდ მდინარეთა ცივილიზაციებისაგან განსხვავებით, ხეთებთან კოლექტიური შრომის აუცილებლობა ნაკლები იყო, შესაბამისად, სახელმწიფო ნაკლებად ერეოდა რიგითი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ცალკეული ადამიანი კი მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა და დამოუკიდებელ ღირებულებასაც წარმოადგენდა [ლ. გორდეზიანი, 2005: 36].

ხეთების პუმანურობის შესახებ მოკლე ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას დაგამთავრებ თანამედროვე ფრანგი ხეთოლოგის რენე ლებრენის შესაძლოა ერთობ თამამად დასმული შეკითხვით: “ის დირებულებები, რომელთა წარმოშობას ტრადიციულად ძვ.წ. მეხუთე საუკუნის ათენის დემოკრატიაში ვამტკიცებთ, ხომ არ არსებობდნენ უკვე ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეების ანატოლიაში?” [R. Lebrun, 1993/1994: 25].

მგონია, რომ ხეთური პუმანიზმის საკითხები თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არასაკამარისად არის გაშუქებული და კლევის ღირსია. მეოცე საუკუნის პირველ ნახევართან შედარებით ხეთური ტექსტების რიცხვი ბევრად გაზრდილია, ხოლო ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომთა რიცხვი ძალზე ცოტაა (რ. ლებრენის ზემოთ მითითებული სტატიის გარდა შეიძლება დავასახელოთ ა. არჯის სტატია “ხეთების პუმანურობა” [A. Archi, 1979: 37-48]). ჩემი აზრით, გამოსავლენია და თავი უნდა მოექაროს სხვადასხვა შინაარსის ხეთურ ტექსტში (და არა მხოლოდ კანონთა კრებულში) გაბნეულ მონაცემებს, რომლებიც ხეთების საზოგადოების პუმანურობაზე შეიძლება მეტყველებდნენ. გასარკვევია, ხომ არ არის გადაჭარბებული ან იქნებ, პირიქით, ჯეროვნად არ არის გამოვლენილი ამ კუთხით ხეთური საზოგადოების თავისებურებები, რა ახსნა მოექებნებათ მათ და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, ერთი სტატიის ფარგლებში ვერ განხორციელდება და უფრო დიდი ნაშრომის თემა შეიძლება იყოს, სადაც გამოკვეთილი იქნება ხეთური საზოგადოების ისეთი ასპექტები, როგორიცაა:

ინდივიდის (კაცი იქნება ის თუ ქალი, თავისუფალი თუ არათავისუფალი) ღირსების დაცვა, პიროვნების როლი დათავისუფალის ურთიერთობაში, შემწყნარებლობა, კაცომოვარება. აქ მხოლოდ რამდენიმე ასპექტს შევხები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ხეთურ კანონთა კრებული, რომელიც 200-მდე მუხლს შეიცავს [KBo VI 4, 6, 13; KUB XIII 11 და სხვ. ფრაგმენტები; H. Hoffner, 1997]. ტექსტის ჩვენამდე მოღწეული ასლები განეკუთვნება ახალი სამეფოს ბოლო პერიოდს (ძვ.წ. XIII ს.), თუმცა ენობრივი მონაცემებით ჩაწერილი უნდა იყოს უფრო ადრე, ძველი სამეფოს დასახრულს (ძვ.წ. XVI-XV სს.). მხოლოდ ერთი ასლი [KBo VI 4] ჩანს შედგენილი ახალი სამეფოს ხანაში (ძვ.წ. XIV-XIII სს.). ალბათ საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ეს კანონები არ მიეწერება რომელიმე დათავის და არ არის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული (როგორც, მაგალითად, “ხამურაბის კანონები” ან სხვ.). კანონები, როგორც ჩანს, იცვლებოდა და იხვეწებოდა დროთა განმავლობაში და ასახავს ხეთური საზოგადოების როგორც სამართლებრივ შეგნებას, ასევე ადამიანის სასარგებლოდ კანონმდებლობის ევოლუციის მოთხოვნილებას. ჩვენამდე მოღწეული ტექსტის ერთიანი რედაქციის უქონლობა საშუალებას იძლევა, რომ კანონმდებლობის განვითარებაში და მისი დახვეწის პროცესში გამოიყოს რამდენიმე ეტაპი: უძველესი ეტაპი სიკვდილით დასჯითა (§ 166) და დიდი ჯარიმებით (§§ 57-59); შემდგომი ეტაპი, რომელზეც სიკვდილით დასჯა შეცვლილია სანაცვლო საკრალური შესაწირით ან ჯარიმით (მარცვლეულით და, მოგვიანებით, ვერცხლით) (§§ 158-161); კველაზე გვიანდელია რეფორმის შემდგომი ეტაპი (რეფორმას მოწმობს გამოთქმები: “წინათ” და “ახლა”). რეფორმის შედეგად, ჯარიმები შემცირებულია (§§ 63 შმდ., 67 შმდ., 75 შმდ.), სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრებით გამოხატული სასჯელი შეცვლილია ჯარიმით (ვერცხლით კომპენსაციით) ან სასჯელის

სხვა სახით. ამრიგად, დროთა განმავლობაში სასჯელი ზოგადად უფრო ლმობიერი ხდება და ძველი სამეფოს პერიოდიდან მოყოლებული, შეინიშნება სიკვდილით დასჯის მატერიალური კომპენსაციით შეცვლის ტენდენცია. თუმცა, სიკვდილით დასჯა მთლიანად არ გაუქმებულა და ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში შენარჩუნებულია. ასეთი დანაშაულებებია: მეფის და მის მოხელეთა მიერ გამოტანილი განაჩენის შეუსრულებლობა; მსახურის ურჩობა ბატონის მიმართ; შავი მაგია/ჯადოქრობა (თუ ამ დანაშაულს მსახური სჩადის); ქურდობა (თუ ეს ეხებოდა სასახლის კუთვნილ ქონებას); ცოლ-ქმრული დალატი; ძალადობა ქალზე და ხეთებისთვის დაუშეებელი სქესობრივი კავშირები. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონების ე.წ. პარალელურ ტექსტში [KBo VI 4], რომელიც ახალ სამეფოშია შედგენილი და ორმოციოდე მუხლს შეიცავს, სასჯელი მთელ რიგ შემთხვევებში დამძიმებულია. შესაძლებელია, რომ ადამიანის დანაშაულებებისადმი მიღრუკილი ბუნებით იმედგაცრუებული ხეთი რეფორმატორი შეეცადა მოგვიანებით წინ აღდგომოდა გარკვეულ თავაშვებულობას. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არ ცვლის ზემოთ აღნიშნულ ზოგად ტენდენციას. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ არსებობდა სასჯელის შემარბილებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლებოდა ყოფილიყო დაზარალებული/შეურაცხეყოფილი მხარის კეთილი ნება ან დამნაშავის მიერ დანაშაულის აღიარება და მონანიება: მაგალითად, თუ მოღალატე ცოლს, ქმრის სურვილით, სიკვდილით არ დასჯიდნენ, მაშინ სიცოცხლე უნდა შენარჩუნებოდა ცოლის საყვარელსაც (§§ 197-198); ბატონს შეეძლო არ დაესაჯა თავისი მსახური, რომელიც აღიარებდა საკუთარ დანაშაულს ბატონის წინაშე. ტექსტში, რომელსაც ეწოდება “დარიგებანი ტაძრის მსახურთათვის,” ვკითხულობთ: “თუკი მსახური/ყმა აღიარებს დანაშაულს ბატონის წინაშე, მისი ბატონის სული დამშვიდება (და) ბატონი ამას (ე.ი. დანაშაულს) აპატიებს” [CTH 382.2, KUB 14.8 Vs 27-28].

შეიძლება გარკვეულწილად სადაცო გახდეს ის, თუ რამდენად გამოხატავს ზემოთქმული ჰუმანურობას. სასჯელის შემსუბუქების და მისი მატერიალური კომპენსაციით შეცვლის ტენდენცია, ისევე როგორც სხვადასხვა ხეთურ ტექსტში ასახული კაცომყვარეობის თუ შემწყნარებლობის ცალკეული ფაქტები, შეიძლება ცალსახად არც მივიჩნიოთ ხეთების საზოგადოების ჰუმანურობის დადასტურებად, არამედ დავუკავშიროთ ფულადი ურთიერთობის განვითარებას, სამუშაო ძალის შენარჩუნების სურვილს და სხვ. ამდენად, ხეთების, ერთი შეხედვით, ჰუმანურობის ცალკეული გამოვლენა შეიძლება ავსენათ მათი რეალიზმით, რაციონალიზმითა თუ ანგარებით. მაგრამ, ხეთური წერილობითი ძეგლებიდან გვაქვს ისეთი ფაქტებიც, რომლებიც ჰუმანურობის ოვალსაზრისით ნაკლებად საკამათოც შეიძლება იყოს: ხეთების მეფეთა “ანალებში” (სხვა ძველადმოსავლური მსგავსი შინაარსის, მაგალითად, ასურული ტექსტებისგან განსხვავებით) ვერ ვხედავთ კვეხნას ან სიამაყეს მტრის მიმართ გამოჩენილი სისახტიკის გამო. ოვალშისაცემია ხეთების ლმობიერება მათი პოლიტიკური მოწინააღმდეგების მიმართ: მეამბოხე ვასალური ქვეყნის მმართველებს შეიწყალებდნენ, თუ ისინი პატიებას სთხოვდნენ ხეთების მეფეს (ამის ტიპური მაგალითია მდინარე სეხას ქვეყნის მმართველის, მანაფათარხენონის შემთხვევა). მეფე თელიფინუმ (ძვ.წ. XVI ს.), რომელიც ცდილობდა, რომ ხეთების სამეფოში გახშირებულ უზურპაციას, ძალადობას და სისხლისძვრას სამართლებრივი გზით დაპირისპირებოდა, შეიმუშავა ედიქტი, სადაც, სხვათა შორის, თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგებთან დაკავშირებით წერდა: “დავ, ისინი წავიდნენ და იცხოვონ. დავ, მათ ჭამონ და სვან. ბოროტება კი მათ არავინ მიაყენოს. და მე ვთქვი: მე მათ ბოროტება მომაყენეს, მე კი მათ ბოროტებას არ მივაყენებ” [R. Haase, 1984: 52 ff.]. ხათუსილი III დაინდობს თავის დამარცხებულ პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს: “თუმცა ჩემმა ძმამ სასამართლოს გადაწყვეტილებით მე პროცესი მომაგებინა, მე არმათარხენოს ბოროტებით სამაგიერო აღარ გადა-

ვუხადე. რადგანაც არმათარხუნთი ჩემი სისხლით ნათესავი იყო და ამასთან იგი მოხუცებულიც იყო, მე ის გავათავისუფლე. სიფაციონიც (მისი ვაჟიშვილი) გავათავისუფლებავათავისუფლე რა ისინი, მე მათთვის არაფერი დამიშავებია. არმათარხუნთის ცოლი და ვაჟიშვილი ალასიაში გავაგზავნე ...” [ი. ტატიშვილი, 1990: 206 შმდ.]. ხათუსილი თავის ძმის-შვილს, ურხითეშვბს, მართალია, სამეფო ტახტიდან გადმოაგდებს, მაგრამ სიცოცხლეს შეუნარჩუნებს და უმაღლესი სახჯელის ნიშნად ქვეყნიდან გაასახლებს. ხეთების სამართლებრივი შეგნების შესასწავლად მნიშვნელოვნად მიმაჩნია შემდეგი პასაჟიც იმავე ტექსტიდან: “ჩემი ძმის პატივისცემით მე (ცუდი) არაფერი ჩამიდენია და შვიდი წლის განმავლობაში ვითმენდი. ის კი (იგულისხმება ურხითეშვბი – ი.ტ.) ცდილობდა ჩემს დაღუპას დვთაების სიტყვით და ადამიანის სიტყვით. და მე ხაქვისა და ნერიქი წამართვა. ადარ მოვუთმინე და მას ბრძოლა დავუწყე. ხოლო, როდესაც მას ვებრძოდი, მე სიბილწეს არ ჩავდიოდი. განა მე მას (საბრძოლო) ეტლზე მდგომი ავუჯანყდი ან სასახლეში ავუჯანყდი! მე მას კაცურად შეგუთვალე: ”... მოდი! ჩვენ სამუხას იშთარი და ნერიქის ამინდის დვთაება განგვსჯიან სასამართლოში.” როდესაც ამას ვწერდი ურხითეშვბს, ვინმეს რომ ჩემთვის ასე ეთქვა: “ადრე რატომ დასვი ის მეფედ და ახლა რად სწერომის შესახებ? – მე ვუპასუხებდი: “მას რომ თვითონ არ დაეწყო ჩემთან შედღი, განა დმერთები სამართლიან დიდ მეფეს პატარა მეფეს დაუქვემდებარებდნენ?” ახლა, რადგანაც ის მე მექიშპებოდა, ღმერთებმა ის სასამართლოს გადაწყვეტილებით მე დამიქვემდებარებ...” [ი. ტატიშვილი, 1990: 207].

ხეთური კანონმდებლობა ინდობდა და არ სჯიდა სხეულის დასახიჩრებით ხეთების თავისუფალი ფენის წარმომადგენლებს, თუ ისინი ომის დროს გადავიდოდნენ მტრის მხარეზე. ეგვიპტური კანონებით ამ სასჯელს ვერ ასცდებოდა საზოგადოების ვერც ერთი წარმომადგენელი – ვერც დაბალი სოციალური კატეგორია და ვერც დიდგვაროვანი. სხვათა შორის, როგორც ტექსტებიდან ჩანს, ამ განსხვავებაშ პრობლემა

შექმნა ხათუსილისა და რამსეს II-ს შორის ძვ.წ. 1259 წელს დაღებული ცნობილი ხელშეკრულების (მსოფლიოში პირველი სამშვიდობო ხელშეკრულების) გაფორმებისას. ორივე მხარე ითხოვდა საკუთარი კანონმდებლობის გათვალისწინებას. საბოლოოდ, გათვალისწინებული იქნა ხეთური კანონმდებლობა. ხელშეკრულების ტექსტის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებული იყო დაებრუნებინა ლტოლვილები მეორე მხარისთვის, მაგრამ ისინი (იქნებოდნენ ისინი დიდგაროვანნი თუ უბრალო მოსახლენი) არ უნდა დაესაჯათ – “შათ არ ამოაძრობენ ენას, არ დათხრიან თვალებს, არ დააჭრიან ყურებს ან ფეხებს” – ნათქვამია ხელშეკრულების ტექსტში [G. Beckman, 1996: 90 ff.].

ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია პიროვნების როლი დათაებასთან ურთიერთობაში. ხეთური ლოცვებიდან ჩანს, რომ ხეთებს შეუძლიათ ეკამაოზ დათაებებს როგორც თავიანთ სწორო, ეჭვი შეიტანონ დათაებრივი განაჩენის სისტორეში, შეეცადონ, რომ შეაცვლევინონ დათაებებს ხანდახან გაბრაზებისას, ცხელ გულზე გამოტანილი განაჩენი. მურსილი II-ის დროს (ძვ.წ. 1318-1290) ეჭვებულ დგება ცოდვის მემკვიდრეობითობა, წინა პლაზე წამოიწევს პიროვნება, მისი პირადი პასუხისმგებლობა. აღსანიშნავია arkuwar-ტიპის ლოცვები, სადაც დათაებების წინაშე არგუმენტირებული თავის მართლებაა მოცემული (ამ სიტყვას arkuwar “თავის დაცვა, თავის მართლება” ეტიმოლოგიურად უგავშირდება ლათ. arguo, argumentum).

ადამიანისა და დათაების ურთიერთობა შედარებულია ბატონისა და მისი ქმის ურთიერთობასთან. მოკვდავს შეიძლებოდა ჰქონოდა იმედი იმისა, რომ ცოდვის აღიარების შემთხვევაში მას დათაება აღარ დასჯიდა, ისევე როგორც ბატონი – თავის მსახურს, რომელსაც ანალოგიურ შემთხვევაში კანონი იცავდა.

ხეთური საზოგადოების ამ ასპექტების შემდგომი კვლევა და ძველაღმოსავლურ კონტექსტში მისი შესაძლო განსხვა-

კებულობის წარმოჩენა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ხეთური ცივილიზაციის თვითმყოფადობის უკეთ გამოვლენას, მისი როლისა და მნიშვნელობის გააზრებას ძველი ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციათა ისტორიაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. KBo (= Keilschrifttexte aus Boghazköi).
2. KUB (= Keilschrifturkunden aus Boghazköi).
3. CTH (= Catalogue des Textes Hittites).
4. გორდეზიანი ლ., მონათმყლობელური ფორმაცია – მითი თუ რეალობა? ძველი ისტორია 2, თბ., 2002.
5. გორდეზიანი ლ., საქართველოს ძველი და შემდეგის ისტორიისათვის, ენა და კულტურა 5-6, თბ., 2005.
6. ტატიშვილი ი., ხათუსილი III-ის ავტობიოგრაფია, ძველი აღმოსავლეთის ხადხთა ისტორიის ქრებტომათა, თბ., 1990.
7. Меликишвили Г.А., Об основных этапах развития древнего ближневосточного общества. ВДИ 4, 1985.
8. Менабде Э. А., О рабстве в Хеттском государстве. Переднеазиатский сборник 1, Москва 1961.
9. Струве В.В., О «гуманности» хеттских законов. ВДИ 4, 1947.
10. Archi A., L'Humanité des Hittites, Florilegium Anatolicum, Paris, 1979.
11. Beckman G., Hittite Diplomatic Texts, Atlanta, 1996.
12. Götze A., Kleinasiens, Handbuch der Altertumswissenschaft III/I, München, 1933.
13. Haase R., Texte zum hethitischen Recht. Eine Auswahl, Wiesbaden, 1984.
14. Hoffner H., The Laws of the Hittites, Leiden – New York – Köln, 1997.
15. Lebrun R., Réflexions sur l'Humanisme Hittite, Acta Orientalia Belgica VIII, Louvain-la-Neuve 1993 [1994].
16. Meyer E., Geschichte des Altertums, II/I (Die Zeit der ägyptischen Grossmacht), Hamburg, 1928.
17. Moret A., Histoire de l'Orient, II, Paris, 1936.

Irene Tatishvili

Reflections about humanism of the Hittite society

Summary

The article discusses some aspects of humanism of the Hittites on the basis of the textual data, such as respect of personality, tolerance, legal consciousness.

These peculiarities of the Hittite society show originality of their culture and their role and importance in the history of the ancient civilizations.

Ирина Татишвили

Размышления о гуманизме хеттского общества

Резюме

В статье на основе текстуальных данных рассмотрены некоторые аспекты гуманизма хеттов – уважение личности, терпимость, правовое сознание.

Эти особенности хеттского общества выявляет самобытность их культуры и указывает на роль и значение хеттов в истории древних цивилизаций.

ურარტუს ქალაქები

მიუხედავად იმისა, რომ ურარტუს ისტორიისადმი, ურარტული ლურსმული წარწერებისადმი მიძღვნილი არა-ერთი ნაშრომი შეიქმნა [A.H. Sayce, 1882; ჟ. შანდალგიან, 1900; F. Bagel, F. Schachermeyr, 1928, 1935; Г. А. Капанцян, 1940; Г. А. Меликишвили, 1954; P. Pecorella, . Salvini, 1984; P.E. Zimansky, 1985], ურარტული ქალაქების ისტორიის ამსახველი სპეციალური გამოკვლევა ჯერჯერობით არ არსებობს.

წინამდებარე სტატია ურარტუს ქალაქების ისტორიის რეკონსტრუქციის მოკრძალებული ცდაა. ჩემი მიზანია ურარტული ლურსმული წარწერებისა და ურარტუს ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ. წ. IX-VII სს. დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლების კომპლექსური შესწავლა და მათი შედარებითი ანალიზი.

ურარტუს მეფეები (იშფუინი, მენუა, არგიშთი I, სარდურ II, რუსა I, რუსა II) კვეთნით გვიამბობენ არა მარტო მათ მიერ მეზობლად მცხოვრები ტომებისა და მოსაზღვრე ტერიტორიების წინააღმდეგ ლაშქრობასა და დაპყრობაზე, არამედ მათ მიერ ჩატარებულ „დიდებულ“ სამშენებლო საქმიანობაზეც. ასე, მაგალითად, იშფუინი ვანის კლდეზე შესრულებულ წარწერაში ამბობს, რომ ტუშფაში კარიბჭე დაუდგამს, ახალი სიმაგრე აუგია და ვენახი და ბაღი გაუშენებია [Г. А. Меликишвили, 1960: 124; Н. В. Арутюнян, 2001: 21]. კელიაშინის ბილინგვაში კი იშფუინს ქალაქ არდინში დვთაება ხალდისათვის ტაძარი აუგია, მის წინ ასურულ-ურარტული წარწერებით დამშვენებული სტელა აღუმართავს, ქალაქისათვის კარიბჭე დაუდგამს [Г. А. Меликишвили, 1960: 127; Н. В. Арутюнян, 2001: 27]. ვანის მუზეუმში დაცულ წარწერაში მენუა გვამცნობს, რომ მას სიმაგრე და სასახლე აუშენებია,

ქალაქი დაუარსებია და მისთვის მენუახინილი „მენუას ქალაქი” უწოდებია [Г. А. Меликишвили, 1960: 178, 183, 196; Н. В. Арутюнян, 2001: 73, 74, 114, 515; А. А. Мартirosyan, 1964: 232-233]. კარმირ-ბლურის წარწერაში არგიშთი I ქალაქ ერებუნის აღმშენებლად გვევლინება [Н. В. Арутюнян, 2001: 219, 224; Б. Б. Пиотровский, 1959: 4-5]. აიკაბერდის წარწერაში სარდურ II გვამცნობს, რომ ციცაბო კლდეზე ღვთაება ხალდისთვის ტაძარი, ღვთაება ირმუშინისათვის კი სიმაგრე და სახლი აუგია, მდ. გუგუნადან არხი გაუყვანია, ვენახი გაუშენებია, ახალი ქალაქი დაუარსებია და მისთვის სარდურისინილი უწოდებია [Н. В. Арутюнян, 2001: 262; Г. А. Меликишвили, 1971: 251]. რუსა I-ს კი, ცოვინარის წარწერის თანახმად, „ღვთაება თეიშებას ქალაქი”, სიმაგრეები აუშენებია და ხელოვნური ტბა და არხები გაუყვანია, არგიშთისინილი აუღორძინებია [Г. А. Меликишвили, 1960: 329]. რუსა II-ს ვანის მთის ჩრდილო-დასავლეთით ეიდურუს მთების წინ დიდებული სიმაგრე, ტაძარი და სასახლე აუგია, ვენახი და ხილის ბაღი გაუშენებია და ახალი ქალაქი რუსახინილი დაუარსებია [Н. В. Арутюнян, 2001: 334-335; . ილინგირო ლუ, . შალვინი, 1995: 111-112].

წარწერებში მოხსენიებული ციხე-სიმაგრეები, ტაძრები, აღმართული ჭიშკრები იმაზე მეტყველებს, რომ ნაგებობები გარკვეულ დასახლებულ პუნქტებში იყო თავმოყრილი. ურარტული ლურსმული წარწერები დასახლებათა რამდენიმე სახელწოდებას გვამცნობს: URU „ქალაქი” და „ციხე-სიმაგრე, გალავანი, ციტადელი, სასახლე /დიდი სახლი“.

ურარტუს ქალაქებს ციტადელი ერტყა. აშურნასირპალ II-ის „ანალებში” ქალაქი დამდამუსა „გამაგრებული ქალაქის” აღმნიშვნელი დეტერმინატივით მოხსენიება [Н. В. Арутюнян, 1985: 72]. წარწერის თანახმად, ასერეთის წინააღმდეგ აჯანყებული ხულა თავს სწორედ ამ ქალაქს აფარებდა. აშურნასირპალ II-ს იგი შეუპყრია, ცოცხლად ტყავი გაუძრია და ქალაქის კედელზე გადმოუკიდია. ასეთივე „გამაგრებული ქა-

ლაქების” რიცხვს მიეგუთვნება, „ლუვრის ფირფიტაზე” დაცული წარწერის თანახმად, გეტა, რომელიც „მთის ძირას, მღელგარე ზღვის ნაპირზე (ვანის ტბა – ნ. ბ.) ყოფილა გაშენებული; არცაბიას მთის ფერდობზე გაშლილი ქალაქი გიზუარცუ; აუგურუ (ნიშნავს „ძლიერს”, „უდიდესს”); ბანიუ, რომელიც სარგონ II-ის სახელით შედგენილ „წერილში” მოიხსენიება; ბალდუარცა „მღელგარე ზღვის ნაპირზე და მთის ფერდობზე” გაშენებული [И. М. Дьяконов, 1951: 280] და ა. ჭ.

ციხე-სიმაგრე სხვადასხვა დანიშნულების იყო: ხშირ შემთხვევაში ეს იყო თავდაცვითი, ადმინისტრაციული ცენტრი, ზოგიც დიდი ლაშქრობის მოსამზადებელ ბაზას წარმოადგენდა.

თავდაცვითი სიმაგრეები ძნელმისადგომ ადგილებში, მა-დალ ბორცვებზე ან ციცაბო კლდეებზე იყო აგებული. არ-გიშთოუნა სარგონ II-ის წარწერაში „ძლიერ“ ციხე-სიმაგრედ მოიხსენიება, რომელიც „ვარსკვლავის მსგავსად ელვარებდა” და მისი სიმაღლე 120 მეტრს აღწევდა [Б. Б. Пиотровский, 1959: 104].

არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, ციხე-სიმაგრის კედლის სისქე 3 მეტრს შეადგენდა [Б. Б. Пиотровский, 1959: 200].

არქეოლოგიურად ყველაზე უპეოესად შესწავლილი თეიშებაინის ციხე-სიმაგრეა. იგი 120-დან 150-მდე ნაგებობას მოიცავდა. სიმაგრეს ორი შესასვლელი ჰქონდა სამხრეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან. ჩემი მოსაზრებით, ამ მხარეებს უპირატესობა მოსალოდნელი პოლიტიკური საშიშროების გამო ენიჭებოდათ. ჭიშკრები როგორც ვეხით მოსიარულე-თათვის, ასევე სატრანსპორტო საშუალებისთვისაც (ოთხთვა-ლა ეტლისთვის) იყო გათვლილი. კედლები ალიზით, ყოველ-გვარი დუღაბის გარეშე იყო ნაშენი. ციხე-სიმაგრის განუყო-ფელ ნაწილს კონტრფორსები და მასიური კოშკები შეად-გენდნენ. კედლების სიმაღლე სხვადასხვა ადგილას 6-დან 12

მეტრამდე მერყეობდა [Б. Б. Пиотровский, 1959: 200; С.А. urney, 1957: 37-53].

ქალაქი ციტადელთან ახლოს – სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს იყო გაშენებული. კომუნიკაცია ფართო და გრძელი ქუჩებით ხორციელდებოდა. ქუჩის ორივე მხარეს საცხოვრებელი კვარტლები იყო განლაგებული [Б. Б. Пиотровский, 1959: 200].

აღსანიშნავია, რომ ურარტელი მშენებლები, თავდაპირებულად, ნაგებობის მოდელს ამზადებდნენ. მკვლევრები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ასურეთის მეფეთა სასახლის კედლებზე ძღვენის მირთმევის სცენებში სწორედ ეს მოდელებია აღმდევდილი [Б. Б. Пиотровский, 1959: 205-206]. კედლებზე გამოსახული ადამიანის ხელისგულზე მოთავსებული ციხე-სიმაგრეების მოდელების მირთმევა, სიმაგრის მშენებლობის დამთავრებასთან ერთად, მეფისადმი მორჩილებას გამოხატავდა.

შენობის გადახურვა ხის კოჭებით ხდებოდა. „ლუგრის ფირფიტაში” ნათქვამია, რომ რუსას ქალაქ ულხუში სასახლე აუშენებია და ჰერი კვიპაროსის კოჭებით გადაუხურავს. იგი შესანიშნავ სურნელს გამოსცემდა. როდესაც ასურელები ულხუში შეიჭრენ, სასახლე დაანგრიეს, კვიპაროსის კოჭები ნაჯახით მოჭრეს და დანარჩენ ნადავლთან ერთად ასურეთში წაიღეს [Б. Б. Пиотровский, 1959: 206].

შენობის გადახურვისათვის საკოჭე მასალად, ასევე, ფიჭვი, ალვის ხე, მუხა და იშვიათად წიფელი გამოიყენებოდა.

სარგონ II-ის წარწერებიდან ცნობილი ხდება, რომ ურარტელი დურგლები კარებს კვიპაროსისა და პალმის ხის მასალიდან ამზადებდნენ. კარები გარედან მბზინავი სპილენძით იყო დაფარული.

იატაკი ალიზის ან დატკეპნილი მიწის იყო. ერთ-ერთ ნაგებობაში იატაკის მოსწორებისას ადამიანის თითების ანაბეჭდებია შემორჩენილი [Б. Б. Пиотровский, 1959: 207].

ამგვარად, როგორც ვხედავთ, დღეს არსებული წერილობითი წყაროები (ურარტუს მეფეთა წარწერები), სხვადასხვანაგებობებზე შემორჩენილი ბარელიეფები და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ოვალნათლივ წარმოვიდგინოთ ურარტუს ქალაქების იერ-სახე. განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ეს სამი წყარო, ფაქტობრივად, ერთმანეთს ავსებს და სრული სურათის რეკონსტრუქციის საფუძველს წარმოადგენს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. Арутюнян Н. В., Корпус Урартских клинообразных надписей, Ереван, 2001.
2. Арутюнян Н. В., Топонимика Урарту, Ереван, 1985.
3. Дьяконов И. М., Ассирио-аввилонские источники по истории Урарту, ВДИ, №2-4, Москва, 1951.
4. Капанцян Г. А., История Урарту, Ереван, 1940.
5. Мартиросян А. А., Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964.
6. Меликишвили Г. А., Наири-Урарту, Тбилиси, 1954.
7. Меликишвили Г. А., Урартские клинообразные надписи, Москва, 1960.
8. Меликишвили Г. А., Урартские клинообразные надписи, ВДИ, №3, 1971, Москва.
9. Пиотровский Б. Б., Ванское Царство (Урарту), Москва, 1959.
10. Пиотровский Б. Б., Урартская надпись из раскопок Кармир-блура, связанная с основанием Эребуни, ЭВ, 1966.
11. Bagel F., Schachermeyr F., Corpus Inscriptionum Chaldaicarum, Berlin-Leipzig, 1928, 1935.
12. Burney C. A., Urartian fortresses and towns in the Van Region, Anatolian Studies, VII, London-Ankara, 1957.
13. Çilingiroğlu A., Salvini M., Rusahinili in Front of Mount Eiduru: The Urartian Fortress of Ayanis, Studi Micenei ed Egeo-Anatoli, Roma, 1995.
14. Pecorella P., Salvini M., Tra lo Zagros e l'Urmia, Roma, 1984.
15. Sandalgian J., Les inscriptions cunéiformes urartiques, Venise, 1900.
16. Sayce A. H., The Cuneiform Inscriptions of Van, Journal of the Royal Asiatic Society, XIV, London, 1882.

17. Zimansky P. E., Ecology and Empire: the Structure of the Urartian State, Chicago, 1985.

Nana Bakhsoliani

Cities of Urartu

Summary

The analysis and comparison of the written sources existing at present (inscriptions of the kings of Urartu), plots of bas-reliefs preserved on various monuments of Urartian architecture, artifacts brought to light as a result of archaeological research on the territory of the former territory of Urartu have allowed the author of the present paper to reconstruct basic aspects of the history of functioning of Urartian cities.

Нана Бахсолиани

Города Урарту

Резюме

Анализ и сопоставление существующих на сегодняшний день данных письменных источников (надписи урартских царей), сюжетов отдельных барельефов, засвидетельствованных на памятниках урартской архитектуры, артефактов, выявленных в ходе археологических изысканий на бывшей территории Урарту, дали автору предлагаемой статьи возможность реконструировать основные аспекты истории функционирования городов Урарту.

ბაგრატიონთა მითოსური წინაპარი „მაჟაბხარატადან“

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბაგრატიონთა დავით წინას-წარმეტყველისაგან წარმომავლობა და ამ გზით მათი მარიამ დვოისმშობელთან და იქსო ქრისტესთან ნათესაობა ქართულ ტრადიციადაა ცნობილი. ამ ტრადიციის ყველაზე ადრეულ ფიქსაციად მიჩნეულია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (850 წ) გრიგოლის მიმართვა აშოტ კურაპალატისადმი: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო...“ [ინგოროვა, 1954: 40]. უფრო ვრცლად აღნიშნულის შესახებ მოთხოვბილია კონსტანტინე პორფიროგენეტის 852 წლით დათარიღებულ შრომაში „De administrando imperio“.

მე-10 საუკუნის სომები ისტორიკოსის იოანე დრასხანაძერტელის ცნობაზე დაკრდნობით ვარაუდობენ, რომ ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის გადმოცემას იცნობდა სომხური ისტორიოგრაფიაც [დრასხანაძერტელი, 1937: 3].

მ. ლორთქიფანიძის დასაბუთებით, ბაგრატიონთა დვოიური წარმომავლობის შესახებ ოქმულება ქართულ და სომხურ ისტორიულ წყაროთა ავტორებს ერთმანეთისაგან არ უსესხებიათ [ლორთქიფანიძე, 1996: 149]. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთნაირი გადმოცემების წარმოშობა გვაფიქრებინებს, რომ ისინი, შესაძლოა, წარმოადგენენ ქრისტიანიზებულ კონტაქტისას, ბაგრატიონთა წინაპართან დაკავშირებული ძველი, ჩვენთვის უცნობი ოქმულებისა, რომელიც ბაგრატიონთა წინარე სამშობლოდან, შესაძლოა, არიან-ქართლიდან იღებდეს სათავე.

როგორც ცნობილია, მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე არსენ ბერის (მეტაფრასის) ცნობამ: „ჩვენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსრულთანი ... და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის შვილნი არიან“ [არსენ ბერი, 1971: 47], მეცნიერთა ერთ ნაწილში (პ. ინგოროვა, ს. ჯანაშია, გ. გრიგოლია და სხვ.) სათავე დაუდო ბაგრატიონთა აზო-ფარნაგაზიანთა შთამომაგლებად მიჩნევას. აღნიშნულ თვალსაზრისს, პ. ინგოროვას მიხედვით, საძირკველს უმაგრებს პორფიროგენეტის ცნობა (მოგვავს შემოკლებით, პ. ინგოროვას მიხედვით): „უნდა ვიცოდეთ, რომ იბერიელები, ე.ო. კურაპალატისანი [ქართველთა სამეფოს მკაფიობრი], ამაყობენ იმით, რომ არიან შთამომავალნი პურის [ხეთულის] მეუღლის [ბერსავასი], რომელიც შეირთო მეფემ და წინასწარმეტყველმა დავითმა; სახელდობრ, [იბერიელები] ამტკიცებენ, რომ არიან შთამომავალნი შვილებისა, რომლებიც მას [ბერსავია ხეთულს] შეეძინა დავითისაგან. ამიტომაც ისინი უწოდებდნენ თავის თავს დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავს, და აქედან ყოვლად-წმიდა დმრთისმშობლის ნათესავსაც, რაღაც ისიც [დმრთის მშობელი] დავითისაგან არის წარმოშობილი... ისინი [იბერიელები] მოგვითხოვენ, რომ მათი ტომი იერუსალიმიდან რომ წამოვიდა, იყვნენ [იბერთა წინამძღოლნი] დავითი და მა მისი სპანდიატი...“

დასახელებულ დავითს, სპანდიატის ძმას, ჰყავდა შვილი ბაგრატი. ბაგრატს ჰყავდა შვილი აშოგი...“ [ინგოროვა, 1954: 81].

პ. ინგოროვას შეხედულებით, „ეს თქმულება ქართველი ხალხის სამხრეთიდან (იერუსალიმიდან) გადმოსახლების შესახებ, ბაგრატიონთა გვარეულობის მეთაურობით, არის ვარიაცია, შემდგომი ხანის შეცვლილი სახეობა ძველი საისტორიო გადმოცემისა ქართველი ხალხის სამხრეთიდან – „არიან-ქართლიდან“ – გადმოსახლების შესახებ ფარნაგაზიანთა (აზო-ფარნაგაზიანთა) დინასტიის მეთაურობით“ [ინგოროვა, 1954: 81-82].

პ. ინგოროვას მიერ აღნიშნულის დასასაბუთებლად მოყვანილი არგუმენტები, ძირითადად, სარწმუნო ჩანს. ამასთან, შევნიშნავთ: უდამაზესი ბერსავია რომ ცოლად შეერთო, დავით წინასწარმეტყველმა მისი ქმრის, ურია ხეთელის მოკვლის ცოდვა დაიდო და დვთის რისხვა თავს დაიტეხა. ბერსავიასთან უკანონო კავშირით შეძენილი შვილი მოუკვდა, შეიქმნა საფრთხე ჩადენილი ცოდვის სიმძიმე ტვირთად დასწოლოდა წინასწარმეტყველის შთამომავლობას [2 მეფ.თ. 11-12]. რატომ შეარჩიეს, როგორც ჩანს რელიგიის მსახურებმა, წინასწარმეტყველთან დაკავშირებული მაინც და მაინც ეს საქმაოდ მძიმე ისტორია?! – იმიტომ ხომ არა, რომ ისინი თავისუფალნი არ იყვნენ ამ არჩევანში? ჩვენი აზრით, მათ მიზნად პქონდათ ბაგრატიონთა არიან-ქართლელ წინაპარზე არსებულ წარმართულ გადმოცემას ჩანაცვლებოდა ძველის მსგავსი, ახალი ქრისტიანული გადმოცემა. სწორედ ისე, როგორც წარმართული არიან-ქართლიდან მოსვლას, წმინდა ქალაქ იერუსალიმიდან გადმოსახლება ჩაანაცვლეს. მსგავსი უფრო იოლად ენაცვლება მსგავსს. აქვდან ისიც გამოდის, რომ დავით წინასწარმეტყველისაგან ბაგრატიონთა წარმომავლობის ისტორიის ძირითადი სქემა უნდა ემთხვეოდეს, იმეორებდეს ბაგრატიონთა წინაპართან დაკავშირებულ უძველესი გადმოცემის სიუკეტს, რომელიც, ჩვენი აზრით, არსებობდა, რაც ხელშემწყობ პირობას ქმნის მისი მიკვლევისათვის.

ბაგრატიონთა წინაპარზე ადრინდელი გადმოცემის ძიებისას ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ბაგრატიონებში დომინირებულ სახელ ბაგრატს, რომლისგანაც წარმოშობილი ჩანს გვარი ბაგრატიონი. გასათვალისწინებელია სომქე ისტორიოსთა შეხედულებებიც ამ საკითხზე. ადონცი თვლიდა, რომ ბაგრატის სომხური შესატყვისი სახელი ბაგარატი სპარსული „ბაგადატიდან“ მოდის [Адонц, 1908: 307-308, 412-413]. პრ. აჭარიანის აზრით კი ეს არის სპარსული სიტყვა ბჟაგადატა – „დვთის ბოძებული“ [საქართველო, 1937: 318].

მნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს, რომ სახელში და გვარშიც ბაგრატიონი, იკითხება დმერთის აღმნიშვნელი ინდოევროპული სიტყვა, რუსული „ბოგ“, ძველსპარსული „ბაგა“, ძველინდური „ბაგაგაგატ“-ი [მიწი, I, 2002: 201]. მსგავსი წარმომავლობისა ჩანს: ქართული გვარი ბადათურია, სახელი ბადათერა; წარმართული საკერპოს სახელი ქართლში – ბაგინი; ტოპონიმები: ბაგატა – სოფელი გორის რაიონში [საქართველო, 1997: 314], ბაგინეთი – არმაზციხე, იგივე ტოპონიმი არის ვანის რაიონშიც და სხვ.

რაც შექება სახელ ბაგადატი/ბაგადატას, იგი გვხდება არა მხოლოდ სპარსეთში, როგორც ამას სომები მეცნიერები მიუთითებენ, არამედ გვხდება მეორე არიულ ქვეყანაშიც. ჩვენი შეხედულებით, არიან-ქართლელები ინდოარიელები იყვნენ [წულუკიძე, 2005: 101] და ძიებაც ინდურ სამყაროში უნდა წარიმართოს. ქვ. წ. VI-V საუკუნეებში შექმნილ, ინდუისტრია ბიბლიად მიჩნეულ ეპოს „მაპაბხარატაში“, რომელიც ისტორიულ წყაროდაც ითვლება, გვხდება ბაკაგადატათა მოდგმა. მათთან დაკავშირებული გადმოცემა საყურადღებო ჩანს ჩვენი ძიებისათვის.

„მაპაბხარატაში“ მოთხრობილია სამეფო ტახტისათვის ბრძოლის ისტორია ბიძაშვილებს, პანდავებსა და კაურავებს შორის, რასაც ინდოეთში სამოქალაქო ომი მოჰყება. პანდავებს მათი მამიდაშვილი მეფე და უფალი კრშნა ეხმარებოდა. თავიდანვე მათდამი დაპირისპირებულ ბანაკში, კაურავთა მხარეს, ჩანს პრაგჯოტიშის მეფე ბაკაგადატა. მიუხედავად იმისა, რომ კაურავები ეპოსში უარყოფითად ხასიათდებიან, მათ მხარეზე მყოფ ბაკაგადატასა და მის ვაჟზე მხოლოდ კარგი ითქმის. როცა კურუცშეტრას ველზე გადამწყვეტი ბრძოლის წინ კაურავთა მეფე და მხედართმთავარი დურიოდხანა შეშინდა, იგი ასე გაამხნევეს: „გმირი ქშატრიები ბაკაგადატას მეთაურობით, ზეციური იარაღის მრისხანე მცოდნენი, გაანადგურებენ შენს მტრებს. შეწყვიტე წუხილი“ [მახაბხარა, III, 1987: 487].

ბპაგადატას, როგორც უძლიერეს მებრძოლს და ღირსეულ მოწინააღმდეგებს, არაერთხელ პატივისცემით იხსენიებს უფალი კრშნა [Maxabxarata, VIII, 1990: 48, 176,177].

ბპაგადატა კურუგშეტრას ბრძოლაში დაეცა განგმირული უძლიერესი არჯუნა პანდაგას მიერ, რომლის საბრძოლო ეტლსაც თავად უფალი კრშნა წარმართავდა: „მეუფე ზღვისპირას მცხოვრები კირატებისა, დხარმის ერთგული, უსაყვარლესი თავად დმერთა მეფისათვის (ინდრასათვის – 6.၇.) ქმატრიული ტრადიციების სიხარულით აღმასრულებელი მეფე ბპაგადატა, სიმამაცის გამოჩენით იამას საუფლოში გაგზავნა სიმდიდრის მოპოვებელმა“ [Maxabxarata, VIII, 1990: 19].

კურუგშეტრას ველზე დაეცა ბპაგადატას ვაჟი ვაჯრადატაც, რომელიც დახასიათებულია, როგორც მრავალძალიანი და დიდ სიბრძნეს შემწვდარი [Maxabxarata, VIII, 1990: 20].

აღნიშნულით ბპაგადატას მოდგმის ისტორია არ წყდება. სახელი ბპაგადატა ისევ გვხდება „მაპაბხარატას“ ბოლო, მე-18 წიგნში, კრშნას ცხოვრებას რომ აღწერს. ფიქრობენ, რომ იგი I-V საუკუნეებში შეიქმნა. სახელი ბპაგადატა ამ წიგნში ისევ ქალაქ პრაგჯოტიში ჩნდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი პრაგჯოტიშის მეფის, ბრძოლაში დაღუპული უფროსი ბპაგადატას შთამომავალია. ქალაქი პრაგჯოტიში („აღმოსავლეთის ნათელი“), მდებარეობდა კ.წ. „პრახმაპუტრას კულტურულ ველზე“, იგი ჩინეთთან სავაჭრო გზაზე მნიშვნელობით მეორე ქალაქს წარმადგენდა დაწ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში. კრშნას ცხოვრების მითში იგი დემონურ ქალაქადაა წარმოდგენილი. მიწნეულია, რომ ეს გადმოცემა აირეკლავს დასავლეთ და აღმოსავლეთ ინდოეთს შორის წარსულში არსებულ ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ დაპირისპირებას [Maxabxarata, III, 1987: 613].

პრაგჯოტიშის მფლობელმა, უზარმაზარი ძალის მქონე ბპაუმასურამ, იგივე მურამ, მრავალი უსამართლობა ჩაიდინა და დმერთებიც შეაწეხა, ამიტომ ზეციური პლანეტების მეფე ინდრამ უფალ კრშნასთან უზივლა. კრშნამ მურას სატახტო

ქალაქს მიაშურა და დაძაბულ ბრძოლაში მოჰკლა იგი. ბპაუ-მასურა გაპიროვნებული დედამიწის ვაჟი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ კრშნასთან თავად გაპიროვნებული დედამიწა გამოცხადდა მცირეწლოვან შვილიშვილთან ერთად და უთხრა: „ძვირფასო უფალო, ნება მომეციო გაუწყო, რომ ეს ბიჭი, ბპაგადატა, ჩემი ძის, ბპაუმასურას ვაჟია მე ვთხოვ შენს მეუფებას, მიეცი თავშესაფარი მას და აკურთხე შენი ლოტოსის ტერფებით. ეს ბიჭი იმისათვის მოგგვარე, რომ მან მამის ცოდვილიანი მოქმედებების შედეგებს დააღწიოს თავი“.

როდესაც უფალმა კრშნამ დედამიწის თხოვნა მოისმინა, უმალვე აღუთქვა, რომ ბიჭს არავითარი საფრთხე არ ელოდა. მან უთხრა ბპაგადატას – „ნუ გეშინია“, შემდეგ კრშნამ ბპაუმასურას მიერ მოტაცებული 16 100 ახალგაზრდა მეფის ასული ცოდად შეირთო და ისინი თავის სატახტოში გაგზავნა [კრშნა, 1991: 372-376].

სხვა ვერსიით, კრშნას ბპაუმასურას მეუღლე ბპაგმატი გამოეცხადა და შეევედრა ეშვილებინა ბპაგადატა, რომელიც იქ სუბპაგადატას სახელით არის მოხსენიებული: „ჩაოთვალე სუბპაგადატა შენს საკუთარ შვილად“, და კრშნამ იშვილა მის მიერ მოკლულის ძე [ლალ ჯი ლალ, 1937: 323].

ბპაგადატასთან დაკავშირებული ეს თქმულება, ჩვენი აზრით, ამჟღავნებს კაგშირს ბაგრატიონთა წარმომავლობის ბიბლიურ თქმულებაზე დაფუძნებულ ქართულ გადმოცემასთან.

უფალმა კრშნამ მის მიერ მოკლულის ძე, ბაგრატიონთა წინაპრის სახელის მატარებლად მიჩნეული ბპაგადატა გაწმინდა მამის ცოდვიანი ქმედებების შედეგებისაგან და თავისი მფარველი კალთა გადააფარა, იშვილა, რითაც ღვთისაგან ცეხებულად აქცია. ამ აქტით უნდა იღებდეს სათავეს მოდგმის სახელი ბპაგადატა, სანსკრ. „ღვთისაგან ბოძებული“.

აქ საპირისპირო ეპიზდებშიც, სიახლოვეა ბიბლიურ გადმოცემასთან: დავით წინასწარმეტყველს, ური ხეთელის უსამართლოდ მოკვლისათვის, ბერსაგიასთან შეძენილი პირველი შვილი მოუკვდა. მამამ მძიმე მარხვის, მიწაზე დამისთევების,

მოთქმა-მონანიებისა და ღვთისადმი ლოცვავედრების მიუხედავად, ვერ შეძლო თავისი ცოდვიანი ქმედებების გამო ბიჭისათვის სიკვდილის აცილება, მხოლოდ შემდეგ შეუწდო უფალმა და ბერსავიასთან ძე აჩუქა, ქართული გადმოცემით, ბაგრატიონთა წინაპართაგანი.

კრშნამ ცოლად შეირთო მის მიერ მოკლულის მფლობელობაში მყოფი 16 100 ქალი. დავით წინასწარმეტყველმაც ცოლად შეირთო მისი ნებით მოკლულის ცოლი ბერსავია. დავითიც კრშნასავით მრავალცოლიანი იყო, „ჰყავდა შვიდასი ცოლი დედოფლად და სამასი ხარჭად“ [3 მეტ. 11,3].

დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად ყოფნა ბაგრატიონებს ანათესავებდა მარიამ ღვთისმშობელთან და იქსო ქრისტესთან, რომლებიც დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლებად ითვლებიან. ინდურ გადმოცემაში ღვთისმშობელი დედის ადგილი გაპიროვნებულ ქალღვთაება დედამიწას უჭირავს. ინდოეთში, ისევე, როგორც საქართველოში, ჩვენს პლანეტას დედას უწოდებენ. [კრშნა, 1991: 63]. ბაგრატიონთა მითოსურ წინაპრად მოაზრებული ბჳაგადატა გაპიროვნებული დედამიწის შვილიშვილია.

ბჳაგადატას მფარველი და მამობილი კრშნა, გარდა იმისა, რომ დავით წინასწარმეტყველივით დგთითგანბრძობილი მიწიერი მეფეა, იმავდროულად არის ინდური სამების წევრის ვიშნუს ინკარნაცია, ქრისტეს მსგავსად ზეციური ჩასახვით მიწაზე დაბადებული დვთის ძე. ქრისტე მხესნელია, ვიშნუსა და კრშნას მხესნელის უუნქცია აკისრიათ. ცნობილია, კრშნას მითის ზოგი ეპიზოდი პირდაპირ იმეორებს ქრისტეს ცხოვრების გადმოცემას, შეიმჩნევა ფონეტიკური სიახლოვე სახელებშიც, კრშნას ერთ-ერთი სახელი კრისტნა მეტად ახლოა სახელთან ქრისტე ჟელაფერი ეს მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ კრშნა სახეცვლილი ქრისტეა, რომელმაც ჯერაც დაუდგენელი გზით დაიმკვიდრა აღგილი კრშნას მითში [მიფы, II, 2002: 18].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, შეგვიძლია კოქვათ, რომ ინდური გადმოცემა ბჳაგადატაზე წინ უსწრებდა

და მისი გათვალისწინებით, მის ჩასახაცვლებლად შეიქმნა ბაგრატიონთა დავით წინასაწარმეტყველისაგან წარმომავლობის თქმულება (არსებობის უფლება აქვს იმ თვალსაზრისესაც, რომ ბაგრატიონებთან დაკავშირებულმა თქმულებამ, ქრისტეს შესახებ გადმოცემასთან ერთად, საქართველოდან შეაღწია კრშნას მითში).

ბაგაგადატას შესახებ ინდურ გადმოცემას და ბაგრატიონთა შესახებ ბიბლიურ თქმულებაზე დაფუძნებულ გადმოცემას შორის ისეთი ღრმა კავშირი შეიმჩნევა, რომ აშკარაა, ორივეს ერთი არქეტიპული წეარო ასაზრდოებს. ამიტომ, ბაგრატიონთა დვითიურმითოსურ წარმომავლობაზე მსჯელობისას, რაიმეს შეთხვა-გამოგონებაზე საუბარი მართებულად არ გვეჩვენება.

ბაგაგადატაზე ინდურ გადმოცემას საქართველოში რომ იცნობდნენ, ეს, ჩვენი აზრით, ჩანს ამირანის თქმულების სვანურ ვარიანტში. ამბოის (ინდური მითოსის შამბარა) ჩანაცვლებული მომაკვდავი დევი მერაბის მიერ ამირანისათვის თავისი ვაჟიშვილების გასაზრდელად მიბარება, უნდა აირეკლავდეს კრშნას მიერ მოკლული დემონ მურას ვაჟიშვილის მფარველობაში აყვანას [ჩიქოვანი, 1947: 374]. აღნიშნულ თვალსაზრისს ისიც უჭერს მხარს, რომ ქართული მითოსის ამირანი, ზოგ ეპიზოდში, დიდ სიახლოებებს ავლენს ინდოელთა ღმერთ კრშნასთან:

გადმოცემით, ამირანი ჰგავს „შავსა ღრუბელსა საავდროდ გამზადებულსა“. კრშნა ასევე ნიშნავს შავს, მას ამხვავსებენ საავდრო ღრუბელს, რომელსაც წვიმა მოაქვს დასიცხული ბუნებისათვის [მიფი, II, 2002: 15].

კრშნა მზეს ჰგავს [კრშნა, 1991: 115], ამირანიც მზის მხებავსი ვაჟი იყო [ჩიქოვანი, 1947: 357].

მშობლებს დაცილებული კრშნა მდინარე იამუნას ნაპირას იზრდებოდა ძმასთან ბალაბხადრასთან (ბალარამასთან) ერთად, მწევმსი დედობილ-მამობილის ოჯახში. ერთხელ კრშნა ძროხის რძით განბანებს [კრშნა, 1991: 184]. კრშნა ძმასთან ერთად ბევრს ანცობდა, მეზობლის ქალებს აბრაზებდა,

თიხის ქოთხებს უხვრეტდა, ნაღებსა და მაწონს იპარავდა. უჩვეულო ძალის გამოვლენა და დემონების ხოცვა ბაგშვობიდანვე დაიწყო და ა.შ. [კრშნა, 1991: 51-140].

დაობლებული ამირანიც მქებთან, მათ შორის ბადრისთან ერთად, დედობილ-მამობილის ოჯახში იზრდებოდა. იქვე ახლოს დიოდა იამანის წყარო. ოჯახს ჰყავდა ძროხები და ერთხელ ამირანი რით განბანეს [შიქოვანი, 1947: 357]. ამირანი ადრიდანვე ბევრს ანცობდა, წყაროზე მიმავალ ქალებს კოკებს უტეხდა და აპრაზებდა. უჩვეულო ძალის გამოჩენა და დევების ხოცვა ბაგშვობიდანვე დაიწყო და ა.შ. შეგავსებათა ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. ვფიქრობთ, ბჟაგადატას მფარველ კრშნას შეგავსება ამირანთან ზემოთ-მოტანილ ეპიზოდებში ჭრის არ უნდა იწვევდეს.

ამირანის მიერ ქაჯთბატონთან გადახდილი ომიც აირებლავს კურუკშეტრას ომის ეპიზოდებს. ქაჯთბატონი, სატანას ინდურ შესატყვის რავანასთან ერთად, ითავსებს ბოროტების დემონ კალის ხორცშესხმა დურიოდხანასაც. ეს ის დურიოდხანაა, რომელიც ბრძოლის წინ, შეშინებული, მეფე ბჟაგადატას ხსენებით გაამხნევს. დურიოდხანას სხეული წელს ზემოთ ალმასებისაგან შედგება და ყოველგვარი იარაღისაგან შეუვალია [Maxabxarata, III, 1987: 487], ამიტომ კურუკშეტრას ბრძოლის მიწურულს, კრშნას რჩევით, მას წელს ქვემოთ აკრძალული დარტყმით ჰკლავენ [მიფი, II, 2002: 142]. ამირანიც, ყამარის რჩევით, დაბლა შემოკვრით ჰკლავს ქაჯთბატონს. აქ ჩანაცვლება გამოწვეულია იმით, რომ ყამარის ერთ-ერთი ინდური შესატყვისის, დრაუპადის სახელიც არის კრშნა - „შაგი“ [მიფი, I, 2002: 395].

ზემოაღნიშნულიც ადასტურებს, რომ ბაგრატიონთა წინაპრად ნაგულისხმევი „მაპაბხარატას“ გმირის, ბჟაგადატას მითოსურ გარემოცვას იცნობს ამირანის თქმულება. მაგრამ მხოლოდ აქ არ ხვდება ინდური და ქართული მითოსი ერთმანეთს. ჩვენი აზრით, უძველეს ქართულ და ინდურ ზეპირგადმოცემებს ერთმანეთთან უდიდესი სიახლოვე აკავშირებთ.

ბაგრატიონთა წინაპრად მოაზრებულ ბპაგადატასთან დაკავშირებული, ქართული გადმოცემის შესატყვისი თქმულების არსებობა ინდურ მითოსში, ასევე დღემდე ნაკლებადცნობილი ინდურ-ქართული მითოლოგიური პარალელების წარმოჩენა, ავტორის აზრით, არიან-ქართლის ინდოარიულ სამყაროში ძიების საფუძველს ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არსენ ბერი, ცხოვრება ნინოისი, ძვ. ქართ. აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, III, თბ., 1971.
2. ოთანე დრასხანაქერტელი, თარგმანი ილ. აბულაძისა, თბ., 1937.
3. ინგოროვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954წ.
4. კრშნა, ღმერთების უზენაესი პიროვნება, პრაბჰუპადას რედაქტოო, 1991.
5. ლორთქიფანიძე მ., ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკთხები, თბ., 1996.
6. საქართველო, ენციკლოპედია, I, თბ., 1997.
7. ჩიქოვანი მ., მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947.
8. წულუკიძე ნ., არიან-ქართლელთა გამოსვლა, ჟურნ. „ჭოროხი“ №5, 2005.
9. Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, 1908.
10. Лалу джи Лал, Легенды о Кришне, I (Прем сагар), Лен., 1937.
11. Махабхарата, III, Лесная. Коммент. Я. В. Василкова и С.Л. Невелевой, М., 1987.
12. Махабхарата, VIII, книга о Карне, М., 1990.
13. Мифы народов мира, т. I, II, М., 2002.

Bagrations' mythical ancestors from “Makhabkharata”

Summary

According to historical tradition Bagrations' are ancestors of David Prophet. It is discovered that the abovementioned legend in the main passages are repeated by the legend connected with the personage of Indian Epo Bhagadatta . Also the noteworthy is the fact that Bhagadatta (in the Sanskrit “given by God”) is considered as the name of Bagrations' ancestor. In one aspect Bagrations are ancestors of Arian-Kartlians which came to Kartli and the origin of which is not defined. According to author existence of similar legend in Indian mythos, also revealing the Indian and Kartlian mythological parallels gives us basis of searching Arian Kartli in Indo-Aryan world.

Нугзар Цулукидзе

Мифический предок Багратион с «Махабхарата»

Резюме

По исторической традиции Багратионе являются потомками ясновидящего Давида. Выяснено, что отмеченную легенду в основном в штрихах повторяет индийский эпос «Махабхарат», переданная персонажем Бхагадатта. Занимательно то, что Бхагадатта (на языке Санскрит «Дарованный Богом») сходно с одним изначальным именем предков Багратион. По одному мнению, предки Багратион в Картли пришли от Ариан-картийцев, родословная которых не является установленной. Связанная с рассудительным Бхагадаттом предком Багратион, существование грузинской переданной соответствующей легенды в индийском мифе, на сегодняшний день по меньшей степени известны мифологические параллели индийско-грузинские, которые создают, по мнению автора, основу поиска в индоарабском мире Ариан-картии.

სოფელ ერგეს ისტორიიდან (ნიკიტაური, გვარელა)

ერგე, მასში შემავალი სოფლებით (ზემო და ქვემო ჯოჭო, ნიკიტაური, კაპანდიბი), მიეკუთვნება ერთ-ერთ უძველეს დასახლებათა რიგს. აღსანიშნავია, რომ ერგეს თემი გამოირჩევა ტოპონიმთა მრავალრიცხოვნობითა (ფიქსირდება ორასამდე ტოპონიმი) და მრავალფეროვნებით. რაც წარმოადგენს უაღრესად საინტერესო და უტყუარ მასალას სოფლის (ასევე მხარის) ისტორიის ამა თუ იმ ასპექტის შესასწავლად. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკის ცნობილი მკლევარი, პროფ. მ. ქამადაძე მიუთითებს: თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აჭარის მოსახლეობის წარსულის შესახებ წერილობითი წყაროები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, საკვლევი მხარის ტოპონიმია წერილობითი წყაროს როლს ასრულებს [მ.ქამადაძე, 1992: 46].

ამჯერად ჩვენი კალევის ობიექტებია ტოპონიმები „ნიკიტაური“, „გვარელა“.

ერგეს თემში შემავალი სოფელი ნიკიტაური გაშენებულია არფაზონის ქედის სამხრეთ კალთებზე და გადაჟურებს მდგორონბის სანახებს. იგი მოსახლეობის რაოდენობით (გასული საუკუნის 60-იან წლებში ითვლიდა 15-დე კომლს) პატარა სოფელია. ამიტომ მას პაწა (პატარა)¹ სოფელსაც ეძახიან. ნიკიტაური უძველესი დასახლებაა. სოფელში ცხოვრების კვალი შეინიშნება ბრინჯაოს ხანიდან, რაზეც მეტყველებს 1966 წ. აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს განძი [ფ.სიხარულიძე, 1967: ა.კახიძე, 2007: 145].

მთელი ისტორიის მანძილზე სოფელში შეიმჩნევა ცხოვრების უწყვეტობის კვალი (შემორჩენილია ნასახლარები, ჭურე-

ბი....). აღნიშნულის თაობაზე არქოლოგიურ და წერილობით მასალებთან ერთად საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან სოფლის ტოპონიმები. საინტერესოა სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგია. იგი არის ანთროპონიმული წარმოშობის გეოგრაფიული სახელი. ნაწარმოებია -ურ- სუფიქსით, რაც მის წარმომაგლობა-კუთვნილებაზე მიუთითებს.

სალეური ეტიმოლოგიის მიხედვით სოფლის სახელწოდება დაკავშირებულია ვინმე ურუმ (ბერძენ) თუ სომებს ნიკიტას სახელთან. თითქოს იგი ოდესალაც სახლობდა აქ და ამიტომაც შეერქვა სოფელს სახელწოდება ნიკიტაური.

როგორც საკითხის კვლევამ გვიჩვენა, ერთ-ერთი უძველესი ისტორიის მქონე სოფლის სახელწოდების დაკავშირება ნიკიტას სახელთან არ შეესაბამება სინამდვილეს. ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი უნდა ყოფილიყო გამოჩენილი პიროვნება, რომ მისი სახელი შერქმეოდა სოფელს. ამ შემთხვევაში ხალხის ხსოვნა აუცილებლად შემოინახავდა გადმოცემას, რაც არ არსებობს. ამასთან, საკუთარ სახელს ნიკიტას არ იცნობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანთროპონიმია. ამ მხრივ ჩვენთვის უპირველეს წყაროში – „ტბეთის სულთა მატიანე“ (XII-XIVსს.) – არცერთხელ არაა მოხსენიებული მსგავსი საკუთარი სახელი.

სალეური ეტიმოლოგიის მიხედვით სოფლის სახელწოდების ახსნას საეჭვოდ მიიჩნევს პროფ. ი. სიხარულიძეც ლვაწლმოსილი მეცნიერი მიუთითებს, რომ „საგეოგრაფიო სახელი თითქოს უფრო გვარსახელისაგან უნდა წარმოდგებოდეს, ვიდრე ადამიანის საკუთარი სახელისაგან“ [ი.სიხარულიძე, 1977].

როგორც ირკვევა, სოფლის თავდაპირველი სახელწოდება ყოფილა ნიქატაური. მასში აღნიშნულია ნიქატას (ნიქატაძის) ჩამომავლობა და მათი კუთვნილი საცხოვრებელი ადგილი [მ. უზუნაძე, 2003]. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენთვის ძვირფას მასალას შეიცავს „ტბეთის სულთა მატიანე“. მასში მოხსენიებულია გვარი ნიქატაძე. მატიანეში ვკითხულობთ: „სულსა ნიქატაძის გიორგის და მის მეუღლის მარიამის და მის დედას ნათელის შეუნდვენ დმერთმან“ [მატიანე, 1977: 98]. მოსახსენებელი მიეკუთვნება XV საუკუნეს. ზემოქმედულიდან გამომდინარე,

ქრისტიანობის პერიოდის სოფელი ძირითადად დასახლებული ყოფილა ნიქატაძეებით. შესაბამისად, ადგილს ეწოდა ნიქატაური, ანუ ნიქატაძეთა სოფელი. აჭარის მაგალითზე მრავლად გვაქვს მსგავსი წარმოშობის ადგილთა სახელები (გუნდაური, გოგინაური, ქოქოლაური, ოსანაური, ცეცხლაური, ჯინჭარაული, მახვილაური ...). ასევე, მათთან ერთად, სოფელში სახლობდნენ კუბრასძეები, სუმბატისძეები. ამ უკანასკნელთა აქ ცხოვრებას, ხალხურ გადმოცემასთან ერთად, ადასტურებს „ტბეთის სულთა მატიანე“ კუბრასძე დღეს კუპრაძის ფორმითაა წარმოდგენილი. სუმბატისძეთა გვარს მიეკუთვნებიან ზედა ჯოჭოში მცხოვრები აფაქიძეები, ბახტაძეები, ლორთქიფანიძეების ეკალაურის² შტო.

აღსანიშნავია, რომ სოფლის ბოლოს, ჯოჭოსწყლის შესართავთან, მარჯვენა მხარეს, დავაკებულ ფერდობზე არსებულა ოსმალთა ბატონობამდელი პერიოდის ციხე (ადგილის სახელწოდებაა ნაციხეარა.³ გასული საუკუნის 60-იან წლებამდე შემორჩენილი იყო ციხის სამირკვლის ნაშთები. ცნობა მოგვაწოდა სოფლის მკვიდრმა იოსებ გორგოშაძემ). მას ჰქონდა სტრატეგიული დანიშნულება [ი.სიხარულიძე, 1977]. იგი ერგესთან კეტავდა ზღვისპირა საქალაქო ცენტრებიდან

(ფიჭვნარის ნაქალაქარი, ციხისძირი, ბათუმი) ახალშენ – ხე(ვ)ყრუ – წყალგველას ხევ – ერგეზე გამაფალ ცენტრალურ საქარავნო გზის, რომელიც მიემართებოდა, აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობების გავლით, აღმოსავლეთის პროგინციებისაკენ. ციხესთან ახლოს (სამხრეთ-დას.) ყოფილა სასაფლაოები. გადმოცემით აქ „სამო საფლაზზე“ ყოფილან დამარხული ოსმალო მომედურების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული ერგელი ვაჟკაცები. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „ოსმალოებს პირველად ერგეს ხალხისათვის დაუტანებით ძალა რჯულის გამოცვლისათვის. ერგეში ბევრი ქართველი გამწყდარა რჯულისათვის“ [ზ.ჭიჭინაძე, 1913: 125-126]. ჩანს, ამ პერიოდში მოიშალა-დაინგრა ციხე.

ოსმალთა ბატონობის დროიდან სოფელში არ ჩანს ნიქატაძეთა ცხოვრების კვალი. აჭარაში, ოსმალთა ბატონობის პერიოდში, იდექნებოდა ყოველივე ქართული, ძალით მიმდი-

ნარეობდა მოსახლეობის გამუსლიმანება, ქართული გვარსახე-ლებისა თუ ადგილთა სახელწოდებების შეცვლა თურქულით. ოსმალთა მოძალადეობის გავლენით ნიქატაძეებს ან გვარი უნდა შეცვალათ, ან კიდევ ქრისტიანული რწმენის შესანარჩუნებლად გადახვეწილიყვნენ საქართველოს რომელიმე კუთხეში.

არ ჩანს, რომ მათ გვარი შეიცვალეს. ასე რომ ყოფილიყო, ისინი შეცვლილი გგარით დარჩებოდნენ სოფელში. როგორც ირკვევა, ნიქატაძეები გადასახლებულან გურიის მხარეში. დროთა ვითარებაში გვარმა ნაწილობრივ განიცადა ცვლილება და იწერებიან მიქატაძედ.

ნიქატაძეების მიერ თავიანთი საცხოვრისის მიტოვების შემდეგ სოფელში ჩამოსახლებულან: გვიანიძე – მაჭახლის ხეობიდან, ვენწიძე (ფანწიძე) – შავშეთიდან (სოფჭუარები), ზოიძე – ქობულეთიდან (სოფ. ჩაქვისთავი).

ავტერობის გამო, ასევე სოფლის სახელწოდებამ განიცადა ცვლილება და ბეგრათა მონაცვლეობის შედეგად მივიღეთ ნიკიტაური (ნიქატაური ნიკიტაური).⁴

ამრიგად, ნიქატაძეთა აქ ცხოვრების კვალი შემოგვინახა ტოპონიმმა. „ამა თუ იმ გვარულობის სოფელში შესაბამისი საგვარეულოს წარმონადგენელთა არ არსებობა ისტორიულ ეპოქაში ამ გვარის დასახლების ფაქტზე მიანიშნებს“, მიუთითებს აჭარის მოსახლეობის მიგრაციისა და ეთნოდემოგრაფიული პრობლემების ცნობილი მკვლევარი, პროფ. თ.ფუტკარაძე [თ.ფუტკარაძე, 2005: 26].

გვარელა სათესი ადგილია ქვემო ჯოჭოში. მიეკუთვნება ერთ-ერთ იშვიათ ტოპონიმთა რიგს. საინტერესოა მისი ეტიმოლოგია. სახელწოდებაში გამოიყოფა ფუძე გვარლი. „გვარლი (გუარლი) – თივის თოკი,“ – განმარტავს სულხან-საბა [სულხან-საბა თრბელიანი, 1966: 17]. ამ ფორმით მოიხსენიებს მას ვახტანგ VI (1675-1737). თავის ცნობილ „მაჯამაში“ იგი წერს: ზოგჯერ წუთისოფელი ადამიანს „საუკუნოდ ცოდვის გვარლითა გადახვანჯვით დაიჭირვის [ვახტანგ VI, 1975: 55, 46].

გვარლი, წერილობით მასალებში, კუთხეთა დიალექტიკურ მეტყველებაში გვხდება სხვადასხვა ფორმით: გვარლი, გორილი,

გორალი, გვარალი [ნ.ქუბინაშვილი, 1992: 117; დ.ქუბინაშვილი, 1984: 400]. ლექსეუმურ მეტყველებაში გვარლი ჰქვია მომკილი პურის, ძნის შესაკრავს [ალ-დღლონტი, 1974: 151]. აჭარაში იგი ფიქსირდება შემდეგი ფორმით: გვარალი, გვარალი, გვარელი, გვარელა [სტ.მენოვშაშვილი, 1937: 146; ი.მეგრელიძე, 1971: 246; ალ-დღლონტი, 1974: 151; ვ.შამილაძე, 1969: 95; ი.სიხარულიძე, 1958: 48]. ეთნოგრაფიული და დიალექტიკური ლექსიკის მასალებით დადგენილია აჭარაში მისი მნიშვნელობები: თავსახვევი, ჩალის კონის შესაკრავი, თივის თოკი [ი.მეგრელიძე, 1974: 246]. საყურადღებოა, რომ აჭარაში დადასტურებული ფორმითა და შინაარსით გვხდება იგი „ვეფხისტყაოსანში.” სულმნათი შოთა რუსთაველი ავთანდილს ათქმევინებს:

„ოვარ ვისმცა ქქმნა გორლითა
შეკრვა თავისა მრთელისა.”

რაც ნიშნავს, თორებ ვის უქმნია მრთელი (ჯანმრთელი) თავის შეკვრა სახევევლით [ა.ქ.შანიძე, 1988: 400].

ვფიქრობთ, გვარლი თავდაპირველად იყო ბალახოვანი მცენარეების სახელი. „გვარლი-ბალახი,” – მიუთითებს სულხან-საბა [ს.ს.ორბელიანი, 1966: 171]. ქველ-ის მიხედვით: გვარლი-კანაფის მსხვილი თოკი” [ქეგლ, 1986: 148]. იგი უნდა იყოს კანაფის მაგვარი, ბოჭკოვანი მცენარის ერთ-ერთი სახეობა [საქართველოში ცნობილია ბოჭკოვან მცენარეთა სხვადასხვა სახეობა: სელი, კანაფი, სფია, ვარდგანაფა, შვია, ჯინჭარი ... იხ.: ივ.ჯავახიშვილი, 1996: 397; ჯ.რუხაძე, 1972: 79; ა.მაყაშვილი, 1991: 80; ქეგლ, 1986: 503], რომლისგან ამზადებდნენ გვარლის ანუ თავის თოკს. გვაქვს მაგალითები, როდესაც მცენარის სახელი ჰქვია მისგან დამზადებულ ნაწარმს: კანაფი (ბალ.) – კირნაფი (კანაფის თოკი), ჭილი (ბალ.) – ჭილოფი (ჭილის ქვეშაგები), ჩალა (ბალ.) – ჩალის ქუდი, ცოცხი (ბალ.) – ცოცხი (ცოცხისაგან დამზადებული მოსაგველი), ღომი (პურეული მცენარე), ასევე ღომი ჰქვია მისგან დამზადებულ საჭმელ ფაფის [ა.მაყაშვილი, 1991: 95; ქეგლ, 1986: 462, 515, 571; ნ.ქუბინაშვილი, 1961: 437]. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში გვარლი (თივის თოკი) გახდა საზოგადო სახელი ყველა იმ თოკისა თუ შე-

საკრაფისა, რომლებიც თივისაგან მზადდებოდა (ამის ერთ-ერთი დასტურია ცოცხის მაგალითი. იგი თავდაპირველად ერქვა მხოლოდ ცოცხისაგან დამზადებულ მოსაგველს. შემდეგ მან მიიღო საზოგადო სახელის მნიშვნელობა: „ცოცხი – ზოგი მცენარის წვრილ დეროთა ან ტოტების კონა რისამე მოსაგველად, სახე-გეტად” [ქეგლი, 1986: 540]). რაც შეეხება მცენარის სახელს, იგი შესაძლოა დროთა ვითარებაში შეიცვალა ახლით, ხოლო თავდაპირველი სახელი მივიწყებას მიეცა. ასე მაგალითად: ექვ-სუნჯი (ექსუნჯი) – კანაფი, ქუბი – ჭავი, ჩელტა – ასლის (კილიანი ხორბალი) ერთ-ერთი სახეობა, ქერიმა (ქურიმა) – ფეტვი [ს.ს.ორბელიანი, 1966: 235, 348; ივჯავახიშვილი, 1996: 359; ნ.ჩუ-ბინაშვილი, 1971: 394, 430]. ქართული მედიცინის ცნობილი მკლევარი, პროფ. რ. სურმანიძე მიუთითებს: არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მცენარე კლასიკურ ძეგლებში შეტანილი იყოს სხვა სახელით, ხოლო მისი თავდაპირველი სახელი დროთა განმავლობაში მივიწყებულ იქნა [რ.სურმანიძე, 1996: 182].

საკვლევი ტოპონიმის შემთხვევაში გვარელა (გვარლი-გვარალი-გვარელა) გამოყენებული ჩანს მეტსახელად (სახელად?), რომლისგანაც წარმომდგარია ადგილის სახელწოდება (ქართულ ანთროპონომიაში მრავლად გვხდება მსგავსი მეტსახელები თუ საკუთარი სახელები: ჯინჭარა, ხორბალა, ჭილა, ფეტვია, გვარლი, გვარალი, ნიორა [ი.სიხარულიძე, 1990]). რაც მიუთითებს, რომ აღნიშვნული ტერიტორია ეკუთვნოდა ვინმე გვარელას (გამოკვლეულია, რომ მაგავსი სახელწოდებები როგორი შედგენილობის ტოპონიმების ნაწილია. თავდაპირველად უნდა გვქონდა გვარელას ყანა (სათესი), მაგრამ დროთა განმავლობაში ტოპონიმს ჩამოშორდა მეორე შემადგენელი ნაწილი და მხოლოდ პირის სახელი თუ გვარი დარჩა გეოგრაფიული ობიექტის სახელად [მ.ქამადაძე, 1992: 46]). აჭარაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც ადგილის სახელად გამოყენებულია პირველი სახელი, მეტსახელი (მსგავსი ტოპონიმებია: როსტომი გზა – ტყე (შუახევის რ-ნი), აბრამაი – სათიბი (შუახევის რ-ნი), კახაბერი – სოფელი (ხელვაჩაურის რ-ნი) [მ.ქამადაძე,

1992: 46; მისივე, 1999: 34-35]. მეტსახელი საქართველოს ყველა კუთხიში ცნობილია (მ.ქამადაძე, რ.ორგზიშვილი, ი.აბუაშვილი). აჭარაშიც უხვად გვხდება ფორმითა და სემანტიკურად საინტერესო მეტსახელები. მეტსახელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. ამის მაგალითები საკმაოდ გვხდება წერილობით წყაროებში. ზოგჯერ პირვენებას მეტსახელით უფრო იცნობდნენ, ვიდრე საკუთარი სახელით [მ.ქამადაძე, 1999: 34-35].

აგრეთვე, მეტად საყურადღებოა, წლების განმავლობაში აჭარის ტოპონიმის სიღრმისეულად შესწავლის საფუძველზე, პროფ. მ. ქამადაძის მიერ გაკეთებული

დასკვნა: „აჭარის ონომასტიკა მდიდარია ლექსიკური ოვალსაზრისით. ლექსიკის ამ უძველეს ფონდს, განსაკუთრებით ტოპონიმიას, მრავალი საყურადღებო ლექსიკური ერთეული შემოუნახავს, რომელიც ფასეულია ისტორიული დიალექტოლოგიისათვის“ [მ.ქამადაძე, 1999: 46].

ასევე გვარელასაგან უნდა იყოს წარმომდგარი „ტბეთის სულთა მატიანეში“ დამოწმებული გვარი გვარელასშვილი (გვარელაშვილი). მასში მოხსენიებულია: გვარელასშვილი გორგი და მისი მეუღლე თინა [მატიანე, 1977: 134]. განეცუთვნება XVI-XVII სს.-ის ფენას. მსგავსი წარმომბის გვარებია – გვარლიანი, გვარალია [იმაისურაძე, 1990: 45; ასილაგაძე, 1997: 58].

თუ გავითვალისწინებოთ, რომ „ტბეთის სულთა მატიანეში“ მოსახსენიებელ გეოგრაფიულ არეალში, აღნიშნულის გარდა, არსად ფიქსირდება ტოპონიმი გვარელა, ვფიქრობთ, გვარელასშვილები უნდა ყოფილიყვნენ ერგებს თემიდან, კერძოდ, სახლობდნენ ქავეში (საკითხის კვლევასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართულში მეტსახელებისა თუ გვარსახელების ერთი ნაწილი გამომდინარეობს წინაპართა ხელობა-საქამიანობისაგან (მექვაბიშვილი, მჭედლიშვილი, დალაქიშვილი, დურგლიშვილი, ვეიქრიშვილი). როგორც ჩანს, გვარელაშვილთა წინაპარი აქ ამზადებდა განსაკუთრებულ გვარლებს. ამიტომაც, მეტსახელიდან გამომდინარე, ადგილს შეერქვა გვარელა, ხოლო შთამომავლებს

ეწოდათ გვარელაშვილები). სწორედ ადგილი გვარელა წარმოადგენს გვარელაშვილთა და წინაპარ გვარელას ნაფუძარს.

ოსმალობის დროს მათ გვარი ნაწილობრივ შეეცვალათ და იწოდებოდნენ გვარელოდლებად.⁵ როგორც ჩანს, ისინი ერგეს თემიდან საცხოვრებლად გადასულან სხვა ადგილას. გამოკვლეულია, რომ აჭარაში გვართა ადგილმონაცვლეობა „სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა“ [თ.ფუტკარაძე, 2002: 10]. ცნობილია ალი-ადა გვარელოდლი, გვარელ-ზადე ხუსეინ-ადა ზადე, სასულიერო მოღვაწე იუსუფ ევენდი გვარელოდლი [ხ.ახვლედიანი, 1943: 126; ნ.კახიძე, 2005: 186]. XX ს-ის 30-იანი წლების რეპრესირებულთა მასალებში მოხსენიებულია ოქმან გვარელოდლი [ოთ. თურმანიძე, 2003].

შენიშვნები

1. „პაწა – მცირე“ [ს.ორბელიანი, 1966: 614].
2. სოფლის უბანი ერგეში.
3. არქობს ადგილის ტოპოგრაფიული რუკა. აჭარის ცსა, ფ. რ-223, ან 1, ს. 140, ფურც. 22.
4. ქართული ენის დიდაქტიკური (აჭარული) მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენების შესახებ იხ. შ.ნიუარაძე, 1961: 43; მიხიგვ, 1971: 98.

5. გვარელოდლის წარმომავლობის საკითხს შეეხო აგრეთვე პროფ. შ. ნიუარაძე. დვაწმოსილი მეცნიერი, აჭარის ონომასტიკასთნ დაკავშირებით, გამოთქვამს მეტად საყურადღებო მოსახრებას: ზოგჯერ გვაროვნულ სახელში გამოხატულია ამ თუ იმ პიროვნების საცხოვრებელი ადგილის წარმომავლობა.“ რაც შეეხება გვარელოდლის პრობლემას, იგი მიუთითებს: ამ გვარში კარგად ჩანს, რომ მისი წინაპრები გვარადან (ხოფ. ქობულეთის რ-ში) ყოფილა. გვარელოდლი ამჟამად ასე გაუაზრებიათ – გვარიშვილი, რაც, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს სწორი [შ.ნიუარაძე, 1982: 34]. სავსებით ვიზიარებო მკვლევარის მეორე მოსაზრებას. ხოლო გვარელოდლის მიწნევა მისი გვარადან წარმომავლობის საბუთად, ვფიქრობთ არ გამოიდგება. რადგან, ჯერ ერთი, გვარელაშვილ-გვარელოდლის იგივეობა უტყუარი ფაქტია (ოსმალობის ბატონობის გავლენით გვარს დაბოლოება – მე შეეცვალა – ოდლით, ხოლო ფუძე იგივე დარჩა). მეორეც, „ტბეთის

სულთა მატიანედან” გამომდინარე, გვარელასშვილები ცხოვრობდნენ ჭოროხის ხეობის არეალში].

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახელედიანი ხ., ნარკევები აჭარის ისტორიიდან (გვ.16-19 საუკუნეები), ბათ., 1943.
2. აჭარის ცსა, ფ. რ-223, ან 1, ს. 140, ფერც. 22.
3. ვახტანგ მექქეს, ლექსები და პოემები, თბ., 1975.
4. ოურმანიძე ოთ., სისხლიანი წერილები აჭარაში (პოლიტიკური რეპრესიები XX ს-ის 30-იან წლებში), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”, №44, 2003.
5. კახიძე ა., შეა ბრინჯაოს ხანა აჭარის ტერიტორიაზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკევები (აჭარა), I, ბათ., 2007.
6. კახიძე ნ., ბათუმის მაზრის თავადაზნაურული წარმოშობის ქართველ მაქადიანთა ბრძოლა ძველი პრივილეგიების აღდგენისათვის, „საისტორიო მაცნე”, XIV, ბათ., 2005.
7. მაისურაძე ი., ქართული გვარსახელები, თბ., 1990.
8. მეგრელიძე ი., მოქლე (აჭარული) ლექსიკონი; ჯ. ნოდაიდელი, ნარკევები და ჩანაწერები, ბათ., 1971.
9. მენოვაშვილი ხტ., აჭარის ეთნოგრაფიული მასალები, „ენიმკის მოამბე”, II, თბ., 1937.
10. ნიუარაძე შ., ქართული ენის ზემო აჭარული დიალექტი, ბათ., 1961.
11. ნიუარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათ., 1971.
12. ნიუარაძე შ., ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკევები, თბ., 1982.
13. სულისან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II, თბ., 1966.
14. რუხაძე ჯ., კანაფის მეურნეობა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI-XVII სს., თბ., 1972.
15. შოთა რუსთაველი, ვფეხისტყაოსანი, თბ., 1992.
16. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმები, ტ. I, ბათ., 1958.
17. სიხარულიძე ი., სადან წარმოიშვა სოფლის სახელი ნიკიტაური? გაზ. „ოქტომბრის გზით“, 1977, №56.
18. სიხარულიძე ფრ., მახოს გორა-სამოსახლო, გაზ. „ოქტომბრის გზით“, 1967, №25.

19. საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული დექსიკონი, თბ., 1987.
20. სურმანიძე რ., ქართული კარაბადინი (XVIII ს.), ბათ., 1996.
21. სილაგაძე აკთ., ოოთაძე ა., გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.
22. „ტბების სულთა მატიანე,” თბ., 1997.
23. უზუნაძე მ., ერგე (ნიკიტაური), გაზ. „კახაბერი“, 2003, №12.
24. უზტკარაძე ფ., აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში, ბათ., 2005.
25. ქართული ენის განმარტებათა დექსიკონი, თბ., 1986.
26. ქამადაძე მ., ზემო აჭარის ტოპონიმია,- აჭარული დიალექტის დარგობრივი დექსიკონი, VIII, თბ., 1992.
27. ქამადაძე მ., აჭარის ონომასტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონის მონაცემებთან მიმართებით (ავტორეფერატი), ბათ., 1999.
28. ღლონტი ალ., ქართულ კილო-ტქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974.
29. უზტკარაძე თ., აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები (ავტორეფერატი), ბათ., 2002.
30. შამილაძე ვ., ალპური მესაქონდეობა საქართველოში, თბ., 1969.
31. შანიძე აკ., ვეგხსისტყაოსტის საქითხი, თხზ., ტ. V, თბ., 1988.
32. ჩუბინაშვილი ნ., ქართული დექსიკონი, თბ., 1961.
33. ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული დექსიკონი, თბ., 1984.
34. ჭიჭინაძე ზ., მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში, ტბ., 1913.
35. ჯაგახიშვილი ივ., თხზ., ტ. IV, თბ., 1996.

Revaz Uzunadze, Merab Uzunadze

**From the history of village Erge
(Nikitauri, Gvarela)**

Resume

Nikitauri and Gvarela are geographical names of anthroponomical epoch of Christianity. Nikitauri, Niqitauri presented village of Nikitadze's. Gvarula was Gvarulashvil's populated area.

Реваз Узунадзе, Мераб Узунадзе

**Из истории села Эрге
(Никитаури, Гварела)**

Резюме

Для изучения прошлого села значительную информацию содержат антропотопонимы. Никитаури, Гварела географические названия антропономического происхождения. Указывают, что Никитаури/Никатаури (niqatauri) представлял собой село фамилии Никатадзе (niqataZe), а Гварела - поселение фамилии Гварелашвили.

ზენდიდის ციხისა და მისი მფლობელი ბეჟანიძეების გვარის ისტორიისათვის

ამ რამდენიმე წლის წინ, როგორც ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ზენდიდის ციხის შემსწავლელი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის წევრს, საშუალება მომეცა ახლოს გავცნობოდი აღნიშნული ციხის ისტორიულ წარსულსა და მის ამჟამინდელ მდგომარეობას.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავისი სტრატეგიული მდებარეობისა და მასშტაბების მიუხედავად, ზენდიდის ციხეს თითქოს რაიმე მნიშვნელოვანი დატვირთვა არ ჰქონია და არც რამდენადმე ნათელი კვალი დაუმჩნევია საქართველოს ისტორიაში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ისტორიული წყაროები (როგორც ქართული, ისე უცხოური) სდუმან ამის შესახებ. მას მოგზაურ-მკვლევართა (გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, თ. სახოკია) განსაკუთრებული ინტერესიც არ გა-მოუწვევია. უფრო მეტიც, არც ერთი მათგანი არ ახსენებს ზენდიდის ციხეს. თუმცა, ამას, გარკვეულად, ახსნაც მოე-პოვება: გიორგი ყაზბეგს ქვემო აჭარაში არ უმოგზაურია, ამიტომ ის არც ამ სოფელსა და ციხეს მოიხსენიებს. დიმიტ-რი ბაქრაძე ციხის სანახავად არ ასულა, მაგრამ სოფელ არსენაულიდან კარგად დაუხახავს “ბეჟანოდლის ანუ ბეჟანი-შეილის დიდი ორსართულიანი თეთრი სახლი და დაბი-ლული კლდის მსგავსი ძველებური ციხის ნანგრევები” [ბაქ-რაძე, 1987: 48]. თედო სახოკია სინანულსაც გამოთქვამს, რომ ქედაში ყოფნისას პირადად ვერ მოახერხა ენახა ბეჟანიძეთა ოჯახი და ცოტა ხანს მათთან დარჩენილიყო [სახოკია, 1985: 244]. ბეჟანიძე, ამის გამო ციხეც ვერ დაათვალიერა. ალ-ბათ ამიტომაც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, სადაც სოფ. ზენდიდის შესახებაა მოტანილი მოკლე ინფორმაცია

[ქსე, ტ. , არაფერია ნათქვამი ისტორიული ციხის შესახებ. საინტერესოა, რომ ადგილზე დადასტურებულ ტოპონიმებს შორის აბსოლუტური უმრავლესობა არ უკავშირდება ციხეს [სიხარულიძე, 1958]. უნდა ითქვას, რომ სოფ. ზენდიდის მცხოვრებლებიც ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ ციხე-სიმაგრის მიმართ. ყოველივე კი ციხის ლოკალურ, ადგილობრივ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს, თუმცა, არაა გამორიცხული, რომ მას ისტორიის ცალკეულ პერიოდებში სერიოზული ფუნქცია ჰქონდა.

ზენდიდის ციხის აგების, მისი ინიციატორ-მაშენებლისა თუ აგების თარიღის შესახებ გვაქვს მხოლოდ გადმოცემები. ზ.ჭიჭინაძე ზენდიდის ციხეს “მოდი ნახე”-ს ეძახის (სხვათა შორის, სოფლის უხუცესებისათვის ეს სახელი უცნობია). ბატონიშვილი ვახუშტი “მოდინახეს” ციხეებს ასახელებს ქართლსა და იმერეთში, აჭარის “მოდინახეს” შესახებ კი არაფერს ამბობს. თავის ერთ წიგნში ზ. ჭიჭინაძე წერს, რომ ციხე XVII საუკუნეშია აგებული ბეჭანიძეთა წინაპრების მიერ [ჭიჭინაძე, 1916: 15], თუმცა, 1911 წელს გამოცემულ წიგნში XVI საუკუნის 70-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიებს ზენდიდის “განთქმულ” ციხეს, რომლის “კედლები მეტათ სქელი და ყოვლათ უშიშარნი” იყო და იქვე დასძენს, რომ ჯერ კიდევ თამარის დროს ეს ციხე “ნიშნათ ერთგულებისა” ჩაბარდა ზენდიდის მებატონე თავადებს პირფარეშის ძეებს [ჭიჭინაძე, 1911: 52-55]. როგორც ჩანს, ამ ინფორმაციის გავლენით ხ. ახვლედიანი წერს: “გადმოცემით, ათაბაგები თავს აფარებდნენ ამ ციხეს, როდესაც მათ მტერი თავს დაესხმოდა. გადმოცემითვე, ამ ციხის თავები – უფროსები ყოფილან თამარის დროს განთქმული პირფარეშისძენი. მე-12 საუკუნის შემდეგ მათ მიეცათ აჭარა და ზენდიდის ციხე” [ახვლედიანი, 1944: 143].

ძნელი სათქმელია, თუ რას ეფუძნება ზემოაღნიშნული ცნობა. თამარის დროს ციხის არსებობა არც წერილობითი, არც ნივთიერი მასალით არ დასტურდება. ჩანს, აქ უბრალოდ თამარის კულტის გავლენასთან გვაქვს საქმე (აჭარაში ეს

არც ისე იშვიათი და უჩვეულო ამბავია) და არა ობიექტურ რეალობასთან. ისტორიულ ჭეშმარიტებასთან კი უფრო ის გადმოცემაა მიახლოებული, რომელიც ციხის აშენებას XVI-XVII საუკუნეების მიჯნას უკავშირებს (თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც არქეოლოგიურმა მასალამ უნდა თქვას).

საკითხავია, მაინც რა ძალამ ააშენა ეს ციხე აღნიშნულ პერიოდში და რას ემსახურებოდა იგი. ამ პერიოდისათვის ოსმალეთის გავლენა მართალია სუსტად, მაგრამ მაინც იგრძნობა რეგიონზე. ოსმალები XVII საუკუნის დამდეგისთვის, მიუხედავად აქ ოსმალური სამხედრო-აღმინისტრაციული ერთეულის – სანჯაყის არსებობისა, კუთხის ბატონ-პატრონებად არ გველინებიან. სწორედ ასეთ სიტუაციაში ქვემო აჭარის სოფ. ზენდიდში, სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილზე, საკმაოდ დიდი ციხე იგება და თუ ვის მიერ, ამაზე ისტორიული წყაროებისა თუ სამეცნიერო მასალის უქონლობის გამო, სამწუხაროდ, მხოლოდ ვარაუდის დაშვება შეიძლება: თუკი ზაქარია ჭიჭინაძის მინიშნებებს გავყვებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოსმალეთის აგრესის შედეგად სამცხიდან აჭარაში თავშესაფრისოთვის გადმოსული მსხვილი ფეოდალური საგვარეულო საკუთარი ძალის, ავტორიტეტისა და გავლენის საფუძველზე, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, სათავეში უდგება ანტიოსმალურ მოძრაობას რეგიონში და ხდება ქვემო აჭარის მაგისტრალურ, საკვანძო გზასთან, სტრატეგიულად მნიშვნელოვან შემადლებაზე ციხის აგვის ინიციატორი. ალბათ, ეს ციხე უნდა გამხდარიყო დასაყრდენი ოსმალთა აგრესის შესაჩერებლად. აჭარის სიახლოესს, სამცხეში ასეთ ფეოდალურ საგვარეულოს, რომელიც ოსმალებთან შეურიგებელი ბრძოლითაა ცნობილი, წარმოადგენდა დიასამიძეთა საგვარეულო. შემთხვევითი არაა, რომ ზ. ჭიჭინაძე აღნიშნული ბეჭანიძების (რომელთა ძველების მიერაც – მისივე თქმით – იყო აშენებული ზენდიდის ციხე) ძველ გვარად დიასამიძეს ასახელებს [ჭიჭინაძე, 1916: 15]. დღეს დიასამიძეების ციხედ არის

ცნობილი ზენდიდის მეზობელი სოფ. გულების მიუდგომელი ციხე (ესენი, სხვა მეზობელ ციხეებთან ერთად, ჩანს, ერთიანი საფორთიფიკაციი ჯაჭვის შემადგენელი ნაწილებია), რომელიც, სავარაუდოდ, დაახლოებით იმავე პერიოდშია აგებული.

როგორც ჩანს, დიასამიძეებმა ერთხანს შეინარჩუნეს თავიანთი მდგომარეობა აჭარაში, შემდეგ კი თანდათან დათმეს პოზიციები. ამ საგვარეულოს ერთი შტო (რომელიც ზენდიდიდის ციხეს ფლობდა), ისევე, როგორც ოსმალთაგან დაპყრობილ სხვა ქართულ ტერიტორიათა მფლობელი, ოსმალეთის სამსახურში ჩადგა, გამაპმადიანდა და იურთლუკისა და ოჯაპლიკის (საგვარეულო-სამემკვიდრეო მფლობელობა) საუჟღელზე შეინარჩუნა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა ოსმალეთის ბატონობის დროსაც, რაც იყო ერთგვარი კომპრომისი. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, XVII საუკუნის დამლევს, ერთ დიასამიძეთაგანს, რომელსაც ისლამი მიუღია, სახელად ბეჟანი რქმევია, “ამიტომაც ოსმალთაგან ამათ დიასამიძის მაგიერ ბეჟანოდლი სწოდებიათ, ოსმალური სახელის “თულუმბაზადეს” დამატებით. დღეს ესენი იწოდებიან ბეჟანოდლი თულუმბაზადეთ” [ჭიჭინაძე, 1916: 15]. როგორც ჩანს, ბეჟანოდლებმა ამგვარი გზით მოახერხეს ციხის შენარჩუნება, ოსმალთაგან ბეგობაც მიიღეს და ამიტომაც “მოდი ნახე” ბეჟანიძეების საგვარეულო ციხედ აღიქმება.

შესაძლებელია სხვა ვარაუდის დაშვებაც. კერძოდ:

XVI საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში ირანის მბრძანებელმა შაჰ-თამაზმა დალაშქრა სამცხე. მიზეზი იყო ის, რომ საათაბაგოს ფაქტობრივმა მმართველმა დედისიმედმა (რომლის მეუღლე გარდაცვლილი, ძე – ყვარყვარე კი მცირე წლოვანი იყო) მოტყუებით მოაკვლევინა სამცხის მსხვილი ფეოდალი, ირანის შაჰის ცოლისძმა ვარაზ შალიკაშვილი, რითაც მისი სიძის რისხვა დაიმსახურა. “დედისიმედი და ძენი მისნი გარდაიხვეწენ აჭარას და მუნ განერნეს” – წერს ვახუშტი [ქ. ცხ., 1973: 719]. ზ. ჭიჭინაძე აქ ვრცელ ამბავს

ჩაურთავს, რომ თითქოს, გამოქცეულებმა აჭარაში თავი სწორედ ზენდიდის ციხეს შეაფარეს, რომლის მფლობელმა დიასამიძე-პირფარეშისძებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს მათ. “პირფარეშის ძენი მხედვ მოქმედებდნენ, ამათ შეკრიბეს მთელი აჭარის ვაჟკაცობა, ნამეტურ სახალხო გმირები და რჩევა ქმნეს ზენდიდში, რომ თუ შაპთამაზი შემოვიდეს და გვეომოს, მაშინ ყველა ჩეგნთაგანი მოკვდეს საქართველოს-თვისო. ყველამ ფიცი მისცეს, ვინც საქართველოს უდალატოს, ის შერცხვენილ იქნეს და შეჩვენებულიო” [ჭიჭინაძე, 1911: 52-55]. ამ გადმოცემის მიხედვით, ირანელებმა აჭარაშიც ომი ჰქმნეს, “მოსწყდეს რამდენიმე მმანი დიასამიძე-პირფარეშის ძეთა”, თუმცა საბოლოოდ სამცხე ქართველთა საშველად მოსულ ოსმალებს დარჩათ [ჭიჭინაძე, 1911: 52-55].

თუ ეს გადმოცემა რაიმე ისტორიულ ჭეშმარიტებას ემყარება, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში ზენდიდის ციხე პირველად იგერიებდა მცერს, ანუ სწორედ ირანელთაგან თავდასაცავად იქნა აგებული (იქნებ თხმალთა მხარდაჭერითაც) და ხალხის მეხსიერებამაც პირველი ბრძოლის გაიხოდიც უკკო შემოინახა (ზ. ჭიჭინაძე ხომ ძირითადად ზეპირსიტყვიერ მასალას ეყრდნობოდა).

1603-1612 წლებშიც და შემდეგაც, 30-იანი წლების ბოლომდე, შაჲ აბას I-ის ირანმა არაერთხელ დალაშქრა სამცხე და გარკვეული პერიოდულობით მისი შენარჩუნებაც მოახერხა [სინ, 1973: 304-311]. ბუნებრივია, არც თხმალები თმობდნენ პოზიციებს, რის დასტურია ის, რომ ამ პერიოდში მათ ქ. ახალციხეში მაგარი ციხე აუგიათ და შიგ თავისი მეციხოვნებიც ჩაუყენებიათ [მუნში, 1969]. არაა გამორიცხული, რომ იმავე თხმალების დასტურითა თუ უშუალო მონაწილეობით აჭარაში, კერძოდ ზენდიდში, სწორედ მაშინ აშენებულიყო ციხე, რომელიც, ერთი მხრივ, მათ სამსახურში ჩამდგარი ფეოდალური საგვარეულოს (დიასამიძე-ბეჭანოდლი) სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაწინაურებას (და, შესაბამისად, მასზე დაყრდნობით, რეგიონში თხმალური გავლენის

გაძლიერებას) მოემსახურებოდა, მეორე მხრივ კი, ირანელთა აგრესის შემაკავებელ ფორპოსტად იქცეოდა.

ზემოთ მოყვანილ მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზენდიდის ციხე აშენებულია XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან XVII საუკუნის 30-იან წლებს შორის პერიოდში. ასეთ ვარაუდს გარკვეულად აძლიერებს ერთი მეტად საინტერესო ფაქტი. კერძოდ, სოციალური და ქრონოლოგიური თვალსაზრისით ადვილი დასახელებული ახმედ ბეგი [ჭიჭინაძე, 1916: 16] და 1595 წლის “გურჯისტანის ვილაჟის დიდ დავთარში” აჭარის მირ-მირანად, ანუ ბეგლარ-ბეგად მოხსენიებული ახმედ ფაშა [დავთარი, 1941: 452] ერთი და იგივე პიროვნება იყო!

აქვე, ზენდიდის ციხესთან დაკავშირებით, მოგვყავს სრული ტექსტი (სტილის დაცვით) ზ. ჭიჭინაძის წიგნიდან “ქართველ მაპმადიანთა ცხოვრება” (ტფ., 1916), რაც, ვფიქრობთ, მკითხველისთვის არ იქნება უინტერესო:

“მოღი ნახე” ციხის ამბავი აჭარაში.

აჭარას, სოფ. ზენდიდში, სცხოვრობენ ბეგი ბეგანიძეები. ესენი სამცხიდამ გადასახლებულან აჭარაში XVII საუკა და შემდეგს. აჭარაში ესენი დასახლებულან ზენდიდში და ეს ციხე “მოღი ნახეც” მაშინ გაუკეთებიათ მათ ძველებს. ამ ბეგების ძველი გვარი დიასამიძეა. ამათ ძველებს ძველის ძველათ პირ მსახურის ძეთაც იტყოდნენ. პირთ მსახურათ ქართველებში თამარ მეფე იგულისხმება, მაშასადამე ესენი თამარ მეფის მსახურათაც ყოფილან, თავადობაც მის დროს მიუღიათ.

ამათი ისლამთან დაკავშირება მიეწერება XVII საუკუნის დამლექს, ამ დროს, ერთ მათგანს, რომელსაც ისლამი მიუღია, სახელათ ბეგანი რქმევია, ამიტომ ოსმალთაგან ამათ დიასამიძეს მაგიერ ბეგანოდლი სწოდებიათ, ოსმალურის სახელის “თულუმბაზადეს” დამატებით. დღეს ესენი იწოდებიან ბეგანოდლი თულუმბაზადეთ.

როგორც სჩანს, მუსლიმანობაში გამოჩენილი ყოფილა ბერ ხუდარ ბეგი. ამ ბეგს აუშენებია „მოდი ნახეს“ ციხე თავის მამულში. ამ ციხის გაკეთების დროს, სოფ. ზენდიდში მისულა სოფ. ზვარელი ალი აღა გვარაძე 140 წლის მოხუცი. ამ მოხუცს უკითხავს ბექანოდლისათვის.

— თუ მაგისთანა მაღალ ციხეს რათ აკეთებო? ბეგს მიუგია:

— მე მინდა ისეთი მაღალი ციხე გაფაკეთო, რომ როცა მტერი მოვა, რომ მან ჩემს სახლში არაფერი დაინახოს და მით იქმნეს გადარჩენილიო.

მოხუცს ეს სიტყვა მოუსმენია და მერე ასეთი პასუხი მიუცია:

— თქვენ თუ გსურთ და გწადიათ, რომ მტერმა არ გნახოთ, მაშინ ამ ქვის ციხის მაგიერ, თქვენ ხალხში მოიპოვეთ ადგილი, ხალხის გულში აღაშენეთ მკვიდრი სამეზობლო ციხე და გარწმუნებთ, რომ მაშინ თქვენ მტერი ვერას გავნებთ, თუ არა და ციხეები რამდენიც უნდა აღაგოთ და აღამაღლოთ, მტერს მაინც მით ვერაფერს დააკლებთ, საქმე ხალხი გახლავთ და ხალხის გული, თქვენ ხალხის გულში აღაგეთ თქვენი ოჯახის მფარველი ციხე.

ეს სიტყვა, ბარხუდარის შვილისშვილს, ციხის ამშენებელს ახმედ ბეგს დიდათ მოეწონა, ამ დღიდან ეს ბეგი შეუდგა სხვა გვარ მოქმედებას, ამის შემდეგ აჭარაში 500 აჭარელი დარიბ დატაკნი კაცნი თუ ქალნი შემოსა ტანთჩაცმით, ასევე ბევრს დარიბს დაურიგა ფული და სხვა და სხვა ნივთები, შემდეგაც ამ ბეგს ერთი ხელი სულ დარიბ ფუხარა ხალხისაკენ აქვნდა და მათ უშვრებოდა სიკეთეს. ამისაგან ნაქნარი სიკეთე ენით დაუთვლელია თურმე...

ამ ახმედ ბეგს ჰყვანდა ორი შვილი მემედ ბეგი და მუთი ბეგი. ერთხელ ახმედ ბეგი შვილებით სანადიროთ წავიდნენ, შეცდომით ახმედ ბეგმა თავისი შვილი მემედ ბეგი მოკლა, ამ შეცდომამ ახმედ ბეგი ერთობ დააღონა. მერე სტამბოლიდამ მარმარილოს ქვა მოატანინა, შვილს საფლავზედ ძეგლი გაუკეთა, ამით გაიქარვა შვილის მოკლის ჭმუნვარების დარდი.

უწინდედ აჭარის ბეგები ბევანოდლები ამ ბეგების შთამომა-
ვალი გახდავან, რომელიც სოფ. ზენდიდში სცხოვრობენ,
აქ “მოდი ნახეს” ციხე დღესაც მოელი დგას” (გვ. 15-16).

რაც შეეხება ბევანიძეთა საგვარეულოს. ვინ იყვნენ, საი-
დან მოვიდნენ “ბევანიძეთა წინაპრები”?

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში (“ქართლის ცხოვ-
რება”) ბევანიძეთა გვარი არ გვხვდება. ჩანს, იგი ოსმალობის
პერიოდში იღებს სათავეს (ოსმალურ სახელ “თულუმბაზა-
დებს” დღესაც ატარებს ბევანიძეთა ერთი შტო). ზევით ითქვა,
რომ ზ. ჭიჭინაძის მიხედვით ეს საგვარეულო სამცხელ
დიასამიძეთა განაყოფია და დაწინაურებულ მდგომარეობას
ქვედაში აღწევს XVII საუკუნისათვის. ამ ასწლეულის დამ-
ლევისათვის ერთ მათგანს, ბევან დიასამიძეს ისლამი მიუღია
და ოსმალთაგან მისი მემკვიდრენი ბევანოდლებად (ბევანის-
შვილებად) წოდებულან. საინტერესოა, რომ “ქართლის
ცხოვრებაში” საკუთარი სახელი ბევანი მხოლოდ ერთხელ
გვხვდება და ისიც ზემოაღნიშნულთან ქრონოლოგიურად ახ-
ლო ეპოქაში. ეს ბევანი იყო გიორგი სააკაძის მხლებლის
გორგასლის (სამწუხარიდ, გგარი არ სახელდება) შვილი.
როცა გიორგისა და მის მხლებლებს ოსმალეთში თავის
მოკვეთა გადაუწყიტეს (1629 წ.), გორგასალმა მოისყიდა ჯა-
ლათი, თვითონ გასწირა თავი, შვილი ბევანი კი გადაარჩინა
სიკვდილს [ეგნატაშვილი, 1959].

უფრო დიდ ინტერესს იწვევს ახლად აღმოჩნდილ ოსმა-
ლურ დოკუმენტურ წყაროებში მოხსენიებული ბევანი –
აჭარისწყლის ხეობის ქრისტიანი მფლობელი XVI საუკუნის
შუა წლებში. ეს ბევანი ყოფილა დაუმორჩილებელი, აწყობდა
არეულობებს, აჯანყებებს ოსმალთა წინააღმდეგ, რის გამოც
მას აჭარისწყლის ხეობა ჩამოერთვა და მხოლოდ მას შემ-
დეგ, რაც მორჩილება-ერთგულების ფიცი და ისლამი მიიღო,
მექმედის სახელი დაირქვა, დაიბრუნა თავისი მდგომარეობა
აჭარაში [შაშიკაძე, 2002: 156]. იქნებ, სწორედ ეს ბევანია
ბევანოდლების საგვარეულოს ფუძემდებელი? მართალია, ზ.
ჭიჭინაძე ჩვენთვის საინტერესო ბევანს XVII საუკუნის დამ-

ლევის მოღვაწედ მიიჩნევს, მაგრამ ქრონლოგიური შეცდო-
მები (თუნდაც საუკუნეზე მეტი) დასაშვებია. ჩანაწერები ხომ
ზ. ჭიჭინაძეს ხალხში გავრცელებული თქმულებების შეჯერვ-
ბის საფუძველზე აქვს გაკეთებული. თუმცა, ასეთი ვარაუდის
სასარგებლოდ ნაკლებად მეტყველებს ის გარემოება, რომ ზ.
ჭიჭინაძის ბეჭანის მუხლიმანური სახელი ახმედია, აჭარისწე-
ლის მმართველი ბეჭანი კი ისლამის მიღების შემდეგ მეტედს
ირქმევს. მეორეც, ზ. ჭიჭინაძესთან ბეჭანყოფილი ახმედი არ-
სად სახელდება აჭარის სანჯებეგად. მიუხედავად ამისა,
თვით ფაქტი უაღრესად საყურადღებო და გასათვალისწინე-
ბელია.

როგორც აღვნიშნეთ, ბეჭანიძეთა წინაპრები გადმოცემით
თამარის პირისფარეშები ყოფილან და პირფარეშისძეებადაც
იწოდებოდნენ. დღეისათვის ზენდიდში ბეჭანიძეთა ორი
საგარეულო შტოა: ერთის წინაპრები (მათივე გადმოცემით)
ბეგები ყოფილან, მეორის – აღები. მათ ერთმანეთში მოყვ-
რობაც აქვთ, თუმცა, ვერ უარყოფენ, რომ ორივე გვარს ერთი
ძირი, საერთო წარმომავლობა გააჩნიათ. ზენდიდელ ბეჭანი-
ძეთა უხუცესებმა იციან, რომ ადა ბეჭანიძეები იწოდებოდნენ
პირმსახუროდლებად (პირმსახურისძეებად), ბეგი ბეჭანიძეები
კი თულუმბაზადეები იყვნენ. საინტერესოა, რომ სოფლის
ერთი უხუცესი წარმომადგენელი დიასამიძეთა გვარიდან არ
გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ პირმსახურისძეებად
დიასამიძეები იწოდებოდნენ.

დღეს ბეჭანიძეები სახლობენ ქედაში, ჩაქვსა და ქობუ-
ლეთში. ეს უკანასკნელნი აღიარებენ თავიანთი ძველების
გადმოცემას, რომ ყველანი საერთო სამკვიდრო მამულიდან –
ქედიდან არიან წასულები.

ზენდიდის ბეჭანიძეები საქმაოდ გავლენიანი ხალხი ყოფი-
ლა. ამ გვარის წარმომადგენლების სიტყვით, ბეჭანიძეებს მა-
მულები ჰქონიათ ქედის ცენტრში, გულებში, ვარჯანისში,
ტყეები – ზენდიდში, საძოვრები – კლასკურში, სახლები – ქ-
ბათუმში. როგორც ჩანს, თურქეთის მმართველობის ბოლო
პერიოდში უფრო დაწინაურებულან ბათუმისა და ჩაქვის

ბეჭანიძეები, რასაც აღიარებს ა. ფრენკელ், 1879: 14-15]. სწორედ ამ შტოს ექუთვნოდნენ ხუსეინ და ხასან ბეჭანიძეები, რომლებიც სხვებთან ერთად 1878 წლის ნოემბერში აჭარიდან თბილისში მიწვეულ დეპუტაციაში შედიოდნენ. საინტერესოა, რომ ფრანგი მოგზაური ჟან მურიე ბათუმში არსებულ “თამარის ციხეს”, რომელიც მან “ძველი სახლებისა თუ კოშის ნანგრევებად” მიიჩნია, ბეჭანიძლების ანუ ბეჭანიშვილების საკუთრებად ასახელებს [მურიე, 1962: 8, 28].

ჩვენთვის უცნობია, როგორ დაისაკუთრა “თამარის ციხე” ბეჭანიძეთა გვარმა, მაგრამ ამ ციხის კედლებს შორის მათ ხის სახლიც რომ პქონდათ, ამაზე თვით დიმიტრი ბაქრაძეც მიუთითებს: “იქ, სადაც ყოროლისწყალი ზღვას შეერთვის, აღმართულია პატარა გორაკი, რომელზეც ახლა სარაიად წოდებული ბეჭანიძლის სახლი დგას. ხელოვნური გორაკია, რომელიც თამარ მეფემ გააკეთებინა იმ დროს, როცა დიდი ლაშქრით ბრუნდებოდა ტრაპიზონიდან (1204 წ). მასზე თამარმა მაშინვე ააგო ციხე, რომლის ნაშთი დღესაც ჩანს... ეს სახლი დგას მომცრო განმარტოებულ კონუსისებრ გორაკზე, რომელიც თითქოს ხელოვნურ ყორლანს ქმნის. იგი უკაცრიელი იყო, დანგრევის პირას მიწვენილი; მისი ზემო სართული ხისა იყო, ქვემო ქვისა, ბეჭედი ვიწრო დერევანი ბოსელში გადიოდა. სახლთან იდგა ძველი ქვითკისრის გვირგვინიანი ჭა” [ბაქრაძე, 1987: 27-28]. ამგვარად, ბეჭანიძეებს ეს აღგილი არა მარტო შეუძნიათ, არამედ ციხის ნანგრევებს შორის სახლიც აუშენებიათ, რაც მათ დიდ გავლენაზეც მეტყველებს.

ბეჭანიძეთა გვარმა თავისი ისტორიული მისია პირნათლად შეასრულდა, რითაც ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

წყაროები და ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, “ქართლის ცხოვრება”, ტ. IV, თბ., 1973.
2. ბერი ეგნატაშვილი, ახალი “ქართლის ცხოვრება”, “ქართლის ცხოვრება”, ტ. II, თბ., 1959, “ქართული მწერლობა”, ტ. 6, თბ., 1989.
3. გურჯისტანის ვილაგეთის დიდი დავთარი, ტ. II, თბ., 1941.
4. ისქენდერ მუხშის ცხობები საქართველოს შესახებ, თბ., 1969.
5. ახვლედანი (კირისილოდღუ) ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-მე-19 საუკუნეები), ბათ., 1944.
6. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
8. ჟან მურიქ, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962.
9. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათ., 1985.
10. სიხარულიდე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ტ. I, ბათ., 1958.
11. ქსე, ტ. 4, თბ. 1979.
12. შაშიკაძე ზ., ორი მნიშვნელოვანი დოქუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბსე მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, III, ბათ., 2002.
13. ჭიჭინაძე ზ., ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან ქართველთ საქართველოსი, ბათ., 1911.
14. ჭიჭინაძე ზ., ქართველ მამადიანთა ცხოვრება, ტფ., 1916.
15. ფრენკელ ა., იურკი ჭურუ და ბათუმი, თიფ., 1879.

Irakli Baramidze

History of the Zendidi fortress and its owner the Bejanidzes

Summary

There article studies the history of the Zendidi fortress (municipality of Keda) and its owner the Bejanidzes. On the basis of available documentary materials it is supposed, that the fortress has been constructed at the turn of XVI-XVII centuries. As for the Bejanidzes, their ancestors were significant figures at the time of Queen Tamara and after a conquest of south-west Georgia by the Ottomans they maintained the influence and property.

Ираклий Барамидзе

История Зендидской крепости и ее владельца рода Бежанидзе

Резюме

В данной работе исследована история Зендидской крепости (Кедский муниципалитет) и ее владельца рода Бежанидзе. На основании имеющихся документальных материалов предполагается, что крепость была построена на рубеже XVI-XVII вв. Что касается рода Бежанидзе, то их предки были значительными фигурами при царице Тамаре и после завоевания юго-западной Грузии османами они сохранили свое влияние и владения.

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XV ს. პირველ ნახევარში და ალექსანდრე I

თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ (1405 წლის 18 თებერვალი) მისი იმპერია მყისიერმა კრიზისმა მოიცვა, რითაც მოხერხებულად ისარგებლა მეფე გიორგი VII-მ. მან შეტევა წამოიწყო თემურის მემკვიდრეების წინააღმდეგ. ერთ-ერთი უცხოელი ავტორი გვამცნობს: “ამ დროს წამოვიდა საქართველოს მეფე, შეიჭრა ყარსისა და არზრუმის მიწებზე, რომლებიც დიდ სომხეთშია თავრიზის მიწებამდე” [დე კლავიხო, 1992: 36]. ამასვე ადასტურებს სპარსული წყარო და ვახუშტი ბატონიშვილიც, რომლის მიხედვითაც მეფე გიორგი VII შედარებით მყარად ფლობს დასავლეთ საქართველოს – “მეფემან გიორგი განაგნა იმერეთი ყოვლითა დამორჩილებითა თვისითა” [ვახუშტი, 1973: 275]. მალე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა თურქ-მანთა ტომები, რომელთანაც ბრძოლას შეეწირა მეფე გიორგი VII 1407 წელს [ვახუშტი, 1973: 275].

სამეფო ტახტი დაიკავა მისმა მმამ კონსტანტინე I-მა (1407-1412), რომელმაც ისევ შესძლო თავის კონტროლქვეშ დაებრუნებინა ლიხთომერეთი. ხოლო ის, ვინც მას წინააღმდეგობას უწევდა დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის შთამომავალი დიმიტრი ალექსანდრეს ძის სახით, კვლავ არის გაძევებული “სომხითს სარჩოთი” [ვახუშტი, 1973: 805]. ვფიქრობთ ამის შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ “იმერეთი ეპურა მეფესა კონსტანტინეს ნებასა შინა” [ვახუშტი, 1973: 805].

როგორც წყაროებიდან ირკვევა, კონსტანტინეს სამი ვაჟი პყოლია: ალექსანდრე, ბაგრატი და გიორგი [საქართველოს

სიძველენი, 1910: 414; ს.კაპაბაძე, 1913: 3], რომელთაგან განსაკუთრებით გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრესთან. ეს უკანასკნელი ოჯახიდან ლტოლვილიც კი ყოფილა ხუთი წლის განმავლობაში. ამასობაში, 1412 წელს, შავბატკიანებთან ბრძოლაში კონსტანტინე I დაიღუპა და ტახტი დაიკავა ოჯახისაგან ლტოლვილმა ალექსანდრემ – “მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზე დაჯდა” [ნ.ბერძენიშვილი, 1965: 40].

ამ დროისათვის ალექსანდრე დაოჯახებული ყოფილა. მას ჰყოლია მეუღლე დულარდუხტი და მისგან შვილები: ვახტანგი და დიმიტრი. როგორც ჩანს, ამ გართულებული ვოთარებით ისარგებლა ოდიშის მთავარმა მამია II დადიანმა (1396-1414), რომელმაც 1414 წელს “ინება დამორჩილება აფხაზთა, ამასვე წელსა შეიკრიბნა საანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა, მისრულს აფხაზეთს ეწყო შერვაშიძე აფხაზით სიმაგრით გამო. მოსწყვდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია” [ვახუშტი, 1973: 278].

მთავრის ახეთი პოლიტიკური ნაბიჯები მოულოდნელი უნდა ყოფილიყო ერთიანი საქართველოს მფისათვის. ამიტომ მას სასწრაფო ნაბიჯები უნდა გადაედგა მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. ამ მიზნით მან “მსწრაფლ” შეკრიბა ლაშქარი და გადავიდა სამეცნიელოში. მამიას ძემ ლიპარიტმა ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა და მეფისაგან შენდობა ითხოვა. ალექსანდრემ ვითარება რეალურად შეაფასა, ლიპარიტთან ერთად გადავიდა აფხაზეთში, იქ მას შეეგება შერვაშისძე და იგიც “დაქმორჩილა ბრძანებას მისსა” [ვახუშტი, 1973: 278].

დაბრუნებული ალექსანდრე მოვიდა “ქუთათისს,” შემოკრიბა იმერ-ამერი დიდებულები და ეპურთხა მეფედ [ვახუშტი, 1973: 278]. უდავოა, ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყო (მხედველობაში გვაქვს ალექსანდრეს ქუთათისში მეფედ კურთხევა). როგორც ჩანს, დასავლეთის დიდებულები უკმაყოფილონი იყვნენ პოლიტიკური ცენტრის აღმოსავლეთში გადანაცვლებით და როდესაც ამის საშუალება ეძლეოდათ, მაშინვე

გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. ამიტომ, ქართველი მეფეები, ითვალისწინებდნენ რა არსებულ გამწვავებულ სიტუაციას, ჩადოოდნენ ქუთაისში და იქ ეპურობებოდნენ მეფედ. ამით ისინი ხაზს უსვამდნენ თავიანთ ლეგიტიმიურობას საქართველოს სამეფო ტახტზე და ხასგასმით მიანიშნებდნენ ცენტრიდანულ ძალებს თავიანთ სრულ მზადყოფნაზე მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების მიზნით აღექსანდრე I სხვა ქმედით ღონისძიებებსაც მიმართავს. კერძოდ, ის ცოლად ირთავს იმერეთის “მეფის” აღექსანდრეს (1387-1389) ასულს თამარს (დავით ნარინის შთამომავალი) [ვახუშტი, 1973: 278-279]. წყაროებიდან ირკვევა, რომ მისი პირველი თანამეცხედრე ამ დროისათვის გარდაცვლილია. თამართან მას შექნია შვილები: დავითი და გიორგი. მაშასადამე მისი ვაჟები ყოფილან: ვახტანგი, დიმიტრი, გიორგი, დავითი, და ზოგიერთი საბუთოთ — ზაალიც [ს.კაპაბაძე, 1913: 8-10].

ამის შემდეგ იგი კვლავ ენერგიულ ნაბიჯებს დგამს დასაგლეთ საქართველოში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად, რისი დასტურიცაა მისი ცოლისძმის დაბრუნება სომხითიდან და დანიშვნა იმერეთის ერისთავად. აღექსანდრეს ეს პოლიტიკური ნაბიჯები აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, ვინაიდან ამ დროისათვის მას სამცხის ათაბაგთან ჰქონდა ურთიერთობა გართულებული და აუცილებელი იყო ვითარების სტაბილიზაცია.

მაგრამ სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა. დასავლეთ საქართველოში მეფობას იჩემებს ვინმე ბაგრატი, რომელიც, ვფიქრობთ, შესაძლოა პროვინციის მეფის რანგში ყოფილიყო. თუ როგორ განვითარდა ამ დროს მოვლენები, ძნელია ამაზე საუბარი, ვინაიდან წყაროები ამის საშუალებას არ გვაძლევენ. თუმცა გადაჭრით უნდა ითქვას, რომ საქართველო პოლიტიკურად ერთიანია.

პოლიტიკური მდგომარეობა გამწვავდა XV საუკუნის შუა ხანებისათვის. ეს უპირველესად გამოწვეული იყო ქვეყნის

ეკონომიკური განვითარებით – საქართველო ფაქტობრივად თანდათანობით კარგავდა ფუნქციას მსოფლიო პოლიტიკურ და გეოგრაფიულ არენაზე. ის როლი, რომელიც მას ოდით-განვე გააჩნდა და რომელიც მდგომარეობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაკავშირებში, ნელ-ნელა ქრებოდა. ეკრო-პის სახელმწიფოების ინტერესების სფეროში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები ექცეოდა, ხოლო საქართველო ამ დროისათვის ფუნქციადაკარგულ და დასავლეთისაგან მიტოვებულ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელსაც მსოფლიო ისტორიული პროცესები დიდ სიურპრიზებს უმზადებდა.

უდაგოა, ალექსანდრე I-ს კარგად ესმოდა შექმნილი კითარების მთელი პოლიტიკური ანატომია. ამიტომ იგი ცდოლობდა ქვეყანა რეფორმების გზით გადაერჩინა მოახლოებული საფრთხეებისაგან. ვფიქრობთ, აბსოლუტურად სწორი იყო ალექსანდრე I, როდესაც ცალკეული რეფორმისტები საშუალებებით ცდილობდა როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას, ისე პოლიტიკური ცვლილებების მიღწევას. მაგრამ, როგორც მოვლენათა განვითარებამ უჩვენა, ყოველივე ამაო გამოდგა.

როგორც ჩანს, ალექსანდრე დიდის შვილებს მძაფრი ბრძოლა ჰქონდათ გაჩადებული ტახტისათვის. წეაროვებიდან აშერაა, რომ განუზომლად დიდი იყო სამეფო ოჯახის წევრების გავლენა სამეფო საქმეებზე. მეფეს ისეთი ღონისძიებები უნდა გაეტარებინა, რომ ქვეყანა საბოლოო ჯამში პოლიტიკურად წაგებული არ აღმოჩენილიყო. ამ მიზნით მან საქართველოს ცალკეული რეგიონები სამართავად გადასცა თავის შვილებს და აღჭურვა ისინი ერისთავის უფლებებით. შემთხვევითი არ უნდა იყოს ვახუშტის მონათხრობი – “გარნა თუ ძეთა დასხმიდნენ არა მეფედ, არამედ ერისთავად და მორჩილად” [ვახუშტი, 1973: 285]. ვფიქრობთ, ეს იყო ალექსანდრე I-ის უკანასკნელი ცდა რეფორმების გზით გადაერჩინა ქვეყანა და აეცილებინა თავიდან მისი პოლიტიკური დაშლა.

იმისათვის რომ შენარჩუნებულიყო რეალური სტატუს-კვო, ალექსანდრე I-მა თავის სიცოცხლეშივე თანამოსაყდრედ დასვა თავისი უფროსი ვაჟი ვახტანგი, რომელსაც ფაქტობრივად ამზადებდა კიდეც მეფობისათვის. პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შექმნილი ვითარება საგსებით ესადაგებოდა საქართველოში არსებულ ისტორიულ ტრადიციას. საფიქრებელია ის, რომ ალექსანდრე I ამით ცდილობდა მოეგვარებინა მმებს შორის არსებული დაძაბულობა და შეეჩერებინა ქვეყანაში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესი. მითუმეტეს წყაროებიდან ჩანს, რომ მეფობას იჩემებდა ალექსანდრეს მმა გიორგიც [ისტორიული დოკუმენტები..., 1958: 15].

სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში ჩაბმული ყოფილა ალექსანდრე დიდის მეორე მმა ბაგრატიც. ამიტომ სავსებით ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ასეთ როლ ვითარებებაში ალექსანდრე I-მა ქვეყანა თავის შვილებს გაუყო. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს იყო იძულებითი ხასიათის ღონისძიება. ოდონდ ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ეს “მეფეები” იყვნენ ადგილებზე მივლინებულნი ცენტრის მიერ, რითაც კაცუოფილდებოდა ბაგრატიონთა სახლის ამბიციები და ადგილებზე ჩასული “მეფეები” ანეიტრალებდნენ ცალკეულ სეპარატისტებს, რომლებიც ცდილობდნენ ჩამოეცილებინათ ესა თუ ის რეგიონი ცენტრისაგან.

ალექსანდრე I-ის სიცოცხლეში გამეფებული ვახტანგი (1442-1446) მალე გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა მისი მმა გიორგი VIII (1446-1466). ისიც იძულებული იყო ანგარიში გაფრია არსებული პოლიტიკური მდგომარეობისათვის და იმერეთის ერისთავად “დასუა” ბაგრატი, რომელიც, როგორც ირკვევა, იყო ალექსანდრე დიდის მმის გიორგის ვაჟი, და რომელმაც თავისი პოლიტიკური მოქმედებებით XV ს-ის 60-70-იან წლებში საბოლოო წერტილი დაუსვა საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთიანობას [ეგვენეტაძე, 2003].

ამრიგად, განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური პროცესები და ის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა საქართველო XV ს-ის პირველ ნახევარში,

ობიქტურად უწყობდა ხელს ქვეყანაში მიმდინარე დეცენტრალიზაციას, რომელიც კიდევაც დამთავრდა ქვეყნის დაშლა-დანაწევრებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რუს გონისალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისოთვალა-შეიძლმა, თბ., 1992.
2. ბატონიშვილი გახუმბი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუხიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
3. საქართველოს სიძველები, ტ. III, ტფ., 1910.
4. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, II, ტფ., 1913.
5. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965.
6. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავ-როებისა (1466-1470), ტ. I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958.
7. გვენეტიძე ე., იმერეთის სამეფოს წარმოქმნის ისტორიიდან, თბ., 2003.

Edisher Gvenetadze, Zurab Kvetenadze

The political condition in the I half of XV century in Georgia

Summary

In the article is discussed the political condition in Georgia in the I half of XV century. There is considered that the King Alexander I trialed to preserve the unity, but he didn't get it with reforms.

Едишер Гвенетадзе, Зураб Кветенадзе

Политическая положение Грузии I половине XV в. и Александр I

Резюме

В работе рассмотрены общеполитические ситуации страны I половины XV в. После смерти Тимур-Ленга усobiцей между его потомками воспользовались вожди туркменских племён. Среди них выделились племена т. н. черного барана (Кара-Коинлу). Именно в борьбе с ними и погиб Георгий VII.

На престол взошел Александр I, который передал отдельные регионы страны своим сыновьям. Это нужно расценить как вынужденную меру. Он бы решал две задачи: 1. Удовлетворить личные амбиции отдельных представителей царского дома; 2. При помощи царевичей нейтрализовать попытки местных сепаратистских сил отделить ту или иную область от центра.

**ინგლისის დიპლომატია რუსეთ-თურქეთის
ურთიერთობის გამწვავებაში და საქართველო
(1722-1724 წწ.)**

XVIII ს-ის 20-იან წლებში ირანში მიმდინარე ამბებმა, პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქობამ და ვახტანგ VI-ის რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ევროპის სახელმწიფოების და, განსაკუთრებით, ინგლისის დიპლომატიაში.

აღნიშნულ რეგიონში მომხდარი ამბები ინგლისის პოლიტიკოსთა დიპლომატიური ანგარიშიანობის საგანი გახდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა იმაში, რომ ინგლისის დიპლომატია ცდილობდა პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობით აღმფოთებული თურქეთი რუსეთთან ომამდე მიეყვანა და ამით ხელი შეეშალა ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისთვის.

თურქეთში ინგლისის ელჩის ა. სტანიანის 1722 წლის 15 ივლისის წერილის ანალიზის შედეგად ი. იაკობი წერს: „სტანიანი რუსეთის ამ ლაშქრობისას მიხვდა მეფის (პეტრე I-ის – მ.ვ.) განზრახვას, რომ სპარსეთის ვაჭრობა თურქეთთან თავის იმპერიაში გადაეტანა. ამან მას დაანახა ინგლისის ვაჭრობისათვის მოსალოდნელი ზარალი სმირნასა და ალეპოში” [J.Jacob, 1945: 71]. ამავე წერილით სტანიანი ლონდონს ატყობინებდა, რომ ოსტ-ინდოეთის კომპანიის აგენტს ისფაპანში მისწერა, რათა მას განემარტა შაპისათვის პეტრე I-ის გეგმები და რუსეთის წინააღმდეგ განეწყო ის [L.Lokhart, 1958: 218].

რაც შეეხება თურქ პოლიტიკურ მესვეურებს, სტანიანი აფრთხილებდა: პეტრე I „ამ ლაშქრობის შედეგად არა მარტო დაისაკუთრებს სპარსეთის აბრუშუმზე ვაჭრობას, არამედ

ინდურ ნაწარმსაც მისი ძველი გზიდან კასპიის ზღვის ნავსადგურებით რუსეთის ტერიტორიაზე გადაიტანს. მის ცნობილ პროექტს, რომ სპარსეთისა და ინდოეთის ვაჭრობა ბალტის ზღვისაკენ წარმართოს, ხელს შეუწყობს ისიც, რომ მას აქვს იაფი საშუალებები (გემები და მარხილები) ამ საქონლის გადასატანად, რითაც იგი აჯობებს თურქებს”. თვით სულთანი კი სტანიანს განუმარტავდა: „ყოველი სახელმწიფო თავისი ვაჭრობით ცხოვრობს და თუ რუსეთი ხელში აიღებს სპარსეთის აბრეშუმზე ვაჭრობის მონოპოლიას, მაშინ იგი შთანთქავს თურქეთის ვაჭრობას. ამით კი კონსტანტინოპოლში მოახლოვდება „ბერძნული იმპერიის” აღდგენა და მეფე აღმოსავლური აბრეშუმის მონოპოლის შემოსავლის საშუალებით თურქეთის პროვინციებს ერთიმეორებზე დაიმორჩილებს” [J.Jacob, 1945: 71].

სტანიანი ენერგიულად შეუდგა ანტირუსულ დიპლომატიურ მოქმედებას. იგი ერთ-ერთ წერილში ინგლისის სტატს-მდივან კარტერებს სწერდა: „ყოველ შემთხვევას გამოვიყენებ, რათა ვაზირმა ირწმუნოს ჩემი აზრი..., რომ მეფის ახალი დაპყრობების შედეგად ჩვენს ვაჭრობას და პორტასთან მეგობრობას საფრთხე ელის რუსეთის მხრიდან” [J.Jacob, 1945: 72]. თვით კარტერები მიიჩნევდა, რომ თუ პეტრე I „განახორციელებდა თავის მიზნებს, მაშინ ის გამოიწვევდა ოსტინდოეთისა და ლევანტის კომპანიის კრასს, რაზედაც დიდად იყო დამოკიდებული ინგლისელთა სიძლიერე და პარლამენტური წყობის უმიშროება” [J.Jacob, 1945: 72].

ახლა, როცა ირანის იმპერია უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ინგლისმა ჩათვალა, რომ თურქეთის საშუალებით შესაძლებელი იყო რუსეთის შეკავება. ინგლისელი ისტორიკოსი ლოურენს ლოკარტი წერს, რომ ინგლისის მეფე გეორგ I „თვლიდა, თუკი თურქეთი რუსეთთან ომში ჩაებმებოდა, მაშინ ეს პეტრეს შეაცვლევინებდა თავის გეგმებს ბალტიისპირეთში” [L.Lokhart, 1958: 221].

ამრიგად, ინგლისის დიპლომატია ენერგიულად აქტებდა თურქეთს, ხელი შეეშალა აზიაში რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლისათვის.

შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში დასავლეთის დიპლომატია და, განსაკუთრებით, ინგლისის დიპლომატია ყოველ საშუალებას იყენებდა თურქეთს ირანისა და ამიერკავკასიის მიმართულებით რუსეთის წინააღმდეგ წარემართა მთელი ყურადღება. ჯერ კიდევ 1722 წლის დასაწყისში კონსტანტინოპოლიში რუსეთის რეზიდენტი ნეპლიუევს თურქმა თარჯიმანმა აცნობა სულთანისადმი ინგლისის ელჩის მიერ გადაცემული ნოტის შინაარსი: „ინგლისის ელჩმა, – იუშ ყებოდა ნეპლიუევი, – პორტას გადასცა თურქულ ენაზე მემორანდუმი, სადაც ნათქვამია, რომ პრუსის სამეფო კარის ცნობით რუსეთის ხელმწიფე აგროვებს დიდად ჯარს და აპირებს ლაშქრობას დადესტნის წინააღმდეგ, რათა გააფართოოს თავისი სამფლობელოები შავ ზღვამდე” [С.Соловьев, 1963: 397]. ამავე მემორანდუმში სტანიანი თურქეთის მთავრობას რუსეთთან ომს ადვილად წარმოუსახავდა იმ მიზეზით, რომ „... რუსეთის ხელმწიფე არც ერთ ევროპულ სახელმწიფოსთან არ იყო მეგობრულად. მის მიმართ ყველა მტრულად იყო განწყობილი” [С.Соловьев, 1963: 397].

ინგლისის დიპლომატიამ პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობის დაწყების მომენტში გამოსცადა თურქეთის დაშინების პოლიტიკა და გაავრცელა ცრუ ხმები რუსეთსაქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის მიზნების შესახებ [АВПР, დ. №6, ვ. I: 93; 160]. ინგლისის ელჩმა სტანიანმა ხელსაყრელად ჩათვალა, დაერწმუნებინა თურქეთის მთავრობა, რომ „... რუსეთის მონარქი არის ბრძენი და ატყებს მათ ზავით (1720 წლის კონსტანტინოპოლის სამარადისო მშვიდობის ხელშეკრულებით – მ.პ.), ამიერიდან სურს, დაეუფლოს სპარსეთის ზოგიერთ პროვინციას. ამის განხორციელებისგან თუ თქვენ მას (პეტრეს – მ.პ.) იარაღით არ შეაკავეთ, მაშინ ის აიდებს იმ პროვინციებს და აქედან

შეუტევს თურქეთს” [АВПР, д. №6, ч. I: 234]. „სტანიანმა მრავალნაირად წარმოსახა ის საშიშროება, რომელიც ემუქრებოდა ოტომანთა იმპერიას რუსეთის წინსვლისაგან”- წერს ინგლისელი ისტორიკოსი ა. ვუდი [A. C. Wood, 1925: 551].

ცნობილია, თურქეთს ყველაზე დიდ შიშს ჰგვრიდა რუსეთ-საქართველოს კავშირის შექმნა. ევროპის დიპლომატებმა (საფრანგეთის, ვენეციის, პრუსიის) იცოდნენ რა ეს, განგებ მიაქცევდნენ თურქეთის ყურადღებას ამ საკითხისადმი. ამ მხრივ სტანიანი უფრო ენერგიულად მოქმედებდა. იგი დიდგვაზირს არწმუნებდა: „იმ დროს, როცა რუსეთის რეზიდენტი პორტას სთხოვდა, კასპიისპირეთში რუსეთის უფლებები ეცნოთ, თუ თურქები თბილისასა და საქართველოს მთლიანად არ დაიკავებდნენ, არ მოიხსნებოდა იქიდან საშიშროება, თუნდაც რომ რუსებმა გაიყვანონ ჯარი კასპიისპირეთიდან. ეს კონფლიქტი მომავალშიც განმეორდება. ამიტომ სულთანმა იარაღით უნდა დაიმორჩილოს საქართველო და სომხეთი, რათა ეს საშიშროება საბოლოოდ აღკვეთოს” [J.Jacob, 1945: 74]. მსგავს ცნობას ვკითხულობთ ავსტრიის საეჭჩოს თანამშრომლის ნ. თეილსის რელაციაში: „ამ მინისტრის (სტანიანის – მ.ვ.) მიზანია ჩამოაგდოს განხეთქილება ორ იმპერიას შორის. იგი (სტანიანის – მ.ვ.) აღმაშფოთებლად უხსნიდა დიდგვაზირს მეფის (პეტრეს – მ.ვ.) გეგმებს საარსეთისა და დაღესტნის მიმართ. ასევე მის (პეტრეს – მ.ვ.) მზადყოფნას შეიჭრას შავი ზღვის მხარეში, რათა თურქებს ერთბაშად გადაუხადოს პრუტის სამარცხევინო ზავით მიყენებული წყქნა” [Osterreichishes... თ. 90: 91].

ინგლისის დიპლომატიის ცდები, დაეშინებინათ თურქეთის მთავრობა რუსეთ-საქართველოს კავშირით, მეტად ამწვავებდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას. ამასთან დაკავშირებით, ნეპლიუევი 1722 წლის ნოემბრის რელაციით იუწყებოდა: „...პორტას ჩააგონეს, რომ ჩვენ გვინდა მფარველობაში ავიყვანოთ არა მხოლოდ საარსეთის შავის მფლობელობაში მყოფი ქართველები, არამედ პორტას ქვეშეგრდომებიც... და ყოველი-

ვე ეს პალტე ყალბადაა გახმაურებული...” [АВПР, 1722, დ. №4: 83].

1723 წლის დასაწყისში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა თავისი გამწვავების ახალ ფაზაში შედიოდა. ოურქეთი დაუკუნებლივ ითხოვდა რუსეთის ჯარის გაყვანას დაღესტნიდან და კასპიისპირეთიდან [АВПР, 1723, დ. №5, ც. I: 11], ასევე ირანის საქმეებისაგან ხელის აღებას [АВПР, 1722 დ. №6, ც. I: 37]. პორტას განსაკუთრებით აშინებდა დარუბანდში რუსეთის ჯარის დატოვება. სტანიანი ხედავდა, რომ ოურქეთის ეს შიშს ჰგრიდა, და დიდვაზირს განუმარტავდა: „... მეფე უმაღ ომს გამოაცხადებს, ვიდრე დატოვებს დარუბანდს, დაღესტანსა და უმუხათა ქავენის სიმაგრეებს” [Osterreichishes... თ. 90: 88]. „ინგლისის ელჩი, – წერს ხ. ოეილსი, – აცხადებდა, რომ მისი (პეტრე – მ.პ.) განცხადებები თუმცა მშვიდობას ქადაგებდნენ, მაგრამ იგი არ შეცვლის თავის გადაწყვეტილებებს სპარსეთის პროგნოზების მიმართ. ასეთ შემთხვევაში სპარსეთის ქვეშვრდომი საქართველო (აღმოსავლეთ საქართველო – მ.პ.) და სომხეთი, რომლებიც რუსეთს ანიჭებდნენ უპირატესობას, მეფის ოურქეთზე თავდასხმის საიმედო გარანტია იქნებოდა”. აქვე ავტორი განაგრძობს: „ინგლისის ელჩის მიერ შთაგონებული ვაზირი ეჭვობდა: მეფემ (პეტრემ – მ.პ.) შეიძლება უძასუხოს, რომ ამიერიდან არ იძიებს შურს დაღესტნის მმართველ დაუდ ხანზე. თანაც თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს ხელი აიღო თბილისის ხანის (ვახტანგ VI-ის – მ.პ.) მფარველობაზე, რითაც შეეც-დებოდა, მოვდუნებინა პორტას უურადღება, ხოლო ამასობაში მათი კამპანია წინ წაიწევდა” [sterreichishes... თ. 90: 87-88].

რუსეთის წინააღმდეგ ომის გადაწყვეტილების მიღებისას თურქეთის მთავრობა დიდ იმედებს ამყარებდა ინგლისის მხარდაჭერაზე. ამიტომ, დიდვაზირი ცდილობდა, დაეზუსტებინა სტანიანის ქმედითი დახმარების შესაძლებლობანი. ამ საკითხთან დაკავშირებით, ხ. ოეილსის 1723 წლის რელაციაში ვკითხულობთ, რომ 23 ოქტომბერის დიდვაზირმა გა-

მოიძახა ინგლისის საელჩოს თარჯიმანი და ესაუბრა იმაზე, რომ „რუსეთის მიმართ პორტა შეურს იძიებდა”. ამასთან დაკავშირებით, დიდვაზირმა თარჯიმანს „მისცა რამდენიმე დაგალება მის ელჩთან”. ვაზირის მიზანი იყო, თარჯიმანს ეს ინგლისის ელჩისთვის ეცნობებინა და „ქრისტიანების (დასავლეთის სახელმწფოების – მ.კ.) აზრი გაეგო”. 6. თეილსი იქვე დასძენს: „...რომ ინგლისის მეფეს იგივე გრძნობები ამოძრავებდა, რაც მას წარსულში პქონდა რუსეთის წინააღმდეგ” [Osterreichishes... თ. 90: 90]. სტანიანი კი 1723 წლის 19 თებერვლის წერილით კარტერეტს აუწყებდა, რომ მან მოსკოვიდან დაწვრილებით შეიტყო პეტრე I-ის მომავალი ლაშქრობის შესახებ და ვაზირის დაგალებით საიდუმლოდ მიმართა თავის კოლეგას ვენაშიც [J. Jacob, 1945: 70]. „პეტრე I-ის კასპიისპირეთში მომავალი ლაშქრობის შესახებ ცნობები გამიზნული იყო იმისათვის, რომ სტანიანს დიდვაზირი შეემფოთებინა რუსეთის ექსანტით” [J. Jacob, 1945: 70].

საინგლერესო ცნობას ვკითხულობთ 6. თეილსის რეალუციაში იმის შესახებ, თუ როგორ უსაბუთებდა სტანიანი დიდვაზირს რუსეთის კასპიისპირეთში მომავალი ლაშქრობის საბაბს: „ინგლისის ელჩისაგან წაქეზებულ ვაზირს სურდა რუსი შათორის გაგდება.... შეეხო რა ის (სტანიანი – მ.კ.) დივანზე მიღებულ გადაწყვეტილებას, განაცხადა..., რომ მეფის (პეტრეს – მ.კ.) პრეტენზიები დაუდ ხანის წინააღმდეგ გამოწვეულია 4 მილიონის ზარალით, რის გამოც მეფე განგებ ეძებს მუდმივი უთანხმოების საბაბს, რადგან კარგად იცის, რომ დაუდ ხანი არასოდეს გადაუხდის ამ თანხას რუსეთს” [Osterreichishes... თ. 90: 86].

როგორც ვხედავთ, ინგლისის დიპლომატია იყენებდა რა რუსეთ-თურქეთის წინააღმდეგობასა და შეუთანხმებლობას, მთელი მონდომებით ცდილობდა გამოეწვია მათ შორის ომი, ხოლო თურქეთს, სტანიანის რჩევით, საქართველო გამოყენებინა, როგორც რუსეთის შემაკავებელი ზღუდე.

რუსეთ-თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობა გრძელდებოდა. ეს ვითარება თითქოს უნდა შეეცვალა 1723 წლის ოქტომბერში მოსკოვში ჩასული თურქი დესპანისათვის შეთავაზებულ წინადაღებას ორივე ქვეყნის მხრიდან საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. მაგრამ რუსეთიდან 1723 წლის მაისში თურქი დესპანის ნიშლი მჯგნედ ადას დაბრუნების შემდეგ, თურქეთის მთავრობამ დაისკვნა, რომ პეტრე I საქართველოზე ხელის ადგებას აპრებდა [M.Shay, 1944: 108]. თურქეთის მთავრობა კი იმედს არ კარგავდა, რომ თავის ექსპანსიონისტურ პოლიტიკაში ინგლისი მხარდაჭერას აღმოუჩენდა [M.Shay, 1944: 107]. სტანიანი კი ცდილობდა, დაერწმუნებინა სულთანი, რომ „რუსეთთან ომი საშიში არაა, რადგან ქვეყნის შიგნით არ ულობაა; ამასთან, მან რუსეთში ურთიერთობა დაამყარა ისეთ პირთან, რომელიც ომის შემთხვევაში შეიძლება თურქეთისათვის გამოსადეგი იყოს“ [C.Соловьев, 1963: 399]. ინგლისის მთავრობა სულთანს რუსეთთან ომის შემთხვევაში ფულად დახმარებას პპირდებოდა [C.Соловьев, 1963: 231]. რუსეთ-თურქეთის მტრობის გასაღვივებლად პეტრე I-ისადმი უნდობლობის დასანერგად სტანიანი უფლებამოსილი იყო, დაეხარჯა 10. 000 პიასტრი [A History..., 1976: 231].

ამიერკავკასიაში თურქეთის აგრესიულ პოლიტიკას რუსეთი მტკიცე დიპლომატიურ წინადაღდებობას უწევდა, მაგრამ ევროპის დიპლომატთა მხარდაჭერით წაქეზებული პორტა თავის პოზიციებს არ თმობდა. 1723 წლის აპრილისათვის დიდგვაზირი ნეპლიუევს სთხოვდა, ეცნო რუსეთს ირანი, ამიერკავკასია და დარქესტანი თურქეთის უფლებებში [АВПР, 1723 დ. №5, ვ. II: 241]. არზრუმის ფაშა პირველსავე ნიშანზე უნდა დაძრულიყო საქართველოსაკენ, რომლის დაპყრობა სტანიანის აზრით, „... ფაშას დიდი ძალების გარეშე შეეძლო“ [J.Jacob, 1945: 73].

1723 წლის 10 ივნისს თურქეთის ჯარმა თბილისი დაიკავა. ამ ცნობამ ლონდონში დიდი სიხარული გამოიწვია. „კარტვ-

რეტმა სწორ გადაწყვეტილებად ჩათვალია, რომ თურქეთმა იარაღს მოკიდა ხელი. ამჯერად საქართველოს არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია და მისი შენარჩუნება ადვილი იყო, რადგან მეფეს (პეტრეს – მ.კ.) ბალტის ზღვაზე მოუწესრიგებელი საქმეები ჰქონდა და საქართველოს ვერ დაეხმარებოდა”. ამიტომ, ... თურქებს ეს ერთადერთი საშუალება უნდა გამოეყენებინათ, – აძლევდა ინსტრუქციას კარტერები სტანიანს, – რომ არ მიეცათ საშუალება პეტრე დიდისთვის, დაედო თურქეთიან ხელსაყრელი ზავი” [ჭაცობ, 1945: 73].

რუსეთის რეზიდენტის ნეპლიუევის ცდა, შეეჩერებინა თურქეთის ჯარის საქართველოში შემოსვლა, უშედეგო აღმოჩნდა. კონსტანტინოპოლიში საფრანგეთის ელჩის მარკიზ დე ბონაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნეპლიუევმა ყველაფერი გააპეთა, რაც კი შეეძლო, რათა უარი ეთქვა პორტას საქართველოში ჯარის შევგანაზე” [რცპივეს დუ ინისტრე... თ. 4; თ. 65-66: 66, 168]. თბილისის დაკავების შემდეგ თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა, დაეწყო მოლაპარაკება რუსეთის რეზიდენტთან იმ მიზნით, რომ საბოლოოდ გადაჭრილიყო ირანისა და ამიერკავკასიის საკითხი [გ.პაიჭაძე, 1981: 145].

1723 წლის 14 ივლისს შედგა პირველი კონფერენცია კონსტანტინოპოლიში. ნეპლიუევი ხელშეკრულებაში მოცემული საკითხების შეთანხმებამდე მოითხოვდა თურქეთს შეეწყვიტა საომარი მოქმედებები ამიერკავკასიასა და ირანის მიმართულებით. ეს წინადადება პორტამ უარყო. ვერც მეორე თათბირზე მოხდა ამ საკითხზე შეთანხმება. მესამე თათბირზე, აგვისტოში, თურქეთის წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რუსეთს ეცნო, რომ პორტა საქართველოს, აზერბაიჯანის, დაღესტანისა და შირვანის სახით თავისი „ძველისძველი” მიწების დაბრუნებას ესწრაფეოდა. ნეპლიუევმა უარი განაცხადა, განეხილა ეს საკითხი, რადგან ამაზე არ ჰქონდა უფლებამოსილება და უნდა დალოდებოდა მითითებებს [J.Hammer, 1844: 397]. რუსეთის რეზიდენტი კვლავ დაჟინგით ითხოვდა, რომ თურქეთს შეეწყვიტა საომარი მოქმედება, რათა შეთანხმებისთვის მიეღწიათ, და უარი განაცხადა განე-

ხილა საქართველოს საკითხი [M.Shay, 1944: 106]. ნეპლიუევმა დიდვაზირს სთხოვა, შეწყვეტილიყო ომი, ვიდრე ყოველივეს პეტრე I-ს შეატყობინებდნენ და მიიღებდნენ მითითებას. თურქეთის მხარე ნეპლიუევს დათანხმდა, რომ 3 თვით შეწყვეტდა საომარ მოქმედებას [J.Hammer, 1844: 396].

1723 წლის დასასრულს რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებები შეწყდა. ამის მიზეზი იყო რუსეთ-ირანის 1723 წლის 12 სექტემბრის პეტრებურგის ხელშეკრულების შესახებ ცნობა, რომელიც დაკამბერში ვენის გავლით კონსტანტინოპოლში მიიღეს [M.Shay, 1944: 101]. იგი მანმადე ფართოდ იქნა რეპლამირებული ევროპაში რუსეთისადმი მტრობის სულისკვეთებით. თურქეთის განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა ამ ხელშეკრულების ის მუხლი, რომლითაც რუსეთის მტრები ირანის მტრებად იყვნენ მინჩეული და პირიქით, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ ისინი ერთმანეთს უნდა დახმარებოდნენ.

ინგლისის ელჩი იმედს არ კარგავდა, რომ ეს საერთო აღშფოთება ახლა მაინც მიიყვანდა თურქეთს რუსეთთან ომამდე [J.Jacob, 1945: 75]. სტანიანის განმარტებით, ეს ხელშეკრულება წარმოადგენდა თურქეთის წინააღმდეგ რუსეთ-ირანის კავშირს [J.Jacob, 1945: 75]. 1724 წლის 11 იანვარს ვაზირთან აუდიენციაზე სტანიანმა “... ხაზი გაუსვა იმ მძიმე შედეგებს, რაც მოჰყვებოდა რუსეთ-ირანის კავშირს და თურქეთის სპარსეთთან ვაჭრობის დაკარგვას. ან მიუთითა იმ შესაძლებლობაზე, რის საფუძველზედაც დაეუფლებოდა მეფე სპარსეთის ტახტს. სტანიანი ისე შორს წაგიდა, რომ წარუდგინა რა თურქ მინისტრებს ზოგიერთი ინსტრუქცია, ვაზირი დააშინა და დაითანხმა თავის მოსაზრებებზე [J.Jacob, 1945: 75].

1724 წლის დასაწყისისათვის რუსეთი თურქეთთან ომის ზღვართან იყო. 15 იანვარს დივაზე საკითხი ასე იდგა: ომი თუ მშვიდობა. ხმის უმრავლესობა ომის მომხრე იყო, მაგრამ დე ბონაკის ჩარევამ ვითარება განმუხტა [J.Jacob, 1945: 75].

დიდი დიპლომატიური ბრძოლა უძღვდა წინ 1724 წლის 12 ივნისის კონსტანცინოპოლის ხელშეკრულების შემუშავებას. ამ ბრძოლაში აშკარად გამოიკვეთა ინგლისის დიპლომატიის პოზიცია, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობდა მის ჩაშლას. ასეთ რთულ საერთაშორისო ვითარებაში ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ დაიდო აღნიშნული ხელშეკრულება, რითაც რუსეთის გამგებლობაში გადავიდა 1723 წლის 12 სექტემბრის რუსეთ-ირანის პეტერბურგის ხელშეკრულებით მიღებული კასპიისპირეთის პროვინციები; ასევე ვიწრო სანაპირო ზოლი დარუბანდიდან შემახამდე. ამის საკომანდისაციოდ თურქეთმა ძალაუფლება დაამყარა აღმოსავლეთ საქართველოზე, განჯაზე, ერევანზე, ყარაბახზე, თაგრიზსა და ყაზინზე.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე დავასკვნით: კონსტანცინოპოლის ინგლისის დიპლომატიის ანტირუსული საქმიანობის მთავარი ამოცანა იყო, თურქეთი ჩაება რუსეთისათვის არასასურველ ომში. ამით ის ორ მიზანს ისახავდა: პირველი, თურქეთის საშუალებით მოეხდინა რუსეთის ძალების ბლოკირება აღმოსავლეთში. რამდენადაც ინგლისს ამიერკავკასიის ხალხთა უშუალო დამორჩილების საშუალება არ ჰქონდა, ის არჩევდა ეს ქვეყნები წინანდებურად ირანისა და თურქეთის ხელქვეთები ყოფილიყვნენ. შექმნილ ვითარებაში, როცა ირანი ძალაწართმეული იყო, ინგლისის დიპლომატია ამის მიღწევის საფუძველს თურქეთის მიერ ამიერკავკასიის დაპყრობაში ხედავდა. მეორე, მოეხდინა ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებით გამოსული რუსეთის ძალების პარალიზება და შეენარჩუნებინა „ძალთა წონასწორობა“. ეს პოლიტიკა უარყოფით გავლენას ახდენდა რუსეთის მოკავშირე ამიერკავკასიის ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, რამდენადაც იგი მხარს უჭერდა თურქეთის ბატონობას დამორჩილებულ ხალხზე. ამით ინგლისის დიპლომატია აღწევდა, განემტკიცებინა საკუთარი სახელმწიფოს პოზიციები შეა და ახლო აღმოსავლეთში.

მართალია, აღნიშნულ პერიოდში თურქეთმა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა შეინარჩუნა, მაგრამ ინგლისის დიპლომატიის ანტირუსულ საქმიანობას ის შედეგი ჰქონდა, რომ რუსეთი იძულებული გახდა მთელი ყურადღება ჩრდილოეთისაკენ გადაეტანა, რადგან თურქეთი იყო რა აღმოსავლეთში რუსეთის თანაბარმნიშვნელოვანი მოწინააღმდეგგა, წინანდებურად დიდ სახელმწიფოდ რჩებოდა.

აღნიშნულის ფონზე ნათლად გამოჩნდა, რომ ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადება ემყარებოდა ახლო აღმოსავლეთში ძალთა თანაფარდობის მცდარ შეფასებას. „მას გააზრებული არ ჰქონდა, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მზად ამ რეგიონის დასაპყრობად. კერც ის გაითვალისწინა, რომ სპარსეთის იმპერიის დაცემას, რასაც მან ასე ძლიერ შეუწყო ხელი, აუცილებლად მოყვებოდა შექმნილი პოლიტიკური ვაკუუმის თურქების მიერ დაკავება” [დლენგი, 2003: 129]. ცხადია, ამის გათვალისწინება ქართლის მეფეს უდავოდ მართებდა. შექმნილ ვითარებაში შედარებით კარგ გამოსავლად აქტიური „დოდინის პოლიტიკა” ჩანდა. ძნელია, დღეს გიმარჩიელოთ საბოლოოდ მას რა დადგბითი შედეგი ექნებოდა, მაგრამ ეს პოლიტიკა ვახტანგ VI-ს დიპლომატიური მანევრირების სრულ საშუალებას დაუტოვებდა და უგანდასახევი გზა მოჭრილი არ ექნებოდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. Архив внешней политики России (АВПР), ф. Сношения России с Турцией, 1722, д. №4; д. № 6, ч. I; 1723, д. №5, ч. I, II.
2. Osterreichisches Staatarchives, Turcica, t. 90.
3. Archives du Ministere Affaires Etrangeres, Paris, „perse”, t. 4; „Turquie”, t. 65, 66.
4. დლენგი დევიდ, საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, თარგმნა მიხეილ გამყრელიძემ, თბ., 2003.
5. პაიჭაძე გ., ვახტანგ მეექვე, თბ., 1981.

6. A History of the ottoman to 1730, chapter by V. G. Parry and others- edited by M. A Mosk, Cambridge University press, 1976.
7. Hammer J. Histoire de l' Empire ottoman, depuis son origine jusqu'a nos jours, t. III, Paris, 1844.
8. Jacob J. Beziehungen Englands zu Russland und zur Turkei in den jahren 1718- 1727. eine historisch_diplomatishe Studie, Bd. 18, Basel, 1945.
9. Lokhart L.L. The fall of the Safavi Dynasty and the Afghan occupation of Persia, Cambridge, 1958.
10. Shay M. L. The Ottoman Empire from 1720 oto 1734 as revealed in dispatches of the Venetian baili, Urbana, 1944.
11. Wood A. C. The English embassy at Constantionple, 1600- 1762. _ „The English Historical Review”, vol. XL, N 160, October, 1925.
12. Соловьев С. М. История России с древнейших времен, в пятнадцати книгах IX, М., 1963.

Murman Papashvili

Diplomacy of England in Russian-Turkish strained relations and Georgia (1722-1724)

Summary

In 20-s' years of XVII century the current actions in Iran, Caspian coast marsh of Peter the first and military-political connection of the king of Kartli Vakhtang VI took the important place in diplomacy of England.

In Constantinople the English ambassador A. Stanian by all means tried to lead to the war the revolted Turkish, because of the Russian king's Caspian coast marsh, and so it would manage to prevent its position consolidation in Transcaucasus. The main issue of England antirussian diplomacy in Constantinople was the fact, that Turkish was involved in undesirable war for Russia. By the fact England aimed to block the Russian forces in the East by the means of Turkey. As England couldn't subordinate the people of Transcaucasus, it preferred the countries stayed under Iran and Turkey's command. The politics influenced negatively on Russia's ally - Georgia's strangle for independency. It revealed the fact, that the military-political

agreement of the king of Kartli Vakhtang VI with Russia was a mistake. In the given situation, “active waiting” politics of the king of Kartli was a comparative good decision, as it would allow the diplomacy maneuvers.

Мурман Папашвили

Дипломатия Англии в обострении русско-турецких отношений и Грузия (1722- 1724 гг.)

Резюме

Главной целью антирусской деятельности английской дипломатии в Константинополе было вовлечение Турции в нежелательную войну с Россиею. Этим английская дипломатия преследовала цели: во- первых, с помощью Турции заблокировать русские силы на Востоке, во- вторых, парализовать на европейской политической арене действия усилившейся России и сохранять „равновесие сил”. Такая политика оказывала отрицательное воздействие на освободительное движение союзных России народов Закавказья, ибо потворствовала господству Турции над ними. Результатом антирусской деятельности английской дипломатии явилось то, что Россия была вынуждена перенести все внимание на Север, ибо Турция, будучи равным для России соперником на Востоке, оставалась по- прежнему великой державой.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ქართლ-კახეთის მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხისათვის

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II რუსეთის მხარეზე გამოვიდა. რუსეთთან ალიანსში იგი ოსმალთაგან მიტაცებული ქართული მიწების განთავისუფლებას ისახავდა მიზნად [ვ.მაჭარაძე, 1988: 415-416 (დოკ.№160)]. მოკავშირისადმი პეტერბურგისა და მისი წარმომადგენლების დამოკიდებულებამ ერეკლეს მისწრაფებები ჩაშალა, თანაც ქართლ-კახეთის სამეფოს სერიოზული პრობლემებიც შეუქმნა [ო.ჯიბაშვილი, 2007: 159-163]. საინტერესოა, იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით, რამდენად გამართლებული იყო ერეკლე II-ის ზემოთ აღნიშნული ნაბიჯი და პქონდა თუ არა მისი გეგმების რეალიზებისათვის საჭირო რესურსები ქართლ-კახეთის სამეფოს?

გავანალიზოთ არსებული მდგომარეობა.

მესხეთის (დაზეთითურ) განთავისუფლების იდეა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში არ გაჩენილა სპონტანურად, მხოლოდ რუსეთ-ოსმალეთის აღნიშნულ ომთან დაკავშირებით. ეს მტკიცნეული საკითხი ყოველთვის წარმოადგენდა ფიქრისა და განსჯის საგანს ქართველი ერის პროგრესული ნაწილისათვის. არც ის იყო შემთხვევითი, რომ განსაკუთრებული აქტიურობით ეს აზრი ერეკლე II-ის სამეფო ქარზე მუსირებდა. მოცემული პერიოდისათვის გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო ქართულ სამყაროში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ერთულს წარმოადგენდა. შესაბამისად, პრობლემის მოგვარების პრეტენზიაც ყველაზე მეტად აქირმნობოდა.

კახელი ბაგრატიონების თაოსნობით აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებას საფუძველი XVIII საუკუნის II მეოთხედში ჩაეყარა, როცა ქართლის შეურიგებელი ბრძოლის ფონზე კახეთის მეფე თეიმურაზ II-მ თანდათან პროირანული კურსი აიღო. ირანის მაშინდელმა მბრძანებელმა ნადირ-შაჰმა (1736-1747 წწ.) სათანადოდ შეაფასა კახეთის მეფის ფაქტორი და იგი წარმატებით დაუპირისპირა როგორც ქართლის ჯანებულ თავადებს, ისე ჭარელებს, ოსმალებსა და ვახტანგ მეფის ძეს – ბაქარ ბატონიშვილს, რომელიც რუსეთის კანდიდატად მოიაზრებოდა ქართლის ტახტზე. სანაცვლოდ „ნადირ-შაჰმა თეიმურაზს ჯილდოდ დიდი ფული გამოუგზავნა და ქართლის მმართველობაც ყაზახ-ბორჩალოთი მას ჩაბარა“ [ნ.ბერძენიშვილი, 1973: 335]. 1744 წლის ივნისში შაჰის ნებით თეიმურაზი ქართლის, ხოლო მისი ვაჟი ერეკლე კახეთის მეფედ დაინიშნა. ფაქტობრივად, ქართლ-კახეთი გაერთიანდა.

მამა-შვილის სამხედრო-პოლიტიკურმა ტანდემმა და მათ-დამი ირანის ხელისუფლების ლოიალურმა დამოკიდებულებამ კარგი პერსპექტივა შექმნა ქვეყნის შემდგომი გაძლიერებისა და ისტორიული ქართული მიწების შემოერთებისათვის. წინა პლანზე მაშინვე მესხეთის საკითხი წამოიწია. 1744 წელს, ისარგებლა რა ირან-ოსმალეთის ომით, თეიმურაზ II ახალციხის მხარის დაკავებას შეეცადა. მის იმედებს, როგორც ჩანს, ირანი კეებავდა. პაპუნა ორბელიანის ცნობით, იმავე წლის მიწურულს ნადირ-შაჰს უთქვამს კიდეც თეიმურაზისათვის: „ვითა შვილი ჩემი ეგრე გოყურებ, მარტო ქართლი შენი საკადრისი არ არის, სხვის ქვეყნისაც მოიმედე იყავ“ [პ.ორბელიანი, 1981: 90]. ეხება რა ამ ცნობას, პროფ. შ.ლომსაძე ვარაუდობს, რომ ეს „ქვეყანა“ სამცხე-საათაბაგო უნდა ყოფილიყო [შ.ლომსაძე, 1975: 58]. ამასვე ფიქრობს პროფ. მ.სამსონაძეც [მ.სამსონაძე, 1988: 78-80]. თეიმურაზ მეფემ მართლაც გააქტიურა თავისი მოქმედება ამ მიმართულებით და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს წამოწყება ჩაიშალა – ნადირ-შაჰმა საჭიროდ ჩაოვალა ქართ-

კელებს დაკავებული ტერიტორიები დაცვალათ [შ.ლომსაძე, 1975: 59; მ.სამსონაძე, 1988: 80]. ეს შემთხვევა კარგი მაგალითია იმისა, თუ რამდენად რთულია ქართული საქმის კეთება უცხო ძალაზე დაყრდნობით.

1747 წელს შეთქმულებმა ნადირ-შაჰი მოკლეს. ირანი ანარქიამ მოიცვა. გაერთიანებული ქართლ-კახეთისათვის ხელსაყრელი დრო დადგა დამოუკიდებელი პოლიტიკის საწარმოებლად. მამა-შვილი აქტიურად ჩაება ამიერკავკასიაში პეგემონობისათვის გამართულ ბრძოლაში და 40-50-იან წლებში მათ მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. კერძოდ, საქართველოს სამანებში შემოვიდა შამშადილი, ერევნისა და განჯის სახანოები მოხარეები გახდნენ, ხოლო შაქის, შამახის, ყარაბაღისა და ნახშევნის მფლობელები საჯაროდ აღიარებდნენ ქართველი მეფეების უზენაესობას [სინ, 1973: 630]. იმ ხანებში თეიმურაზ-ერეკლეს გარემოცვაში ირანის ტახტზე ქართველთათვის სასურველი კანდიდატის აყვანის პროექტებიც მუშავდებოდა [ნ.ბერძენიშვილი, 1973: 354-355; დ.ჯანელიძე, 1972: 153; მ.სამსონაძე, 1988: 118-120], რაც თვალსაჩინოდ მეტყველებს ქართლ-კახეთის პოლიტიკური როლის ზრდაზე.

სამხრეთ კავკასიაში ქართლ-კახეთის პეგემონობა შენარჩუნებული იყო 1760-70-იანი წლების მიჯნაზეც, როცა ამ სამეფოს ერთპიროვნული მმართველობის სადავები ერეკლე მეფის ხელში იყო მოქცეული. ამაზე ნათლად მეტყველებს იმდროინდელი დოკუმენტებიც. მაგ. რეგიონში ერეკლე II-ის აშკარა ლიდერობაზე საგანგებოდ მიუთითებს რუსეთიდან საქართველოში 1770 წლის ზაფხულში სპეციალური მისით ჩამოსული ლეიბ-გვარდიის სემიონოვსკის პოლკის კაპიტანი ნ.იაზიოვი 1772 წლის ნოემბრის მოხსენებაში [ვ.მაჭარაძე, 1997: 521(დოკ. №492)]. ამასვე აღნიშნავს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც 1769 წლის აპრილითაა დათარიღებული, შედგენილია პეტერბურგში, იმერეთის ელჩის, მიტროპოლიტ მაქსიმე ქუთათელის მონათხოვის საფუძველზე და ასახავს

იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობას [ვ.მაჭარაძე, 1988: 320(დოკ. №98)].

„ნადირშას გაზრდილ” ერეპლეს სერიოზულ ანგარიშს უწევდა ირანიც, რომელიც მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო გამოსული შინაფეოდალური ომებიდან და მისი პროვინციების მხოლოდ ნაწილი ემორჩილებოდა ქერიმ-ხან ზენდს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს ის ფაქტი, რომ ქერიმ-ხანმა, რომელმაც ირანში შექმნილი ვითარებისა და ერეპლეს გაძლიერების გამო პრაქტიკულად ვერ შეძლო აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილება [სინ, 1973: 631], იძულებით ცნო „ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აგრეთვე ერეპლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე და ამით აღიარა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში” [ნ.ბერძენიშვილი, 1965: 208].

იმედის მომცემი იყო ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარებაც.

თეიმურაზ II-ის რუსეთში გარდაცვალების გამო (1762 წ. იანვარი) ქართლ-კახეთი ერეპლე II-ის ხელში გაერთიანდა. „მარკოზაშვილის დარბაზელების” შეოქმულების გახსნითა და წევრების დასჯა-გასამართლებით (1765 წ.) გარკვეულწილად დაგამი ამოედო ფეოდალთა თვითხელობას. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეშიც – გაუქმდა არაგვის საერისთავო (1743 წ.), ყაზახისა (1755 წ.) და ბორჩალო-ბაიდარის (1765 წ.) სახანოები და ამიერიდან მათ უშუალოდ მეფის მოურავები მართვდნენ [ნ.ბერძენიშვილი, 1965: 208-210]. 1769 წელს ერეპლე II-მ ქსნის საერისთავოს გაუქმებისა და მისი სახასოდ გადაქცევის გადაწყვეტილებაც მიიღო [ცხსსა, 506]. აღმავლობას განიცდიდა ეკონომიკა [ზ. ცქიტიშვილი, 1982: 21]. მოქმედებდა ვერცხლის, სპილენძის, რკინისა და ტყვიის სადნობი ქარხნები [გიულდენშტედტი, 1962: 229], რომლებიც საქმაოდ სოლიდურ შემოსავალს აძლევდა ხაზინას [ალ-კოჭლავაშვილი, 1955: 337]. დიდი უურადღება ექცეოდა სოციალური საკითხების მოწესრიგებას [ნ.ბერძენიშვილი, 1973: 399-409].

პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობის შესაბამისი იყო რელიგიური და იდეოლოგიური ხასიათის მოვლენებიც. ანტონ კათალიკოსის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდებოდა ქართული ეკლესიის გასაძლიერებლად. საფუძველი ეყრდნა ქრისტიანობის ინტენსიურ პროპაგანდას კავკასიის მთიანეთში [ნ.ბერძენიშვილი, 1973: 356].

ქართლ-კახეთის პოლიტიკური როლის ზრდამ 60-იან წლებში ბიძგი მისცა პროქარტული ორიენტაციის წარმოშობასაც და „გამოაცოცხელა ახლო აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების, უპირატესად ქრისტიანების, განმათავისუფლებელი მოძრაობა (ხომენი, აისორები, ქურთთა ზოგიერთი ტომი, ანატოლიელი ბერძნები და სხვ), რომლებიც იმ დროს საქართველოს დახმარებით ფიქრობდნენ თავისუფლების მოპოვებას და ერეკლეს მფარველობას მოითხოვდნენ“ [სინ, 1973: 635].

ერეკლეს სახელი დიდი რეზონანსით სარგებლობდა ეპროპაშიც [დ.ჯანელიძე, 1972: 151-158; ი.ტაბაღუა, 1978: 58-59; ი.ტაბაღუა, 2000: 3-9].

ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთი „ამ პერიოდში რეგიონის ყველაზე ძლიერ ერთეულად გამოიყურებოდა“ [მ.სამსონაძე, 1988: 117], რასაც ერეკლე II-მ ძირითადად თავის ქვეშევრდომებზე დაყრდნობით მიაღწია. მათი რიცხვი მეფის ბრძანებით ჩატარებული ქართლ-კახეთის სამეფოს 1770 წლის 5 აპრილის აღწერის მიხედვით 42-43 ათას კომლამდე ივარაუდება, საიდანაც ქართველები ნახევარზე ცოტა ნაკლებს შეადგენდნენ [ვ.მაჭარაძე, 1988: 546-548(დოკ. №242)]. ქართველების არაქართველებთან ასეთი შეფარდება დასტურდება სხვა წყაროებითაც [გიულდენშტედტი, 1962: 187].

5 აპრილის აღწერის მონაცემებთან შედარებით მოსახლეობის განსხვავებულ რიცხვს ასახელებს მკვლევარი ვ.ჯაოშვილი. 1770 წლისათვის იგი აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ თანამედროვე საზღვრებში 43095 კომლს ანუ 330677 სულს ვარაუდობს (იმავე ფარგლებში 5 აპრილის აღწერით 33560 კომლი ითვლება) [ვ.ჯაოშვილი, 1984: 47-48]. რადგან ამ

რიცხვში შეყვანილი არ არის ქართლ-კახეთის სამეფოს სამხერეთი პროვინციების ძირითადად თათრულ-სომხური (5 აპრილის აღწერით 9-10 ათასი კომლი, რეალურად კი უფრო მეტი) და ისტორიული დვალეთის ოსური მოსახლეობა, აღნიშნული 43 ათასი კომლიდან დიდ უმრავლესობად ქართველები უნდა მოვიაზროთ, რაც არცოუ ისე ცოტაა რეგიონში არსებული იმდროინდელი კითარების გათვალისწინებით. შედარებისათვის მოვიყვანო ზოგიერთ მონაცემს. მაგ. ყუბასა და მის მიერ მიერთებულ სახანოებში (დარუბანდი, ბაქო, ჯავათი, შირვანი) აზერბაიჯანელი ისტორიკოსის გაბდულავის ვარაუდით 1770-იანი წლების დასაწყისისათვის დაახლოებით 345 ათასამდე კაცი ცხოვრობდა [Г.Абдуллаев, 1965: 241]. მისივე მონაცემებით XIX საუკუნის I ნახევრისათვის ყარაბაღის სახანოში 84 ათასი, ხოლო შაქში 90 ათასი სული ირიცხებოდა [იქვე]. ვჯაოშვილის გამოკვლევით კი 1770 წლისათვის დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში (აფხაზეთითურთ) დაახლოებით 45780 კომლი ანუ 359249-მდე სული უნდა ყოფილიყო [ვჯაოშვილი, 1984: 48].

ინტერესმოკლებული არ იქნება ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის დემოგრაფიული მდგრადირეობის გაცნობაც.

მრავალეროვანი ირანი, რომელიც დღესაც კი „40-ზე მეტი ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის“ წარმომადგენელითად დასახლებული [ვაბაბალაშვილი, 1987: 31], XVII საუკუნის ბოლოდან და, განსაკუთრებით, XVIII საუკუნის შემდეგ სახელმწიფო მოკიდებული ისე განადგურდა გარე აგრესის, ტომთაშორისითუ შიდაფეოდალური ომებისა და სტიქური უბედურებებისაგან, რომ XIX საუკუნის I ნახევარშიც კი მისი მოსახლეობის რაოდენობა მხოლოდ 6 მილიონს აღწევდა [ვ. ბაბალაშვილი, 1987: 21-23].

ასევე მრავალეროვანი ოსმალეთის იმპერია 1760-იანი წლების ბოლოს 25 მილიონზე მეტ ქვეშევრდომს მოითვლიდა [Восточный вопрос..., 1978: 33]. ამ მოსახლეობის უმრავლესობას დაპყრობილი ხალხები შეადგენდნენ, რომლებიც,

ქრისტიანებიცა და მუსლიმებიც, განუწყვეტლივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს ეწეოდნენ და თავიანთი ცენტრიდანული მისწრაფებებით სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ ბრწყინვალე პორტას. სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, რომ ამ დროისათვის ეთნიკური თურქები იმპერიის მოსახლეობის მხოლოდ 45 % უნდა ყოფილიყვნენ [ვლორთქიფანიძე, 1998: 73-74]. მათი წილი თვით ანატოლიაშიც კი XIX საუკუნის მთელ სიგრძეზე 50-55 % იყო, დანარჩენ ნაწილს ანტიოსმალურად განწყობილი ასი ათასობით ქართველი, სომები, ბერძენი, ასირიელი, ქურთი და სხვა შეადგენდა [იქვე]. თავისთავად ცხადია, რომ შეურიგებელი ანტიოსმალური ბრძოლების პირობებში იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს „საერთო სამშობლოს გრძნობა და ამ სამშობლოსადმი სიყვარული არათუ არ გააჩნდათ, არამედ, პირიქით, დროთა ვითარებაში ოსმალეთის მრავალეროვანი მოსახლეობა სულ უფრო და უფრო ნაკლებად იყო მოსურნე, რომ ერთად, ერთ სახელმწიფო ფარგლებში ეცხოვრა“ [ო.გიგინეიშვილი, 1982: 112]. უფრო მეტიც, სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის თვით თურქელი ელემენტიც კი არ იყო ბოლომდე საიმედო დასაყრდენი. თურქებს, რომელთა უმრავლესობა ანატოლიაში იყო კონცენტრირებული, არათუ XVIII საუკუნეში, XX საუკუნის დასაწყისშიც კი არ ჰქონდათ საერთო-ეროვნული თვითშეგნება ბოლომდე ჩამოყალიბებული [იქვე]. მათში ვიწრო-ტომობრივ თუ ფეოდალურ სეპარატისტულ გამოვლინებებს საკმაოდ ხშირად ჰქონდა ადგილი. ამდენად, ეთნიკურად და კონფესიურად ჭრელი ოსმალეთისათვის 25 მილიონიანი მოსახლეობა იმ დროისათვის არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში აშკარად გამოხატული სეპარატიზმის სათავე უფრო იყო, ვიდრე ქვეყნის ძლიერების გარანტი.

რაც შეეხება რუსეთის იმპერიას, 1770-იანი წლების ბოლოსათვის ეს ქვეყანა ფლობდა 14084259 კმ² ტერიტორიას, რომელზედაც დაახლოებით 18-19 მილიონიანი მრავალეროვანი (რუსული ელემენტის დომინანტობით) მოსახლეობა იყო

გაფანტული [Очерки ист. СССР, 1956: 45]. საკუთრივ კავკასიაში (ჩრდ.კავკასია) რუსი ეთნოსი სუსტად, ძირითადად შერეული კაზაკური მოსახლეობის სახით იყო წარმოდგენილი.

რეგიონის ასეთ დემოგრაფიულ ფონზე ქართლ-კახეთის სამეფოს მაშინდელი მოსახლეობა, რომელიც ვჯაოშვილის გამოკლევისა და 5 აპრილის აღწერის მონაცემების შეჯერებით, აგრეთვე ქართველების არაქართველებთან ზემოაღნიშნული ურთიერთშეფარდების გათვალისწინებით, 400 ათას კაცამდე მაინც უნდა ვივარაუდოთ, რაც არც ისე ხელწამოსაკრავ ძალად მოსჩანს. მით უმეტეს, იგი შედარებით მცირებერიტორიაზე იყო კონცენტრირებული და ერთი თვითმკურობელი მონარქის საკმარის მტკიცე ხელისუფლებას ემორჩილებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფო სამხედრო პოტენციალის თვალსაზრისითაც სერიოზულ რესურსებს ფლობდა ახლო მეზობლებთან შედარებით. 5 აპრილის აღწერის მასალებში ერეკლე II თავის საბრძოლო ძალებს 23 ათასი კაცით განსაზღვრავს [ვ.მაჭარაძე, 1988: 549(დოკ. №242)], მაშინ როცა მისივე მონაცემებით ახალციხის საფაშოს 5 ათასი კაცის გამოყვანა შეეძლო, ყარსისას – 2 ათასი, ერვნის სახანოს – 2 ათასი, განჯას – 3 ათასი, ყარაბაღს (სომხის მელიქებითურთ) – 6500, შაქე – 3 ათასი, ჭარ-ბელაქნის ოემებს – 5-6 ათასი. რაც შეეხება პოლიტიკურად დაქუც-მაცებულ და ეთნიკურად უაღრესად ჭრელ დაღესტანს, მხოლოდ განსაკუთრებულ მომენტებში, ვისიმე თაოსნობით დროებითი გაერთიანების შემთხვევაში შეეძლო გამოეყვანა 22 ათასი და მეტი მეომარი [იქვე, 357-360(დოკ. №123)].

ცალ-ცალკე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ვერცერთი პოლიტიკური ერთეული ვერ შეედრებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს ძლიერებით. მასზე გაერთიანებული ძალებით თავდასხმის შემთხვევაშიც გამარჯვება უმეტესად ქართველებს რჩებოდათ. მაგ. ცნობილია, როგორ დაამარცხა ერეკლე მეფემ ორგზის (1754-1755 წწ.) ავარ-ხანის მეთაურობით ქართლ-

კახეთში შემოჭრილი დაღესტნის გაერთიანებული ძალები. აქედან რიგით მეორე შემოსევაში დაღესტნელთა 22 ათასიან ლაშქართან ერთად ჭარბელაქნელთა, განჯელთა და შაქელთა 10 ათასიანი ჯარიც მონაწილეობდა [იქვე, 360(დოკ. №123)]. ქართლ-კახეთის სამხედრო უპირატესობა ერეკლეს მხედართმთავრული ნიჭითა და ქართველი მებრძოლის კარგი თვისობრივი მონაცემებით იყო განპირობებული. საინტერესოა, რომ ქართული ჯარის სიმამაცესა და ბრძოლისუნარიანობაზე საგანგებოდ მიუთითებდა რუსეთის ელიტარული პოლკის ოფიცერი, კაპიტანი ნ.იაზიკოვი [ვ.მაჭარაძე, 1997: 521-523(დოკ. №492)].

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაწინაურება რეგიონში არსებულმა ხელსაყრელმა საერთაშორისო ვითარებამ განაპირობა – ირანსა და ოსმალეთს ფაქტობრივად უნარი აღარ შესწევდათ წინ აღსდგომოდნენ ამ პროცესს. თვალსაჩინოებისათვის მიმოვისილოთ ამ ქვეყნების საერთო მდგომარეობა.

ირანი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს De jure სუზერენად ითვლებოდა, XVII საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული, სერიოზულ კრიზისს განიცდიდა. ფეოდალთა სეპარატიზმა, დაპყრობილი ხალხების ამბოხებებმა, ფეოდალური სისტემის მოდევლებულობამ სიღრმისეულად შეარყია მისი ძლიერების საფუძვლები. ამას ზედ დაერთო საგარეო გართულებები. „ავღანი და თურქი დამპყრობლების შემოსევებმა, მოსახლეობის რბევამ, მასობრივმა ხოცვა-ულეტამ და აყრამ” საშინლად გააჩანაგა მრავალი ოლქი; დაეცა ხელოსნობა, განადგურდა სოფლის მეურნეობა [ვბაბალაშვილი, 1987: 21]. შედეგად, პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი XVIII საუკუნის I ნახევარში კიდევ უფრო გადრმავდა [ზ.შარაშენიძე, 1970: 14]. ნადირ-შაპის დამპყრობლურმა ომებმა და მისი მკვლელობის შედეგად ატეხილმა ფეოდალურმა შინაბრძოლებმა საერთოდ გამოფიტა ქვეყნის სასიცოცხლო ძალები. ამას დაემატა სახალხო მოძრაობები, რომელიც „ფართოდ გაიშალა არა მარტო დაპყრობილ ქვეყნებში, არამედ თვით

օրանժու” [լո. Շենքյելուս, 1973: 61]. Ծածրիս օրգազմով սկսեալ
ռմշո ցամարչազեծալո սածուուու յերօմ-եան Եյնձո ցամոցուա,
մացրամ օցո մեռլուո բախուոնքրու ակոնքրուլյեծա օրանս. եռասանչե, ազանցտու և ամոյրքազբանուս յեպնեծե մաս
პրայիոյշալա ելու ալար մոյշալունքուու - ամուս մալու ալար
Շյենշազա [թ. ՇարաՇյենույ, 1970: 49-50]. Սպրո մեջու, յերօմ-
եանս տացուս յ.վ. սամուլունքելունքեց յո ար ցահնճա մըկուց
մալաշալունքեծա. եանցու և թոմուս ծելագունքու մեռլուո ցա-
րյացնշալա և վեցմունքարյալունքնես օրանուս զեյլս և արց մաս
շալուս սյրությալու յեպնուս ցենքրալունքա [լո. Շենքյելուս,
1973: 94-95].

Կոդաք Սպրո ցամշազա օրանուս սյրուու մցցոմարռա 1768
վլուգան, րուց յերօմ-եանմա „ացագմպոյցու և անմար հակերա
մուրանշու և օյէցան ալար ցամուուու”. ցայարյա յակոնո-
մոյցա, օմացա ցարուալու ցենքրուգանշալու մուսիրացյեծեմա. օրանուս
զեյլս տացուս մմարտցելունուս և ասապուցքու բյալշ-
րու մալու ալար ցահնճա, „Շաք ալարացուս յմունքա յերօմ-
եանու ելուս յալունքեծուս”, եանցու և թոմուս ծելագունքու ախալու
մունաձրմունքուսատցուս յմիսացյալունքնես [թ. ՇարաՇյենույ, 1970: 86-
88]. մարտլաց, յերօմ-եանուս և յունունուս Շեմուշ (1779 վ.)
մունացյուուցա ձրմունքու ախալու մալուու ոյցտիւ և ա
մոյշեցացա 80-ուան վլունքու ծուլուուն Ծածրին յաջարռա
քոնասբուս քամքուուրյեծուս, XIX սաշայնուս ծուլումուց ցասբան
[Ист. Ирана, 1977: 214-216].

Տացուտացա ցեսացա, այսուո „և թերյենու” սյրությալու
քածրյունքու զելար օյենցուա յարտլու-ցածրուուս սակելունի-
ուցոյերուո ցածլուուրյեծուտցուս; մուտ յմեթյը 1760-ուան վլունքուս
ծուլուս, րուց յրայլու II մըկուց քոնիցունքու ցուլունքու և ա
յետունյա ալարյեծա „ցամռեսենա-ալացուու” մուսյալ քունու-
թուկաս. այզ եան յնձա ցազուշատ օմասաց, րում մոցանյենուու
և աբրուուրյեծա յրմանուսուս Ծրացելու ոյտ Շեմուշ արա
յարտլու-ցածրուտան մոմարտյեծու օրանուս սամեյցրու յակորաբյ-
սունքուս ալացցենուս, արամյա և ամսասաշայրյեծ րյացտուս ցարյալու
քունութուկուս և յարտցելունքուս Յունութիւն Շեմուս

[ო.ჯიბაშვილი, 2001: 95-104]. ამ ფაქტმა (ქართველების დამარცხებამ კრწანისთან) საბოლოო ჯამში სარგებლობა რუსეთს მოუტანა და არა ირანს. მაგრამ ეს იყო მოგვიანებით, ხოლო მანამდე, სანამ რუსეთი ქართველებისავე ხელშეწყობით ასეთ სიტუაციას შექმნიდა, პოლიტიკურად დაქსაქსულ და ყოვლისმომცველი კრიზისით წელში გატეხილ ირანს ოცნებაც კი არ შეეძლო მსგავსი წარმატებების მიღწევაზე. ამრიგად, XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებისათვის ერეკლე II-ის ხელმძღვანელობით თბილისის ირგვლივ ქართული მიწების შემოკრების პოლიტიკას ირანის მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა აღარ ემუქრებოდა.

პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა ოსმალეთის იმპერიაშიც. იმპერიის დაცემის ხანა XVII საუკუნიდან დაიწყო. პროცესი განსაკუთრებით გამოიკვეთა საუკუნის დასასრულს, როცა ბრწყინვალე პორტა კ.წ. „საღვთო ლიგის“ კოალიციასთან დამარცხება და საზავო ხელშეკრულებების თანახმად უარი თქვა მთელ რიგ ადრე დაპყრობილ ევროპულ მიწებზე. „ეს იყო ოსმალეთის სამყლობელოების პირველი საერთაშორისო დანაწილება. ამ დროიდან დაწყებული ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების ევროპის სახელმწიფოებს შორის დანაწილების საკითხი არ იხსნება საერთაშორისო დიპლომატის დღის წესრიგიდან“ [ო.გიგინეიშვილი, 1982: 10]. აღნიშნული ხელშეკრულებების პრეცედენტი მოწმობდა „არა მარტო იმას, რომ იმპერიის შემტევი ძალები გატეხილი იყო, ეს უფრო ადრე გამომჟღავნდა, არამედ იმასაც, რომ უკვე თურქთა თავდაცვითი ძალებიც სუსტდებოდა“ [Б.Данциг, 1949: 11].

XVIII საუკუნეში კრიზისი კიდევ უფრო გადრმავდა და 1760-იანი წლების ბოლოსათვის გრანდიოზულ მასშტაბებს მიაღწია, მოიცვა რა იმპერიის სახელმწიფოებრივი სისტემის უკლა სფერო. ერთ დროს ევროპის რისხვად აღიარებული ოსმალეთი ამ პერიოდისათვის უპე თავად იყო ქცეული პოლიტიკური ზეწოლის ობიექტად და სულ უფრო მეტად ემორჩილებოდა დასავლეთ ევროპის დიქტატს. ეს იმდენად

შორს წასული პროცესი იყო, რომ ოსმალეთისათვის მნიშვნელოვანი საკითხები უფრო პარიზსა და ლონდონში წყდებოდა, ვიდრე საკუთრივ სტამბოლში [А.Новицев, 1963: 210]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ 1768-74 წლების ომამდე თბილეთი ინერციით ჯერ კიდევ ინარჩუნებდა გარკვეულ ავტორიტეტს.

იზრდებოდა დასავლეთევროპული ქვეყნების ეკონომიკური ექსპანსიაც [იქვე, 211], რაც დაუზოგავად აჩანაგებდა თურქეულ ვაჭრობასა და მრეწველობას. ოსმალურ ეკონომიკას ანგრევდა სამხედრო ალაფის, სახელმწიფო სალაროს მთავარი შემაგებელი საშუალების, წარუმატებელი ომების მიზეზით გამოწვეული დეფიციტიც [ო.გიგინეშვილი, 1982: 11]. სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქვეყანას სახელმწიფო მოხელეთა უმაღლეს დონეზე ასული მექრთამეობა და მათ მიერ სახელმწიფოსა და კერძო პირთა ქონების დატაცება-ძარცვაც [А.Новицев, 1963: 217-218].

სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისისაგან გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას ბრწყინვალე პორტა საკუთარი მოსახლეობის ექსპლუატაციის გაძლიერების ხარჯზე ცდილობდა. ასეთი ტენდენცია, ერთი მხრივ, იწვევდა თანამდებობებზე სამხედრო კასტის წარმომადგენლების თანდათან ჩანაცვლებას საფინანსო-ბიუროკრატიულ საქმეში დახელოვნებული პირებით და იმპერიის საბრძოლო სულისკვეთების დაქვეითებას [ო.გიგინეშვილი, 1982: 14], ხოლო მეორე მხრივ, იმპერიის მოსახლეობის ფართო მასების, მათ შორის თურქი ხალხის, უკიდურეს შეჭირვებასა და უკმაყოფილებას [Е. Дружинина, 1955: 94].

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი და სახელმწიფოებრივი დეგრადაცია განაპირობებდა შიდაპოლიტიკური ვითარების მქვეთრ გაუარესებას. დაცურობილი ხალხების შეუნელებელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები და მსხვილი ფეოდალების აშკარად გამოხატული სეპარატიზმი წარმოადგენდა დესტაბილიზაციისა და პოლიტიკური ანარქიის დაუშრებელ სათავეს. მსგავსი მდგომარეობა დამახასია-

თებელი იყო მთელი იმპერიისათვის, რის გამოც ბევრ რეგიონში სულთნის ხელისუფლება ნომინალურ ხასიათს ატარებდა, მათ შორის ოსმალეთის იმპერიის გულის – ანატოლიის მხარეებშიც [Б.Данциг, 1949: 11; ო.გიგინეიშვილი, 1982: 161; А.Новичев, 1963: 221]. აღნიშნული ვითარება, გამეფებულ კორუფციასთან ერთად, მეთოდურად ანგრევდა სახელმწიფოებრივი მთლიანობის საფუძვლებს და ქვეყანას დაღუპვისაკენ მიაქანებდა. იმპერიის მოღვაწეთა საღად მოაზროვნე ნაწილი სიტუაციის გამოსწორებას ცდილობდა, მაგრამ უშედებოდ – მდგომარეობა კვლავ საგალალო რჩებოდა.

არსებული ქაოსი სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა შეიარაღებულ ძალებს. ოსმალური არმიის მდგომარეობას ამძიმებდა სამხედრო-დენური სისტემის კრიზისიც [А.Новичев, 1963: 219-220], აშკარა ჩამორჩენა შეიარაღების დარგში და უმაღლესი მთავარსარდლობის არაკომპეტენტურობაც [Е. Дружинина, 1955: 99].

1768-1774 წლების ომში ჯარში არსებული ნეგატიური მხარეები მთელი სიცხადით გამოვალინა. სტამბოლელი მაღალ-ხინოსნების წინასწარი გამოთვლების მიხედვით, ოსმალეთის საბრძოლო დროშის ქვეშ 600-ათასიანი არმია უნდა დამდგარიყო, მაგრამ ამ რაოდენობის კონტინგენტი მხოლოდ ქადალდზე აღმოჩნდა დაფიქსირებული, რეალურად კი საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა გაცილებით ნაკლებმა მეომარმა მიიღო [Е. Дружинина, 1955: 228]. გარდა იმისა, რომ ოსმალეთის არმია თანადროულ სტანდარტებს ჩამორჩებოდა გაწვრთნილობისა და აღჭურვის თვალსაზრისით, დაბალი იყო თურქ ჯარისკაცთა საბრძოლო სულისკვეთებაც. მორალურად გახრწილ არმიაში ჯარისკაცთა უდისციბლინობა და დეზერტირობა ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. რაც უნდა დაუჯერებელი გვეჩვენოს, მარტო „1771 წლისათვის ოსმალეთის მოქმედი არმიის 2/3 ფრონტიდან გაიქცა“ [ო.გიგინეიშვილი, 1982: 13]. ცუდად იდგა მებრძოლი ნაწილების რეზერვით შევსების საკითხებიც. „ჯარისკაცები, იქნებოდნენ

ისინი იენიჩრები, დაქირავებულნი თუ ფეოდალური ლაშქრი-დან, ფრონტზე მისვლამდე გზიდან გარბოლენენ”[იქვე]. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ იმპერიას არ გააჩნდა მყარი იდეოლოგიური ბაზისი, რომელიც ფართო მასებში სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმის საყრდენად გამოღებოდა. სახელმწიფოსა და მოსახლეობას სხვადასხვა ინტერესები ამოძრავებდათ, რაც უარყოფითად აისახებოდა ამ მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული არმიის საბრძოლო განწყობაზე. თუ გავისხებოთ, რომ ამ არმიაში არც დისციპლინა ვარგოდა, ადვილი წარმოსადგენია მისი ბრძოლისუნარიანობის დონე.

თურქებმალთა სამხედრო სისუსტეზე მიუთითებს 1750-60-იან წლებში სოლომონ I-ის მეთაურობით წარმოებული ანტიოსმალური ბრძოლებიც.

სოლომონი იმერეთის ტახტზე 1752 წელს ავიდა ოსმალების ხელშეწყობით [შ. რეხვიაშვილი, 1992: 19]. მიუხედავად ამისა, იგი თავიდანვე ენერგიულად შეუდგა თურქთა განდეგნისა და ქვეყნის გამოხსნისათვის ბრძოლას. ბრწყინვალე პორტა ვასალის დამორჩილებას შეეცადა, მაგრამ მისი სადამსჯელო ჯარები მრავალგზის სასტიკად იქნა დამარცხებული, ათეულ ათასობით მებრძოლი კი განადგურებული. ამ დამარცხებებისა და მოახლოებული რუსეთ-ოსმალების 1768-1774 წლების ომის გამო სულთანი მჟავაფა III იძულვბული გახდა ელიარებინა 15 ათას კომლიანი (რაჭის გარეშე [ვჯაოშვილი, 1984: 48]) იმერეთის ფაქტობრივი გამარჯვება [ვ. მაჭარაძე, 1988: 68]. რა თქმა უნდა, ოსმალების იმპერია ცოცხალი ძალისა და მატერიალური რესურსების თვალსაზრისით ფლობდა საკმაო შესაძლებლობებს იმერეთის სამეფოსთან ანგარიშის გასასწორებლად, მაგრამ მოელ თავის საბრძოლო პოტენციალს მარტო მისკენ ხომ ვერ მიმართავდა? იმპერიის ვრცელი ტერიტორია უამრავი ასეთი „ცხელი წერტილით“ იყო მოფენილი და ყველგან სამხედრო ძალა იყო საჭირო პოზიციების შესანარჩუნებლად. გამომდინარე აქედან, უნდა ვიფიქროთ, რომ სულთანმა თავისი შესაძლებლობების დასაშვები მაქსიმუმი გამოიყენა სოლომონის წინააღმდეგ, მაგ-

რამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმპერიის სისუსტეზე.

ამრიგად, ცხადია, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში, მსგავსად ირანისა, აღარც ოსმალეთი წარმოადგენდა ძველებურ საფრთხეს ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. პირიქით, თავისი თვალში საცემი დაუძლეურებით, როგორც ირკვევა, იგი სტიმულსაც კი აძლევდა თბილისელ პოლიტიკოსებს სერიოზულად ეფიქრათ „ოსმალოს საქართველოს“ შემდგომ ბედზე. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციის შექმნისთანავე (აღნიშნული ომი) ერეპლე მეფემ ტერიტორიული პრეტენზიები წარმოაყენა და რეგიონთან დაკავშირებით მასშტაბური გეგმაც წარმოადგინა [ვაჭარაძე, 1988: 415-416 (დოკ.№160)]. ასეთი რამ წინასწარი შემზადების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

როცა აღვნიშნავთ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გააჩნდა კარგი წინაპირობები ოსმალთაგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნების საქმეში წარმატების იმედი ჰქონდა, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ყველა სხვა საკითხი მოწერიგბული იყო და ქვეყნის უურადღება მხოლოდ ამ ამოცანის ირგვლივ კონცენტრირდებოდა. პირიქით, ომში ჩაბმის მომენტისათვის ქართლ-კახეთის ხელისუფლების წინაშე საცმაო რაოდენობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პრობლემა იდგა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. მაპ-მადიანური აღმოსავლეთის რამდენიმესაუკუნოვანი გააფთრებული შემოტევის შედეგად ქვეყანას ნორმალური განვითარების გზა დაკარგული ჰქონდა, უამრავი სირთულე იყო დასაძლევი, ცხოვრების სასურველ კალაპოტში ჩაყენებას დიდი დრო და ენერგია სჭირდებოდა. ისმება კითხვა: რამდენად მიზანშეწონილი იყო ასეთი პირობებში ახალ პრობლემასთან შეჭიდება, ხომ არ გადაიყოლებდა იგი განვითარების გზაზე ახლად ფეხშედგმულ ქვეყანას?

ამ კითხვას რომ პასუხი გავცეოთ, გავარკვიოთ დროის რა მონაკვეთში მოახერხა ქართლ-კახეთმა მიღწეული წარმატებების მოპოვება.

ნადირ შაპის მკვლელობიდან (1747 წ.), როცა ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს ეროვნული პოლიტიკის გატარების საშუალება მიეცათ, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე (1768 წ.) ოც წელზე ცოტა მეტი გაგიდა. აქედან დროის უმეტესი ნაწილი ირანიდან წამოსული უამრავი ბეჭისა თუ შაპობის მაძიებლის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებს მოხმარდა. ხელისუფლება მხოლოდ 1760-იანი წლების დასაწყისიდან გადაერთო ინტენსიურად საშინაო საქმეების მოღვარებაზე და ურთულეს პირობებში (წარსულის მძიმე მემკვიდრეობა, ლეკიანობა, ფერდალური დეცენტრალიზმი, ეკონომიკური და ხოციალური ფონი) სულ რადაც 8-9 წლითადში ხელშესახებ წარმატებებს მიაღწია. დროის მოკლე ინტერვალში მიღებული ასეთი შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში სათანადო რესურსებიც არსებობდა რეორგანიზაციის გასატარებლად და სახელმწიფო მოღვაწეთა რეფორმატორული ჯგუფიც, რომელსაც პქონდა ამ გარდაქმნების განხორციელების სურვილიცა და უნარიც, ყოველ შემთხვევაში, მოცემულ ეტაპზე მაინც.

როგორც აღნიშნეთ, წარმატების ერთ-ერთი საწინაარი იყო ქართული მოსახლეობა, რომელიც კარგი ბრძოლისუნარიანობითა და მშვიდობიანობის ხანმოკლე შუალედებში სამეცნიერ ცხოვრების სწრაფი აღდგენის უნარით ხასიათდებოდა. მეორე და უმთავრესი წინაპირობა ქართლ-კახეთის გარშემო საგარეო ფაქტორების კეთილსასურველ თანხვდომაში მდგომარეობდა. ირანსა და ოსმალეთს უკვე აღარ გააჩნდათ ამიერკავკასიაში აქტიური პოლიტიკის წარმოების ძალა, ხოლო რუსეთს ამის საშუალება ჯერ კიდევ არ პქონდა – იგი ჩრდილოეთ კავკასიაშიც კი არ იყო ჯეროვნად ფეხმოკიდებული. ანუ არსებობდა ერთგარი ვაკუუმი, რომლის დროსაც გარე ძალები არსებით გავლენას ვედარ ახდენდნენ ქართულ პოლიტიკაზე. აღნიშნული ფაქტორებისა და ქვეყნის აღორძინების მასშტაბის გათვალისწინებით ნათელია, რომ „გამოხსნა-აღდგომის“ ერეპლესეული გეგმის განხორციელებას სასურველი ტემპი პქონდა აღებული და მისი საბოლოო

რეალიზაცია არცოუ შორეული მომავლის პერსპექტივად მოჩანდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის მხარდამხარ გამოსვლა აგონიაში მყოფი ოსმალეთის წინააღმდეგ, რასაც ქართული მიწების გამოხსნის ხარჯზე ქვეყნის ტერიტორიული გაფართოება უნდა მოჰყოლოდა, ერეკლე II-ის სამეფო კარზე გააზრებული იქნებოდა არა როგორც მიმდინარე გარდაქმნების დროებითი შემაფერხებელი მოვლენა, არამედ ამ პროცესის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. ე.ი. ქართლ-კახეთის ომში ჩაბმას, წესითა და რიგით, არა თუ უნდა შეექმნა რაიმე საფრთხე ქვეყნაში მიმდინარე სასიკეთო ძვრებისათვის, არამედ, მოსალოდნელი ტერიტორიული შენაძენის გათვალისწინებით, მისთვის ხელიც კი უნდა შეეწყო. ეს ასეც იქნებოდა, რომ არა რუსეთის მხრიდან სამოკავშირეო ხორმების აშკარა დარღვევის ტენდენცია. მაგრამ ამის წინასწარი განტკრეტა არათუ ერეკლეს, თავად რუს პოლიტიკოსებსაც კი არ შეეძლოთ. ამდენად, 1768-1774 წლების ომში ერეკლეს გამოსვლა რუსეთის მხარეზე ამ ეტაპზე სწორი გადაწყვეტილება იყო (თუნდაც იმისათვის, რომ ირანისმალეთს ნათლად დაენახა, რა შეეძლო საქართველოს დარიალის გახსნით, თუ მის მტრობას არ მოიშლიდნენ) – მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეშვა ხელიდან ქართული მიწების გამოხსნის ესოდენ რეალური შანსი. სხვა საკითხია, როგორ გამოიყენა იგი მან.

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ ერთ მტკიცნეულ საკითხს – ლეკიანობას.

შეიძლება ითქვას, რომ ლეკიანობა მოცემულ პერიოდში ქართლ-კახეთისათვის ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, მაგრამ იგი ნამდვილად არ იყო რაღაც დაუძლეველი დილემა. ჯერ ერთი დაღესტნები, რომელიც „საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის უკიდურესი გამწვავების პირობებშიც კი სადაცოდ არ ხდიდნენ ქართველთა პეგემონობას“ [ლ.ტუხაშვილი, 1971: 157], სათანადო თანხის გადახდის შემთხვევაში, უმჯობესად მიიჩნევდნენ საქართველოს საკეთილდღეოდ მოექნიათ ხმალი, ვიდრე მის საწინააღმ-

დეგოდ [შ.ლომისაძე, 1975: 51]; და მეორე, სამსახურში ლეკების ქირით მიზიდვის პარალელურად, „ლეკიანობის” აღკვეთის ეფექტური საშუალება იქნებოდა არც ისე მრავალრიცხვანი რეგულარული ჯარით სასაზღვრო პერიმეტრის მუდმივი კონტროლი. ფაქტია, რომ 1774 წლიდან შექმნილმა ეწ. „მორიგე ჯარმა”, მიუხედავად მისი ორგულიარობისა, ლეონ ბატონიშვილის უნარიანი ხელმძღვანელობით, საიმედოდ ჩაკეტა სახელმწიფო საზღვრები და ძალზე შეზღუდა ლეკ მარბიელთა თარეში. „ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებული სოფლები ისევ მოშენდა” [ნ.ბერძენიშვილი, 1973: 436]. უნდა გავიხსენოთ, რომ ეს მოხდა 1770-იან წლებში, როცა წინა ათწლეულთან შედარებით დადგესტანთანაც გაუარესებული იყო ურთიერთობა და ნაკლებ სტაბილური იყო ქვეყნის საერთო მდგომარეობაც. ე.ი., თუ ექსტრემალურ სიტუაციაში გამოინახა ოპერატიული საშუალება ლეკიანობის აღსაკვეთად, იგი ნამდვილად არ ყოფილა რადაც დაუძლეველი პრობლემა. ამდენად, დაღესტნის საკითხს, მიუხედავად მისი სერიოზულობისა, ირანისა და ოსმალეთის დასუხტების ფონზე აღარ შექმლო ხელი შეეშალა და გადაულახავი ბარიერი გამხდარიყო ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის. რაც შექება ლეკიანობის აღდგენას 1780-90-იან წლებში, ეს იყო რუსეთიდან მართული დასტრუქტიული ძალების მოქმედების შედეგი და იგი ცალკე კვლევის საგანია.

ამრიგად, XVIII საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსათვის ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა რეგიონში. წარმატებით მიმდინარეობდა ქვეყნის შემდგომი განვითარების პროცესი, რასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ერთი მხრივ ირანსა და ოსმალეთში გაბატონებული ყოვლისმომცველი სახელმწიფოებრივი კრიზისი, მეორე მხრივ კი მზარდი რუსეთის ჯერ კიდევ არამყარი პოზიციები კავკასიაში. აღმოსავლეთ საქართველოს ირგვლივ არსებული პოლიტიკური ვითარება რეალურად ტოვებდა 1768-1774 წლების ომში რუსეთის მხა-

რეზე მონაწილეობის შემთხვევაში ოსმალთაგან მიტაცებული ქართული მიწების გამოხსნისა და დაბრუნების იმედს. მით უფრო, რომ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ერეკლე მეფეს სერიოზული მოკავშირე ძალა გააჩნდა ქართულ-სომხური და სხვა დაპყრობილი არათურქი მოსახლეობის სახით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. სცსსა, ფ. 1449, ან. 1, ს. 506 (ტექსტი იხ. სცსსა, 506).
2. გულდევენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გაელაშვილმა, ტ.I, თბ., 1962.
3. კოჭლაგაშვილი აღ., რუსეთის როლი სამთო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაში, №გრ.: საისტორიო მოამბე, ტ.8, თბ., 1955.
4. მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I, თბ., 1988.
5. მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. II, თბ., 1997.
6. ობექტიანი პ., ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საბიექტები დაურთო ე-ცაგარენშვილმა, თბ., 1981.
7. ბაბალაშვილი ვ., ირანის დემოგრაფიის აქტუალური პრობლემები, თბ., 1987.
8. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965.
9. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ.VI, თბ., 1973.
10. გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალების ისტორიიდან, თბ., 1982.
11. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975.
12. ლორთქიფანიძე ვ., ისტორიული მესხეთი, დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1998.
13. რეხვიაშვილი მ., იმერეთის მეფენი – სოლომონ I, სოლომონ II, ქუთაისი, 1992.

14. სამსონაძე გ., საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბ., 1988.
15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები (ტექსტები იხ. ხინ, 1973), ტ. IV, თბ., 1973.
16. ტაბაღუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს-ის II ნახევარში, თბ., 1978.
17. ტაბაღუა ი., ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ, თბ., 2000.
18. ტუხაშვილი ლ., ქართლ-კახეთის ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XVIII საუკუნეში, ქურნ. „მნათობი”, თბ., 1971, №1.
19. ჭარაშენიძე ზ., ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1970.
20. ჭენგელია ლ., ირანი ქერიმ ხან ზენდის დროს, თბ., 1973.
21. ცეიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982.
22. ჯანელიძე დ., ერეკლე და აღმოსავლეთი, ქურნ. „მნათობი”, თბ., 1972, №4.
23. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა VIII-XIX საუკუნეებში, თბ., 1984.
24. ჯიბაშვილი ო., კრწანისის ომის საკითხისათვის, ქურნ. „ლიტერატურული აჭარა”, ბათ., 2001, №6.
25. ჯიბაშვილი ო., გენერალ ტომბლებენის აგანტურის საკითხისათვის, ნიკო ბერძენიშვილის იხსიტებულის შრომები, ტ.V, ბათ., 2007.
26. Абдуллаев Г., Азербайджан в XVIII веке и взаимоотношения с Россией, Баку, 1965.
27. Восточный вопрос во внешней политике России конец XVIII – начало XXв., М., 1978.
28. Данциг Б., Турция, М., 1949.
29. Дружинина Е., Кючук-Кайнарджийский мир 1774 года, М., 1955.
30. История Ирана, М., 1977.
31. Новичев А., История Турции, т. I, Лен., 1963.
32. Очерки истории СССР, 2-я половина XVIII века, М., 1956.

Oleg Jibashvili

**For the issueof appropriateness of Kartl-Kakheti participation
in Russian-Osman war in 1768-1774**

Summari

In the war of Russian and Osmans the king Erekle II of Kartli and Kakhti supported Russia in 1768-1774. In the alliance wiz Russia he aimed at releasing Georgian lends occupied by Osmans. Here is a question, considering the situation of the time, how justified was such step of Erekle II and did the Kingdom of Kartli and Kakheti have necessary resources for realizing king's plans?

In the given article it is analyzed the possibilities of Kartli and Kakheti, also the political situation around it and it is made aconclusion that existing situation was beneficial for the realization of the abovementioned plan. Hence, the decision of Erekle the II was appropriate, he should not have missed such authentic opportunity to release Georgian lands, and the other issue is how he used it.

Олег Джибашвили

**К вопросу целесообразности участия
Картли-Кахетинского царства в Русско-османской войне
1768-1774 годов**

Резюме

В Русско-османской войне 1768-1774 годов Картли-Кахетинский царь Ираклий II выступил на стороне России. В альянсе с русскими он планировал освобождение захваченных османами грузинских земель. Ставиться вопрос, имея в виду тогдашнюю обстановку, насколько был оправданным этот шаг Ираклия II-го, и были ли необходимые ресурсы для реализаций данного плана в Картли-Кахетинском царстве?

В статье проанализированы возможности упомянутого царства и политическая обстановка вокруг её, и сделаны выводы, что существующие реальности создавали хорошую почву для реализации указанного плана. Поэтому представляется, что решение Ираклия II-го было пра-вильным – он ни в коем случае не должен был упускать столь реального шанса освобождения грузинских земель. Другой вопрос, как этот шанс был использован.

ჯუმათის მონასტრის განძი უცხოეთში

ქართული ეკლესია საქართველოს ეროვნული სახის შემნახველია, საუკუნეთა განმავლობაში ძვირფას განხევლობათა სავანეა, რომელიც ჩვენი კულტურის ნივთიერი საბუთია.

1811 წელს რუსეთმა გააუქმა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესის ავტოკეფალია. მისი ეკლესია-მონასტრები რუსი ეგზარქოსების მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა [ჩხარტიშვილი, 2003: 24]. რუსეთის სინოდის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად შემცირდა ეპარქიათა რიცხვი, დაიხურა ეკლესია-მონასტრები, აიკრძალა ქართულ ენაზე დმრთისმსახურება და გალობა [ხუციშვილი, 1987: 61]. რუსი მონებები საქართველოში იმისთვის კი არ მოდიოდნენ, რომ ეკლესიისთვის ეპატრონათ (თუმცა ერთგვარად ევალებოდა კიდევ), არამედ იმისთვის, რომ გაეძარცვათ ქართული ეკლესია-მონასტრები. ამ საშინელებას ვერც ჯუმათის გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზის მამათა მონასტერი გადაურჩა [ჩხარტიშვილი 2002: 40].

ჯუმათი გახლდათ გურიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ამავე სახელწოდების საეპისკოპოსოს კათედრალური ცენტრი. იგი ოზურგეთიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს დაახლოებით 15 კმ-ის დაშორებით. ტაძარი აღმართულია ჩოხატაურის ქედის ერთ-ერთ თხემზე, კერძოდ ჯუმათის მთაზე, რაც შესანიშნავ პანორამას უქმნის მონასტერს. ჯუმათის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: “ ლანჩხუთის სამხრეთ წარმოვალს მთა საჯავახოს მთიდან და სადაც დასაწყდების მთა ესე, არის ამ მთის მაღალს თხემსა ზედა ეკლესია ჯუმათის, დიდი გუმბათიანი, დიდშენი, მჭგრები ზღვისა და გურია ოდიშისა. არამედ ზამთარი გაუსაძლისი და ზაფხული საამო, მშვენი, კეთილპაეროვანი. ზის ეპისკო-

პოსი მწევების სუფსეის მდინარისა და რიონს შორის აღგილთა” [ბატონიშვილი, 1937: 79]. ჯუმათის მონასტერი თვალსაჩინო როდს ასრულებდა გურიის ისტორიაში. “იგი ჯუმათელ ეპისკოპოსთა მდიდარი და პატივცემული კათედრა იყო. პეტრი და დიდალი უძრავი ქონება და ძვირფასი ხატები” [ბაქრაძე, 1987: 217]. იგივეს მოგვითხრობს გერმანელი მოგზაური იოპან გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა საქართველოში. იგი გამცნობს: “შემოქმედის მონასტრის გარდა მნიშვნელოვანი აღგილები გურიაში არის ჯუმალი (ჯუმათი) და ხინო” [გიულდენშტედტი, 1987: 129].

ჯუმათის ხუროთმოძღვრული კომპლექსი მოიცავს ეპლესიას, გალავანს, კარიბჭეს და სამრეკლოს, რომელიც გალაგნის კედლებშია ჩართული. ჯუმათის ეპისკოპოსთა რეზიდენცია იყო მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელზე აგებული უგუმბათო ეკლესია. მართალია, ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებებში მას მოიხსენიებს, როგორც გუმბათიან ტაძარს, მაგრამ აშკარად სცდება. 1737 წელს შედგენილ ლიხთომერეთის რუკაზე იგი აღნიშნულია, როგორც ერთნავიანი უგუმბათო საყდარი [ბურჯანაძე, 1969: 195].

ჯუმათის მონასტერი მძლავრ ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა. იგი ფლობდა საქმაოდ მდიდარ მამულებს გურიის სამთავროს სხვადასხვა კუთხეში: ჩიბათში, ჩოჩხათში, შექუთში, აკეთში, ლანჩხუთში, ასკანასა და გურიანთაში [სცსსა, ფ. 488].

ჯუმათის მონასტერი 275 კომლ გლეხს ფლობდა. ისინი იხდიდნენ 23 ქილა ღომს, 280 სარწყავ ოთხდოქიან ღვინოს, უველ სამ წელიწადში თითო ძროხას, 800 ქათამს, 600 კვერცხს და 12 ქილა ლობიოს. ვენახის მამულებიდან 20 საწყავი ღვინო შესდიოდა მონასტერს. ჯუმათში წელიწადში ორჯერ იმართებოდა ვაჭრობა. XIX ს. დასაწყისში ვაჭრები ორ თუმნამდე ბაჟს იხდიდნენ, რომლის ნახევარიც რუსეთის იმპერატორის ხაზინას ეკუთვნოდა. მდ. სუფსის ნაოსნობიდანაც ყოველწლიურად ორი თუმანი ბაჟი შედიოდა, მისი ნახევარიც ხაზინაში შედიოდა. მონასტრის შემოსავალს ემა-

ტებოდა საჯუმათლო ტყიდან ნადირი და მდ. მალთაყვიდან თევზი. ჯუმათელ ეპისკოპოსს ეკუთვნოდა პალიასტომის ტბაში დაჭერილი თევზის მეათედიც. ჯუმათის მღვდელმთავრებს ბაჟის ასაღებად საგანგებოდ აუგიათ კოშკი მდ. მალთაყვაზე, მაგრამ მღვდელმთავრების უქოლობის პერიოდში საეპისკოპოსოს ქონება სხვებს მიუტაციათ და შესაბამისად შემოსავალიც დაუკარგავთ, მონასტრის მამულებს კი საერო პირები დაპატრონებიან [სცსსა, ფ. 488: 185].

ჯუმათის მონასტერი მძლავრი კულტურულ-მწიგნობრული ქერა იყო. აქ გადაუწერიათ ჯუმათის გულანი (საგალობელი), რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. აქვე ყოფილა დაცული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები. დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ „ჯუმათში ხატები ცოტაა, მაგრამ ფრიად ძვირფასი“. ჯუმათის მონასტერში ინახებოდა XI ს. ერისთავოერისთვი ვარდან ვარდანისძის მიერ შეწირული წმ. გიორგის ოქროს ხატი. იგი დიდად იყო სახელგანთქმული მთელ გურიაში თავისი ძალითა და შემწებით. ხატზე წმინდა გიორგი გამოსახულია ქვეითი მეომრის სახით. წმ. გიორგის ამგარი ფორმით გამოსახვა წინ უსწრებს გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგის კომპოზოციას და გაცილებით ადრინდელია. XI საუკუნე ქართულ ხელოვნებაში ის პერიოდია, როცა სკულპტურული ამოცანების გადაწყვეტა ზუსტდება და მკვიდრდება. ეს ნათლად ჩანს ჯუმათის წმ. გიორგის ხატზე. ამასთანავე ამ ხატმა შემოგვინახა იმდროინდელი მეომრის ჩაცმულობის სახე და ქართული კალიგრაფიის საუკეთესო ნიმუში. გარდა ვარდან ვარდანისძის წარწერისა, ხატზე არის მოგვიანო პერიოდის წარწერა ბეშქენისა და მისი ძის მიქელ გურიელისა. მათ ალბათ განაახლეს ხატი, თუმცა გ. ჩუბინიშვილი გამოთქვამს ეჭვს, რომ შესაძლოა ნაწილი, რომელზეც ბეშქენ გურიელის წარწერაა დატანილი, სხვა დაკარგულ ხატს ეკუთვნოდა და წმ. გიორგის ხატს უბრალოდ დააკრეს [ჩუბინიშვილი, 1959: 196, 246].

წმ. გიორგის ხატი უკვე ძლიერ დაზიანებული იყო 1889 წლისათვის, როცა იგი მოინახული და აღწერა ნ. კონდაკოვ-

მა. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დავალებით აღწერეს ჯუმათის ქონება. იმავე წლის სექტემბერში მონასტერი გაიძარცვა. დაიკარგა წმ. გიორგის ხატი. მისი ფრაგმენტები მოგვიანებით იპოვეს თბილისის ბაზრობაზე, რომელიც შემდეგ პეტერბურგში, ერმიტაჟში მოხვდა. წმ. გიორგის ხატი შემოგვრჩა მხოლოდ დ. ერმაკოვის მიერ გადაღებულ ფოტოზე.

ჯუმათის მონასტერში ასევე დაცული იყო მამია გურიელისა და დედოფალ თინათინის მიერ შეწირული გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზების წმინდა ხატი, რომელიც ძვირფასი თვლებით იყო შემკული, თავისივე ვერცხლის კუბოთი. მათივე შეწირული მიქაელ მთავარანგელოზის ოქროს ხატი, 7 ძვირფასი თვლით და 12 მარგალიტით მოჭედილ კარედზე მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების მოღვაწეობის სცენებით; მარეს ანთიძის შეწირული მაცხოვრის მოოქროვილი ვერცხლის ხატი, მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა რელიეფური გამოსახულებით; ჯუმათის მონასტრის საგანძურში განსაკუთრებული ადგილი ეკაგა ვეებერთელა საწინამდვრო ჯვარს, ბაჯადლო ოქროს ბურთულით, რომელსაც გუმბათიანი ეკლესის ფორმა ჰქონდა. ჯვრის მკაფიობრივი იყვნენ გამოსახულნი. ჯვარი ძვირფასი თვლებით იყო შემკული. იგი მონასტრისათვის გიორგი გურიელსა და დედოფალ ხგარამზე შეუწირავთ [ბაქრაძე, 1987: 41].

მოგვიანებით, 1889 წელს, ჯუმათის მონასტრის სიძველეები მოინახულა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ნიკოდიმე კონდაკოვმა და აღწერა ნაშრომში «Описъ памятниковъ въ некоторыхъ храмахъ и монастыряхъ Грузии». 6. კონდაკოვს მონასტრის მონასტელებისას თან ახლდა დ. ბაქრაძე. მათ ხატები ადგილზე არ დახვედრიათ. 6. კონდაკოვი წერს: “ორივე ხატი წადებულია მონასტრიდან 80-იან წლებში და არ დაუბრუნებიათ; როგორც ჩანს, ისინი ან გატაცებული ან მთლიანად გადადნობილ იქნა; მინანქრის მედალიონები კი რუსეთის სხვადასხვა კოლექციებში გაყიდულა”.

6. კონდაკოვის მიერ საქართველოს ეკლესია-მონასტრების სიძელეთა აღწერისათვის მოწყობილი ექსპედიცია პირდაპირ კავშირში იყო უმაღლესი რუსი სასულიერო მმართველობის წარმომადგენელთა წაქეზებით საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან გატანილი სიწმინდეების საკითხთან. მათ შორის განსაკუთრებულად ფიგურირებდა ჯუმათის მთავარანგელოზთა ხატების მინანქრის მედალიონები.

ეგზარქოსთან დაახლოებულმა თბილისელმა სომეხმა ფოტოგრაფმა საბინ-გურმა 1881 წელს თხოვნით მიმართა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, რათა ნება დაერთოთ მისოვის დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან თითქოსდა “რესტავრაციისთვის” გაეტანა საექლესიო სიძელეები [Дурнов, 1907: 21]. საბინ-გური პირობას იძლეოდა, რომ ძველ დაზიანებულ ჩარჩოებს შეაკეთებდა. ეგზარქოსისგან ნებართვის მიღება მას არ გასჭირვებია და დასავლეთ საქართველოს, მათ შორის გურიის (შემოქმედი, ჯუმათი) ეკლესია-მონასტრებიდან გაიტანა “ყველაზე ძვირფასი, იშვიათი ხატები და ჯვრები” [სცხსა, ფ. 489 : 21].

საბინ-გურმა ჯუმათის მონასტრიდან წაღებული სიძევლეები უკან აღარ დააბრუნა. ჯუმათიდან და საქართველოს სხვა ეკლესია-მონასტრებიდან გატანილი საუნჯიდან საბინ-გურს შემოსავალი ჰქონდა. მან ერთი მედალიონი კოლექციონერ გრაფ ა. ბობარინსკის მიუტანა, რომელიც ამ დროს საიმპერატორო არქეოლოგიურ კომისიას თავმჯდომარეობდა. ამ უკანასკნელმა იგი დაუყოვნებლივ შეიძინა და ნიკოდიმე კონდაკოვს უჩვენა, რომელიც მინანქრების დიდ სპეციალისტად ითვლებოდა. მეცნიერმა მაშინვე იცნო ჯუმათის მონასტრის ხატის კუთვნიდი მედალიონი და ბობროვსკის უჩვენა XIX ს. 70-იან წლებში დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ამ ხატის ფოტო. მედალიონი და ფოტოსურათი სასწრაფოდ წარუდგინეს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, შემდეგ კი აღექსანდრე III-ს. სწორედ ეს გახდა საფუძველი, რომ ნ. კონდაკოვი აქტიურად ჩართულიყო საბინ-გურისა და მისი თანამოაზრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

6. კონდაკოვი ობილისში ხელმწიფე-იმპერატორის დავალებით 1889 წლის 28 ივნისს ჩამოვიდა. იგი ამ დროს საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის წევრი და სახელმწიფო მრჩეველი იყო. მის ჩამოსვლას გამოეხმაურა გაზეთი “ივერია”.

კონდაკოვი წერილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ დ. ბაქრაძის მიერ ადწერილი ნივთებიდან 20 აღარ აღმოჩნდა ადგილზე. მათ შორის ჯუმათის მონასტრიდან ხატი მთავარანგელოზ გაბრიელისა და მიქაელისა. მას ასე განუმარტეს მიზეზი. ერთმა თბილისელმა მხატვარმა ნებართვა მიიღო, რომ განეხლებინა საეკლესიო ძვირფასეულობა, მაგრამ ისინი უკან არ დაუბრუნებია საბინ-გურს. ის და მისი მფარველი ეგზარქოსი დაუსჯელი დარჩა, რადგან ამ საქმის საჯაროობის მთავარი მოწინააღმდეგე, როგორც მიუთითებენ, იმ დროისთვის ყოვლისშემძლე სინოდის ობერპროკურორი პობედონსცევი იყო [სცსსა, ფ. 488: 668].

სწორედ პობედონსცევის და სხვა მაღალჩინოსნების მფარველობის შედეგი იყო ის, რომ სანკტ-პეტერბურგის უმაღლესი ხელისუფლება უყურადღებოდ ტოვებდა ქართული სამღვდელოების თხოვნას საეკლესიო სიძველეების დაბრუნების თაობაზე.

უყრადგადებია ერისთავ გიორგი გურიელის, მისი ძის ლომასა და მეუღლე ადასუჯანის მიერ შემკობილი მიქაელ მთავარანგელოზის ოქროს ხატი, არშიაზე 10 მინანქრის მე-დალიონით, ფირუზისა და მარგალიტის თვლებით. კახაბერ გურიელის შეწირული გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი ასევე 10 მინანქრიანი მედალიონით. მედალიონზე გამოსახული იყვნენ: მაცხოვარი, სამი მახარობელი (მარკოზის გარდა), წმ. გიორგი, წმ. დემეტრე, წმ. თევდორე. კონდაკოვის მიერ გამოქვეყნებული ზვენიგოროვანსკის კოლექციისადმი მიძღვნილი ალბომი გვიჩვენებს, რომ ხატზე 10-ზე მეტი მედალიონი ყოფილა დაკრული. ლუპა მახარობლის მედალონი ამძვრალია, იგი მთავარანგელოზ გაბრიელის ცენტრალურ ჭედურ გამოსახულებაში ჩაუმაგრებიათ, ხოლო მარჯვენა მხარეს,

მესამე და მეოთხე მედალიონებს შორის მთლიანად ამომძვრალია მოოქრული ჩარჩოს ნაწილი, სადაც შესაძლოა კიდევ ერთი მედალიონი იყო, საფიქრებელია, წმინდა მარკოზ მახარობლისა. მოგვიამებით ა. ზევნიგოროვდების იგი ჯ. პირპონტ მორგანისთვის მიუყიდია. მეტროპოლიტენ მუზეუმში 9 მედალიონია, ხოლო ერთი, წმ. დიმიტრის გამოსახულებიანი მედალიონი მორგანს ლუკრისთვის გადაუცია, საიდანაც იგი კლიუნის მუზეუმში მოხვედრილა. წმინდა თევდორეს გამოსახულებიანი მედალიონი კი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. მეტროპოლიტენ მუზეუმში გამოფენილ მინანქრებს ასეთი წარწერა აქვს: “უმრავლესობა ამ ნივთებისა შეგროვილია რუსეთში XIX საუკუნეში, დიდი რუსი მოხელის ალექსანდრე ზვენოგოროვდების მიერ. ეს ნივთები ბოლოს ჯ. პირპონტ მორგანმა შეიძინა და თავისი შვილის სახელით შესწირა ამ მუზეუმს 1917 წელს” [ლომაშვილი, 1975: 67].

პარიზში გამომავალ ქართულ ემიგრანტურ ჟურნალ “კავკასიონის” მე-12 ნომერში, გამოქვეყნდა გიორგი ნოზაძის წერილი “ქართული მინანქრები ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში.” წერილიდან ვიგებთ, რომ მეტროპოლიტენმა გამოსცა კალენდარი, რომელშიც წარმოდგენილია ოთხი მედალიონი – ღმრთისმშობლის, წმინდა გიორგის, იესო ქრისტესა და იოანე ნათლისმცემლის. ავტორი მიიჩნევს, რომ ეს არის ჯუმათის მონასტრის მიქაელ მთავარანგელოზის ხატის კუთვნილი მედალიონები და სწუხეს, რომ ისინი არ დაიბჭდა შ. ამირანაშვილის მიერ პარიზში გამოცემულ ალბომში.

შ. ამირანაშვილის დასკვნით მიქაელ მთავარანგელოზის ხატის მინანქრის მედალიონები ქართული ხელობისაა, ხოლო გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის მედალიონები ბიზანტიური. დ. ბაქრაძე ზემოთ ხევნებული ხატების აღწერისას აღნიშნავდა, რომ მიქაელ მთავარანგელოზის ხატის მედალიონებს ქართული წარწერები აქვს, ხოლო გაბრიელ მთავარანგელოზის ხატს ბერძნული. მეცნიერი თვლიდა, რომ ეს ხატები ერთდროულადა დამზადებული და ერთი და იგივე

ხელობისაა, როგორც ჩანს, ბერძნულ წარწერებიანი მედალითნები ბიზანტიური წარმოშობისაა და იგი მოგვიანებით დაუკრავთ გაბრიელ მთავარანგელოზის ხატზე. ჯუმათის მონასტერი გაუძარცვავთ 1905 წელს, 1921 წელს და უამრავი ნივთი და ხატები გაუტანიათ. გამტაცებლები კი დაუსჯელნი დარჩენილან.

ჯუმათის მონასტრის განძის უმრავლესობა დაკარგულია. ნაწილი უცხოეთის სხვადასხვა მუზეუმში ინახება, ნაწილი კი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია.

რეს მოხელეთა „წყალობით“ ჯუმათის მონასტრიდან გატანილი სიმდიდრე დღესაც ამშვენებს ნიუ-იორკის, სანკტ-პეტერბურგის, კლიუნის, პარიზისა და სხვა მუზეუმების საგანძურებელს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 488, საქ.1851.
2. სცსს არქივი, ფ. 489, ს. 38981, ფ. 21.
3. სცსს არქივი, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი, № 668.
4. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეცნიერო საქართველოისა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973.
5. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
6. ბურჯანაძე შ., ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რეკა, როგორც ფეოდალური საქართველოს პირველწყარო, უკ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, № 17, თბ., 1969.
7. გიულდექშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, ვერმანული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ქართული თარგმანით და წინასიტყვაობით გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962.
8. ლომაშვილი ჯ., წერილები, თბ., 1975.
9. ჩუბინიშვილი გ., ქართული ოქრომჭედლობა, თბ., 1959.
10. ჩხარტიშვილი ც., ჯუმათის მონასტერი – ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის კრებული, №56, თბ., 2003.

11. ჩხარტუშვილი ც., ქართული მართლმადიდებლური ეკლესია რუსეთის რეაქციასთან ბრძოლაში, ივ. ჯვავახეშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული “ანალები”, №1, ობ., 2002.

12. ხუციშვილი მ., საქართველოს გელექის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, ობ., 1987.

13. Дурново Г., «Судьбы Грузинской церкви», М., 1907.

Caca Chkhartishvili

The Treasure of Jumati Monastery in Abroad

Summary

In the 19th century Jumati monastery of archangels Michael and Gabriel was robed for several times. The icons, crosses having great value were stolen. Now they enrich foreign museums. In one of the museum of Paris St. Demeter's medallion, the twelfth medallion from the icon of Jumati monastery of archangels, is kept. In New-York Metropolitan museum enameled medallion from the archangel Gabriel's icon and the cross, that is of 2m. height and is adorned with precious stones, are kept.

Цаца Чхартишвили

Сокровище Джуматского Монастыря находящегося в загранице

Резюме

Джуматский монастырь Архангелов Михаила и Гавриила в XIX веке много раз подвергался грабежу. Украденные иконы и кресты, украшенные драгоценными камнями, хранятся музей в Париже.

В музее Клуна хранится медальон св. Дмитрия, украшенная эмалью.

В Нью-Йорке в музее Метрополитен хранится медальон украшенная эмалью, которая принадлежало Архангела Гавриилу, а также крест, который достигает двух метров высоты и украшен драгоценными камнями.

**ქართველი მოწყალების და არტაანში
ანა ერისთავი-ჭავჭავაძე
(1833-1878 წწ.)**

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გააქტიურდა ქართული ეთნიკური ერთობის კონსოლიდაციის პროცესი და უაღრესად გაიზარდა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. მთავარი აქცენტები გაკეთდა ეთნოკულტურული დირებულებების დაცვა-განვითარებაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო გაქტორის გაძლიერებაზე. ამ პროცესში მონაწილეობდნენ როგორც ცალკეული მოღვაწენი, ასევე საზოგადოებები, რომელთაც ძირითადად საქველმოქმედო პროფილი ჰქონდათ. ეს იყო საერთო-ეროვნული მოძრაობა, სადაც დიდი და პატარა საქმე არ არსებობდა, ყველაფერი ერთ – საქართველოს გადარჩინისა და ეროვნული აღორძინების კონტექსტში განიხილებოდა.

საქველმოქმედო დაწესებულებების შექმნას მასშტაბური სახე მიეცა XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, რესერო-თურქეთის ომის მიმდინარეობისას, როდესაც ქართულ საზოგადოებას ძირდებოდი ეროვნული ტერიტორიის და სამი საუკუნის წინათ დაკარგულ თვისტომთა მშობლიურ წიაღში დაბრუნების რეალური იმედი გაუჩნდა. ეწ. „საქველმოქმედო თემებს“ ევალებოდათ ფრონტისთვის სხვადასხვა სახით დახმარების გაწევა, მათ შორის მოწყალების დების გაგზავნა ომში. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია შექმნა და ფრონტის ხაზზე სხვა მოწყალების დებთან ერთად გაემგზავრა ცნობილი პოეტის – არაგვის ერისთავთა შთამომავლის – რაფიელ ერისთავის, ასევე პოეტის – ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკით ცნობილი ბარბარე ჯორჯაძის და – ანა ერისთავი-

ჭავჭავაძისა. ანა ამ დროის რჩეული მამაკაცის – მთელი იმპერიის მასშტაბით სახელგანთქმული გენერლის, „დიდი ნიკოს“ შეუდლე იყო.

გენერალი ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე (1829-1897) უვარლეჭლი ჭავჭავაძეების შტოს ეკუთვნოდა, ჰყავდა ერთი ძმა და ორი და. ელისაბედ (ბებე) ზურაბის ასული ჭავჭავაძე იყო მეუდლე თავად ზურაბ ადამის ძე ანდრონიკაშვილისა (1820-1871); თინათინ (თიკო) ზურაბის ასული ჭავჭავაძე (1835-1875) იყო მეუდლე გიორგი (ასლან) დიმიტრის ძე ავალიშვილის (ს. წუმლაყი, 1821-1885). ამ ცოლ-ქმარს მიიჩნევდნენ თანამედროვენი ილია ჭავჭავაძის „კაციად-ადამიანის“ მთავარი გმირების – ლუარსაბისა და დარეჯანის პროტოტიპებად [ჭავჭავაძე, 1987: 97]. ნიკოს ძმა – მელქისედეკი (მიხეილი, 1839-1877) დაქორწინებული იყო ნადევდა ნიკოლოზის ასულ შატიხინაზე, მისი მემკვიდრეები არიან XX საუკუნის მოღვაწენი – ნიკო და ზურაბ ჭავჭავაძეები [წიქოვანი, 2002: 12-14].

„დიდი ნიკო“ თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ქართულ მილიციაში, რომელიც კახეთის მოსახლეობისაგან იყო შედგენილი და ლეკების წინააღმდეგ იბრძოდა. სულ მალე მოიპოვა მადალი სამხედრო ხარისხები. დიდი გმირობა ჩაიდინა 1853-1856 წლების ყირიმის ოში. კავალერიის ესადარონის უფროსი – ნიკო ჭავჭავაძე მონაწილეობდა ბაშკადიკლარის, ქიურუქ-დარას და ჩოლოქის ლეგენდარულ ბრძოლებში. ჩოლოქთან მმიმედ დაიჭრა, მაგრამ სელიმ-ფაშას კორპუსის განადგურებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. მას „ზღაპრულ ათლეტად“ მოიხსენიებდნენ. იბრძოდა შამილის წინააღმდეგ, მის დატყვევებაშიც დიდი ძალისხმევა გამოიჩინა. იმპერიის არც ერთი დიდი სამხედრო ჯილდო არ დაკლებია ამ სახელოვან გენერალს, პქონდა გამორჩეული სამხედრო თანამდებობებიც: 1865 წელს დაღესტნის ოლქის გუბერნატორი გახდა, შემდეგ კი განჯის სამხედრო გუბერნატორი.

თურქეთთან ომის დაწყებისთანავე, ნიკო ჭავჭავაძე კავკასიის ფრონტის წინა ხაზზე გაემართა, მაგრამ მალე გადა-

ვიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც დაიწყო ლეკებისა და ჩეჩენების აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ. კავკასიის ომი ახალი დამთავრებული იყო, მაგრამ რუსეთ-თურქეთის მიმდინარე კონფლიქტი ახალი ანტირუსული აჯანყების სიგნალი გახდა კავკასიის მთიელებისათვის. ამ მხარეში ნამსახური, კავკასიელი ხალხისა და საბრძოლო ასპარეზის კარგი მცოდნე ქართველი გენერალი, სახელმოხვეჭილი მეთაური და ადმინისტრატორი უკან დააბრუნეს. მან უდიდესი როლი შეასრულა ამ აჯანყების ჩაქრობაში [მეგრელიძე, 1979: 80-84].

როდესაც ქმარი ჩეჩენ-დაღესტნელებს ებრძოდა, მისი მეუღლე – ანა ერისთავი-ჭავჭავაძისა საქველმოქმედო საქმიანობით იყო დაკავებული. ცოლ-ქმარი უშვილო იყო, რაც მათ ტკივილს წარმოადგენდა, ამ დანაკლის ისინი დაუდალავი საზოგადოებრივი მოღვაწეობით ინაზღაურებდნენ. ორივენი დიდ დახმარებას უწევდნენ ხელმოკლე ნიჭიერ ახალგაზრდებს, აგზავნილნენ რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად, უხდილნენ ყვარლელ მოსწავლებს სწავლის ქირას. გენერალ ნიკო ჭავჭავაძეს საკმაოდ მაღალი ხელფასი და პენსია ჰქონდა, რითაც მუდამ ეხმარებოდა მშობლიურ კუთხეს, გაჰყავდა სარწყავი არხები, გზები, შემწეობას იჩენდა უპოვართა მიმართ. „დიდ ნიკოს“ საქართველოში გამორჩეული პირადი ბიძლიოთება ჰქონდა, რომელიც სიცოცხლეშივე გადასცა „წერა-კიოხხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. ის არ განარჩევდა ადამიანებს წოდების მიხედვით, არც ეროვნული ნიშნით. მთელი შეგნებული ცხოვრება, როგორც ცარიზმის მოხელემ, ჩრდილო კავკასიაში გაატარა. ოუ აქაურთა დამოკიდებულებას გავიხსენებთ ამგვარ მოხელეთა მიმართ, მას შემო და მტრობა უნდა მიეღო ამ ხალხისაგან, მაგრამ პირიქით მოხდა – უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. როდესაც გარდაიცვალა (1897 წლის 9 მარტი), ჩეჩენებმა სოლოლაკიდან, სადაც გენერალი ცხოვრობდა, ქაშვეთმდე მისი კუბო არავის დანებეს, მაღლიერმა თანამემამულებმა კი ყვარლამდე ხელით წაასვენეს მათოვის საყვარელი ადამიანი. სამწუხაროდ, მის

გვერდით, მშობლიურ მიწაში დაკრძალვა არ ეღირსა გენერლის მშვენიერ მეუღლეს – ანა ერისთავს.

ანა დავითის ასული ერისთავი-ჭავჭავაძე დაიბადა 1833 წლის 18 აპრილს, სოფელ ქისტაურში. მისი ოჯახი ქართული არისტოკრატიის მაღალ წრეს ეკუთვნოდა, ამიტომ კარგი განათლება პქონდა მიღებული. ამ პერიოდში საქართველოში დაიწყო ქალთა მოძრაობა. ქართული საზოგადოების კონსერვატული ნაწილისათვის მიუღებელი იყო ქალის აქტივობის ამგვარი ფორმები, ეს მიიჩნეოდა ეროვნული ტრადიციის დარღვევად, ქალის მთავარ დანიშნულებად დედობა, ოჯახის დიასახლისობა ითვლებოდა. მეორე ნაწილი თვლიდა, რომ ქართველი ქალი ჩამორჩებოდა ევროპული განვითარების დონეს სწორედ ამგვარ ტრადიციულ ჩარჩოში ჩაკეტვის გამო. მას უნდა დაეხსნა თავი ოჯახის ტყვეობიდან, უნდა მოეპოვებინა მოღვაწეობის ფართო ასპარეზი, მამაკაცის გვერდით, ცხოვრების ყველა სფეროში დაეჭირა დირსეული ადგილი. სწორედ 70-იანი წლების მოვლენა გახდა ქართველ ქალთა სახწავლებლად გამგზავრება ევროპულ ქალაქებში, მათი მონაწილეობა საზღვარგარეთ შექმნილ ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში. სშირად ქალები ოჯახებიდან მაღლად მიდიოდნენ, როგორც ამას რუსულან ნიკოლაევ იგორებდა ერთ-ერთ წერილში [ნიკოლაევ, 1950: 42]. ქალთა ამგვარ მოძრაობაზე საუბრობდა პოეტი რაფიელ ერისთავი დის გარდაცვალების გამო დაწერილ წერილში – „ნეკროლოგის მაგიერ“, რომელიც 1878 წლის „დროებაში“ გამოქვენდა [ერისთავი, „დროება“ 1878, №173]. სტატიაში პოეტი არ წერს ანას პირად, ოჯახურ ურთიერთობებზე, მარტო იმას ამბობს, რომ საზოგადოება სშირად უსამართლოდ კილავდა კეთილი საქმისთვის თავგადადებულ ქართველ ქალებს.

სტატიაში ნათქვამია, რომ ანა 1877 წლის 7 მაისს ჩასულა არტაანში, მათინ, როდესაც ეს ქალაქი დაუკავებია რუსულ ჯარს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მისი მეუღლე, გენერალი ნიკო ჭავჭავაძე ამ დროს აქ იბრძოდა. შეხვდა თუ არა ცოლ-ქმარი ერთმანეთს, ჩვენ არ ვიციოთ, ცხადია, გენერლის

ჩრდილო კავკასიაში გადაყვანის გამო, ისინი საბოლოოდ დაშორდენ ენდ. ანას მჭიდრო წერილობითი ურთიერთობა ექნებოდა ოჯახთან, რაც კარგად ჩანს რაფიელ ერისთავის ამ სტატიიდანაც, საღაც საუბარია მოწყალების დად მისი მუშაობის დეტალებზე. საინტერესოა არტაანის ვითარების აღწერა ამდროინდელ ქართულ პრესაში, კერძოდ, იმავე გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულია „წერილები არტაანიდან“, რომლის ავტორია პუბლიცისტი ფსევდონიმით – „ჭია-ჭამია“. ეს ფსევდონიმი ეკუთვნოდა ლევან ლუკას ძე მჭედლიშვილს, რომელიც იმავე გაზეთში სხვა ფსევდონიმებითაც წერდა. ეს იყო: ლას ლას მანი, კრაზანა, ლ. უდელი; „ივერიაში“ კი იგივე ავტორი „უზინოს“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა. „ჭია-ჭამია“ დაწვრილებით აღწერდა ახლად დაკავებულ არტაანს, აქაურ მცხოვრებლებს, ქალაქში შექმნილ განწყობილებას. ავტორი მიუთითებდა იმ დიდ მსხვერპლზე, რომელიც არტაანის აღებას შეეწირა, ქალაქში დაბანაკებულ ჯარზე, ყვაფ-ყორნებზე, მუდმივად რომ დასტრიალებდნენ თავს დაუმარხავი მეომრების ნეშტებს, გულიავერდის მთაზე, საიდანაც, ომის დროს, ფრონტის სარდალი ლორის-მელიქოვი ათგალიერებდა არტაანის სიმაგრეებს. ქართველი ქურნალისტის მეგზური იყო ახალციხელი სომები. ქალაქში შესვლისას მათ შეხვდათ არტაანები მოლა, რომელიც, ავტორის თქმით, „საშინელი ფანატიკოსი რამ აღმოჩნდა“ და რომელმაც ასეთი დიალოგი გაუმართა მათ: „– შენ, გეტყობა, ქართველი უნდა იყო და აი გეტშვი განგების ნებას: ეს ადგილი, რომელზე შენ სდგეხარ, ოდესმე ეკუთვნოდა შენთა წინაპართა, რომელთაც მრავალი სისხლი დაუღვრიათ აქ, ამის დასამტკიცებლად გეტყვი, რომ თვით არტაანში ეხლაც ნახავთ დიდი თამარ მეფისაგან აშენებულს ციხეს, აგერ, ნიშნები თქვენის აქ უფლებისა, –მიმითოთა აოხრებულ ნასოფლარებზე. თვით მაგ ნასოფლარის სახელები ამტკიცებენ, რომ ეს ადგილი ქართველთა ტომს ჰკუთვნებია, აგერ, აიმ ადგილს ეხლაც „მინდა-შენს“ ეძახიან, აიგერ იმას „საფუხავი“ ეწოდება, აგერ მესამე და მეოთხე „საზარა“ და „ვერანა...“ ჩემი წინაპარნიც თქვენნი

ტომისანი ყოფილან, მაგრამ დახე ღვთის განგებას! ძალითა და ნებითა მისითა დაიპყრეს ოსმალთა, აგვეხილა მისივე ძალით თვალები, დაგვიხსნა ურწმუნოებისაგან და მოგვანიჭა მართალი და ჰეშმარიტი სარწმუნოება...“ ეს გამაპმადიანებული ქართველი, ცნობიერებაში მაინც რომ შემორჩენოდა თვისი ეროვნული წარმომავლობა, მოლა იყო და ასე მსჯელობა მისგან ბუნებრივია. ჩვეულებრივი, სამუსლიმანო საქართველოს ქართველებიც შიშობდნენ – არ შელახულიყო მათი სარწმუნოებრივი გრძნობები, სხვა მხრივ, მათ დედასამშობლოსთან დაბრუნება სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებდათ.

ლევან ჭედლიშვილის აღწერილი 1878 წლის არტაანი ასე გამოიყურებოდა: „უსუფთაო ქუჩები, წივის სუნი, რომელსაც აქ შეშის ნაცვლად იყენებდნენ, იმერული, ზოგან ახალციხის მაზრის მსგავსი შენობები, ვიწრო ქუჩები... არტაანი მოზრდილ სოფელს უფრო პგავდა, ვიდრე ქალაქს. მას დაჲყურებდა თამარის ციხე. დასახლების აღმოსავლეთ ნაწილში იდგა დიდი, ყაზარმული ტიპის შენობები, ისინი ფაშების, საჭიროებისას კი – ჯარის სადგომებად გამოიყენებოდა. აქ იყო ტელეგრაფი, სასამართლო, პოსპიტლები, შედარებით მდიდარი ადამიანების საცხოვრებელი სახლები. არტაანს მტკვარი ორ ნაწილად ჰყოფს, მაშინ აქ ორი ხის ხიდი ყოფილა, სახლების დიდი ნაწილი ომს დაენგრია, ზოგი თავად მცხოვრებლებს აეყარათ და თურქეთის სიდრმეში გადასულან, ზოგი კი, ომის დროს, ზარბაზნებს გაუნადგურებიათ. არტაანის ბაზარში ძალიან ბევრ აღგილას ისმოდა ქართული საუბარი. ესენი, „დროების“ პუბლიკაციის ავტორის თქმით, ახალციხელი ებრაელი და სომეხი ვაჭრები ყოფილან, ისინი ქართულად ესაუბრებოდნენ აქ ჩამოსულ აჭარლებს, რომელთაც დიდი რაოდენობის ხილი, ერბო და სხვა პროდუქტები ჩამოჰქონდათ არტაანში გასაყიდად.

არტაანში შესულ ჯარს იქ დახვედრია დუქნებში მოკალათებული ახალციხელი სომეხი ვაჭრები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეს დუქნები მათ თუ მათ მამა-პაპებს ეკუთვ-

ნოდათ. რუსის სალდათებმა ყური არ უგდეს, თავისებტურად თოფის კონდახები წაუსვეს კისერში და გამოყარეს იქიდანო. ქართველ უურნალისტს ბევრი უამბეს მოხელეთა და ჯარის გულგრილობაზე, ისიც უთხრეს, როგორ წართვეს ჯარისკაცებმა ადგილობრივ მცხოვრებთ სახლები და შიგ სომხის ოჯახები ჩააყენეს. ქალაქში იყვნენ ბათუმის მაზრიდან მოსული ლაქები, რომლებიც მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ. „ჭია-ჭამიას“ – ლევან მჭედლიშვილს გაუცვნია ლაზი ბიძაშვილები – პუსეინ და ჰასან ქარაბაძეები. მათ უთქვამთ, რომ ბათუმის მაზრაში ძირითადად ქართულად ლაპარაკობდნენ, დედაკაცებს საუბართან ერთად წერა-კითხვაც მარტო ქართულად ეხერხებათ, რასაც შთამომავლობას ასწავლიანო. არტაანის ძველი ძეგლები – გულიავერდი და რამაზანი – ნაწილობრივ დანგრეული იყო. ყაზარმებში რომის, არყის, კონიაკის, პრევერანსის, ჩინოვნიკური ჭორების, ინტრიგების სუნი ტრიალებდა, იყო საუბარი ჩინქზე, ორდენებზე და ჯამაგირებზე, სიცივე და წვიმები შეადგენდნენ აქაურ ცხოვრებას, ზოგჯერ ჩამოდიოდნენ თეატრალური ჯგუფები იმპერიის ქალაქებიდან, მათ შორის თბილისიდანაც [გაზეთი „დროება“, 1878, №189].

აი, ამ ქალაქსა თუ დიდ სოფელში ჩავიდა მოწყალების დად ანა ერისთავი-ჭავჭავაძე 1878 წლის 7 მაისს.

თავდაპირველად ანას სამოცი დაჭრილი მიაბარეს მოსავლელად, შემდეგ ეს რიცხვი ასამდე გაიზარდა, დაჭრილებისა და ავადმყოფების მოვლა დიდ მხნეობას, გულმოდგინებას და მოთმინებას საჭიროებდა. კარგ ცხოვრებასა და განცხოვმას მიჩვეული ქალისთვის ადვილი არ იყო ამ სიძნელეების გამკლავება. ყოველ დღე ორჯერ მაინც უნდა ჩამოევლო თითოეული ავადმყოფისათვის, შეეხსნა ჭრილობა, გაეწმინდა, გამოეცვალა წამლები, შეერჩია მალამო, შეეხვია დაკოდილი ადგილი, გაემხევებინა სნეული, დაეყვავებინა მისთვის, მოეთმინა პოსპიტალში დატრიალებული საშინელი სუნი. ძალიან უჭირდა, მაგრამ ვერავინ შეამჩნევდა, ის კი არადა, ნამდვილ ფსიქოთერაპევტიდ იქცა, ადამიანებისთვის იმედი და სიხარუ-

ლი მოპქონდა. კეთილი მოქმედებით ყველას ისე შეაყვარა თაგი, რომ ავადმყოფები მას აღსარებასავით აბარებდნენ თავიანთ საიდუმლოს, უზიარებდნენ აზრებსა და ოცნებებს, სიხარულსა და მწუხარებას.

მძიმე სამუშაოს, შეუჩეველ დატვირთვას ემატებოდა არტაანის საშინელი პირობები, როგორი პავა – დამის სიცივე და დღის აუტანელი სიცხე, უვარგისი წყალი და ქართველი არისტოკრატი ქალისთვის უძნელესი გარემო. ამ კველაფერმა, მომეტებულ შრომასთან ერთად, აიძულა ქალი, ეთხოვა შვებულება, ერთი თვით დაქსენა თბილისში და თავისიანებიც ენახა. როგორი გზის დასაწყისშივე, არტაანთან ახლოს, ხელი მოიტეხა. საშინელი ტკივილები ტანჯავდა, მასთან მყოფი ქართველები ურჩევდნენ სამუდამოდ მიეტოვებინა ფრონტი, დაბრუნებოდა ოჯახს, მაგრამ, როგორც მისი ძმა, რაფიელ ერისთავი წერდა, „მოვალეობა მიაჩნდა უმეტეს თავის თავისა“ და ჯერ კიდევ სნეული, გზიდანვე დაბრუნდა არტაანში ავადმყოფების მოსავლელად.

ანას დაბრუნებამ აღაფროვანა თურმე ექიმები, პოსპიტალში მომსახურე მთელი პერსონალი და ავადმყოფები, რადგან ისე უყვარდათ, როგორც „ლვიძლი და – ძმებს, როგორც მშობელი დედა – შვილებს“. ხეთი თვის მანძილზე, თაგად სნეული და სუსტი ქალი, კვლავ თავდადებით ემსახურა ფრონტს, ისე უვლიდა და პატრონობდა დაჭრილებს, კერც მიუხვდებოდა ვინმე გასაჭირს. ერთხელ, როდესაც მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი მიწვენილი ჰყავდა თავის მტკივან მკლავზე და საცუთარი ხელით აჭმევდა, მისუსტებულ ავადმყოფს გული წაუვიდა, გვერდზე გადავარდა, ანამ ხელი მიაშველა და ახლად შეხორცებული მკლავი ხელახლა გადაუტყდა. თავიდან დაეწყო ტკივილიანი წამება, მაგრამ ალბათ ამასაც დასძლევდა ეს მამაცი სულის ქალი, რომ არა ახალი უბედურება: ავადმყოფებისგან შეეყარა პოსპიტალში გაგრცელებული პარტატიანი ტიფი, რომელსაც ამ დროს „პატარა შავ ჭირს“ უწოდებდნენ. სახადს კი ვეღარ გაუძლო, მის მოსავლელად აქ არავის ეცალა, იყო ერთი ჩვეულებრივი,

უპატრონო და უთვისტომო ავადმყოფივით. ქალი, რომლის სახელოვანი გენერალი მეუღლე იმპერიას აზანზარებდა, ვისი დაძმაც, სახელოვანი ქართველი ოჯახებით, ყველასთვის ნაცნობი და რჩეული ადამიანები იყვნენ, იტანჯებოდა და კვდებოდა მარტო, ახლად შემოერთებულ არტაანში, სადაც ოდესაც მისი წინაპარი ქართველი ქალები მოღვაწეობდნენ, შვილებს ზრდიდნენ და მტრებს ებრძოდნენ... პოეტი ბარბარე ჯორჯაძე დისადმი მიძღვნილ ლექსში მოთქვამდა მისი ამგვარი სიკვდილის გამო, ნატრობდა, რომ მოწამეობრივად გარდაცვლილს სამოთხეში დაესადგურებინა. მისი აზრით, ანამ თავიდანვე იცოდა ამ საშინელ ხვედრზე და სასიკვდილო განაჩენი თავად გამოუტანა თავს. ლექსს იგი ამ სტრიქონებით ამთავრებდა:

„სალმობის დღეში ვინა გყავდა ხელის მოწვდელი?

ვის შეავედრე უსჯულეთში ნეტავი სული?

ნეტავ ვიცოდე, თუ რა გქონდა იმ დროს სათქმელი,

რომელს გვიხმობდი შენს მშეელელად ცნობამიხდილი.

ჩვენ სადა გყანდით სისხლ-ხორცნი და ნათეავები,

რომ არ გივლიდით, არ დაგიცხრეთ სენი შემწვდელი,

მანდ იქნებოდი, როგორც მწირი, ვინმე უცნობი,

უჭირისუფლო, ვით გლახაკი ცრემლდაუყრელი!..“

გარდაცვლილის ძმა, პოეტი რაფიელ ერისთავი დის მაგალითს ქართველ ქალთა დიდი დირსების გამომხატველად მიიჩნევდა და წერდა: „შემდეგ ამისა ჩვენ ნუდარ ვიტყვით, რომ ჩვენში არ იყვნენ ქალები, ენერგიის მქონენი, სწავლის მსურველნი და ქველმოქმედებისათვის თავგანწირულნი, ნუდარ ვიტყვით, რომ ქალებს შვილების შობის და აღზრდის მეტი დანიშნულება არ აქვთო და დაუბრუნოთ ის სიმართლე, რისაც დირსნი ყოველთვის ყოფილან, არიან და იქნებიან და დამშვენებენ და დააგვირგვინებენ კიდეც იმ ადგილს და თანამდებობას, რომელთაც იგინი მიიღებენ“.

ანა ერისთავი-ჭავჭავაძისა 1878 წლის 18 აპრილს გარდაიცვალა. დაკრძალულია არტაანში. მის მეუღლეს – ნიკო ჭავჭავაძეს, რომელმაც თითქმის ორი ათეული წელი იცოცხ-

ლა ანას გარდაცვალების შემდეგ, ცოლი აღარ შეურთავს, მთელი ცხოვრება საქვემდოქმედო და საზოგადოებრივ საქმიანობას შეაღია. ანასგან განსხვავებით, მისი საფლავი მშობლიურ ყვარელში, საგვარეულო სასაფლაოზე გაითხარა. აღბათ, არავითარი სხვა დიდი დაბრკოლება არ იქნებოდა ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც ანა ერისთავი-ჭავჭავაძის მეუღლე და ნათესავები იყვნენ, მისი გადმოსვენება და აბლობლების გვერდით დაკრძალვა, რომ არა ერთი მიზეზი: ანა ხომ სახადით გარდაიცვალა, ამგვარი ადამიანების ნეშტიც კი საშიშად ითვლებოდა და ამიტომ თუ მოერიდნენ და დატვეს მისი საფლავი იქ, სადაც ბედისწერამ თავად მიიყვანა და ერთი წლის მანძილზე მოწამეობრივი ღვაწლი გააღებინა ადამიანებისა და უფლის წინაშე.

ნებარი ავგუსტინე წერდა: ისტორიას დამწვარ სულთანან ავარდნილი აღი პეტენის. ერთი დაწვარი სულის აღი ამ მშვენიერი, სათნო და კეთილშობილი ქართველი მანდილოსნის ცხოვრებაცაა. საქართველოს ისტორიას ამგვარი უჩინარი, თავდადებული ადამიანები აღუდაბედნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავალიანი გ., საბრძოლო თანამეგობრობის გამოძახილი, თბ., 1974.
2. ერისთავი რ., ნეკროლოგის მაგიერ, გაზ. „დროება“, 1878, №173.
3. ილია ჭავჭავაძე თანამეგობროვეთა მოგონებებში, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, 1987.
4. მეგრელიძე შ., ჩვენი სახელოვანი სამსედრო წინაპრები, თბ., 1979.
5. ჭედლიშვილი ლ. (ჭია-ჭამია), გაკვრითი შენიშვნები, წერილები არტაანიდან, გაზ. „დროება“, 1878, №189.
6. ნიკოლაძე რ., ვ. პეტრიაშვილი და თერგდალეულები, წიგნში – ვ. პეტრიაშვილი, თბ., 1950.
7. ჩიქოვანი ი., თავადი ჭავჭავაძეები, თბ., 2002.
8. Потто В. А., История Нижегородского драгунского Полка, М., 1905.

Dodo Chumburidze

The Georgian Nurse in Artaani Ana Eristavi - Chavchavadze (1833 - 1878)

Summary

Ana Eristavi - Chavchavadze was from the famous 19th century Georgian aristocratic family. She was a descendant of Aragvi Eristavs (rulers of Aragvi region). Her brother Raphiel Eristavi and sister Barbare Jorjadze were prominent poets and public figures. Ana had an excellent education, was a wife of a famous general of the Russian empire - Niko Chavchavadze who in Georgia was known as “great Niko”. Ana together with her husband was carrying on cultural, educational and philanthropic activities. In 1877, when Russian - Turkey war took place Niko Chavchavadze was fighting against Turks at forward positions. His wife founded an organization “Philanthropic Community” for helping wounded and sick warriors. She was the first among others who went to the war as a nurse. Ana spend a year in Artaani that was joined to Georgia during this war. A woman who was used to a well provided life showed unprecedented steadfastness and devotion. Ana underwent many difficulties but finally died. She was buried in Artaani. She died of infectious disease, that may be the reason why she was not buried in motherland. Her husband, Niko Chavchavadze, left all his property and rich library in his life to “The Society of Spreading Reading and Writing”.

Додо Чумбуридзе

Сестра милосердия в Артаани Анна Эристави-Чавчавадзе (1833-1878)

Резюме

Анна Эристави-Чавчавадзе, происходила из известной грузинской аристократической семьи XIX века, была потомком Арагвских Эриставов. Брат и сестра Анны – Рафиэл Эристави и Барабаре Джорджадзе - поэты и известные общественные деятели. Анна получила прекрасное образование, она была замужем за известным генералом Российской империи – Нико Чавчавадзе, которого в Грузии прозвали «великим Нико». Вместе с супругом Анна занималась культурно-просветительской деятельностью и благотворительностью. Когда в 1877 началась Русско-турецкая война, Нико Чавчавадзе сражался с турками на переднем крае, а его жена в это время создала благотворительное Общество помощи раненым и больным бойцам. Одной из первых она отправилась на фронт в качестве сестры милосердия. Анна прожила год в Артаани, который в то время присоединился к Грузии. Привыкшая к беззаботной жизни женщина проявила необычайную стойкость и самоотверженность, перенесла множество бед, но в итоге все же погибла. Ее похоронили там же, в Артаани. Причиной того, что ее прах не перевезли на родину, должно быть, стало то, что она скончалась от инфекционного заболевания. Ее муж еще при жизни завещал все свое состояние и богатейшую библиотеку «Обществу по распространению грамотности».

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა 1888-1900 წლებში

საქართველოსთან შეერთების შემდეგ სწრაფი ტექნიკური მიმღინარეობდა ბათუმის განვითარება. პირველი ათი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ქალაქის მოსახლეობა, ისე მისი ეკონომიკური პოტენციალი. შეცვლილი ქალაქი მოითხოვდა ცვლილებებს მმართველობის სფეროშიც.

ბათუმელთა მოთხოვნის საფუძველზე 1888 წლის 28 აპრილს ხელისუფლებამ გაიცა განკარგულება ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ. აღნიშნული განკარგულების განხორციელებისათვის შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ. დ. გავრონსკი ჩაუყენეს. განკარგულების მიხედვით ქალაქის თავის მოვალეობას პირველი ოთხი წლის მანძილზე შეასრულებდა არა სათათბიროსაგან არჩეული, არამედ მთავრობისაგან დანიშნული პიროვნება, ასევე ქალაქის სამშენებლო ნაწილი დარჩებოდა საგუბერნიო მმართველობის განკარგულებაში. ამდენად, ბათუმის თვითმმართველობის უფლებები იმთავითვე შეკვეცეს, რასაც ემატებოდა რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები: არჩევნების შეზღუდულობა, ადმინისტრაციის მხრიდან სათათბიროს საქმეებში ჩარჩვის შემთხვევები და სხვა. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ბათუმში იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა როგორც ქალაქის ეკონომიკურ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში თავი მოიყარა ეროვნული სულისკვეთებით

გამსჭვალულმა ძალებმა, რომელთა მიზანი იყო „ბათუმის ქართულ ქალაქად გადაქცევა” [ს.მგალობლიშვილი, 1938: 85].

1888 წლის 25 აგვისტოს და 2 სექტემბერს ჩატარდა ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა პირველი არჩევნები. ოთხი წლის ვადით აირჩიეს სამი თანარიგის 36 ხმოსანი. ბათუმის პირველი სათათბიროს შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით ასეთი იყო: ქართველი – 11, რუსი – 8, სომები – 10, ბერძენი – 2, ებრაელი – 2, პოლონელი – 2, გერმანელი – 1 [Батумь и его окрестности, 1906: 486].

1 ოქტომბერს შედგა ბათუმის თვითმმართველობის საზეიმო გახსნა. ქალაქის თავად დაინიშნა კ. გავრონსკი, მისი მოადგილე გახდა დ. ბიკოვი, გამგეობის წევრები იყვნენ ა. კოიანდერი და ი. შადინოვი, ქალაქის მდივანი გახდა ი. მესხი.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა ჩამოყალიბების-თანავე ენერგიულად შეუდგა ქალაქისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას. 1889 წლის 13 თებერვლის სხდომაზე შეიქმნა კომისია ი. მამულოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა შეესწავლა ის კონტრაქტები, რომელთა საფუძველზეც მოხდა საგაჭრო ფირმებისათვის ნავთობსადგნების გაყვანაზე ნებართვის გაცემა [აცსა, ფ.6, ს.57, ფ.6]. თვითმმართველობა დაუინებით სვამდა საკითხს ქალაქის ფარგლებიდან ნავთისა და ნავთობპროდუქტების საწყობების გატანის აუცილებლობის შესახებ [აცსა, ფ.6, ს.73, ფ.13-17].

ბათუმის სათათბიროს ხმოსანთა განმეორებითი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1892 წელს. წინასაარჩევნო სამზადისი დაიწყო კიდეც, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცენტრიან მოქალაქეთა ქონების მესამედი ეკუთვნოდა როგორილდის კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოებას. ე.ი. მხოლოდ როგორილდი უნდა შესულიყო ამომრჩეველთა პირველ თანარიგში და მასვე უნდა აერჩია ხმოსანთა მესამედი. შექმნილ ვითარებაში ქუთაისის გუბერნატორმა შესაძლებლად ჩათვალა ბათუმის ამომრჩეველების ორ თანარიგად დაყოფა, თუმცა საქმეს ვერც ამან უშველა. ახალი დაყოფით პირველ თანარიგში ხვდებოდა ექვსი მესაკუთრე, რომლებიც

ფლობდნენ ბათუმელთა მთელი ქონების ნახევარს და მათვე უნდა აერჩიათ ხმოსანთა ნახევარი – 18 ხმოსანი. დანარჩენ ცენზიან მოქალაქეებს (500 კაცს) შეეძლოთ ასევე აერჩიათ 18 ხმოსანი. ბათუმის გამგეობამ მოითხოვა არჩევნების გაერთიანებული სიით ჩატარების უფლება, რაზეც კავებასიის ადმინისტრაციამ ახალი დებულების მიღებამდე უარი განაცხადა. გადაწყვდა ძველ ხმოსნებს გაგრძელებოდათ უფლებამოსილება, სანამ არ გაუქმდებოდა თანრიგები და ყველა ცენზიანისთვის საერთო-საარჩევნო კრება ჩამოყალიბდებოდა [Батумь и его окрестности, 1906: 492-493].

ახალი დებულება დამტკიცდა 1892 წლის 11 ივნისს. ამ დებულებით ბათუმში ხმის მიცემის უფლება ეძლეოდათ 1000 მანეთზე მეტი ქონების მფლობელ მოქალაქეებს. ამით საარჩევნო სიაში ხვდებოდა მხოლოდ მსხვილი და საშუალო მესაკუთრეები. ფაქტობრივად, მესამე თანრიგის ამომრჩევლებმა (წვრილმა მესაკუთრეებმა) დაკარგეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ასეთმა კანონმა მნიშვნელოვნად შეამცირა ამომრჩეველთა რაოდენობა ბათუმში [ალ. ბენდიანიშვილი, 1982: 234]. ოუ 1888 წლის არჩევნებში ბათუმის 14.000 მცხოვრებიდან მონაწილეობდა 525 კაცი, 1894 წელს – 25 ათასიდან მხოლოდ 318.

1894 წლის 12 ოქტომბერს ბათუმში მეორედ ჩატარდა სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები. სიაში მყოფი 318 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 239 კაცმა. მათ აირჩიეს 35 ხმოსანი და 9 კანდიდატი. ხმოსნების ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: ქართველი – 19, რუსი – 8, ბერძენი – 5, პოლონელი – 3. ქართველებმა სათათბიროში მიიღეს ადგილების 55%, რამაც უზრუნველყო ქალაქისთავისა და გამგეობის არჩევნებისას ქართველთა წარმატება. ხმების დიდი უმრავლესობით ქალაქისთავად აირჩიეს ლუკა ასათიანი. „ივერია“ ამ ფაქტს შემდეგნაირად აღწერდა: „ქალაქის თავის თანამდებობაზე სამმა კანდიდატმა იყარა კენჭი: ბ. ბიკოვმა, ბ. სევერინმა და ბ. ლუკა ასათიანმა. ბიკოვმა და სევერინმა მიიღეს 16 თეორი და 19 შავი კენჭი, ლუკა ასათიან-

მა – 19 თეთრი და 17 შავი... ამგვარად ქალაქის თავად არჩეულ იქნა ლუკა ასათიანი, გამგეობის წევრებად გრ. ვოლსკი და ივ. ივანოვი. სეპრეტრად მარტო ბ. ივანე მესხეს უკარეს კენჭი, რომელსაც ამოუკიდა 30 თეთრი და 5 შავი“ [„ივერია”, №79, 1894].

ახლად არჩეული სათათბირო და გამგეობა აქტიურ საქმიანობას შეუდგა ბათუმის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის. ცხადია, ქალაქისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა პქონდა პორტის განვითარებას. ამიტომ პორტის თემა სათათბიროს მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1888 წლის 23 სექტემბერს სათათბიროს სხდომაზე მოისმინეს განსაქუთრებული მოსამზადებელი კომისიის მოხსენება „ბათუმის პორტის სანაპირო ზოლის გაფართოებისა და მისთვის მიმდებარე მიწის გამოყოფის საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტის შესახებ“, რომელშიც ხაზგასმული იყო: „ამჟამად ბათუმის პორტის ნავმისადგომი ზოლი მხოლოდ 380 საჟენს შეადგენს, რაც მხოლოდ ნავთობპროდუქტების ექსპორტისთვის არის საკმარისი... ტვირთბრუნვის პროგრესული ზრდის შემთხვევაში არსებული ზოლი მოთხოვნილების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს თუ დააკმაყოფილებს... საჭიროა ნავმისადგომი ზოლი 800 საჟენის მასშტაბისა“ [აცსა, ფ. 7, ს. 3, ფ. 10-12].

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად პორტს შემდგომშიც უჭირდა დაეგმაყოფილებინა ტვირთბრუნვის სულ უფრო მზარდი მოცულობა. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა ბათუმისა და ფოთის პორტებში გემების მოსვლისა და ტვირთბრუნვის მოცულობის შედარება. 1893 წლის, მონაცემებით ბათუმის პორტში შემოვიდა სულ 2751 გემი (2. 158 ორთქლის, ხოლო 593 იალქნიანი), როცა ფოთის პორტმა მიიღო სულ 590 გემი (514 ორთქლის, ხოლო 76 იალქნიანი). იმავე წელს ბათუმის პორტში შემოიტანეს 6. 068. 120 ფუთი ტვირთი (რომლის ღირებულება შეადგენდა 9. 701. 774 მანეთს), ხოლო გაიტანეს 57. 725. 902 ფუთი (ღირებულება შეადგენდა 23. 556. 659 მანეთს). მაშინ როცა ფოთის

პორტში შემოიტანეს 1. 787.000 ფუთი ტვირთი (საერთო დირეგულებით 2. 239. 500 მანეთი), ხოლო გაიტანეს 11. 495. 542 ფუთი (საერთო დირეგულებით 2. 239. 500 მანეთი) [ქცსა, ფ. 130, ს. 178, ფ. 7-14].

მოითხოვდა რა პორტის გაფართოებას, ბათუმის თავი ლუკა ასათიანი 1900 წლის 28 აგვისტოს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: „20 წლის წინათ ბათუმის პორტის ტვირთბრუნვა არ აღემატებოდა 500.000 ფუთს, 1899 წელს კი მან 90 მლნ. ფუთს მიაღწია. 1898 წელს ბათუმის პორტში შემოსული გემების რაოდენობამ შეადგინა 1740 (თურქული და რუსული პატარა გემების ჩაუთვლებულად). ბათუმის პორტის ნავმისადგომი შეადგენს მხოლოდ 600 საჟენს. საშუალოდ ერთ საჟენზე უნდა მოდიოდეს 200.000 ფუთი ნავთობი, ხოლო სხვა ტვირთი 40.000 ფუთი. ამ შესაბამისობით პორტის ნავმისადგომი ზოლი უნდა იყოს 1333 საჟენი... [ქცსა, ფ. 12, ს. 713, ფ. 52-53].

სათათბირო ცდილობდა გაზრდილიყო ბათუმის პორტიდან მარგანეცის ექსპორტიც. ამ მიზნით 1899 წლის 22 ოქტომბრის სხდომაზე ქალაქის გამგეობას შესაბამისი შუამდგომლობის აღმვრაც დაავალა [აცსა, ფ. 7, ს. 315, ფ. 5-7].

შემოსავლების გაზრდის მიზნით სათათბირო ხელს უწყობდა სხვადასხვა საგაჭრო სახლებისა და ფირმების დამკვიდრებას ბათუმში [აცსა, ფ. 6, ს. 112, ფ. 25].

ბათუმის ეკონომიკური ზრდისა და სათათბიროს მეცადონებით თვალსაჩინოდ გაიზარდა ქალაქის ბიუჯეტიც. თუ 1892 წელს შემოსავალმა შეადგინა 122. 161 მანეთი [აცსა, ფ. 6, ს. 97, ფ. 4], 1896 წელს მიაღწია 334. 995 მან. [ქცსა, ფ. 130, ს. 184, ფ. 21], ხოლო 1900 წლისთვის – 680. 996 მანეთამდე გაიზარდა [აცსა, ფ. 6, ს. 214, ფ. 8].

სათათბირო სერიოზულად ზრუნვლდა ქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის, განათლებისა და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. სათათბიროსა და გამგეობის შეთანხმებული მოქმედების შედეგები მაღალ დაეტყო ბათუმს – გაიზარდა ქალაქის ფართობი და

მოსახლეობა, გაიხსნა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, შეიცვალა ქალაქის იერსახე. 1897 წლის 22 ოქტომბრის ქალაქის სათაობიროს სხდომაზე აღინიშნა: „ბათუმის მოსახლეობა გახდა 26.417 ადამიანი, ახალგაზრდა ქალაქში აშენდა 3000 სახლი, მათ შორის 800 ქვის, ქარხნების რაოდენობა გაიზარდა 18-მდე, მათი საერთო დირექტულებით 7. 094. 480 მანეთი ვერცხლით. ყოველივე ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქის კეთილმოწყობა“ [აცსა, ფ. 6, ს. 152, ფ. 39]. ამ წარმატებებში დიდი იყო ქალაქის სათათბიროსა და გამგეობის წვლილი.

1898 წლის 18 ოქტომბერს ჩატარდა ბათუმის სათათბიროს მესამე არჩევნები. 2 დეკემბერს შედგა ხმოსანთა ფიცის დადების ცერემონიალი. 1899 წლის 7 იანვარს ჩატარდა გამგეობის არჩევნები. როგორც სათათბიროს, ისე გამგეობის შემადგენლობა ძირითადად უცვლელი დარჩა.

ცარიზმის რეჟიმის მხრიდან სერიოზული ზეწოლის მიუხედავად ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ 1888-1900 წლებში დიდი როლი შეასრულა როგორც ქალაქის ეკონომიკური აღმავლობის, ისე მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღების საქმეში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, აღწერა 1, საქმე 57.
2. აცსა, ფ. 6, ა. 1, ს. 73.
3. აცსა, ფ. 6, ა. 1, ს. 97.
4. აცსა, ფ. 6, ა. 1, ს. 112.
5. აცსა, ფ. 6, ა. 1, ს. 152.
6. აცსა, ფ. 6, ა. 1, ს. 214.
7. აცსა, ფ. 7, ა. 1, ს. 3.
8. აცსა, ფ. 7, ა. 1, ს. 314.
9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 12, აღწერა 1, საქმე 713.

10. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა1, საქმე 178.
11. ქცხა, ფ. 130, ა. 1, ს. 184.
12. „ივერია”, №79, 1894.
13. ბენდიანიშვილი ად., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მიხედვით დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბ., 1982.
14. მგალობლიშვილი ს., თბ., 1938.
15. Батумь и его окрестности, Бат., 1906.

Jemal Karalidze

Batumi urban self-government in 1888-1900

Summary

After freeing from Osman rule, Batumi became a fast growing city. Grown population and economical revival demanded changes in the management of the city as well. On the 28th of April 1888, tsarism had to order urban self-government in Batumi. Despite great restrictions (Gavronski was appointed as the head of the city, but building part was still in the competence of the province government), self-government began its energetic work immediately. In 1894 there was held deliberative voters' election for the second time in Batumi. Luka Asatiani was elected as a head of the city. Since then the council with the government played an active part in improving organization of public services and amenities, education and health care conditions.

Despite suppression and legislative restrictions from the government, self-government played an important role in the development of Batumi as a Georgian city.

Джемал Карадидзе

Батумское городское самоуправление в 1888-1900 г.г.

Резюме

После освобождения от османского господства Батуми развивался быстрыми темпами. Возросшее население и растущая экономика настоятельно требовали изменений в сфере городского управления. Царизм был вынужден 28 апреля 1888 года издать указ о введении в Батуми городского самоуправления. Несмотря на большие ограничения (городским головой был назначен К. Гавронский, а строительная часть всё ещё оставалась в ведении губернского управления), самоуправление начало энергичную работу. 1894 году в Батуми вновь состоялись выборы гласных думы. Городским головой был избран Лука Асатиани. С этого времени дума в месте с управой ведёт активную работу по благоустройству дел в сфере образования и здравоохранения.

Несмотря на законодательные ограничения и давление со стороны властей самоуправление сыграло большую роль в развитии Батуми как грузинского города.

უცნობი ფურცლები აჭარის ისტორიიდან (ემიგრაციული პრესის მასალების მიხედვით)

აჭარის ისტორიის შესახწავლად საინტერესო მასალებს გვაწვდის დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წწ.) პირველი დროებითი მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ქურული (1865-1951 წწ.). იგი ამცნობებს, ძირითადად, თავისი მამის დურმიშხან ქურულის დღიურებზე დაყრდნობით გადმოგვცემს, რომელსაც ემიგრაციაში გამომავალი გაზეთ “დამოუკიდებელი საქართველო”-ს ფურცლებზე პერიოდულად აქვეყნებდა სახელწოდებით: “ფურცლები რეგულიდან”. აღნიშნულ მასალებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული ფაქტების უკეთ გაცნობა-შეფასებისათვის. გიორგი ქურული ბათუმის, ასევე თბილისის თვითმმართველობის სამსახურში მოღვაწეობდა. საქართველოს იძულებითი გასაბჭოების დროს, იგი ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს ხელმძღვანელობდა. ბოლშვიკებმა მოინდომეს მისი ცოდნის და გამოცდილების გამოყენება, მაგრამ ოკუპანტთა სამსახურში წარმატებულ კარიერას მანქაროველი საზოგადო მოღვაწის ეკლიანი გზა ამჯობინა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მძიმე ხვედრი გაიზიარა.

რესეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921-1923 წლებში, გ. ქურული ბერლინში ქართული სათვისტომოს პირველი თავმჯდომარე იყო. ემიგრაციაში იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში, 30-იან წლებში კი პარიზში ქართული კოლონიის თავმჯდომარე იყო და აქტიურად თანამშრომლობდა ქურნალ “ქართლოსი”-ს ფურცლებზე, სადაც საინტერესო წერილებს აქვეყნებდა [შარაძე, 2005: 8].

გ. ქურული აღნიშნავს, რომ მან საჭიროდ ჩათვალა გადმოეცა ის ინფორმაცია, რაც მას გააჩნდა მამის დღიურების სახით, ასევე პირადად ჰქონდა მოსმენილი 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის უშუალო მონაწილეთაგან. იგი ამბობს: “რუს-ოსმალოს ომი რომ ატყდა, 12 წლისა ვიდავი, მაგრამ მაინც დიდ ნერვიულობას განვიცდიდი მთელ იმ ხანაში, რადგან თსმალეთთან ბრძოლაში მამაჩემიც მონაწილეობდა. ბევრი რამ საყურადღებო თვით მამისაგან მაქვს გაგონილი, ზოგი რამ პირადი შეხვედრების დროს, იმ ქართველი ოფიცერებისაგან, რომელთაც ზოგიერთ შემთხვევაში გადამწყვეტი ხელმძღვანელობა რგებიათ ბრძოლების ჩატარების დროს” [ქურული, №143, 1938: 5]. ძირითადი წყაროს დასახელების შემდეგ, გიორგი ქურული აღნიშნავს: “მანამ ის არქივ-მოგონებანი გამოქვეყნდებოდეს, ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ, თუმცა არა უშუალოდ მონაწილემ იმ მკელ საქმეთა, ავწერო აქ ის ცოტა რამ, რაც სხვებისაგან გამიგონია იმ მუშაობის შესახებ, სწორედ კულისებში რომ ხდებოდა” [ქურული, №143, 1938: 5].

ბათუმ-არტანის, არტანუჯ-ართვინის და ჩაქვ-ქობულეთის საქართველოსთვის შემოერთებას, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედევად, თავისი დაუწერელი ისტორია აქვს. გიორგი ქურულის ცნობით, ართვინ-ბათუმის მხარის რუსების მიერ ოსმალებისაგან გათავისუფლება, “უცაბედად და მოულოდნელად” არ მომხდარა. რუსულ ჯარში, რომელიც კავკასიის ფრონტზე იბრძოდა, მრავალი ქართველი მხედარიც ირიცხებოდა. ჩვენი ვალია არც ერთ მათგანს არ დაგუკარგოთ თავიანთი საბრძოლო გმირობა. გიორგი ქურულის სასახლელოდ უნდა ითქვას, რომ მან ემიგრაციული პრესის ფურცლებზე შემოგვიხახა მრავალი მათგანის გმირობის ამბავი.

გიორგი ქურული აღნიშნავს, რომ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლებში განსაკუთრებით სამმა ქართველმა მებრძოლმა ისახელა თავი. ესენი იყვნენ: პოლკოვნიკი მიხეილ ამირეჯიბი (გიორგი ქურულის ცნობით, ოსმალების დამარცხება მისი უშუალო სარდლობით მოხდა), პოლკოვნიკი დიმიტრი მუს-

ხელიშვილი (შემდგომში საზოგადო მოღვაწე) და პრაპორში ი ილიკო მაქარაშვილი (შემდეგში რუსული არმიის გენერალ-ლეიტენანტი). გიორგი ჟურულის გადმოცემით, ამ ბრძოლების უშუალო თვითმხილველი იყო მისი მამა, რომელიც გენერალ კომაროვის შტაბთან ერთად იმყოფებოდა ერთ-ერთ მაღლობზე და იქიდან უშუალოდ ადგენერალი თვალს ბრძოლის მსვლელობას. მამის დღიურებზე დაყრდნობით, გიორგი ჟურული გადმოგვცემს, რომ რუსული ოფიციალური წერტილის ცნობით, პრაპორში მაქარაშვილმა 4 ზარბაზნით ოსმალების 40 ზარბაზანი “ჩააჩუმა”. თავიანთი სამხედრო დავალების შესრულების დროს, ისინი მოქმედებდნენ, როგორც კარგი ქართველი პატრიოტები. გიორგი ჟურული ამბობს, რომ მას პირადად მიხეილ ამირეჯიბისაგან მოუსმენია ასეთი ინფორმაცია: “ჩემს ბარგში, ომში რომ მქონდა წაღებული, თან გრიგოლ ორბელიანის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიც წავიყოლე. ბრძოლების დაწყების წინა დღეს ამ ლექსებს კითხულობდი, საქართველოს წარსული ომების მოგონებით გულს ვიღელვებდი და ამით მტერს უფრო შეუპოვრად ვეძებრებოდით ხოლმე იმ ჯარით, რომელიც გვუავდა” [ჟურული, №143, 1938: 6]. რაც შეეხბა დიმიტრი მუსხელიშვილს, გ. ჟურულის გადმოცემით, იგი მკვიდრი შვილი იყო მესეხთის, სადაც უშუალოდ ბრძოლა მიმდინარეობდა. დიმიტრი მუსხელიშვილი, სხვა ქართველ მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, შემდგომში სამხედრო ექსპერტად იყო მიწვეული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საიდუმლო შეკრებაზე.

საქართველოსათვის რუსეთ-ოსმალების 1877-1878 წლების ომი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებით დასრულდა. 1878 წლის 19 თებერვალს, დაბა სან-სტეფანოში რუსეთსა და ოსმალებს შორის დაიდო ზავი, რომლის თანახმად კავკასიაში არტაანი, ყარსი, ბაიაზეთი, აჭარა ბათუმითურთ რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა [გურული, 2004: 190]. საქართველოს დაუბრუნდა აჭარა და ბათუმი, თუმცა თითქმის სავსებით გამაჭმადიანებული ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ

ენით, კულტურით, მთელი თავისი ბრწყინვალე ისტორიული წარსულით განუერედად დაკავშირებული დედა-სამშობლოს-თან. ქ. ბათუმი, საუკეთესო პორტი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, ეპროპისაკენ ფართოდ გაღებულ კარად გადაიქცა.

ომში ოსმალეთის დამარცხებამ აჭარის მკვიდრო გადა-აწყებინა უბრძოლებელად შემოერთებოდნენ დანარჩენ სა-ქართველოს. მუსულმანი ქართველების თავგაცემთან, უშუა-ლოდ შერიფ ხიმშიაშვილთან და მის თანამოაზრებთან, რუსეთის უმაღლესმა სამხედრო სარდლობამ მოსალაპარა-კებლად საიდუმლოდ გაგზავნა დურმიშნან ჟურული და მი-ხეილ მეფისაშვილი. გიორგი ჟურული აღნიშნავს: “ამ სახი-ფათო მისის აღსრულების დეტალები მამაჩემს აქვს თავის დღიურში დატოვებული. იგი სავსეა დრამატული ეპიზოდების აღწერით: დამე, თავსემა წვიმის დროს ცხენებით როგორ გავიდნენ ადიდულ მდინარეში, ერთ ჩახრამულ უალაგო ალაგას, ოსმალეთის ბანაკს გვერდი როგორ აუარეს და შემდეგ ტყეში როგორ ელოდნენ შერიფ ბეგის ნიშანს მასთან უშიშრად ასასვლელად” [ჟურული, №143, 1938: 6].

დღიურებიდან ნათლად ჩანს ის ქართული სულისკვეთება, რაც დურმიშნან ჟურულმა შერიფ ხიმშიაშვილის ოჯახში სტუმრობისას იხილა. იგი წერს: “ზეგ ხიმშიაშვილთან, რომ მივედით, იქ ისეთი სანახაობა დაგვხვდა, რომ თავს ვგრძნობ-დით ნამდვილ ქართულ ოჯახში, ლაპარაკიც ქართული, ზრდილობა, მოქცვააც ჩვენებური”. მასთან სტუმრად მისული ელჩებისათვის შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს განუცხადებია: “ჩვე-ნი, ყველა ქართველი მუსულმანის სურვილია, ჩვენც იქ ვი-ყოთ, სადაც დანარჩენი ჩვენი მოძმე ქართველები არიან, გა-დაეციო რუსის მთავრობას, რომ უბრძოლველად დავნებდე-ბით, მხოლოდ ოსმალეთის ჯარის თვალის ასახვევად სრო-ლას პაერში დავიწყებთ. ჩვენი ჯარი შეტევაზე, რომ წამოვა, ჩვენ უკან დავიხევით, მერე ჩაგბარდებით, მაგრამ ჩვენი პირობა ასეთია: ჩვენს მხარეში უცხო ხალხი არავინ იყოს ჩა-სახლებული, ჩვენს რჯულზედ დარჩენა არ გვეკრძალებოდეს

და რაც ჩვენ, ბეგებსა და აღებს უფლებები და საკუთრება გვაქვს, „უცვლელად ჩვენვე უნდა მიგვეკუთვნოს; ოუ ეს პირობები რუსებისაგან არ იქნება მიღებული, ბრძოლას განვაგრძობთ” [ქურული, №143, 1938: 6]. ცნობილია, რომ აჭარის დედა-საქართველოსთან შეერთების სურვილი აჭარელთა თავკაცმა შერიფ ხიმშიაშვილმა, ჯერ კიდევ 1870 წლს გაანდო მასთან მისულ ივანე ეპერესელიძეს [ახვლედიანი, 1956: 123]. ბუნებრივია მისი ასეთი განტყობა, რადგან იგი დირსეული შთამომავალი იყო სელიმ ხიმშიაშვილის (1755-1815 წ.), რომელიც საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა. საქართველოსთან კავშირის მცდელობისათვის ოსმალებმა მას საჯაროდ მოკვეთეს თავი. სელიმ ხიმშიაშვილის ანდერძი მისმა შთამომავალმა შერიფ ხიმშიაშვილმა 63 წლის შემდეგ ადასრულა და აჭარა სამსაუკუნოვანი დაშორების შემდეგ, საქართველოს დაუბრუნდა [მახარაძე, 1998].

დურმიშხან ქურულის აზრით, სწორედ მოსახლეობის პროქარტული განტყობის შედეგად მოხდა აჭარის უსისხლოდ დაბრუნება. ამიტომ, „...შიგა და შიგ, ბეგებსა და აღებს ზოგს გენერლის და ოფიცრის ჩინი უწყალობეს, ზოგს “ურიადნიკის” წოდება და ბევრი “ზაფთიებად” მიიღეს. რუსის მოხელეების პირველი კადრებიც მეტწილად ქართველები იყვნენ: ერისთავები, წერეთლები, მეფისაშვილები, ბეთანიშვილები, დეკანოზიშვილები და ბევრი სხვანი” [ქურული, №143, 1938: 6]. 1878 წლს დურმიშხან ქურულის ოჯახიც ბათუმში დასახლდა.

თავის წერილებში გიორგი ქურული ხაზს უსვამს აჭარის მკვიდრი მოსახლეობის დედა-სამშობლოსთან შეერთების სურვილს. იგი ამბობს: “არც ბათუმი იყო რუსეთის მიერ იარაღით აღებული. ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა იგი რუსეთს დაუთმო საზავო ხელშეკრულების ძალით, მაგრამ ის ზავიც რომ არ ყოფილიყო, ბათუმი და მთელი მისი მხარე მაინც შეუერთდებოდა საქართველოს ტერიტორიას” [ქურული, №144, 1938: 13]. თუმცა გ. ქურული იქვე აღნიშნავს, რომ

რუსებმა ამ მხარეში შემდეგში მოხელეებად ქართველების ნაცვლად არაქართველები ჩააყენეს და დაიწყეს აღგილობრივი მოსახლეობის შევიწროება, რის გამოც დაიწყო ქართველ მუსულმანთა აყრა და ოსმალეთში გადასახლება.

12 წლის გიორგის განხაკუთრებით დამახსოვრებია დამარცხებული ოსმალების ბათუმიდან გამგზავრების პროცესი. იგი წერს: “მანსონს, ოსმალოს ჯარისკაცნი ორ ყაზარმაში იყვნენ დაბანაკებულნი. ერთი მათგანი ის შენობაა, სადაც შემდეგში “Hotel de France”-ი მოთავსდა, მეორე კი რუსებმა ეკლესიად გადააკეთეს. კარგად მანსონს ოსმალოს ჯარის უფროსი, ვინმე ფაშა, მუქი სათვალეებით ნერვიულად ბოლოს რომ სცემდა თავისი ყაზარმების წინ, თავჩაღუნული და ჩაფიქრებული, თითქოს დარცხვენილი. 12 წლის კადეტი სამხედრო წესით სალამს ვაძლევდი ხოლმე ფაშას, რომელიც სულ იმას ელოდა, რომ სტამბოლიდან მაღლე მოსულიყო გემი მათ წასაყვანად” [ქურული, №144, 1938: 14].

გიორგი ჟურული აქცენტს აკეთებს ბათუმის მდგომარეობაზე რუსეთის ხელისუფლების პერიოდში და აღნიშვნას, რომ მართალია, ოსმალების უკანასკნელი ეშელონების წასვლის შემდეგ, ბათუმი რუსეთის აღმინისტრაციულ ცენტრად გადაიქცა, მაგრამ რეალურად იგი ნამდვილ ქართულ ქალაქად ჩამოყალიბდა. ბათუმი, ეს ახალი ქართული აღმინისტრაციული ცენტრი, იტევდა 30-40 ათას მცხოვრებს, მაშინ როდესაც 1879 წელს იგი პატარა დაბას წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობა 2000 არ აღემატებოდა. ოსმალების წასვლის შემდეგ, ბათუმში მაღლე გაიხსნა ქართული სკოლა, გაიბა კავშირი თბილისის ქართულ ცენტრალურ საზოგადოებრივ დაწესებულებებთან. გიორგი ჟურული აღნიშვნას: “შეცოვანმა მოდგაწემ დიმიტრი ყიფიანმა გამოუგზავნა მამაჩემს და ნოტარიუს პერენშტეინს ორი წესდება ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებისა, წინადადებით, რომ ბათუმსა და მის ოლქში გახსნილიყო საზოგადოების განყოფილება და დაარსებულიყო ქართველი მუსულმანებისათვის სკოლები. ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ გამოგ-

ზავისი დასი, სადაც შედიოდნენ ჩვენი საუკეთესო მსახიობები. ბოლოს, ბათუმის თვითმმართველობაც ქართველების ხელში გადავიდა. ქართველებს დიდი ბრძოლები დასჭირდათ თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად, როგორც რუსეთის მოხელეებისაგან, ისე სხვა, არაქართველ ელგმენტებისაგან. ქალაქი თანდათან შენდებოდა. ქართულმა თვითმმართველობამ იწყო მისი გალამაზება და გალაზათიანება, ამოაშრო ირგვლივ ჭაობები, ხელი შეუწყო სავაჭრო პორტის აშენებას და განვითარებას... მალე ბათუმს მოაწყდა ყველა ქვეყნის გემები, დატვირთული ყოველგვარი საქონლით, როგორც ადგილობრივი დანიშნულების, ისე სატრანზიტო” [ჟურული, №144, 1938: 14].

გიორგი ჟურული შენიშნავს, რომ თავისი ქართული ხასიათი ბათუმს არც რევოლუციის ხანაში, არც ოსმალებისა და ინგლისის მოკლევადიანი ოკუპაციის პერიოდში არ დაუკარგავს. იგი გულისტკივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, როდესაც, 1918 წელს, ამიერკავკასიის დელგაციასთან ერთად ოსმალების მიერ დაპყრობილ ბათუმში მოხვდა. ზ. ავალიშვილის ცნობით, ამიერკავკასიის დელგაცია შედგებოდა 45 კაცისაგან, აქედან უშუალოდ დელეგატი იყო ექვსი. გარდა ამისა, დელეგაციაში იყვნენ მრჩევლები, სამხედრო მისია [ავალიშვილი, 1990: 57]. როგორც ჩანს, მათ შორის იყო გიორგი ჟურულიც. იგი წერს: “პირადად დრამატიზმით სავსე წამები განვიცადე, როდესაც 1918 წელს ბათუმში მოგვიხდა მისვლა. იქ მაშინ ცნობილი ბათუმის კონფერენცია იყო თავმოყრილი და ბათუმი ოსმალეთს ეყრა. რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ამ კონფერენციაზე ბათუმის საკითხიც უნდა დასმულიყო, როგორც ამ ქალაქის საქმეების მცნობი, მეც მოვხვდი თბილისის დელეგაციაში. მალე გამოირკვა, რომ კონფერენციის სხდომებმა სხვა მიმართულება მიიღო, მე იქ გასაკეთებელი ადარა მქონდა რა და დავბრუნდი თბილისში. მოკლე ვადით ბათუმში დარჩენის დროს ოსმალების მბრძანებლობას რომ ვხედავდი და ვგრძნობდი ქართველების დაჩაგვრას, სულ ის ფაშა მაგონდებოდა, ჩემი ჭაბუკობის დროს

ბათუმის ქუჩებში რომ ვხვდებოდი ხოლმე ჩაფიქრებულს და დაღონებულს” [ჟურული, №144, 1938: 14]. გ. ჟურული ასევე შენიშნავს, რომ ამიერკავკასიის დელეგატებს შორის არ იყო ერთსულოვნება. უფრო მეტიც, დელეგაციის არაქართველი წევრები ბათუმის დასაბრუნებლად ოსმალებთან შეჯახებას აუცილებლად არ თვლიდნენ, რადგან, მათი აზრით, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ფოთისა და სოხუმის პორტებიც სავსებით საკმარისი იყო. გ. ჟურული სამართლიანად შენიშნავს: “...თქმა არ უნდა, რომ ამნაირად კითხვის დაყენება ჩვენდამი უფრო არამეგობრულის გრძნობებით იყო ნაკარნახევი, ვიდრე სამართლიანობით; ისტორიული ფაქტების განგებ მიჩქმალევით და ქართველების საარსექბო ინტერესების არარად ჩაგდებით. ამის გამო, აუცილებელი გახდა ქართველების მხრივ თავის გამოღება, რომ სწორი და მართებული ხაზი დაგვეცვა. მართლაც, ვინც საქმის ვითარება იცის, იგი უთუოდ დაადასტურებს, რომ საქართველოს ერთადერთი და საიმედო პორტი ბათუმია და მხოლოდ ბათუმი” [ჟურული, №145, 1938: 5].

გ. ჟურულის ცნობით, “შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე, რუსეთის მიერ თავშივე იყო დადგენილი, რომ ბათუმი უნდა გადაქცეულიყო სამხედრო პორტად, ხოლო ფოთი კი საგაჭროდ. ყველა ზომები იქნა მიღებული, რომ შეეფერხებინათ ბათუმში საგაჭრო გემების მიმოსვლა. მიუხედავად ამისა, თანდათან და შეუფერხებლად ბათუმი გადაიქცა ცენტრად იმ დიდი ექსპოტ-იმპორტისა, რომელიც ასულ-დგმულებდა კავკასიას და სატრანზიტო ქვეყნების აღებმიცემობას, რადგან ბათუმს ბუნებრივი მდებარეობის გამო, უამინდობის დროსაც თავისუფლად აფარებდნენ თავს საგაჭრო გემები” [იქვე].

გიორგი ჟურული, 1951 წელს, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. მის მიერ მოწოდებული ცნობები საინტერესო წყაროს წარმოადგენს აჭარის ისტორიისათვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ქურული გ., ბათუმ-აჭარის მხარეები (ფურცლები რვეულიდან), გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო”, №143, 144, 145, 1938.
2. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990.
3. ახვლელიანი ხ., სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956.
4. გურული გ., საქართველოს ისტორია XIX საუკუნე, თბ., 2004.
5. მახარაძე მ., ხიმშიაშვილები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში, გაზ., „საქართველოს რესპუბლიკა”, 18 აგვისტო, 1998.
6. შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, გ.VIII, თბ., 2005.

Lela Saralidze

Unknown folios from the history of Adjara (Basing on the emigration Press)

Summary

The work deals with Giorgi Zhuruli's new materials about Adjara in Russian – Ottoman war in 1877-1878. He was the minister of finance and trade-industry of the first interim government of Georgia. This is all based on Giorgi Zhuruli's father's diary that used to be periodically published in the emigration newspaper "Independent Georgia". The title of these publications was "Folios from a Notebook."

G. Zhuruli writes that, in the war against the Ottomans, three Georgian warriors became exceptionally popular. These were Colonel Mikheil Amirejibi, Colonel Dimitri Muskhelishvili and Corporal Iliko Makarashvili. According to Giorgi Zhuruli his father was the eye witness of those battles and was observing the battle from one of the summits with the General Komarov.

After the defeat of the Ottoman army the Russian army generals were planning to negotiate with the leaders of Georgian Muslim community. Durmishkhav Zhuruliu and Mikheil Mepisashvili were sent to Sharif Beg

Xhimshiashvili and the dairy provides the real Georgian spirit that Durmishkhan Zhuruli had witnessed during his visit to Sharif Beg Xhimshiashvili's family.

The diary provides interesting material for studying the history of Adjara in this period.

Лела Саралидзе

Неизвестные страницы из истории Аджарии (по материалам эмиграционной прессы)

Резюме

В работе рассмотрены некоторые сведения об Аджарии, содержащиеся в публикациях Гиоргия Журули – министра финансов, торговли и промышленности первого временного правительства независимой Грузии (1918-1921 гг.). В частности, из истории присоединения к Грузии города Батуми в результате Русско-Турецкой войны 1877-1878 годов. Эти сведения Гиорги Журули периодически публиковал на страницах эмиграционной прессы – в газете “Дамоукидебели Сакартвело” (Независимая Грузия), под названием “Пурцлеби рвеулидан” (Страницы с тетради). Автор ссылается как на дневник непосредственного участника этой войны –своего отца Дурмишхана Журули, так и на рассказы других участников войны.

Гиорги Журули отмечает, что в бою против турков особо отличились три грузинских бойца: полковник Михаил Амирэджиби – по сведению Г.Журули, непосредственный руководитель этого боя; полковник Дмитрий Мусхелишвили – в будущем известный общественный деятель; прaporщик Илико Макарашвили – в будущем генерал-лейтенант русской армии. По сведению Г.Журули, непосредственным участником этой войны был и его отец - Дурмишхан Журули, который вместе со штабом генерала Комарова находился на одной из вершин и оттуда следил за перипетиями сражения.

После победы в войне, для проведения переговоров с руководителями грузинских мусульман, в частности с Шериф Беком Химшиашвили, руководство русской армии отправил Дурмишхана Журули и Михаила Мефисашвили. В дневнике Дурмишхана Журули особо подчеркивается тот грузинский порыв, с которым встречали гостей в семье Ш.Химшиашвили.

В дневнике изложены также и другие интересные материалы из истории Аджарии.

განათლება და კულტურა აბუსერისძეთა მოღვაწეობის დროის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

აბუსერისძეთა მმართველობის დროის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას წინ უსწრებდა და მყარ საფუძველს უქმნიდა IX-X საუკუნეების საქართველოში ფართოდ გაშლილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით გამოიკვეთა ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობის ზრდა-განვითარება, რაც X საუკუნეში აღინიშნა კიდეც იოანე ზოსიმეს ოდით “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი,” რომელშიც ხაზგასმულია ამ ენის განსაკუთრებულობა და გამორჩეულობა მსოფლიო ენათა შორის. ამ საუკუნეებში შეიქმნა მაღალი დონის აგიოგრაფიული თხზულებები, ბასილ ზარზმელის “სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება” და გიორგი მერჩულებს “გრიგოლ ხანცოელის ცხოვრება.” განსაკუთრებულია ამ დროის სასულიერო პოეზია – ჰიმნოგრაფია მიქაელ მოდრეკილის დექსების სახით. განვითარდა მთარგმნელობითი საქმიანობა, რასაც ხელს უწყობდა როგორც საზღვარგარეთ ქართველთა მიერ დაარსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები (პალასტინაში – საბაწმინდის ლავრა (VI ს.), ათონის ივერთა მონასტერი (X ს.), ასევე საქართველოს ტერიტორიაზე – ტაო-კლარჯეთში შექმნილი ეკლესია-მონასტრები: ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა და სხვები. ყველაფერმა ამან შეამზადა საფუძველი ისეთი დიდი ქართველი მოღვაწეების წარმოსაჩენად, როგორებიც იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები (ათონი), ეფრემ მცირე (სირიაში – შავ მთაზე), რომელმაც ქართულად თარგმნა 70-მდე წიგნი (გ. მელიქიშვილი, 1980, 96).

ახალ სიმაღლეზე ავიდა საისტორიო მწერლობა, ფილო-ლოგია, სამართლის თეორია, განსაკუთრებულად დაწინაურებული ჩანს ხუროთმოძღვრება. დღესაც აღტაცებას იწვევს ბაგრატ მესამის დროს აგებული ქუთაისისა და ბედის დიდებული ტაძრები, მცხეთის სვეტიცხოველი, ნიკორწმინდისა და სამთავისის ქმნილებანი და სხვა.

ასე, რომ X–XI საუკუნეები საქართველოსათვის კულტურისა და ხელოვნების აღმავლობის წლებია. სწორედ ამ პერიოდში გადაინაცვლა შიდა მთიანი აჭარის აღმინისტრაციულ-კულტურულმა ცენტრმა დიდაჭარიდან ხისანში, სხალთისწყლის ხეობაში (დ. მუსხელიშვილი, 2007: 99), რასაც, როგორც ჩანს, მოყვა ამ ხეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმშენებლობითი საქმიანობის გააქტიურება. ამ საუკუნეებით (IX–XI) თარიღდება საციხეურის (ჯვართნის), თიკანაურის, სხალთის მცირე და თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესიები. პირველი სამი დარბაზული ტიპის ნაგებობებია, თხილვანის ეკლესია კი ბაზილიკური ტიპისაა.

ეკლესიათა მშენებლობა განსაკუთრებით გააქტიურებულა XII საუკუნეში, ქვეყნის საერთო აღმავლობა-გაძლიერების სანაში. XII საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქვეყანას დავით IV მართავდა, ცხოვრების ყველა სფეროში რეფორმები გატარდა, აღიკვეთა თურქთა თარეში, ქვეყანა აღმშენებლობა-განვითარების გზას დაადგა და განსაკუთრებული ყურადღება მიეკცა კულტურის, განათლების განვითარებას. დავით მეფის უშეალო ინიციატივით გელათის დიდებულ ტაძარში დაარსდა მონასტერი, რომელიც მეფის გადაწყვეტილებით, მეორე ათიანად უნდა ქცეულიყო. აქ მოუყარა მან თავი სწავლულებს, აქ მოღვაწეობდა ცნობილი ფილოსოფოსი ოიანე პეტრიწი, აქ გაიშალა ფართოდ სამწერლო-საგანმანათლებლო საქმიანობა.

დავით მეფის დროს აშენდა ცნობილი საგანმანათლებლო ცენტრი შიომღვიმის დიდ ტაძარიც, სადაც მოღვაწეობდა დიდი მოაზროვნე მწერალი არსებ იყალთოელი, აქვე მოღვაწეობდნენ არსებ საღირისძე, გიორგი ხუცეს-მონაზონი და

სხვ. ასე, რომ შიომძღვიმე, სხალტბის ქედის ძირს გაშენებული ძველთაძველი ქართული მონასტერი მნიშვნელოვან კულტურულ-შემოქმედებით ძალებს აერთიანებდა (ლ. მენაბდე, 1962, 195). მეფე მფარველობდა და ყოველგვარ პირობებს უქმნიდა უცხოელ კულტურის მოდგაწევებსაც, მათ შორის მაჟმადიან მწერლებსა და მეცნიერებს. მეფე ყურადღებას აქცევდა გზების, ხიდების, ეკლესიათა მშენებლობას.

ყველაფერი ეს აისახა აჭარისწყლის ხეობის, აბუსერისძეთა საგამგეო მხარის ცხოვრებაშიც.

განსაკუთრებით შესამჩნევია ამ პერიოდში საკულტო ნაგებობის, ეკლესიების მშენებლობა. ბოლო წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში მყოფ მოგზაურ-მკვლევართა (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია და სხვ) ჩანაწერები ადასტურებენ, რომ შეა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის თითქმის ყველა სოფელში მოქმედებდა ქრისტიანული სალოცავები. მარტო ზ. ჭიჭინაძის მონაცემებით, აჭარის სოფლებში ასამდე ეკლესია აღრიცხული (ზ. ჭიჭინაძე, 1913), თუმცა ჩვენს დრომდე მეტ-ნაკლებად, სრული სახით, მხოლოდ სხალთის ეკლესიამ მოაღწია.

სხალთის დიდი დარბაზული ტაძარი შეა საუკუნეების საკულტო არქიტექტურისა და მონუმენტური კედლის მხატვრობის ერთადერთი ნიმუშია აჭარაში. მისი მოხატულობა თავისი იდეური გადაწყვეტით, ესმიანება ეპოქის იმ საერთო პესიმისტურ განწყობილებას, რომელიც XIV საუკუნის საქართველოს მოსახლეობისათვის იყო დამახასიათებელი. სხალთის მოხატულობის უმთავრესი იდეა უფლის დაბადებისა და მეორედ მოსვლის ოქმას უკავშირდება (მ. ჭიჭილეიშვილი, 2007, 40). სხალთის მოხატულობის პროგრამა, გარკვეულწილად, არის ტბელის თხზულების “სასწაული წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისნი” შესავალი ნაწილის ვიზუალური სურათი, რომელიც აღსაგვეა ქრისტიანული მრწამისის დოგმატებისა და წმინდათა მეოხების რწმენით. სხალთის ვერწერულ ანსამბლში გამოხატული თეოლოგიური შეხედუ-

ლებების და საერთო იდეური გადაწყვეტის საფუძველს, როგორც ჩანს, საერთო ეპოქისეული სულისკვეთება, ქტიტორთა მოთხოვნები და აბუსერისძე ტბელის მემკივიდრეობა განსაზღვრავდა (მ. ჭიჭილეიშვილი, 2007, 41).

X-XIII საუკუნეებით თარიღდება და აბუსერისძეთა კულტურულ მოღვაწეობას უკავშირდება ხიხანის, ვერნების, კალოთის, ვანაძეების (აგარის) და სხვა ეკლესიათა მშენებლობებიც. ამათგან ზოგიერთი ეკლესის (ხიხანი) მშენებლობის შესახებ ტბელ აბუსერისძის თხზულებაშიცაა მოთხოვნილი (აბუსერისძე ტბელი, 1988, 68).

საინტერესო ცნობას გვაწვდის ტბელი საპუთრი თავის შესახებაც. გარდა იმისა, რომ იგი მმების დავალებით ხელმძღვანელობს წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობას, გვაუწყებს, რომ “ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვიდრე ცოცხალი ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვისმარებ და დასაგულებლად განადამცა.” ვფიქრობთ, ეს ინფორმაცია იმითაა საინტერესო, რომ იძლევა იმის საფუძველს, ვამტკიცოთ ტბელის სასულიერო საქმიანობის შესახებ. ის, რომ სასულიერო პირი არ იყოს, “ძლისპირნი და სტიქარონნი” არ დაჭირდებოდა. ამდენად გამოთქმული მოსაზრება, რომ ტბელი სასულიერო პირია (აბუსერისძე ტბელი, 1998, 87), სარწმუნო უნდა იყოს.

ტბელის დის ვანენის აშენებულია თხილვანის იოვანე მახარობლის ეკლესია, აბუსერისძეთა საგვარეულო საძვალე. ამას ხომ თვითონ ტბელ აბუსერისძეც ადასტურებს (აბუსერისძე ტბელი, 1998, 68). ამავე სოფელში ეკლესიის ნაგვრევებიდან 50 მეტრის დაშორებით, 1948 წელს აღმოჩნდა ორნამენტებით შემკული დიდი ზომის ქვა წარწერით: “ქრისტე, წმიდაო იოვანე მახარობელო დაიკვენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია და შვილი მათნი და ყოველი ერი მათნი და მოხაიმნე ექმნენ. დღეს ამისა სასჯელისა ნუ დასჯი, ამინ”. . . (შ. მამულაძე, 2000: 65). საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ამ წარწერაში ნახსენები პირები თხილვანის ეკლესიის მშენებ-

ლობასთან უნდა იყვნენ დაკავშირებული, რადგან ანდერძის მიხედვით, ვანენია იოვანე მახარობლის სახელობის თხილვანის ეკლესიის აღმშენებული (აბუსერისძე ტბელი, 1998, 68), მაგრამ ერთმანეთს არ ეთანხმება ტბელის თხზულებაში ნახევნები ვანენისა და აბუსერის ურთიერთობა ამ ეპიგრაფიკულ ძეგლში ნახენებ ვანენ-აბუსერის ურთიერთობას. ქერძოდ, იქ წერილობით ძეგლში და-მმად ჩანან (“დისავე ჩვენისა – ვანენისა”), აქ კი ცოლ-ქმრად („ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია”). როგორც ჩანს, მოტანილ წყაროებში სხვადასხვა პირებზეა ლაპარაკი, ასევა მიჩნეული დდემდე (რ. ხალვაში, 2006გ, 6), რადგან აბუსერისძეთა IV–V თაობებად არიან აღიარებული აბუსერ II და მისი ძე ზაქარია და მათვე თვლის მკვლევარი რ. ხალვაში თხილვანის ქვის წარწერაში მოხსენიებულ პირებად. თუ ამ ვარაუდს ვირწმუნებთ, მაშინ თხილვანის ეკლესიის ამშენებლად ტბელის დის ვანენის მიჩნევა ეჭვის ქვეშ დგება, რადგან აბუსერისძე II-ის მოღვაწეობა XI–XII საუკუნეთა მიჯნაზე მოდის, ხოლო ვანენის მოღვაწეობის დრო თითქმის ერთი საუკუნით გვიანაა. XI საუკუნითაა დათარიღებული თხილვანის ეკლესია არქეოლოგთა მიერაც (შ. მამულაძე, 2008, 243). გამოდის, რომ დღეს იოვანე მახარობლის ეკლესიად მიჩნეული სალოცავი აღრეული პერიოდისაა (XI ს.), ხოლო ტბელის დის ვანენის მიერ აგებული ეკლესია სხვაგანაა საძიები. ერთი სიტყვით, ამ საკითხს დამატებითი წყაროს მოძიება-მოშველიებით თუ დავაზუსტებთ.

აბუსერისძეთა საგვარეულოს ხელახალი აღზევება და მათი აქტიური მონაწილეობა ქვეყნისა და საგამგეო მხარის პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში XIII საუკუნის პირველ მესამედზე, ტბელ აბუსერისძის და მისი ძმების აბუსერისა და ვარდანის მოღვაწეობის ხანაზე მოდის. განსაკუთრებულია ამ თვალსაზრისით, ტბელ აბუსერისძის დვაწლი, როგორც მეცნიერისა, მწერლისა და ფართო ერუდიციის მოღვაწისა. ტბელი საქართველოს “ოქროს ხანის” ბოლო მოღვაწეა, რომლის შემოქმედებაშიც აისახა მისი დროის

საქართველოს ბრწყინვალება და მიღწევები და ამავე დროს, წარმოჩნდა ის ტკიფილები, რომლებიც წინ უსწრებდა მონდოლთა ასწლიან ბატონობას, ჩვენი ისტორიის “დიდ დამეს.”

ტბელ აბუსერისძის, როგორც მწერლისა და მეცნიერის შემოქმედებაში მკვლევარები განსხვავებული რაოდენობის თხზულებას განიხილავენ. 1998 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის და ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეგიდით გამოცემულ აბუსერისძე ტბელის თხზულებებში, რომელიც მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და სამიებლები დაურთეს ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ, განხილულია სამი თხზულება: “გალობანი სამთა იოვანეთა,” “ახალი სასწაული წმინდისა გიორგისნი” და “ქრონიკონი სრული მისითა, საუწყებლითა განგებითა.”

უფრო ადრე პ. კეკილიძე და ი. სიხარულიძე ვარაუდობნენ მხოლოდ “გალობანის”... ტბელისეულობას, ხოლო მკვლევარი რ. ხალვაში თვლის, რომ დასახელებული სამი თხზულების გარდა ტბელს ეკუთვნის “გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი” და “გალობანი წმინდისა ღმრთისმშობლისანი” (რ. ხალვაში, 2006, 10). ასე რომ, დღეისათვის ცნობილია ტბელის ხუთი თხზულება.

ტბელის თხზულებათაგან გამორჩეულია აგიოგრაფიულ ნაწარმოებად მიხნეული “ახალი სასწაული წმინდისა გიორგისნი,” რომელიც პირველად 1941 წელს გამოსცა კომენტარებითურთ ლ. მუსხელიშვილმა სათაურით “ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე,” ხოლო 1981 წელს ი. სიხარულიძემ სათაურით “ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა.”

ტბელის ეს თხზულება იქმნებოდა XIII საუკუნის 30-იანი წლების დასწყისში, როცა საქართველომ ბრძოლა გადაიხადა მარბიელ მონდოლებთან და საშინელი მარცხი და აოხრება იწვნია ხვარაზმელთაგან. ამიტომ ეს ნაწარმოები თავისი

პათოსითა და მიზანდასახულობით არსებითად განსხვავდება ბედნიერი და ძლიერი საქართველოს პირობებში შექმნილი ოხზულებებისაგან. ახლა, როცა წვეულებრივი გახდა “კაცისმჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოისათა,” საჭირო იყო დვოისმშობლისა და წმინდა გიორგის თანადგომა. საინტერესოა, რომ ტბელი ამ ოხზულებაში მოგვითხრობს XII საუკუნის შუა ხანებში აგებული ეკლესიის მშენებლობის ამბებს. გვიჩვება კითხვა, რამ ჩააფიქრებინა ავტორს ეკლესიის აგებიდან 80 წლის შემდეგ ამ ოხზულების დაწერა, რა მიზანს ისახავდა, რისი თქმა უნდოდა? რამდენადაც იგი საქართველოში დატრიალებული უბედურებების (მონდოლებთან და ხვარაზმელებთან მარცხი) მიზეზად ქართველთა მიერ ჩადენილ ცოდვებს მიიჩნევდა (“მოგებისათვის ცოდვათა ჩვენთაისა”), რომელსაც აჭარაც ვერ გადაურჩა, იგი თანამედროვეებს შეახსენებდა დიდი მფარველი წმინდანის – წმიდა გიორგის სახელსა და ძალას და სიმბოლურად მას ეკლესიის მშენებელთა შემწედ წარმოგვიდგენს. შესაძლებელია, აქ ეკლესია ქვეყნის სიმბოლოც იყოს, რადგან ტბელის ოხზულებებზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ ავტორი მისი დროის მოვლენებში ღრმად ჩახედული მოგვაწეა, რომელიც ფიქრობს ქვეყნის ბედზე და ცდილობს ახსნას მომხდარი უბედურებების მიზეზები. იგი უბედურებაგამოვლილი კაცის აზროვნებით აფასებს მოვლენებს და ეკლესიის მშენებლობისას ქითხურო ბასილის მიერ გამოჩენილი თავაგანწირვისა, თუ წმიდა გიორგის საწაულების ჩვენებით, თანამედროვეებს ქვეყნის გადარჩენის რწმენასაც უნერგავს (ბ. დიასამიძე, 2007, 56–57).

ტბელი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებაც. ხვარაზმელთა შემოსევაზე მიუთითებს ოხზულებაში ნათქვამი “კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი, სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოისათა.” ან “არავინ დაშთა ულტოლველი კერძოთა აჭარისათაცა” და სხვა. ავტორი ამ შემთხვევაში მის თანამედროვე ამბებს გადმოგვცემს და იგი

კარგად ჯდება ნაწარმოების საერთო მიზანდასახულობაში; თხზულებაში მოცემული ანდერძიც კი ნაწარმოების აუცილებელ ნაწილად ჩანს, რადგან აქ ხიხანის ეკლესიის მშენებლობა და მასში აბუსერისძეთა ადრინდელი თუ მომდევნო თაობები არიან მოხსენიებული. ანდერძში მოხსენიებული არიან ტბელის ბაბუას მამა გრიგოლ II, ბაბუა – აბუსერი III, მამა – ივანე და ტბელთან ერთად მისი შვილები ე.ი. ოთხი თაობა. წმ. ტბელ აბუსერისძის გენალოგია 10 თაობას მოიცავს. I–III თაობები: იოანე, მისი ძე აბუსერი I და შვილიშვილი გრიგოლ I იხსენიებიან “მატიანე ქართლისაში”; IV–V თაობები: აბუსერ II და მისი ძე ზაქარია, იხსენიებიან თხილვანის ეპიგრაფიკულ წარწერაში, ხოლო მომდევნო ხუთი თაობა (გრიგოლ II, აბუსერ II, ივანე I, ტბელი, ტბელის შვილები) იხსენიება A – 85 ხელნაწერის “ანდერძში” (რ. ხალვაში, 2006, 6).

ტბელის ამ თხზულებაში ასეთი მრავალმხრივი ინფორმაციის თაგმოყრა, მაღალ მხატვრულ დონეზე გადმოცემა და მოვლენათა მიზეზ–შედეგობრივი ახსნა თავის გამართლებას პპოვებს, თუ გავითვალისწინებთ აბუსერისძეთა ფეოდალური სახლის კულტურულ გარემოს, მისი და–ძმების სულიერ სიმდიდრეს, ქვემდოქმედებას, მათ კავშირ–ურთიერთობას იმ დროის საქართველოს განათლებისა და კულტურის ელიტარულ ცენტრებთან როგორებიც იყო გელათი და ვარძია, მარტყოფი და ალავერდი.

ყველა ზემოთქმულის შემდეგ, გასაკირი არაა, რომ ტბელია ისეთი სრული პაგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოების ავტორი, რომელშიც არამარტო სასულიერო ხასიათის თქმებზეა მსჯელობა.

ტბელ აბუსერისძის თხზულებათაგან გამორჩეულია “ქრონიკონი სრული მისითა, საუწყებელითა განგებითა.”

ამ თხზულებას ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში მიაქციეს უშრადდება და მისი შესწავლა არა ერთ მკვლევარს უცდია. 1541 წელს გადამწერ სვიმონ კარგარეთელს ნაშრომის ავტორის, შედგენილობის და შინაარსის გარკვევის მცდელობისას

გაუკეთებია დასკვნა, რომ ეს ნაშრომი ეცუთვნის იოვანე შავთელს, რაც ეწ. “სარედაქტორო დანართშიც” იყო მითითებული.

1730 წელს ამ ნაშრომის შესასწავლად სერიოზული სამუშაო ჩაუტარებია სულხან-საბა თრბელიანის მმას ნიკოლოზ თრბელიანს. პირველმა მან შეამჩნია ნაშრომში ორი ადამიანის ხელი. პირველი ნაწილი იოვანე შავთელისად ჩათვალა, მეორეზე კი არას ამბობს, მაგრამ მისი შენიშვნები ჩაღრმავებული კვლევის ტოლფასად არის შეფასებული (აბუსერისძე ტბელი, 1998, 184).

თხზულების თანამედროვე მეთოდებით შესწავლას საფუძველი დაუდო მარი ბროსემ. მან 1868 წელს ფრანგულ ენაზე გამოსცა ნაშრომის ტექსტი. მისი აზრით, თავდაპირველად ეს ტრაქტარი იამბიკური ფორმით უნდა დაეწერა იოანე შავთელს, ხოლო მოგვიანებით (1233 წელი) ტბელ აბუსერისძეს პროზად გადაუკეთებია წინამორბედი მოღვაწის ნააზრევი (აბუსერისძე ტბელი, 1998, 185).

თხზულების ავტორის დადგენაში გადამწყვეტი სიტყვა თქვა და ნაშრომს სერიოზული შეფასება მისცა პ. კეპელიძემ. მან პირველმა აჩვენა, რომ თხზულების ძირითადი, 532 წლიანი პასქალური ცხრილის და მისი განმარტებითი ტექსტის ავტორი არის არა იოანე შავთელი, არამედ აბუსერისძე ტბელი. თხზულების შინაარსთან დაკავშირებით, პ. კეპელიძემ წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებით, განაცხადა, რომ “ავტორი ცდილა შეეფარდებია ერთი მეორისათვის ქართული და ბერძნული წელთაღრიცხვი და პასქალისტური სისტემა და შეძლებისდაგვარად შეეთანხმებია ისინი” (პ. კეპელიძე, 1951, 310–311). ტბელის ამ თხზულების შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს პროფ. ი. სიხარილიძესაც. იგი აჩვენებს განსხვავებულ გაანგარიშებებს 532 წლიან პასქალურ ცხრილთან დაკავშირებით იოანე ზოსიმესა და ტბელ აბუსერისძესთან. ამავე დროს მიუთითებს ნაშრომის პედაგოგიურ დანიშნულებაზეც (ი. სიხარულიძე, 1963, 67–80). მართლაც, აშკარად ჩანს, რომ ტბელის ეს ნაშრომი შექმნილია

პრაქტიკული საჭიროებისათვის, რადგან თხზულებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მასალის ხშირი გამეორება. მას ავტორი შეგნებულად აკეთებს და საჭირო განმარტებასაც იძლევა თხზულების დასასრულს: ერთი, რომ კიდევ უფრო საფუძვლიანად ახსნას საკითხი და მეორე, რომ მკითხველი უფრო კარგად ჩაუდრმავდეს “უკლებადრე უწყებისათვის და წულილადრე გამოიებისათვის” (აბუსერისძე ტბელი, 1998, 273). სწავლების გაადვილების მიზნით, ტბელი სისტემატურად იყენებს თვალსაზრისისას, რომლის როდს მის მიერვე საგანგებო დამატებებით აღჭურვილი 532 წლიანი ცხრილი ასრულებს. დღეს საყოველთაოდაა გაზიარებული, რომ ტბელს თხზულებაში აჩვენებს წლების იულისეული ათვლის ნაკლოვანებას – მის ჩამორჩენას ბუნებრივისაგან, ასტრონომიულისაგან. ამ თვალსაზრისით მისი კვლევა პრაქტიკულთან ერთად, მეცნიერულ დირებულებასაც იძენდა, რადგან სამი საუკუნის შემდეგ (XVI ს.) საჭირო გახდა მოქმედი იულიუსის კალენდრის რეფორმა.

დრო და მისი ათვალი, დროს გაცნობიერება ადამიანს უძველესი დროიდან დასჭირდა, განსაკუთრებით, როცა იგი მწარმოებლურ მეურნეობაზე გადავიდა. პირველად დროის ერთეულებად ვიზუალურად შესამჩნევი მოვლენები (დღე-დამე, მთვარის ფაზები, წელიწადის დროები...) იქცა. ჩვენს ერამდე 4–5 ათასი წლის წინათ ეგვიპტელებმა დროს ხანგრძლივი ერთეული – წელიწადი შემოიღეს და იგი განსაზღვრეს 365 დღით, რომელშიც 12 ოცდაათდღიან თვეს და 5 დამატებით დღეს ანგარიშობდნენ. მას მზის წელიწადს ეძახიან. მზის ასტრონომიული წელიწადის ხანგრძლივობა კი-დრო დედამიწის მზის გარშემო ერთხელ გარსშემოვლისა ტოლია, 365 დღე-დამის, 5 საათის, 48 წუთის და 46 წამის. უფრო გვიან, III ათასწლეულში ჩვ. წ-მდე ბაბილონელებმა შექმნეს მთვარის კალენდარი, რომელიც მთვარის ფაზების ცვლის მიხედვით სინოდური 12 თვისაგან შედგებოდა და შესაბამისად მთვარის წელიწადის ხანგრძლივობა 354 დღე-დამეს უდრიდა. ჩინელების შექმნილად ითვლება მთვარე-მზის კალენდარი.

ძველ დროშიც კველაზე მეტად გავრცელებული იყო მზის კალენდარი. ეს კალენდარი მოქმედებდა ჩვ. ერამდე პირველ საუკუნეში რომის იმპერიაშიც. ძვ. წ-ის 46 წელს რომის კეისარმა იულიუს ცეზარმა მზის კალენდრის რეფორმა ჩაატარა ალექსანდრიელი ასტრონომების (სოზინგენი) ძალებით და კალენდარული წლის ხანგრძლივობა განისაზღვრა 365 დღით და 6 საათით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წლის ხანგრძლივობა კალენდარულ ში გაზრდილია 11 წეთით და 14 წამით. ეს თითქოსდა უმნიშვნელო განსხვავება ყოველ 128 წელიწადში ერთ დღე-დამე განსხვავებას იძლევა (კალენდარული წელი ჩამორჩება). XVI საუკუნეში ეს განსხვავება 10 დღე-დამეს შეადგენდა. ასეთი კალენდარი პრაქტიკულ მნიშვნელობას კარგავდა, რადგან მომავალ ში განსხვავება (ცოომილება) კიდევ უფრო გაიზრდებოდა. ამიტომ რომის პაპმა გრიგოლ XIII-მ ჩაატარა კალენდრის რეფორმა, რომლითაც გასწორდა ის ცოომილება (10 დღე-დამე) და განსხვავება არც მომავალში დაგროვდებოდა. ეს კალენდარი კათოლიკურმა ქვეყნებმა მე-17-18 საუკუნეებში მიიღეს. მართმადიდებლურმა ქვეყნებმა უფრო გვიან. რუსეთმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საქართველო, მხოლოდ 1918 წელს დაიწყო ამ კალენდრით სარგებლობა. XVI საუკუნიდან XX საუკუნამდე ცოომილება სამი დღით გაიზარდა. ამიტომ ჩვენთან ძველ სტილსა (იულიუსის კალენდარი) და ახალს (გრიგორიანული კალენდარი) შორის 13 დღეა.

ქართველები ტბელის მოღვაწეობის ხანაში და დღესაც სარგებლობებ აგრეთვე, წელთაღრიცხვით (ერა) “დასაბამითგან,” რაც ნიშნავდა ქართველთა წარმოდგენას სამყაროს გაჩენაზე და მას ანგარიშობდნენ ჩვენს ერამდე 5604 წლით. ბიზანტიელებისა (ბერძნების) უდრიდა 5508 წელს, ალექსანდრიელებისა (ეგვიპტე) – 5500-ს და ა. შ. რამდენადაც იშვიათი არ იყო ქართველების მიერ ბიზანტიური ერით სარგებლობა, ამასთან ერთხაირად აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულებსაც, მიუხედავად ერათა ხანგრძლივობაში განსხვავებისა, (96 წელი: 5604–5508), საჭირო იყო ამ ცველაფრის ახსნა. ეს

გააკეთა სწორედ ტბელი აბუსერისძემ და იმგვარად, რომ იგი თანამედროვეთათვის გასაგები ყოფილიყო და ამასთან, ასახულიყო იმ დროის მიღწევები ამ სფეროში. ამიტომ, დღეს საყველოთაოდაა გაზიარებული აზრი იმის შესახებ, რომ ტბელი აბუსერისძის ასტრონომიული ტრაქტატი XIII საუკუნის საქართველოს ასტრონომიული ცოდნის დემონსტრირებაცაა.

ტბელის თხზულებაში საკმაო ინფორმაციაა მისი დამების კულტურულ საქმიანობაზე. კერძოდ, დას ვანენს აუშენებით იოანე მახარობლი ეკლესია, მების აბუსერისა და ვარდანის დავალებით აშენებდა ოფიტ ტბელ წმ. გიორგის ეკლესიას ხიხანზე, ჩანს ტბელის მეუღლის – ბაგულის ღვაწლიც, ყველა კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის ინიციატორად და ქველმოქმედად ჩანს ერისთავთერისთავი აბუსერი, მაგრამ შედარებით ნაკლებად ჩანს ტბელის მმის ვარდანის წვლილი. ბოლო წლებში გამოითქვა მოსაზრება, რომ მის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული დღეს ნანგრევების სახით შემორჩენილი “ვარდციხე,” რომელსაც საგარაუდოდ “ვარდანის ციხე” უნდა რქმდოდა (რ. სურმანიძე, 1992,22).

აბუსერისძეთა კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ ტბელ აბუსერისძის შემდეგ არაფერი ვიციო, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ისე, როგორც მთლიანად საქართველოში, მონდოლთა ასწლიანმა ბატონობამ თავისი გავლენა იქონია აბუსერისძეთა საგამგეო მხარეზეც, მით უმეტეს, რომ აქ არაერთხელ შემოჭრილან მონდოლი მარბიელები. მართალია გიორგი V ბრწყინვალეს მმართველობის ხანაში არაერთ კულტურულ მოვლენას ჰქონდა ადგილი (საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა, საზღვარგარეთის კულტურულ-საგანმანათლებლო და საეკლესიო ცენტრების აღორძინება, მნიშვნელოვანი სამართლის კანონების მიღება...), მაგრამ არ ვიციო, რა მონაწილეობას იღებდნენ აბუსერისძეები ყველა ამ საქმიანობაში. ვარაუდი ამ გვარის კიდევ ერთხელ აღზევების თაობაზე შეიძლება იმის მიხედვით, რომ XIV საუკუნის შუა

ხანებში ერთიანი საქართველოს ამირსპასალარად ჩანს ივანე აბუსერისძე, რომელიც გარდაიცვალა 1356 წელს. როდის გახდა ის ამირსპასალარი არ ვიცით, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ სამცხის შემოერთებისა და ყვარცვარეს გამთავრებისას საქართველოს ხელისუფლება შეეცდებოდა კვლავ ერთი პირის ხელში არ ყოფილიყო ათაბაგობა და ამირსპასალარობა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ყვარცვარესათვის მხოლოდ ათაბაგობა დაეტოვებინათ და ამირსპასალარობა ისევ მისი ყოფილი ერისთავთ-ერისთავის ივანე აბუსერისძისათვის გადაეცათ. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ იმ დროის კულტურულ-საგანმანათლებლო დონისძიებებში ივანე აბუსერისძის მონაწილეობა არაა გამორიცხული.

ლიტერატურა

1. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს: ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998;
2. ბ. დიასამიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) ტბელ აბუსერისძის ხანაში (სოციალურ-ეკონომიკური მდგრმარეობა, კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათუმი, 2007);
3. 6. კახიძე, ქვითხურობა შეკა საქუნეების აჭარაში (აბუსერისძე ტბელი საისტორიო თხზულების მიხედვით). კრ. ტბელობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მასალები, 2008;
4. ქ. კეკელიძე, მველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1951;
5. თ. კომახიძე, რელიგია და საღვთოსმსახურო ნაგებობები აჭარაში, ბათუმი, 2006;
6. შ. მამულაძე, ნანა ვერულაშვილი, თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია. კრ – ტბელობა, 2008;
7. შ. მამულაძე, აჭარისწყლის მატერიალური კულტურის ძეგლები (გზამგვლევი), 2000;

8. დ. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, წბ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, I, 2007;

9. ლ. მუსხელიშვილი, ბოლოქ-ბასილის მშენებლობა შეარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, თბილისი, 1941;

10. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერძი, ტ. I, ნაკ. I, თბ., 1962;

11. პრ. რატიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, აბუსერისძე ტბელის მოთხრობა, როგორც საისტორიო წერო, ჟურნ. „მნათობი,” № 11, 1979;

12. საქართველოს ისტორია, საკითხები წიგნი შედგენილი აკად. ს. ჯანაშიასა და აკად. 6. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებული სახელმძღვანელო-ების მიხედვით შემდგენელ-რედაქტორი გიორგი მელიქიშვილი, თბ., 1980;

13. საქართველოს ისტორია, I, 2008;

14. თ. სახოია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985;

15. ი. სიხარულიძე, ნათელი დაუდამებელი, ბათუმი, 1979;

16. რ. სურმანიძე, ვარდან აბუსერისძე – მწერლის მმა, კრ. – ტბელ აბუსერისძე – 800, ბათუმი, 1992;

17. ქცა-ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუხიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955;

18. რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და ღაწლი, ბათუმი, 2006;

19. რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძე – იოანე შავთელის, არსენ ბუღმასაიმის-ძისა და საბა ხვინგველოსის თანამოღვაწე, კრ. – ტბელობა, 2008;

20. რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძე, გაღობანი წმიდიათა იოვანეთა: ნათლისმ-ცემლისა, მახარობლისა და ოქროსპირა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო რამაზ ხალვაშმა, ბათუმი, 1992;

21. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1996.

Bichiko Diasamidze

The Abuserisdzes in the Cultural Life of South-Western Georgia in 11th-14th Centuries

Summary

The article deals with the participation and contribution of the Abuserisdzes - the ruling feudal clan of Adjara – in the cultural life of the region under their rule as well as the whole country. The article also shows their merit in building of cult (churches and monasteries), fortification (fortresses) and arched bridges construction.

A special attention is given to the piety and charitable activities of Tbel's brothers and sisters (Abuseri, Vardani, Ganeni) and their relatives. Apart from this the article gives the evaluation of the scientific and practical value of the Tbel's works.

As the conclusion, the article makes a supposition that this clan still continued the activities in the 14th century as well judging from the fact that Ivane Abuserisdze appears to be the commander-in-chief of the country in the mid of the 14th century.

Бичико Диасамидзе

Род Абусерисдзе в культурной жизни Юго-Западной Грузии в XI-XIV веках

Резюме

В данной статье показано участие представителей правящего феодального рода Аджарии Абусерисдзе в культурной жизни страны и управляемого ими регионе. Также представлен тот вклад, который они внесли в строительство культовых (монастыри и

церкви) и фортификационных (крепости) сооружении, характерных арочных мостов.

В работе особо подчеркивается благотворительная деятельность братьев и сестер Тбела Абусерисдзе (Абусера, Вардана, Ванени) и их родственников. Даны оценка научной и практической ценности трудов Абусерисдзе.

В заключении высказано предположение о продолжении активной деятельности представителей данного рода и в XIV веке, о чем явно свидетельствует тот факт, что в середине этого столетия Иване Абусерисдзе упоминается в должности амирспасалара Грузии.

**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში
რკინიგზის განშტოებათა მოწყობის
ისტორიისათვის
(1878 – 1918)**

მე-19 ს. 70–80-იანი წლებიდან რუსეთის იმპერია ფართოდ ჩაერთო მსოფლიო აღებ-მიცემობაში. მანქანათმშენებლობის, გემომშენებლობის, რადიო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობის და სხვა ახალი დარგების განვითარებამ მოითხოვა ნავთობის, სამთამადნო წიაღისეულის და სხვა სახის ნედლეულის გაზრდილი მოპოვება, გადამუშავება და მსოფლიო ბაზრის-თვის მიწოდება. ამან გამოიწვია ტვირთბრუნვის გაძლიერება, რასაც ძველი სატრანსპორტო საშუალებები (ოთხთვალა, ურემი, ჭაპანი) ვეღარ აუდიოდა. სწორედ მასობრივი გადაზიდვების აუცილებლობამ შეუწყო ხელი სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებას და რკინიგზის ხაზების დაჩქარებულ მოწყობას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

ამ მხრივ გამონაკლისი არც ამიერკავკასია ყოფილა, სადაც 1872 წლიდან უკვე მოქმედებდა ფოთი-თბილისის მაგისტრალური ოკინიგზა. მასზე მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან 1921 წლამდე პერიოდში მოეწყო რამდენიმე გეგრდითი განშტოება: 1) ბაქოსთან სურხანის ნავთობის რაიონის დამაკავშირებელი (1880 წ); 2) ბაქო-თბილისის და ბათუმ-სამტრედიის (1883); 3) ქუთაის-ტყიფიცულის (1883-1887); 4) ხაშური-ბორჯომის (1893-1894); 5) ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი (1898-1902); 6) შორაპანი-ჭიათურა-საჩხერის (1894-1904); 7) დარკვეთი-საჩხერის ვიწროლიანდაგიანი (1904); 8) თბილისი-ალექსანდროპოლი-ყარსის (1895-1899); 9) ალექსანდროპოლი-ულუხანლუ-ერევანის (1902); 10) ულუხანლუ-ჯულფას

(1908) [“ქ.კ.” 1913:196-197]; 11) ქახეთის შტო (1910-1015 წწ.) და 12) ახალსენაგი-ხეთა (1919 წ.). 1900 წ. ბაქოდან ქასპიის ზღვის გასწვრივ პეტროვსკამდე ლიანდაგის გაყვანით ამიერ-ქავების რეკონსტრუქციის შეუერთდა რუსეთის სარკინიგზო ქსელს [ტოტოჩავა, 1972:26].

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში რკინიგზის გვერდითი განშტოებების მოწყობით უფრო გაიოდდა იქ არსებული ნავთობის, მანგანუმის, სპილენძის, ხე-ტყის, ქვანახშირის, გრაფიტის, თუთიის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და ექსპორტი, აგრეთვე, ადგილზე ნაწარმი ბამბის, მატყლის, აბრეშუმის პარკის, თამბაქოს, ძირტკბილას, ხილის, დვინის, ხორცის და კვების სხვა პროდუქტების მიწოდება საშინაო და საგარეო ბაზრებისათვის.

ზემოაღნიშნულ განშტოებათაგან როგორც ეპონომიკური, ისე სამსედრო ოგალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბაქო-თბილისის და სამტრედია-ბათუმის რკინიგზა, რომლებიც მათ ექსპლოატაციაში შესვლისთანავე (1883 წ.) იქცნენ შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის საწყის პუნქტებად.

აღსანიშნავია, რომ ბათუმისკენ რკინიგზის გაყვანის აზრი ხელისუფლებაში წარმოიშვა თურქეთთან 1877-1878 წლების ომის დამთავრებისთანავე. 1878 წ. 1 ნოემბერს იმპერატორმა დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის დებულება სამტრედიდან ბათუმამდე რკინიგზის გასაყვანად სახელმწიფო გამოკვლევის ჩატარების შესახებ. ამ საქმის წარმოება დაევალა ამიერკავკასიის რკინიგზის ინსპექტორს ინჟინერ სტატკონსკის. მან შეიმუშავა და უკვე დეკუმბრის დამლევს კავკასიის ხელისუფლებას წარუდგინა სამტრედიდან ბათუმამდე რკინიგზის გაყვანის მიმართულების სამი ვარიანტი: 1. მთიანი გურიისა და ოზურგეთის გავლით, 2. დღეისათვის მოქმედი მარშრუტი და 3. ფოთიდან ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბათუმამდე. ეს უკანასკნელი იყო ყველაზე მოკლე მიმართულება (42 ვერსი*), მაგრამ მას მოლიანად უნდა გაევლო ჭაობიან და

დაუსახლებელ ტერიტორიაზე. ამასთან, რკინიგზა ზღვიდანაც დაუცველი იქნებოდა. ამიტომ ამ ვარიანტზე უარი ითქვა.

1880 წ. 6 ივნისს რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტის სათანადო დებულებით დადგინდა, რომ აერჩიათ დევისათვის მოქმედი ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის მარშრუტი (105 ვერსტი). მისი მშენებლობისათვის ხაზინამ გამოჰყო 6,5 მილიონი რუბლი [A. Аргутинский-Долгоруков, 1896 : 58-62].

შემოერთებიდან 5 წელში ბათუმის რკინიგზა უკვე ამოქმედდა. ამგვარ სისწრაფეს ამიერკავკასიის რკინიგზის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ა. არლუთინსკი-დოლგორუქოვი შემდეგი მიზეზებით ხსნის: პირველყოვლისა, ეს იყო გამოწვეული პოლიტიკური მოქმედით და ბათუმის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობით. ხოლო, მეორეს შერიც, ამას განაპირობებდა ბუნებრივი პირობებით გამორჩეული ბათუმის პორტი, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იყო შტორმისაგან დაუცველი ფოთის პორტის მოუხერხებლობის გამოო [იქვე : 57].

ფოთის ნავსადგური შტორმის დროს იმდენად გამოუსა-დეგარი იყო ტვირთბრუნვისთვის, რომ საოკეანო გემები ბათუმში შემოდიოდნენ. აქ ხდებოდა მათი დატვირთვა-გად-მოტვირთვა და პატარა გემებით ფოთში გაგზავნა, საიდანაც ტვირთი რკინიგზით იგზავნებოდა ამიერკავკასიის სიღრმეში, ჩრდილოეთ სპარსეთსა და შუა აზიაში. ასევე იყო ექსპორტის დროსაც. ფოთში რკინიგზით ჩატანილი ტვირთი პატარა გემებით იგზავნებოდა ბათუმში და იქ ხომალდზე გადაქონდათ. ამდენგზის ჩატვირთვა-გადმოტვირთვა მეტრტნეთა ზურ-გით ხდებოდა, რაც საკმარის აძვირებდა ტვირთის ღირებულებას. ამიტომ, ყოველდღიურად მზარდი ექსპორტ-იმპორტის და ტრანზიტის ინტერესები მოითხოვდა ბათუმის ნავსადგურამდე სარკინიგზო მიმოსვლის სწრაფად მოწყობას. ბათუმ-სამტრედიის რკინიგზა 1883 წ. 12 აპრილს ჩაიბარა სპეციალურმა კომისიამ. ამ ხაზზე მოეწყო რკინიგზის 8 სადგური: სამტრედია, ნიგოითი, საჯავახო, ლანჩხეუთი, სუფსა,

ნატანები, ქობულეთი და ბათუმი. თითოეული ვერსტის მშენებლობაზე საშუალოდ დაიხსარჯა 62 ათასი რუბლი.

1883 წ. 21 მაისს ბათუმ-სამტრედიის რკინიგზა საზეიმოდ გაიხსნა. ქალაქში შემოსული პირველი მატარებლის დასახვედრად ბათუმის და მისი შემოგარენის უამრავმა მცხოვრებმა მოიყარა თავი [Шарабидзе, Абусеридзе, 1984 : 4-6].

ბაქოსა და ბათუმს შორის გაჩაღდა გრანდიოზული ტვირთბრუნვა. ოვითონ ბაქოს გადაქცევა ნავთობის მსხვილ მომპოვებელ და ექსპორტიორ ცენტრად განაპირობა ბათუმის ნავსადგურმა. ის გახდა აზერბაიჯანის ნავთობის დიდი რეზერვუარი, საიდანაც გადამუშავებული და დაფასოებული სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტი უხვად მიეღინებოდა ევროპის, აფრიკისა და აზიის ქვეყნების ბაზრებზე. ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვაშიც უმთავრესი წილი ნავთობზე მოდიოდა. მაგალითად, 1903 წ. საერთო ტვირთბრუნვაშ შეადგინა 107,7 მილიონი ფუთი. აქედან ნავთობი იყო 78,5 მლნ. ფუთი [სიორიძე, 2002:33-34].

ნავთობის წყალობით ბათუმი გახდა მსხვილი ნავსადგური და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი. აქ შეიქმნა ნავთობპროდუქტების დახარისხებისა და ტრანსპორტირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ბათუმსა და მის გარეუბნებში მუშაობდა ნავთობის ტარის (თუნექის ბილონების და ხის კასრების) დამამზადებელი 9 მსხვილი და ათეულობით წვრილი საწარმო. აიგო დიდი ტევადობის 150-მდე რეზერვუარი. ნავთობპროდუქტების გემებში ჩასატვირთავად ნავსადგურში მოეწყო 30-ზე მეტი ჩამოსახმელი სადგური და ელევატორი. ეკოლოგიური ნავსადგური და ქალაქის ძირითადი ქუჩები.

რკინიგზით, გარდა ნავთობისა, ბათუმში შემოჰკონდათ და აქედან გემებით უცხოეთში გაქონდათ 45-მდე დასახელების სხვადასხვა საქონელი: მანგანუმი, ხე-ტყე, სიმინდი, მატელი, აბრეშუმის პარკი, ბამბა, ძირტკბილა და სხვ. ხოლო ევროპიდან შემოჰკონდათ და აქედან რკინიგზით მოექს ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა 25-ზე მეტი სახის საქონელი: გოგირდი, სადებავები, სამრეწველო მანქანები და მოწყობილო-

ბები, ლითონის ნაწარმი, მანუფაქტურა, ყავა, ავეჯი, მარმარილო, აგური, კრამიტი, თუნუქი და სხვა [სიორიძე, 2002: 36].

უკვე აღვნიშნეთ, რომ ბათუმ-სამტრედიის რკინიგზა თავიდან გაიკანებს როგორც ფოთი-თბილისის მაგისტრალის ერთ-ერთი განშტოება. მაგრამ მაღე, რკინიგზით გატარებული ტვირთების დიდი მოცულობის გამო, ბათუმი გახდა ამიერკავკასიის საქონელგაცვლის მთავარი ნაკადგური და სარკინიგზო მაგისტრალის ისეთი ხელსაყრელი პუნქტი, საიდანაც შემდეგში დაიგვემა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რკინიგზის რამდენიმე განშტოების გაყვანა, რასაც ეხება ეს ნაშრომი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მე-19 საუკუნის დამლევიდან წამყვანი როლი მიენიჭა ართვინის რეგიონს. ეს მხარე მდიდარი იყო წიაღისეულით. ამიტომ, სამრეწველო წრეებში გაჩნდა ბათუმიდან ართვინამდე რკინიგზის გაყვანის აზრი.

1901-1903 წლებში ამის გაკეთებას ცდილობდა ფირმა “კრეზო”, რომელიც გეგმავდა ართვინის მხარის რკინის საბაზოების ექსპლოატაციას, მაგრამ ეს იდეა ვერ განახორციელა, რადგან სამხედრო უწყებამ “სტრატეგიული მოსაზრების” გამო ნება არ დართო ამ რეგიონში რკინიგზის გაყვანაზე [Проект..., 1916:4,7].

ამის შემდეგ ჭოროხის ხეობაში რკინიგზის გაყვანის სურვილი გამოოქვა 1900 წ. ლონდონში დაარსებულმა “კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებამ”. მას მდ. მურდულის ხეობაში პქონდა საპარტ-საბაზირო გზებით ერთმანეთთან დაკავშირებული ათეულობით მაღარო, 4 გამამდიდრებელი ფაბრიკა, ელექტროსაბაზური და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სპილენძსადნობი ქარხანა. ამ კომპლექსის მშენებლობაში ფირმამ დააბანდა იმ დროისთვის დიდი კაპიტალი – 20 მილიონი რუბლი. მაგრამ სამხედრო უწყებამ მასაც არ მისცა რკინიგზის გაყვანის უფლება. ამიტომ ფირმის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ბათუმიდან – მდ. ჭოროხისა და მურდულისწყლის ხეობებით გაყვანა 60 ვერსტი

სიგრძის ნავთსადენი მიღი, რითაც ხდებოდა ქარხნებისთვის თხევადი საწვავის მიწოდება.

ფირმას ასევე ძვირი უჯდებოდა მზა სპილენძის ბათუ-მამდე ჩატანაც. ის მურდულის ხეობიდან ფურგონებით გაპ-ქონდათ ხოფამდე, შემდეგ გადატვირთავდნენ ნავებზე და მდ. ჭოროხით ჩამოჰქონდათ ბათუმში [სიორიძე, 1987:142-146]. რკი-ნიგზა კი მნიშვნელოვნად გაამარტივებდა და გააითვებდა ზე-მოადნიშნულ ოპერაციებს და თვით წარმოების პროცესსაც. რკინიგზითვე იქნებოდა შესაძლებელი მდ. ჭოროხის ხეობაში მოქმედი სამთო-მომპოვებელი საწარმოების მომარაგება იაფი საწვავით (კოქსი, ქვანახშირი), წარმოებისთვის საჭირო მანქა-ნა-დანადგარებით და სხვა საქონელით.

1900-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მის შემდეგ განვითარებული დეპრესია უარყოფითად აისახა ბათუმის ნავსადგურის ტყირთბრუნვაზეც. ამიტომ, ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში სერიოზულად დაიწყეს ფიქ-რი შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებაზე. ამის თაობაზე ბათუმის მთავარი საბაჟოს მმართველის ივ. ლოპატოს მიერ 1911 წ. 17 იანვარს შედგენილ საანგარიშო მოხსენებაში გიორ-სულობთ: “ბათუმის პორტში ტვირთვების მისაზიდად ქალაქის თვითმმართველობა ამჟამავებდა პროექტს ბათუმიდან ყარსამ-დე რკინიგზის გასაყიანად. ის უნდა გაგიდეს ჭოროხისა და მისი შენაკადების ხეობებით, შემდეგ უდელტებილით გადავა არგაანის პლატოზე და შეუერთდება ამიერკავკასიის რკინიგ-ზის ჯულფას მიმართულებას საპარსეთზე გასახვლელად. ეს რკინიგზა ბათუმიდან ჯულფამდე გზას შეამცირებს 200 ვერსტით და იქნება უმოკლესი ბათუმსა და სპარსეთის ბაზ-რებს შორის. ბუნებრივია, დაასკვნის საბაჟოს მმართველი, — რომ ბათუმის პორტი პირველ ადგილს დაიკავებს სპარსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის სატრანზიტო ვაჭრობაში” [აცსა, ფ. 48, ად. 1, ს. 1385, ფურც. 56].

სამხედრო უწყებისაგან ნებართვის მიღების შემდეგ ბა-თუმ-ყარსის მომავალი რკინიგზის პროექტის შედგენა დაევა-ლა ინჟინერ დ. სვიშჩევსკის. 1914 წ. ზაფხულში მისი ხელ-

მძღვანელობით ჩატარებული კვლევა-ძიებით ბათუმ-ყარსის რკინიგზის მთლიანი სიგრძე განისაზღვრა 348,4 ვერსტით. ბათუმიდან 303-ე ვერსტზე რკინიგზას უნდა გადაეჭვეთა თბილის-ყარსის რკინიგზის ხაზი პუნქტი იაგნისთან (ყარსის ჩრდილოეთი) და ბოლოს უნდა შეერთებოდა ალექსანდრო-პოლ-ჯულფას რკინიგზას პუნქტი ბუგდაშენთან (ალექსანდრო-პოლის სამხრეთით).

რკინიგზის დაპროექტირებისას გათვალისწინებული იქნა ბათუმის ოლქის წიაღისეული სიმდიდრეების ექსპლოატაციის ინტერესები. ამიტომ გადაწყდა რკინიგზის გატარება მდ. ჭოროხის დინების გასწვრივ, საიდანაც საჭიროებისას შესაძლებელი იქნებოდა გვერდითი შტოების გაყვანა შენაკად ხეობებში.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეაფერხა პროექტის დასრულება, თუმცა 1915 წ. კაგვასიის ფრონტზე რუსეთის არმიამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა. დ. სვიშჩევსკიმაც იმავე წელს დაისრულა და წარადგინა პროექტი, რაც 1916 წელს დაისტამბა თბილისში ქართული საგამომცემლო ამხანაგობის მიერ. ეს არის 154 ნაბეჭდი გეგრდის მოცულობის წიგნი და შედგება ოთხი თავისაგან. მასში დასაბუთებულია ბათუმ-ყარსის რკინიგზის გაყვანის აუცილებელი საჭიროება და მისი გარნომიგური ეფექტიანობა, მოცემულია პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯები და ტექნიკური მახასიათებლები.

შესავალ წერილში დ. სვიშჩევსკი აღნიშნავს, რომ 30 წელზე მეტი გავიდა ბათუმისა და მისი ოლქის შემოერთებიდან, მაგრამ ზღვის სანაპირო ზოლის გარდა, ოლქის დანარჩენ ნაწილში ცხოვრების ის ძველი პირობებია, რაც აქ დატოვა თურქთა ბატონობამო. მართალია, რკინიგზის გაყვანამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქ. ბათუმის ზრდა-განვითარებაში, მაგრამ დანარჩენი ოლქი უგზოობას მოუკვეგს. თვით საუბნო-ადმინისტრაციული ცენტრებიც კი არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ბორბლიანი ტრანსპორტისთ-

ვის ვარგისი გზებით. ოლქის შიგნით გადაადგილება ხდება ფეხით, ცხენით ან საჭაპანე ტრანსპორტით.

მოედი ეს მხარე მოფენილია ეკლესია-მონასტრების და ციხესიმაგრეთა მრავალრიცხოვანი ნაგრევებით. ეს მოწმობს, რომ ძველად აქ სიცოცხლე ჩქეფდა, რაც მხოლოდ კარგი სამიმოსვლო გზების პირობებში იყო შესაძლებელი. ამას დღემდე შემორჩენილი და მოქმედი ქვის თაღიანი ხიდებიც ადასტურებსო.

რეგიონის ამ მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთ მთავარ პირობად დ. სვიშჩევსკის მიაჩნდა ჭოროხის ველზე რეინიგზის გაყვანა. ეს გახდებოდა აგრეთვე ტრანსპორტირების-თვის ვარგისი შიგა სამიმოსვლო გზების მოწყობის საფუძველი. გაიოლდებოდა ტვირთების, ადგილზე ნაწარმი პროდუქტების გადატანა და მგზავრობა, რაც დადგებითად იმოქმედებდა ადგილობრივ მცხოვრებლებზე და გამოიწვევდა მათ კეთილგანწყობას ხელისუფლებისადმი.

სვიშჩევსკი ბათუმ-ყარსის რკინიგზას უკავშირებდა სხვა ხელსაყრელ გარემოებებსაც: 1) სარკინიგზო გადაზიდვები ხელს შეუწყობდა სწრაფ ტვირთბრუნვას. 2) ოლთისის რაიონში არსებული ქვანახშირის და კოქსის უხვი საბადოების ექსპლოატაცია, იქამდე რკინიგზის შტოს გაყვანის შემდეგ და ამ იაფი საწვავით ჭოროხის აუზის სპილენძის მწარმოებელი ქარხნების უზრუნველყოფა 3) ბათუმ-ყარსის რკინიგზას თუ საზღვრისკენაც დაემატება გვერდითი განშტრებები, მას შეუძლია მოემსახუროს თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებს. ეს შეაფერებს ბათუმის კონკურენტი ტრაპიზონის პორტის გაფართოებას და ის ვეღარ მიიზიდავს საარსეთის ტრანზიტო [Проект., 1916:3-6].

წინასწარი გამოთვლით ბათუმ-ყარსის რკინიგზის (348,4 ვერსტი) მშენებლობა დაჯდებოდა 62,2 მლნ. რუბლი. ანუ 1 ვერსტზე საშუალოდ დაიხსარჯებოდა 178 ათასი რუბლი. შემდეგ სვიშჩევსკის მოცემებს რკინიგზით ტვირთბრუნვის და მგზავრთა გადაყვანის სავარაუდო ციფრობრივი მონაცემები და წერს, რომ მაღალი დანახარჯების მიუხედავად რკინიგ-

ზის აქციონერთა წლიური სუფთა მოგება დასაწყისშივე 143 ათასი რუბლი იქნებოდა [იქვე:11-14].

პროექტში დაწვრილებითაა განხილული რკინიგზის მარშუტი. ის უნდა შე ერთებოდა ბათუმის საბარგო სადგურს, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა შეუფერხებელი სატვირთო ოპერაციები ბათუმის პორტში. თუმცა, უმაღლესი ხელისუფლების მიერ უკვე დამტკიცებული იყო გეგმა ბათუმის ეწ. “ნავთობის ქალაქის” გადაკეთების თაობაზე. ის ითვალისწინებდა რკინიგზის სამგზავრო და საბარგო სადგურების ქალაქიდან კახაბრის დაუსახლებელ ველზე გადატანას. სვიშჩევსკის აზრით ეს ადგილი მოსახერხებელი იყო ბათუმ-ყარსის რკინიგზის სადგურის მოსაწყობადაც. აქედან რკინიგზა ჭოროხის ხეობით გაემართებოდა ყარსისაკენ.

ბათუმიდან მე-40 ვერსტზე გათვალისწინებული იყო პირველი სადგურის მოწყობა დაბა ბორჩხაში. აქედან ახლოს იყო მურდულის სპილენძსადნობი ქარხანა და მანგაზუმის საბადოები. რკინიგზის მეორე სადგური იგეგმებოდა კვარცხანის სპილენძსადნობი ქარხანისათვის. შემდეგი უნდა ყოფილი ყო ქ. ართვინის რკინიგზის სადგური (61-ე ვერსტზე). შემდეგ გზა კვლავ აღმა მიყვებოდა ჭოროხის კლდოვან ხეობას, 70-ე ვერსტზე უხვევდა მარცხნივ და მიუყვებოდა ჭოროხის შენაკად მდ. იმერხევს, შემდეგ ამ უკანასკნელის შენაკად შავშეთის წყალს. ამის შემდეგ რკინიგზა უხვევდა სამხრეთისკენ, გარს შემოუვლიდა ბილ-ბელანის მთიან მასივს და იალანუზანასკის უდელტეხილში გაჭრილი გვირაბებით დაეშვებოდა არტანის მხარეში, მდ. მტკვრის ველზე, საიდანაც გადაკვეთდა თბილის-ყარსის რკინიგზას და რკ. სადგურ ბუგდაშენთან შეუერთდებოდა ალექსანდროპოლ-ჯულფის ხაზს.

პროექტის ავტორთა ვარაუდით ბათუმ-ყარსის რკინიგზა ტექნიკურად იძლეოდა 8 წყვილი მატარებლის (ე.ი. 16 სარკინიგზო შემადგენლობის) ერთდროულად მოძრაობის საშუალებას. ხოლო ომიანობის ვითარებაში, ეწ. ”ასაქცევი ლიანდაგების” გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა 15 წყვილი სამხედრო და 1 წყვილი სამოქალაქო მატარებლის მოძრაობა.

ბათუმის ოლქის მთაგორიან ადგილებში, ბათუმიდან სოფ. დოლისეყანამდე, მატარებლის შემადგენლობის მოძრაობის-თვის საჭირო იქნებოდა ორი ორთქლმავალი. ინუინერი სვიშ-ჩევსკი იქვე სვამდა საკითხს, რომ რკინიგზის ძნელად გადა-სალახავ უბნებზე გამოეყენებინათ ელექტროწევა (იგივე ელმავლები). მათვის საჭირო ენერგია მთის მდინარეებზე მოწყობილი სტაციონარული ელექტროსადგურებიდან უნდა მიეღოთ.

სვიშჩევსკი აგრეთვე აყენებდა წინადაღებას, რომ ბათუმ-ყარსის რკინიგზისთვის ბათუმის პორტში გამოეყოთ მონაკვე-თი გემისადგომთან და მის მახლობლად რკინიგზის პლატ-ფორმის მოსაწყობად საჭირო ტერიტორია [Проект.., 1916:24-39].

დასასრულს უნდა ითქვას, რომ ბათუმ-ყარსის რკინიგზის პორტის განხორციელება სამომავლოდ გადაიდო. მის ნაცვლად რუსეთის უმაღლესი მთავრობა 1916 წ. ზაფხულში სწრაფ ტემპში შეუდგა სამხედრო დანიშნულების ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობას [სიორიძე, 2005 : 80-85].

1916 წლის გაზაფხულზე რუსეთის კავკასიის არმიამ, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველები შეადგენდნენ, ოსმალთაგან გაათავისუფლა ისტორიული ლაზეთი. შემდეგი შეტევითი ოპერაციებისთვის მოქმედი არმიის უზრუნველსა-ყოფად რუსეთის სარდლობამ საჭიროდ ჩათვალა ქ. ტრა-პიზონში მტკიცე ზურგის სამსახურის მოწყობა. ამისთვის ლაზეთის ზღვისპირა ზოლში, ბათუმიდან ტრაპიზონამდე გადაწყდა ფართოლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა.

1916 წლის მაისში ქ. ბათუმში შეიქმნა სპეციალური დაწე-სებულებები სახელწოდებით – “ბათუმ-ტრაპიზონის ფართო-ლიანდაგიანი სამხედრო რკინიგზის სამუშაოთა სამმართვე-ლო”, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა პოლკოვნიკი მ. ა. ვერდერევსკი [ცისსა, ფ. 2080, ად.1 ს. 544:422]. იმავდროულად დაიწყო საპროექტო სამუშაოები.

ბათუმ-ტრაპიზონს შორის კლდოვანი ზღვის ნაპირით რკინიგზის გაყვანის გადაწყვეტილებას “ბრიფულ საქმეს”

უწოდებს მწერალი დავით კლდიაშვილი. ის ამ დროს იყო ომით გათავისუფლებული ლაზეთის ერთ-ერთი ზღვისპირა პუნქტის (პირონიტის) კომენდანტი და ამდენად ამ მოვლენების შემსწრე და თვითმხილველი. მისი შეფასებით პოლ-კოვნიკი ვერდერევსკი იყო მესანგრეთა ოფიცერი და არა გზათა საქმის სპეციალისტი ინჟინერი. მას დასავლეთის ფრონტზე, ვაკე ადგილას, უპავ გაყვანილი ჰქონდა 16 ვერსტი სიგრძის რკინიგზა რამდენიმე დღის განმავლობაში. ამას ისე მოუხიბდავს მთავარსარდალი ნიკოლოზის ძე, რომ სხვა ინჟინერს ადარ იყადრებდათ. როცა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მეფისნაცვლად დაინიშნა, მას ვერდერევსკიმ წარუდგინა გეგმა ერთ წელიწადში ბათუმ-ტრაპიზონს შორის რკინიგზის მოწყობის შესახებ, რაც უპრობლემოდ დამტკიცებულა [კლდიაშვილი, 1984:197].

ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის სამმართველოს ქ. ბათუმში გამოუყვეს ცალკე შენობა და უზრუნველყველების საჭირო პერსონალით. „სამმართველოსთან“ შეიქმნა ტექნიკური, მექანიკური და გეოლოგიური განყოფილებები, დამოუკიდებელი სამედიცინო სამსახური [აცსა, ფ.6, აღ. 1, ს.896:4]. ბათუმის მუნიციპალიტეტმა ქალაქის განაპირას, სოფ. სოუქსუს საზღვართან, გამოცემ აგრეთვე 1,8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი მშენებარე რკინიგზისათვის საწყობების და მექანიკური სახელოსნოების მოსაწყობად [იქვე, ს. 873:1-8]. მათი ელექტროენერგიით მომარაგებისათვის, 1917 წ. იანვრის დასაწყისში ბათუმის მახლობლად, მდ. ჭოროხზე მოწყო მცირე ჰიდროელექტროსადგურიც. საღენების გასაყვანად გამოიყენეს ქალაქის ელექტრობოძები [იქვე, ს. 899:6-9].

ლაზეთის რკინიგზის ასაგებად ხაზინამ გამოპყო სოლიდური თანხა-25 მილიონი რუბლი. 1916 წლის 14 დეკემბერს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ ხელმოწერილი “დროებითი დებულებით” მშენებლობის უფროსს მიენიჭა შეუზღუდავი უფლებები თანამშრომელთა რაოდენობის, მათი ხელფასების, წარმოებულ სამუშაოთა შეფასების, მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკის და მოწყობილობათა დირექტორების, აგრეთვე,

სხვა სახის ხარჯების განსაზღვრაში. მასვე შეეძლო, საჭიროებისას, უკვე დამტკიცებულ პროექტშიც შეეტანა აუცილებელი ცვლილებები [სცსა, ფ. 2080, აღ. 1 ს. 544:422-433].

ლაზეთის რკინიგზის მშენებლობა დაიწყო 1916 წლის აგვისტოში. სამუშაოები წარმოებდა ერთდროულად რამდენიმე უბაზე, ქ. ბათუმიდან დაწყებული – ტრაკიზონამდე.

ლაზეთის ზღვისპირეთი კლდოვანია. ამიტომ, რკინიგზაზე სამუშაოები განისაზღვრა სამ ეტაპად. პირველი რიგის ამოცანა იყო დაბლობ ადგილებში რელსების დასაგებად ნიადაგის მომზადება. მეორე ეტაპზე განსაზღვრული იყო ხიდების აგება და გვირაბების გაყვანა კლდოვან ადგილებში, რაც მესამე ეტაპზე უნდა დასრულებულიყო სამონტაჟო სამუშაოებით და მატარებლების მოძრაობის დაწყებით.

რკინიგზის მშენებლობამ ათასობით მუშახელი მიიზიდა დასავლეთ საქართველოდან, მათ შორის ლაზეთიდანაც. დ. კლდიაშვილის ცნობით ინუინერ-ტექნიკური პერსონალის “უბრავლესობა იყო გადმოყვანილი ჩრდილო რუსეთიდან, მურმანსკის რკინიგზაზე ნამუშევრები. უბრალო მუშებიც თითქმის ერთიანად რუსეთიდან ჩამოიყანეს” [კლდიაშვილი, 1984:198]. მშენებლობის უბნებზე, აიგო ხე-ტყის სახერხი ქარხნები და სხვადასხვა სახის სახელოსნოები; მოქმედ ბარაკები, სასალილოები, საგაჭრო ფარდულები, აბანოები და სხვა ობიექტები. მშენებლობაზე მუშაობდა ათეულობით საბარგო ავტომობილი, ასობით ოთხვალდა და ურემი.

1917 წლის იანვარში დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალთან ლაზეთის შტოს შეერთების საკითხის განხილვა. ამისათვის შეიქმნა შერეული კომისია, სახელმწიფო მრჩეველ გ.ხ. ქიქოძის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიოდნენ ბათუმ-ტრაკიზონის რკინიგზის, ამიერკავკასიის რკინიგზის, ბათუმის თვითმმართველობის, სამხედრო უწყების, მიხეილის ციხესიმაგრის, ბათუმის საგაჭრო და სამხედრო ნავსადგურების წარმომადგენლები. კომისიამ გადაწყვიტა, რომ ბათუმ-ტრაკიზონის რკინიგზა ამიერკავკასიის მაგისტრალთან დროებით შეერთებინათ ბათუმის საბარგო

სადგურთან. კომისიის წევრები აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში შეეღინათ ბათუმის დამოუკიდებელი საკვანძო სადგურის პროექტი, რომელსაც შეუერთდებოდა როგორც ბათუმ-ტრაპიზონის, ისე უკვე დაპროექტებული ბათუმ-ყარსის რკინიგზაც [აცსა, ფ.6, ს. 896:5]. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბათუმის საკვანძო სადგურის აგება იგებ-მებოდა ქალაქების კაბრის კელზე. მაგრამ შემდეგ გან-ვითარებული მოვლენების გამო ამ გეგმების განხორციელება ვედარ მოხერხდა.

1917 წ. ოებერვლის რევოლუციით რუსეთის სათავეში მო-სულ დროებით მთავრობას მძიმე პოლიტიკური და ეკონო-მიკური მემკვიდრეობა დარჩა. კორუმპირებული მოხელეების მიერ გაძარცვული ხაზინა უკვე უშუალოდ ფრონტის საჭი-როებებსაც ძლივს აკმაყოფილებდა. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა არაპირდაპირი სამხედრო ხარჯების შემცირება. ეს შექმნა ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზასაც, რადგან არ პქონ-დათ სახსრები მის ბოლომდე მისაყვანად. რკინიგზის მშენებლობაზე ჩატარებული რევიზიის შედეგად აღმოჩნდა, რომ ფულის უდიდესი ნაწილის (21 მლნ. რუბლი) დახარჯების მიუხედავად სამუშაოები სანახევროდაც არ იყო შესრუ-ლებული. რელსების დასაგებად გრუნტი ძირითადად დაბლობ ადგილებში მომზადდა და ისიც უხარისხოდ. კლდოვან ადგილებში კი სამუშაოები ჯერ დაწყებულიც არ იყო [სცსა, ფ. 2080, ად. 1, ს. 544:4-5]. მშენებლობის დასრულება დამატებით საჭიროებდა დიდ თანხებს, რის საშუალებაც ხა-ზინას აღარ პქონდა. სერიოზული სირთულეები გაჩნდა რკი-ნიგზის რელსებით და სხვა საშენი მასალებით მომარაგება-შიც. გამოიკვეთა სახელმწიფო ფულის დიდი რაოდენობით დატაცების და არადანიშნულებისამებრ ხარჯების არაერთი ფაქტი, რაზეც სამხედრო პროკურატურამ დაიწყო მოკვლევა და აღმრა სისხლის სამართლის საქმეები. ყოველივე ამის გამო რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 15 აპრილის დადგენილებით ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობა შეწყდა.

ამრიგად, ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დაგეგმილ ბათუმ-ტრაპიზონისა და ბათუმ-ყარსის რკინიგზის განშტოებებს დადებითი როლის შესრულება შეეძლო ლაზეთსა და ართვინ-არტაანის რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ეს ხელს შეუწყობდა საქართველოს სხვა კუთხეებთან მათ ინტეგრირებასაც. მაგრამ ეს მშენებლობები ვერ განხორციელდა რესერვში ბოლშევიკური გადატრიალებისა და პირველი მსოფლიო ომის შედეგად სამხრეთ კავკასიაში შექმნილ სპეციფიკურ ვითარებათა გამო.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საინსტრუმენტო არქივი (შემოკლებით სცსსა) ფონდი 2080, აღწ. 1, საქმე № 544.
2. სცსსა ფონდი 1854, აღწ. 1, საქ. 766.
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლ. აცსა), ფონდი 6, აღწ. 1, საქმე № 873, 896, 899.
4. აცსა ფონდი 16, აღ. 1, ს. 42.
5. აცსა ფონდი 48, აღ. 1, ს. 1385.
6. **გოშაძე გ.** ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის, ელექტროფიკაციისა და ქსალოატაციის საკითხებისათვის, თბ., 1959.
7. **კლდიაშვილი დ.** ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984.
8. **სიორიძე მ.** სამთო-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და უცხოური კაპიტალი (1878-1921 წწ.) – “აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები”, VIII, ბათ., 1987 (გვ. 135-153).
9. **სიორიძე მ.** სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში, ბათ., 2002.
10. **სიორიძე მ.** რკინიგზის მშენებლობა ლაზეთში 1916-1917 წლებში – ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, IV, ბათ., 2005 (გვ. 80, 86).
11. **ტოტოჩავა კ.** საქართველოს სსრ ტრანსპორტის ისტორია, თბ., 1973.

12. Аргутинский-Долгоруков А., История сооружения и эксплоатации Закавказской железной дороги, Тифл., 1896.
 13. Комерческая деятельность Закавказских железных дорог за 1907-1911 гг. – . „Кавказский Календар” (օյցիք Ձ օ վ. Դ յ մ ո յ լ լ. Կ.Կ.) Ն ա 1914 թ. (օդ. Տ ա տ ի ստ), Տ ի ֆ լ . , 1913. ս. 196-204.
 14. Сагратян А. История железных дорог закавказья (1856-1921), изд-во „Аиастан” Ереван 1970 (264 с.).
 15. Шарабидзе Э., Абусеридзе З., От Самтредии до Батуми, Бат., 1984.
- * ვერსია (ვერსი) – ხიდების საზომი ერთეული ძველ რუსეთში. 1 ვერსია უდრის 500 საფეხს, ანუ 1,0668 კილომეტრს.

Malkhaz Sioridze

History of the Construction of the Railway Branches in the South-Western Georgia

Summary

After construction af the Batumi-Samtredia railway (1883) Batumi became the main port of the barter operation of the Eastern Black sea. In the first decades of the XX-th century it was planned to construct the railway from Batumi in different directions: At the beginning of the XX-th century foreign manufacturers unsuccessfully tried to get the permission for the construction of the reailway branch from Batumi till Artvin.

After the world's economical crisis by the initiative of Batumi town municipality with the aim of attracting of the new goods to Batumi port was designed the project of Batumi-Kars railway. This railway project was shortening the distance to Iran border by 200 versts and beside of that a could help to serve the local needs of Artvin, Ardagan, Kars regions. But the realization of this project was stopped and in the summer of 1916 was started the construction of the military railway Batumi-Trabzon. The constructive works simultaneously were carring out on different places from Batumi to Trabzon along Black sea coast of Lazistan. The central office of this construction was situated in Batumi. Here in the future was disigned to build the railway junction station with the aim to join to it as well as Trabzon so Kars railway branches. but after the February revolution of 1917

and the subsequent events the realization of the above named projects were stopped.

Малхаз Сиоридзе

К истории устройства железнодорожных ветвей в Юго – Западной Грузии

Резюме

После проведения Батум-Самтредской железнодорожной линии (1883 г.) г.Батуми стал главным товарообменным портом восточного причерноморья.

В первые десятилетия 20-го века из Батуми было запланировано провести ж/д ветви по несколким направлениям: В начале 20-го века иностранные промышленники безрезультатно старались добиться разрешения провести ж/д. ветвь до г. Артвина.

После мирового экономического кризиса, по инициативе Батумского городского муниципалитета, с целью привлечения новых грузов в Батумский порт, был разработан проект т.н. Батум-Карской ж/д. Эта дорога на 200 вёрст сокращала расстояние до границы с Персией и одновременно могла обслуживать местные нужды регионов Артвина, Ардагана и Карса.

Однако, осуществление данного проекта было приостановлено и летом 1916 г, начали строительство Батум-Трапезундской военной железной дороги. Строительные работы одновременно развернулись на разных участках от Батума до Трапезунда вдоль Черноморского побережья Лазистана.Главный офис этого строительства находился в Батуми.Здесь же, в скором будущем, намечалось проектирование узловой станции с целью присоединения к ней как Трапезундской, так и Карской ж/д ветвей.

Однако, после Февральской Революции 1917 года и позднейших событий осуществление вишеназванных проектов прекратилось.

გადასახადები და საგადასახადო სისტემა
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლად
(1901-1917 წწ.)

რესეტმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XX საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა. იგი განპირობებული იყო პოლიტიკური მოტივაციით. მაგრამ პეტერბურგის ცენტრალური ხელისუფლება, კავკასიის სამხარეო აღმინისტრაცია კარგად ხედავდა, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში ოსმალური გადასახადების შენარჩუნება სარფიანი აღარ იყო. საგულისხმოა, რომ კავკასიის რევიონში ერთიანი საგადასახადო სისტემა საერთოდ არ არსებობდა, რაც მრავალ გაუგებრობასა და სიძნელეს ქმნიდა არა მარტო ამ მხარის, არამედ, აგრეთვე, მთლიანად იმპერიის მასშტაბითაც. ამიტომ აუცილებელი იყო ცვლილებები. მთავრობის დადგენილებით, 1901 წელს კავკასიაში საგადასახადო სისტემის რეფორმა გატარდა. ყველა წინანდელი გადასახადი გააუქმდა და ადგილმამულების დაბეგვრის ერთიანი წესები შემოიდეს. ეს რეფორმა ყარსის ოლქს, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებსაც შეეხო. აქ, როგორც მთლიანად კავკასიაში, ადგილ-მამულები დაიბეგრა: სახელმწიფო სადალო გამოსაღებით, საერობო მოსაკრებელით და სახელმწიფო მიწის გადასახადით. პირველი სახაზინო მიწებზე დაწესდა, მეორე – ყველა სახის მიწებზე, ხოლო მესამე – კერძო საკუთრებაში მყოფ მამულებზე. მთავრობის შესაბამისი ორგანოები აღნიშნული სახის გადასახადების ნუსხას სამი წლით წინასწარ ადგენდნენ. ამიერიდან გადასახადები მიწის ფართობზე დაწესდა, მოსავალი სათვალავში აღარ მიიღებოდა.

1903 წლის 12 მაისის უმაღლესი დადგენილებით ამი-

ერკავგასიაში შემოიღეს ახალი წესი და განაკვეთები სა-
გერბო გამოსაღების, საერობო მოსაკრებლის, ბინის, მიწის
და სხვა გადასახადების შესახებ. ამ დადგენილებით
დასაბეგრ მიწებს ეკუთვნოდა: ვენახი და ხეხილის ბაღები,
სახნავი, თამბაქოს პლანტაციები, ტყე და საძოვრები. მანამდე
არსებული წესისაგან განსხვავებით, ეზოები და სათიბები
გამოყოფილი არ იყო საერთო საგარგულებისაგან. დაბეგრვის
ახალი წესის თანახმად დაადგინეს დასაბეგრი მიწების ახა-
ლი კატეგორიები. მიწები დაიყო ოთხ თანრიგად. პირველ
თანრიგს მიაკუთვნეს კახაბრისა და ჩურუქსუს დაბლობის
მიწები, მეორეს – ზღვასთან ახლომდებარე დამრეც გორა-
კებზე განლაგებული საგარგულები, მესამეს – მთისწინა
ფერდობებზე განთავსებული სახნავი, ხოლო მეოთხე თან-
რიგს – მაღალმთიან ზონაში მკვეთრი ფერდობების სა-
გარგულები.

მიწების საერთო შემოსავლებისა და დანახარჯების გათ-
ვალისწინებით დააწესეს საგადასახადო განაკვეთები. მა-
შინდელ პირობებში ერთი დესეტინა პირველი კატეგორიის
სახნავი მიწის შემოსავალი განსაზღვრეს 75 რუბლი, დანა-
ხარჯი – 55, ხოლო წმინდა შემოსავალი – 20 რუბლი. მეო-
რე თანრიგის მიწებზე შესაბამისად: 65, 53 და 12 რუბლი.
მესამე თანრიგის მიწებზე – 45, 37 და 8 რუბლი. მეოთხე
კატეგორიის ერთი დესეტინა მიწის საერთო შემოსავალი
დაადგინეს 28 რუბლი, დანახარჯები – 25, ხოლო წმინდა
შემოსავალი – 3 რუბლი. თამბაქოს პლანტაციები კატეგორიებ-
ბად არ იყოფოდა. ერთი დესეტინა თამბაქოს პლანტაციის
წმინდა შემოსავალი განსაზღვრეს 37 რუბლი და 50 კაპიკი.
ერთი დესეტინა ტყისა და საძოვრების შემოსავალი დაადგი-
ნეს 30 კაპიკის ოდენობით.

ჩაის პლანტაციები და ვენახი 1903 წელს არ იბეგრე-
ბოდა იმ მოტივით, რომ ეს დარგები მნიშვნელოვნად გან-
ვითარებული არ იყო. ართვინის ოკრუგის მიწები დაბალ-
ნაყოფიერად შეაფასეს და ექვს კატეგორიად იყოფოდა. პირ-
ველი კატეგორიის ერთი დესეტინა მიწის საერთო შემო-

სავალი 28 რუბლით განსაზღვრეს, ხოლო წმინდა შემოსავალი – 22 რუბლითა და 50 კაპიკით. ერთი დესტრინა საძოვრებისა და საბალახოების შემოსავალი განისაზღვრა 15 კაპიკით [აცსა, ს. 103: 27]. საერთო და წმინდა შემოსავლები საფუძვლად დაედო ადგილ-მამულების ვარგისიანობის განსაზღვრას და ამის მიხედვით მიწის ფართობზე საადგილ-მამულო გადასახადების დადგენას.

გადასახადების ამოდება ადგილობრივი, საგუბერნიო, სამხარეო და თვით ცენტრალური ორგანოების მთავარ საქმედ რჩებოდა. რეფორმის შემდეგ ეს საქმე უშუალოდ გუბერნიების სახაზინო პალატებს დაევალათ. საქართველოში ორი ასეთი უწყება არსებობდა: ერთი ქუთაისის, ხოლო მეორე თბილისის გუბერნიაში. ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიის სახაზინო პალატას ექვემდებარებოდა, ხოლო ყარსის ოლქი - ერევნის გუბერნიის ანალოგიურ უწყებას. სახაზინო პალატების დასაყრდენი ძალა იყო სასოფლო საზოგადოებების მამასახლისები და სასოფლო ოკრუგების უფროსები. სახაზინო პალატებს ბათუმის, ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში გამოყოფილი ჰყავდათ საგადასახადო ინსპექტორები. ისინი საგადასახადო საქმეებს აწესრიგებდნენ საოლქო, საოკრუგო, საპოლიციო უბნებისა და სასოფლო ოკრუგების მოხელეებთან თანამოქმედებით.

საადგილმამულო რენტის ძირითადი სიმძიმე სანადელო მიწებზე მოდიოდა (1905 წელს – 97%, 1915 წელს – 84%). 1915 წელს სადალო გამოსაღებით და საერობო მოსაკრებლით დაბეგრილი იყო 465 სოფელი (ბათუმის ოკრუგში – 301, ართვინისაში 164 სოფელი [KK, 1916: 340-341]). უკელა ისინი სახელმწიფო დასახლებად ითვლებოდნენ.

საერთოდ საგადასახადო განაკვეთები მყარი არ იყო. 1902-1907 წლებში სოფლის მოსახლეობის საადგილმამულო სადალო გამოსაღების განაკვეთები ძირითადად ერთი და იგივე დარჩა. შემცირების ტენდენცია 1908 წლიდან შეიმჩნევა. უკვე 1915 წელს 1905 წელთან შედარებით სანადელე მიწებზე

გაწერილი სადალო გამოსაღები მესამედით და კიდევ მეტადაა შემცირებული. ამის მიზეზი იყო მოსახლეობის მიერ მიწის ზოგიერთი ნაკვეთის მიტოვება. ძირითადად ეს იყო საძოვრები და ტყებუჩქნარები, ნაწილი კი მოახალშენებმა შეიძინეს.

ბათუმის ოლქის მოსახლეობა, 1917 წლის ცნობით, დალისა და საერობო მოსაკრებლის სახით იხდიდა სანადელო მიწების საერთო შემოსავლის 20%-დან 47%-მდე. კონკრეტულად, კინტრიშის უბანში იგი შეადგენდა 20%-ს (ნადელების საერთო შემოსავალი იყო 32598 რუბლი, გადასახადი კი შეადგენდა 6484 რუბლს), ქვემო აჭარის უბანში – 20.4%-ს (ნადელების საერთო შემოსავალი – 18681 რუბლი, გადასახადი – 3804 რუბლი), გონიოს უბნის ოდღაურის სასოფლო ოკრუგის მოსახლეობაზე გაწერილი დალა და საერობო მოსაკრებელი შეადგენდა ნადელების საერთო შემოსავლის 23%-ს (სანადელო მიწების შემოსავალი – 3835 რუბლი, გადასახადი – 1801 რუბლი). ზემო აჭარის დიდაჭარის სასოფლო ოკრუგში სადალო გამოსაღები და საერობო მოსაკრებელი ნადელების საერთო შემოსავლის 47%-ს უდრიდა (ნადელების საერთო შემოსავალი იყო 9666 რუბლი, ხოლო გადასახადი – 4541 რუბლი [აცხა, ს. 203: 2-58]).

კერძო მიწებზე გაწერილი გადასახადები საგრძნობლადაა გაზრდილი. მაგალითად, 1905-1915 წლებში ამ კატეგორიის ადგილ-მამულების გადასახადის ოდენობა თითქმის სამჯერ გადიდდა, ძირითადად, კერძო საკუთრების მიწების გაზრდით. ადგილ-მამულების კერძო მესაკუთრენი მეტწილად მოახალშენებია. 1915 წელს ბათუმის ოლქში კერძო მესაკუთრეა 463 კაცი, რომელებიც საადგილმამულო გადასახადებით იყო დაბეგრილი. ამათგან 439 მესაკუთრე ბათუმის ოკრუგში, ძირითადად ზღვისპირეთში, სახლობდა. წლიურად თითოეული მათგანი საშუალოდ 14 რუბლს იხდიდა [KK, 1916: 340-341].

საადგილმამულო ფულადი რენტის სამი სახიდან (სადალო გამოსაღები, საერობო მოსაკრებელი, მიწის გადასახადი) წამყვანი იყო სადალო გამოსაღები. 1915 წელს იგი

თითქმის ორჯერ ადემატებოდა სახელმწიფო სანადელო მიწებზე დაწესებულ საერობო გამოსაღებს, ცამეტჯერ – საადგილმამულო გადასახადს, რომლითაც კერძო მიწები იყო დაბეგრილი.

არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში მიწის კერძო მესაკუთრები თითქმის არ ყოფილან. ამდენად, სადალო გამოსაღები სახელმწიფო დასახლების სანადელო მიწებზე მოდიოდა. 1909 წელს არტაანის ოკრუგში საადგილმამულო სადალო და საერობო გამოსაღები ერთად აღებული 112580, ხოლო ოლთისში – 49130 რუბლს შეადგენდა. დაბეგვრის სიმძიმე აქაც სადალო გამოსაღებზე მოდიოდა (არტაანის ოკრუგში – 63%), ოლთისისაში – 60% [Обзор Карской..., 1910: 66-67; КК, 1916: 340-341]). ამასთან, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში სახელმწიფო დასახლების მიწების სადალო და საერობო გამოსაღები 3,5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ბათუმის ოლქში. 1901 წლის საგადასახადო რეფორმის შემდეგ არ გაზრდილა მოსახლეობის დაბეგვრის როგორც აბსოლუტური, ისე შევარდებითი მაჩვენებლები, მაგრამ ხალხს გადასახადების გადახდა კლავინდებურად უჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ 1901 წლის აშარის ნარჩენები ჩამოწერეს, გადასახადების არგადამხდელი კომლები და მთლიანი სოფლებიც კი ყოველწლიურად იზრდებოდა. ნარჩენების რაოდენობა, ე.ო. ”ნედომები”, საგადასახადო განაკვეთებს ყოველწლიურად ემატებოდა. მაგალითად, 1905-1909 წლებში ბათუმის ოლქში სადალო გამოსაღებისა და სახელმწიფო მიწის გადასახადის ნარჩენების საერთო ოდენობა 22159 რუბლს უდრიდა. აქედან 1906 წელს შეადგინა 12719 რუბლი, 1909 წელს – 4922 რუბლი [სცსსა, ს. 1570: 17]. 1909 წელს არტაანის ოკრუგში სადალო გამოსაღებისა და საერობო მოსაკრებლის ნარჩენები 43453 რუბლს ითვლიდა, რაც საერთო საგადასახადო თანხის 38.6%-ს შეადგენდა. ოლთისის ოკრუგში საგადასახადო ნარჩენები წლიური საგანაკვეთო თანხის 80%-ს უდრიდა [Обзор Карской..., 1910: 58].

პირველი მსოფლიო ომის წლებში გადასახადების გადაუხდელობამ მასობრივი ხასიათი შეიძინა. 1914-1916 წლებში სააღვილმამჟღლო გადა-სახადების დიდი ნარჩენები დაგროვდა. ქუთაისის გუბერნიის სახაზინო პალატის უფროსმა არაერთხელ მიმართა ბათუმისა და ართვინის ოკრუგების საგადასახადო ინსპექტორებს გადასახადების ნარჩენების ამოღების შესახებ. 1915 წლის 21 იანვრის მიმართვაში ბათუმის საგადასახადო ინსპექტორისადმი კატეგორიულად მოითხოვა თათბირების ჩატარება ადგილობრივ ორგანოებთან გადასახადების ამოღების თაობაზე [აცსა, ს. 80: 136].

ყარსისა და ბათუმის ოლქების მოსახლეობას რეფორმის შემდეგ კიდევ ახალი სახის საკომლო გადასახადი შეაწერეს – სათემო ბეგარა, რომელიც ორი სახისა იყო: მუდმივი და დროებითი. პირველის შემოსავალი ხმარდებოდა სასოფლო მმართველობის მოხელეების, სასულიერო წოდების, სკოლებისა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა დაბალი ჩინის მოსამსახურე პერსონალის შენახვას. დროებითი სათემო ბეგარის შემოსავლები საზოგადოებრივი შენობების, (ეკლესია-მონასტრები, სოფლის მმართველობის განცელარიები, სკოლები და სხვა.) მშენებლობისა და რემონტისათვის იყო განკუთვნილი.

ბათუმის ოკრუგში სათემო ბეგარის შემოსავალი 1903 წელს 60711 რუბლსა და 64 კაპიკს, ხოლო 1910 წელს – 62528 რუბლს შეადგენდა (თითო კომლზე შესაბამისად – 4 და 5 რუბლი [Обзор Батумской..., 1904: 22; Обзор Батумской..., 1912: 108]). დაახლოებით ასე იყო სხვა წლებშიც. არტაანის ოკრუგში 1909 წ. სათემო ბეგარამ 105530 რუბლი შეადგინა (მუდმივი – 51513, დროებითი – 53817), ოლთისის ოკრუგში შესაბამისად 46571, 22788 და 23782 რუბლი (კომლზე საშუალოდ მოდიოდა: არტაანის ოკრუგში – 13, ხოლო ოლთისისაში – 11 რუბლი [Обзор Карской..., 1910: 74]).

სათემო ბეგარიდან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი იხარჯებოდა ადგილობრივი დაწესებულებების მომსახურე

პერსონალის შენახვაზე. 1910 წელს ბათუმის ოლქში ამ მიზნისათვის დაინარჯა 83% (52247 რუბლი [Обзор Батумской..., 1912: 108]). სათემო ბეგარის სიმძიმეს ქვედის (ბათუმის ოკრუგი) სკოლის მასწავლებლის კონსტანტინე მკურნალის ჩანაწერიც მოწმობს. იგი 1905 წელს წერდა: აჭარლებისათვის განსაკუთრებით მძიმე ტვირთია სასოფლო მმართველობის კანცელარიების შენობების შესყიდვისა და მოხელეების შესანახი ხარჯების გადებაო [18].

არანაკლებ მძიმე იყო ე.წ. სამხედრო ბეგარა. ამ გადასახადს აჭარაში “სალდათის ფულს” ეძახდნენ. რუსეთის მთავრობამ აქაური მოსახლეობიდან არმიაში გაწვევა ვერ შეძლო და იძულებული გახდა ოსმალური ბეგარა ბოლომდე შეენარჩუნებინა. მხოლოდ XX საუკუნის 10-იან წლებში შეეცადა ხელისუფლება მის გაუქმებას და მამაკაცების გაწვევას მეფის არმიაში.

ამ საკითხზე 1910 წელს მიმოწერა ჰქონდათ რუსეთის სამხედრო მინისტრსა და კავკასიის მეფისნაცვალს. ისინი შეთანხმდნენ სამხედრო ბეგარის გაუქმებისა და არმიაში ახალგაზრდობის საყოველთაო გაწვევის შესახებ, მაგრამ ამას წინ აღუდგა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი. იგი 1910 წელს კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენებდა: აქაური მუსლიმანი მოსახლეობა არ შეიძლება იყოს ერთგული და საიმედო ჯარისკაცი. სამხედრო ვალდებულებების შემოღება კი არა, ამ საკითხზე ხმების გავრცელებაც კი პანიკას გამოიწვევს და მოსახლეობა მასობრივად აიყრებაო. იგი სამხედრო ბეგარის გაუქმებას მოითხოვდა, რადგან აქაური მოსახლეობის “სალდათად” გაწვევას ნააღმდეგად თვლიდა. მართლაც, მთავრობამ ამ განზრახვაზე ხელი აიღო და სამხედრო ბეგარა წინანდებურადვე ძალაში დარჩა. 1910 წელს, მაგალითად, მოსახლეობაზე გაწერილი სამხედრო ბეგარა, ე.წ. “სალდათის ფული” 15013, ხოლო წინა წლების ნარჩენებთან ერთად 17904 რუბლს შეადგენდა[Обзор Батумской..., 1912: 134].

გადასახადების ამოღების გაუმჯობესების მიზნით კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა 1915 წლის ივლისში დაამტკიცა ახალი რედაქციით დებულება ყარსისა და ბათუმის ოლქების სასოფლო მმართველობის შესახებ. ამ დებულების სიახლე ის არის, რომ მნიშვნელოვნად იზრდებოდა სასოფლო ოკრუგების უფროსისა და სოფლის მამასახლისის უფლება-მოვალეობანი გადასახადების გაწერისა და ამოღების, საგადასახადო ანგარიშარმოებისა და ანგარიშგების საქმეში. მკაფიოდ განისაზღვრა საოქმო მოსაკრებლების ოდენობა და ამოღებული თანხის ხარჯვის სახეები.

როგორც უკვე ითქვა, სადალო გამოსაღები, სახელმწიფო მიწის გადასახადი და საერობო მოსაკრებელი უშუალოდ დაკავშირებული იყო ადგილ-მამულთან. მათი მასშტაბი მიწის ფართობის სიდიდისა და ვარგისიანობით განისაზღვრებოდა. საოქმო ბეგარა(მოსაკრებელი) წინასწარ იყო დადგენილი და სოფლის კომლებზე ნაწილდებოდა. 1916 წლის ხარჯთაღრიცხვით თითოეულ სასოფლო ოკრუგზე მოდიოდა 1500 რუბლი, რომელიც შემდეგი სახის ხარჯებისაგან შედგებოდა: მწერალ-მდიგნის ჯამაგირი – 480 რუბლი, სასოფლო ოკრუგის უფროსის გასამჯელო – 300, ორი დამტარებლის – 480 რუბლი. სასოფლო ოკრუგების შენობის რემონტისათვის ანდა დაქირავებისათვის გათვალისწინებული იყო 300 რუბლი, საკანცელარიო ნივთების შეძენისა და გათბობა-განათებისათვის 100-100 რუბლი [აცსა, ს. 87: 8, 13, 24].

მძიმე იყო შრომითი ბეგარაც. მართალია, ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში (თანზიმათის გატარების შემდეგ) გლეხობა აღა-ბეგების კაბალისაგან განთავისუფლდა, მაგრამ შრომამიგება, როგორც შრომითი ბეგარის სახეობა, შემორჩა. რუსეთის მფლობელობის დროს მისი მასშტაბი გაიზარდა და გამოიყენებოდა პრივილეგირებული წოდების მამულებში და სახელმწიფო სახაზინო სამუშაოებზე. აჭარაში შრომამიგებამ ე.წ. ნაიის ფორმა შეიძინა.

შრომითი რენტა ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა სახელმწიფო სამუშაოებზე (გზები, ხიდები და სხვა). მისი

ნაირსახეობა იყო სატრანსპორტო ბეგარა. ანაზღაურების გარეშე, ანდა უმნიშვნელო საზღაურით მოსახლეობას დიდადი ტვირთი გადაჰქონდათ საკუთარი ხარ-ურემით და ცხენით. 1897 წელს ბათუმის ოლქში შრომით ბეგარაზე 13268 კაცი, 732 ხარ-ურემი და 952 ცხენი გამოუყვანიათ (8538 კაცი ბათუმის ოკრუგიდან იყო). შესრულებული მთლიანი სამუშაოს ღირებულება 12124 რუბლს შეადგენდა [Обзор Кутайской..., 1898: 144].

მომდევნო წლებში მასშტაბები გაიზარდა. 1902 წლის შრომითი ბეგარა 13480 კაცმა შეასრულა (ბათუმის ოკრუგიდან 3370, ხოლო ართვინის ოკრუგიდან – 10120 კაცი). მათ გამოიყვანეს 375 ხარ-ურემი და 647 ცხენი და 17560 რუბლის სამუშაო შეასრულეს [Обзор Кутайской..., 1903: 45].

1903 წელს შრომითი ბეგარით კიდევ მეტი სამუშაოები შესრულდა. კერძოდ, 15160 კაცმა, 567 ხარ-ურემი და 1331 ცხენი გამოიყვანა, 60771 რუბლის სამუშაო შეასრულა [Обзор Батумской..., 1904: 22]. პირველი მსოფლიო ომის წლებში შრომით ბეგარაზე მასობრივად გამოჰყავდათ ბათუმის ოლქის მოსახლეობა. 1915 წელს ბორჩხაში გზებისა და ხიდების მშენებლობაზე 800 კაცი მუშაობდა [14].

არტაანისა და ოლოისის ოკრუგებში მოსახლეობას უფრო მეტად საურმე ბეგარა ეკისრებოდა. 1906 წელს 5000 კაცი საკუთარი ხარ-ურემითა და ცხენით მუშაობდა [Обзор Карсской..., 1907: 28-29].

უმძიმესი იყო სააქციზო გამოსაღები. მას ახდევინებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, კერძოდ, თამბაქოს, ჩაის, ღვინისა და არაყის წარმოებისათვის. თამბაქოზე აქციზი 1879 წელს, ხოლო მეჩაიერიბაზე – 1903 წელს შემოიღეს. 1914 წელს ბათუმის ოლქის მოსახლეობა თამბაქოს ნედლეულის წარმოებაზე ყოველწლიურად 100 ათას რუბლამდე სააქციზო გამოსაღებს იხდიდა [ოთურმანიძე, 1979: 21]. მრავალრიცხვანი იყო საბაჟო გამოსაღებიც (ქორწინების, განქორწინების, უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას სასამართლო-ნო-

ტარიუსის საბუთების შედგენისათვის და ა.შ.).

გააჩნდა კი მოსახლეობას ამ მრავალრიცხოვანი საადგილმამჟღო გადასახადების, მოსაკრებლებისა და სათემო ბეგარის გადახდის საშუალება? ცხადია, უმეტესობას ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. გადასახადების ძირითადი გადამხდელი საშუალო გლეხობა იყო. ბათუმის ოლქში ისინი, მდიდარ გლეხებთან ერთად, მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ. გამონაკლისი იყო კინტრიშის უბანი, სადაც საშუალო გლეხი მოსახლეობის უმრავლესობად ითვლებოდა. საშუალო გლეხობა ჭარბობდა აგრეთვე არტაანის და ოლთისის ოკრუგების მოსახლეობაში. ვ.ლისოვსკი, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში ჭოროხის მხარეს გაეცნო, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ტერიტორიის მეტი ნაწილი მთაგორიანია, ქვიანია და ტყებუქებარითაა დაფარულიო. მიწა არასაკმარისია და რაც არის, მისი დამუშავება დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვს. იგი მიუთითებდა მოსახლეობის უკიდურეს სიღარიბესა და გაჭირვებაზე [Лисовский В., 1887: 20]. იმერხევში (ართვინის ოკრუგი) მოსახლეობის სიღარიბეზე გაზეთი “ჩერნომორსკი ვესტნიკი” მოგვითხოვდა [12]. ქვემო აჭარის შესახებ ანალოგიურ ცნობებს იძლეოდა მასწავლებელი კონსტანტინე მკურნალი. მისი გადმოცემით, გლეხები ძალზე ცუდად იკვებებოდნენ, ხორცეულს წლის განმავლობაში მუსლიმანური დღესასწაულის დროს თუ მიირთმევენო. იშვიათი იყო ისეთი გლეხური კომლი, კისაც 3-4 ფრთაზე მეტი ფრინველი ჰყავდა. თითო კომლს მცირე რაოდენობის რქოსანი პირუტყვი და ერთი თხა თუ ეყოლებოდა. ასეთი მდგომარეობა იმათაბა გამოწვეული, რომ მოსახლეობას მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებისათვის საჭირო რაოდენობის საკვები არ მოეპოვებათ [13].

გლეხთა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა სტიქიური უბედურებანი და სხვა ტრაგიული მოვლენები.

უმძიმესი იყო მოსახლეობის მდგომარეობა პირველი

მსოფლიო ომის წლებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კალიასავით მოედნენ უცხოელი ინტერვენტები. მათ მიერ მოსახლეობის ძარცვა-გლეჯას საზღვარი არ ჰქონდა. ამის გამო ბევრი დაიღუპა, მრავალიც ხიზნად იქცა.

1917 წლის რუსეთის ოებერვალის რევოლუციის შედეგად მოსახლეობის მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შეცვლილა. დროებითი მთავრობა შეეცადა პოლიციური ძალების გამოყენებით ამოედო გადასახადები. ეს საგანგებო დონისძიება განაპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ 1917 წლისათვის საადგილმაშულო გადასახადების გადაუხდელობის შედეგად კიდევ მეტად გაიზარდა ე.წ. “ნედომქები”. 1917 წლის ივლის ბოლოს ქუთაისის გუბერნიაში ნადელების სადალო გამოსადებისა და საერობო მოსაკრებლების ნარჩენები 226982 რუბლს უდრიდა. ბათუმის ოლქში ნადელების გადასახადების ნარჩენები 23652 რუბლს, ხოლო კერძო მიწის მფლობელებისა – 14821 რუბლს შეადგინდა [აცხა, ს. 187: 1].

საგადასახადო სისტემასა და გადასახადების ამოღების წესებში ცვლილებები განხორციელდა 1917 წლის 29 მაისის კანონის შედეგად. ამ კანონის საფუძველზე იმპერიის ფინანსთა მინისტრმა იმავე წლის 4-5 ივლისს სპეციალური ცირკულარი დაუგზავნა შესაბამის უწყებებს. კანონის თანახმად გადასახადების ამოღება მიღიციას დაეკისრა. საგანაკვეთო გაანგარიშებასა და განაწილებას საგადასახადო სამსახური ახორციელებდა. ფოსტა-ტელეგრაფს დაევალა შეტყობინების ფურცლების ადრესატამდე გაგზავნა-მიტანა [აცხა, ს. 187: 15-16].

1917 წლის აგვისტოში ქ. ბათუმში სპეციალური ყრილობა გაიმართა გადასახადების ამოღების თაობაზე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ოლქის, ოკრუგების, უბნების ხელმძღვანელები, საგადასახადო სამსახურის ინსპექტორები და მათი თანაშემწებები, სასოფლო ოკრუგების უფროსები. ყრილობის მოთხოვნა – მოსახლეობისაგან ამოედოთ გადასახადები, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ომის შედეგად განაწამებ ხალხს არათუ გადასახადების სრულყოფილად

გადახდა, ფიზიკური არსებობის შენარჩუნების საშუალებაც აღარ პონდა.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რუსეთის ბატონობის დროს საადგილმამულო-საგადასახადო ურთიერთობაში თვისებრივ-რაოდენობრივი ცვლილებები მოხდა. რუსული სამიწათმოქმედო გადასახედების შემოღებით და საგადასახდო სისტემაში ახალი უწყებების შექმნით ხელისუფლებამ გაზარდა სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი, ამასთან, მოსახლეობა აუზანელ მდგომარეობაში ჩააყენა. დაჩქარდა მოსახლეობის ახალი სოციალურ-პოლიტიკური გამოსვლები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი (ტექსტშია) ი-81, ან 1, საქმები 80, 81, 103, 187, 203.
2. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე 63, 67.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ტექსტშია-სცხსა), ფონდი 13, ან 27, საქმე 1570.
4. КК на 1905 год. ТИФ., 1906.
5. КК на 1917 год. ТИФ., 1916.
6. Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904.
7. Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1912.
8. Обзор Карсской области за 1906 год. Карс., 1907.
9. Обзор Карсской области за 1909 год. Карс., 1910.
10. Обзор Кутайской губернии за 1897 год. Кутаис, 1898.
11. Обзор Кутайской губернии за 1902 год. Кутаис, 1903.
12. Газ. «Черноморский вестник», 6 марта, 1905.
13. Газ. «Черноморский вестник», 7 апреля, 1905.
14. тანამედროვე აზრი, 6 დეკემბერი, 1915.
15. Лисовский В.Я., Чорохский край, Тиф., 1887.
16. თურმანიძე ო., გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, ბათ., 1979.

Otar Turmanidze

Taxes and tax system in the rural areas of South-West Georgia (1901-1917)

Summary

Before the beginning of the twentieth century Russia kept the Osman taxes and tax system in the South-West of Georgia. But this fact caused misunderstanding and difficulties. In short, the situation did not respond the interests of the Russian State. That is why the tsarist government had to accomplish the reformation in agricultural governing and tax system. On July 22, 1900 the Caucasian chief governor ratified the regulation about the governing the Karsi province, Batumi and Artvin districts.

On the basis of this regulation in 1901 in Karsi province, Batumi and Artvin districts the new land taxes were adopted and the new tax system was established. It was the duty of the district governors and village headmen to take the taxes. After the establishing the reformation the main taxes were: State labor rent, State land taxes and social taxes. The first was paid by state peasants, the second – by private landowners and the third- by the landowners of all categories.

The social taxes were the main burden for the payers. After the reformation the taxes became even more difficult. The population could not pay them. The arrears of rent were increasing each year. The government used the methods of constraint, as well as the police forces, but it was not possible to take the taxes perfectly.

Отар Турманидзе

Налоги и налоговая система на селе в Юго-Западной Грузии (1901-1917гг.)

Резюме

До начала XX века в Юго-западной Грузии сохранялись османские налоги и налоговая система. Такое положение нередко вызывало разного рода затруднения, в конце- концов оно не отвечало интересам Российской империи. Поэтому царское правительство было вынуждено осуществить реформу сельского управления и налоговой системы. 20 июля 1900г. главноначальствующий на Кавказе Голицын утвердил «Положение о сельском управлении Карской области, Батумского и Артвинского округов Кутаисской губернии.

На основе этого положения с 1901г. были введены новые поземельные и другие налоги. Главными из них были: государственная оброчная подать, государственный налог и земский сбор. Первыми были обложены государственные крестьяне, вторыми- частные землевладельцы, третьими - все землевладельцы. Основной была государственная оброчная подать, на нее приходились сравнительно большие доходы государственной казны.

Поземельные и другие налоги стали тяжелее, чем были прежде. Население не имело возможности полностью уплачивать подати, налоги и сборы. С каждым годом росли недоимки. Царское правительство часто применяло принудительные часто применяло принудительные меры, нередком полицейские силы.

**სამცხე-ჯავახეთის მმართველობის
ისტორიიდან
(1919-1920 წწ.)**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობად ერგო მეცის რუსეთის აღმინისტრაციული მმართველობის მანკიერი სისტემა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ ხელისუფლებაში მოსულ სოციალ-დემოკრატებს სახელისუფლებო სტრუქტურების მართვის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ.

მართალია, საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 2 აგვისტოს კანონით, განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის, კავკასიის ან ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებათა და მათი ადგილობრივი განყოფილებების ნაწილობრივი ან სრული ლიკვიდაცია, პარლამენტის 1919 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქვეყნის გუბერნიებად დაყოფა [საქართ. დემოკრ. რესპ. სამართ. აქტ. კრ., 1990: 47-235]. ამის მიუხედავად, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში მაინც ვერ მოხერხდა რუსეთული ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატის მმართველობის სტილის უპყებება.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ხელოვნურად შექმნილი ხელისშემშლელი პირობები, რომელიც ანტისახელმწიფოებრივი ძალების მოქმედებით და ამიერკავკასიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით იყო განპირობებული (შ. ვადაჭორია, 2006:148). უკველივეს ზედ დაერთო პარტიისა და სახელმწიფოს ფუნქციების ერთმანეთში აღრევა. „ბევრს უკვე არ ეხერხებოდა გარჩევა იმისა, თუ სად თავდება პარტია და იწყება სახელმწიფო, ბევრისათვის პარტია და სახელმწიფო ერთი და იგივე

ცნება „შეიქნა“, – წერდა იმდროინდებული პრესა [გაზ. „ახალი სხივი“, 1920: 34].

რაც შეეხება მეორე საკითხს – აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებას გამოკვეთილი პოზიცია ეჭირა. მისი აზრით, ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლებათა თრგანოების უფლებების გამიჯვნა ურთიერთდაპირისპირების აღმოსაფხვრელად აუცილებლობას წარმოადგენდა. დასახული ამოცანის გადაწყვეტა იმ ეტაპზე გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან ქვეყანა სათანადო რეფორმებისათვის არ იყო მომზადებული.

აღნიშნული მიზეზებით იყო განპირობებული სამცხე-ჯავახეთში მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ნაჩქარევად და არაორგანიზებულად ჩამოყალიბება.

ამის გარდა, სამცხე-ჯავახეთის სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მხარეში შექმნილი რთული დემოგრაფიული პირობები. ადგილობრივი აღმინისტრაცია მთლიანად ან ნაწილობრივ დაკომპლექტებული იყო არაქართველი (სომხები, ინგუშები, ლეკები, აზერბაიჯანელები) მოქალაქეებით. ორივე მაზრის ძირძველი მოსახლეობა კი ხელისუფლებაში მონაწილეობისაგან ფაქტობრივად იზოლირებული იყო [შ.სიორიძე, 2002: 165].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ სამცხე-ჯავახეთში მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ფორმირებამდე შექმნა გენერალ-გუბერნატორის ინსტიტუტი. პარალელურად დაიწყო ადგილობრივი ორგანოების ფორმირება.

ხელისუფლების ცვლა ამჯერადაც ნაჩქარევად და არაორგანიზებულად მიმდინარეობდა. კვლავაც ძლიერი იყო ხელისუფლების უნდობლობა ადგილობრივი კადრებისადმი, განსაკუთრებით კი იმათ მიმართ, რომლებიც ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენდნენ, იმის მიუხედავად, როგორი იყო ამ უკანასკნელთა გავლენა მოსახლეობაში.

ხელისუფლებამ თავი ვერ დააღწია მმართველობის ისეთ მანკიერ სისტემას, როგორიც იყო მრავალხელისუფლებიანობა. გენერალ-გუბერნატორის თანამდებობისა და სამაზრო თვითმმართველობის გვერდით სამცხე-ჯავახეთის მხარეში ჩამოყალიბდა სახელისუფლებო პარტიის ადგილობრივი კომიტეტები, რომლებიც ხელისუფლების გაგრძელებას წარმოადგენდნენ და თავიანთი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად აშკარად უპირისპირდებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას. უკეთეს შემთხვევაში კი თვითმმართველობის დუბლირებას ეწეოდნენ.

მხარეში, სადაც დაძაბული საშინაო და საგარეოპოლიტიკური ვითარების გამო გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, მისაღები იყო და აუცილებელიც, ძალაუფლება, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო, გადასულიყო გენერალ-გუბერნატორის ხელში. საქართველოს მთავრობამ გენერალ-გუბერნატორს უფლებები შეუკვეცა და პრიორიტეტი სახელისუფლებო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობას მიანიჭა. სამცხე-ჯავახეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენისა და ქართული ჯარის შესვლიდან ორიოდე დღეში საგანგებო რწმუნებულად დაინიშნა ახალგაზრდა პარტიული ფუნქციონერი დეო რუხაძე, რომელიც აღჭურვილი იყო განსაკუთრებული უფლებებით.

ახალციხის მაზრის კომისრად მისი თანაპარტიული ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე დაინიშნა. ისინი, მართალია, ძირითადად პარტიული უჯრედების შექმნით და კრებების ჩატარებით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ ხშირად უხეშად ერეოდნენ გენერალ-გუბერნატორის ფუნქციებში და მთავრობას არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ ადგილზე არსებული ვითარების შესახებ, რომ მიეჩქმალათ „თავისი ტლანქი და მოურიდებელი ქცევით და ადგილობრივი ადამიერისა და წვეულებების შედახვით“ გამოწვეული მოსახლეობის ვნებათაღელვა [გ.მაზნიაშვილი, 1990: 134-135].

უმწვავესი სოციალური ვითარების ფონზე ორხელისუფლებიანობის მძიმე შედეგები აშკარა იყო. ასეთმა გაუცნობე-

რებულმა ნაბიჯებმა კიდევ უფრო დაამძიმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა.

სამთავრობო გაზეოთი არსებულ ვითარებას ხსნიდა არა „აღმინისტრაციის ვარგისობასა და უვარგისობაში... არამედ ოსმალეთის აგენტების მოღვაწეობით“ [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919: 42].

სამცხე-ჯავახეთი, საქართველოს სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, წარმოადგენდა ეთნიკურად და რელიგიურად ყველაზე რთულ მხარეს.

ხელისუფლება მთელ რიგ შემთხვევაში ითვალისწინებდა საქართველოს მხარეებში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის ინტერესებს, რომელიც შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით იყო გარანტირებული, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილებები არასაკმარისი იყო სხვადასხვა რელიგიის მატარებელ მრავალეროვან მხარეში სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის დასამკიდრებლად. მითუმეტეს მაშინ, როცა ამ მხარეში სერიოზული გავლენა ჰქონდათ ანტიქართულ ძალებს.

ადგილობრივი ადმინისტრაციის მართვაში დაშვებულ შეცდომებს ზედ დაერთო აგრარული რეფორმის ადგილობრივი პირობების, მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური და რელიგიური ფაქტორების გაუთვალისწინებლობა.

რევოლუციური იდეებით გატაცებულ სოციალ-დემოკრატებს პარტიულ ყრილობებზე გამოსვლისას დალატობდათ ზომიერება და გადაწყვეტილებებსაც ისე ღებულობდნენ, რომ ანგარიშს არ უწევდნენ მოსალოდნელ შედეგებს. ასეთი სულისკვეთებით ჩაიარა ახალციხის მაზრის გლეხთა ყრილობამაც (1919 წლის 1 იანვარი). ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მიწათმოქმედების მინისტრმა ნ. ხომერიქმა, რომელიც აგრარულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა [გაზ. „ერთობა“, 1919: 2; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919: 7]. ყრილობის რეზოლუციათა შორის მნიშვნელოვანი იყო დამოკიდებულება აგრარული რეფორმისა და ბეგების მიმართ: „ერთი მთლიანი დემოკრატიული საქართველო მტერი იქნება

ყოველგარი მონობის, მშრომელი ხალხის დაჩაგვრის და დაბეხავების. ბეგებს და თავადებს კი არ სურთ ასე შეკაგ-შირებული და ხელი ხელ ჩაკიდებული მიღიოდეს მოელი სა-ქართველო, რადგანაც ეს იქნება მათი ბატონობის დაცემა და ხალხის განთავისუფლება“ [გაზ. „განახლებული მესხეთი“, 1919].

ხელისუფლებას მეტი სიფრთხილის გამოჩენა მართებდა აგრარული რეფორმის განხორციელებისას. დროებით რეფორ-მის გადადება იყო საჭირო, ვიდრე პოლიტიკური ვითარება სამცხე-ჯავახეთში სტაბილური არ გახდებოდა და ხელისუფ-ლება არ დარწმუნდებოდა რეფორმის გატარების უსაფრთ-ხოებაში.

ცხადია, ექსცესები რეფორმის გატარებას ყოველთვის მოყვებოდა, მაგრამ წინააღმდეგობის მასშტაბები გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ვიდრე 1919 წლის დასაწყისში.

ერთი სიტყვით, მთავრობის ნაჩქარებმა და მოუზომავმა პოლიტიკამ სამცხე-ჯავახეთის ლოიალური ბეგებიც კი დე-მოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ გა-ნაწყო. მათ მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობაში. დაიწყეს აგიტაცია, თითქოს საქართველოს მთავრობა მათ ძალით გააქრისტიანებდა (სულ ცოტა ხნის წინ ხელისუფლებამ მიიღო განონი „საღვთო რჯულის შესახებ“, რომლის საფუძველზე სკოლებში აიკრძალა საღვ-თო რჯულის სწავლება), მასმადიან ახალგაზრდებს ჯარში გაიწვევდა, აგრარული რეფორმის შედეგად ადგილობრივ-თათვის ჩამორთმეულ მიწებზე ქრისტიანებს ჩამოასახლებდა და ა.შ [ვნოზაძე, 1989: 48].

თუ 1919 წლის დასაწყისიდან ანტიქართული მოძრაობის მიმდევრები ეპიზოდური ხასიათის გამოსვლებს მიმართავდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ, იანვრის ბოლოდან სერვერ-ბეგის მომხრეთა გამოსვლამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო. წარმატებული ოპერაციების მიუხედავად, საქართველოს არ-მიამ მოწინააღმდეგის შემოტევას ვერ გაუძლო. 11 ობერვალს ამბოხებულებმა ახალციხე დაიკავეს. „გამარჯვებულმა“ სერ-

კერ ბეგმა ახალციხეში ახალი ადმინისტრაციის ჩამოყალიბება დაიწყო. შეიქმნა მთავრობა, რომელსაც უწოდეს კომისარიატი. „ახალმა მთავრობამ“ თითქმის ერთ თვეს იარსება. 7 მარტს ქართულმა ჯარმა აღიდგინა დაკარგული პოზიციები. მოკლე პერიოდში ახალციხის მაზრა მთლიანად განთავისუფლდა ამბოხებულებისაგან.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ შექმნა ახალციხის საქმეთა გამომრკვევი კომისია, რომლის დასკვნა კომისიის სახელით დამფუძნებელ კრებას წარუდგინა გ. ანჯაფარიძემ. მათში ჩამოთვლილი იყო ის მიზეზები, რამაც გამოიწვია ახალციხის ამბოხება. მიზეზთა შორის დასახელებული იყო: პროთურქული მოძრაობა, ინგლისის სამხედრო მისიის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა და საქართველოს მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები (აღგილზე ადმინისტრაციის მოუწყობლობა, კადრების ხშირი ცვლა, სამხედრო დისციპლინის სისუსტე, მემამულებით შიში აგრარული რეფორმისადმი და ა.შ).

კომისია სთავაზობდა მთავრობას შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ვინაიდან ჯერ კიდევ არსებობდა საფრთხე მაზრიდან განდევნილ მეამბოხეთაგან შემოჭრისა, მაზრაში უნდა გაგრძელებულიყო სამხედრო წესები. ადგილობრივი ადმინისტრაცია უნდა დაქვემდებორდა ჯარების სარდალს. მომხდართან დაკავშირებით უნდა დანიშნულიყო გამოძიება დამნაშავეთა გამოსავლენად. ამასთანავე მიანიშნებდა ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ადმინისტრაციის დაკომლებებაში დაშვებულ შეცდომებზე [სცხსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 4, ფურც. 17].

ქართველმა ერმა დახმარების ხელი გაუწოდა ომისაგან დაზარალებულ მოსახლეობას. შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919: 63]. მთავრობის დავალებით, 20 მარტს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ვითარების ადგილზე შესასწავლად და შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად ჩავიდა რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორი შ. მაღ-

ლაპელიძე, რომელსაც თან ახდედა საგუბერნიო ბატალიონის ნაწილები. მათ დავალებული ჰქონდათ ადგილობრივი ად-მინისტრაციის აღდგენა. საქართველოს მთავრობამ არ გაითვალისწინა დამფუძნებელი კრების კომისიის დასკვნა და გაუქმა მაზრების გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა. გენერალ გ. კვინიტაძეს დაევალა მხოლოდ საომარი ოპერაციების წარმოება, შ. მადლაკელიძეს კი – სამოქალაქო უწყებების საქმეთა მოწყობა [გაზ. „სახალხო საქმე“, 1919: 214].

სამცხე-ჯავახეთში დაიწყო ომისაგან მიყენებული ჭრილობების მოშუშება. თანდათანობით ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. მხარის გლეხობა ადგილობრივ ადმინისტრაციას მხარში ედგა სოფლის დაწესებულებათა (სკოლა, ობოლ ბავშვთა თავშესაფარი, სამკითხველო, კოოპერატივი) აღდგენაში [სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 167, ფურც. 135-136; გაზ. „ეროობა“, 1919: 286; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920: 28-193].

განსაკუთრებით როული იყო ვითარება ომით დაზარალებულ სოფლებში (40 სოფლიდან დარბევას გადაურჩა მხოლოდ 4 სოფელი). მოსახლეობა სურსათის გარეშე დარჩა. მწვავედ იდგა სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. ადგილობრივი ძალებით კი ამ პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. ამიტომ საქართველოს მთავრობამ ბიუჯეტიდან დამატებით გამოყო 2 მილიონი მანეთი [სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 515, ფურც. 19; საქ. 1132, ფურც. 9].

სამცხე-ჯავახეთში კვლავ გრძელდებოდა ადმინისტრაციული მართვის ძველი, მანკიერი სტილი. მხარეში დამატებით ფუნქციონირებდნენ პარალელური სტრუქტურები (მაზრის კომისარი, მთავრობის რწმუნებული), რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ამის გვერდით მოქმედებდნენ სახელისუფლებო პარტიული და პროფესიული კავშირები, რომლებიც თვითნებურად ერეოდნენ ადმინისტრაციის მართვაში. მოსახლეობა აღშფოთებას ვერ მაღავდა სახელმწიფო მოხელეთა და სამართალდამცველთა მხრიდან

დამნაშავეთა მიმართ მფარველობის გამო [გაზ. „სახალხო საქმე“, 1919: 582].

საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ქართულ აღმინისტრაციას ახალქალაქის მაზრაში ზედამხედველობას უწევდა ამიერკავკასიაში მოკაგზირე სახელმწიფოთა მისია, რომლის აპარატში შედიოდა თითო წარმომადგენელი ადგილობრივ მცხოვრებთაგან (1 სომეხი, 1 მაკმადიანი ქართველი [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919: 21]).

ადგილობრივი აღმინისტრაციის მოწყობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არჩევითი ორგანოების ფორმირებას. ობიექტური მიზეზების გამო 6 ივლის (1919 წ.) დანიშნული არჩევნები გადაიდო. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციაში გატარდა 5 პარტია. არჩევნების ჩატარებამდე ქალაქის ხელმძღვანელობა დროებით დაევალა ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ პარტიის კომისიას. ფაქტობრივად ქალაქის საქმეებს განაგებდა ამ კომისიის წევრი გვარად ლაზიევი [გაზ. „სახალხო საქმე“, 1919: 222].

ხელისუფლების ადგილობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება მთავრობის ზედამხედველობით მიმდინარეობდა, ვინაიდან მხარის მართვა და ხელისუფლების კურსის გატარება ბევრად იყო დამოკიდებული, თუ რა ძალები მოვიდოდნენ ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებში. მთავრობა პერიოდულად აგზავნიდა პასუხისმგებელ პირებს ადგილზე ვითარების შესასწავლად და პრაქტიკული დახმარების გასაწევად (მთავრობის თავმჯდომარემ ახალციხის მაზრის მართვა-გამგეობის შემოწმება დაავალა სენატის თავმჯდომარეს ივ. ჯაფარიძეს, რომელიც საგანგებო უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი) [გაზ. „სახალხო საქმე“, 1919: 716-774].

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამცხე-ჯავახეთში საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებს, რომელიც 1919 წელს ვერ ჩატარდა მხარეში არსებული საომარი მდგომარეობის გამო. „არჩევნებს ჰქონდა არა მარტო შინაპოლიტიკური მნიშვნელობა, იყი უფრო ფართო ხარისხის იყო და მას მიეცა პლებიციისტის ხასიათი: გაიმარჯვებდა არ-

ჩევნებში ქართული ორიგნტაცია თუ არა“ [ვ.ნოზაძე, 1989: 60]. არჩევნების გამართვას მიეძღვნა ახალციხის სამაზრო ერობის ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას დებულობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი. მინისტრის გამოსვლა წმინდა პროპაგანდისტული ხასიათისა იყო, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობას მხარი დაეჭირა სახელისუფლებო პარტიისათვის [გან. „საქართველო“, 1920: 97]. არც ოპოზიციური პრესა მაღავდა, რომ არჩევნების შედეგებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მხარის, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის [გან. „სახალხო საქმე“, 1920: 777/779/791].

ახალციხის მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 30 050 ამომრჩეველმა. ქართულმა პარტიებმა მიიღეს 26 500 ხმა, სომხურმა პარტიამ მხოლოდ – 3 000 ხმა. ახალქალაქის მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 21 636 ამომრჩეველმა. ქართულმა პარტიებმა მიიღეს 13 000 ხმა, სომხურმა – 8000 ხმა. „ამ არჩევნებმაც დაუმტკიცა ქვეყნას, რომ ეს მხარე სადაც არ იყო და იგი არჩევნების მიხედვითაც საქართველოს ეკუთხოდა“ [ვ.ნოზაძე, 1990: 60].

საქართველოს ხელისუფლებამ ასეთივე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა საერობო არჩევნებშიც. ადგილობრივ ოვითმმართველობას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭედა მმართველი პარტიის ორგანო (განხეთი „ერთობა“), რომ ერობას საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და მისი განმტკიცების ერთ-ერთ საფუძვლად აცხადებდა [გან. „ერთობა“, 1918: 179].

ახალციხის მაზრაში 10 პოლიტიკური ორგანიზაციიდან საარჩევნო ბარიერი გადალახა მხოლოდ 2 პარტიამ. მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 33 ადგილიდან დაიკავა 31 ადგილი, სომხეთის ეროვნულმა პარტიამ – 2 ადგილი. ახალქალაქის მაზრაში 31 ადგილიდან მმართველმა პარტიამ მოიპოვა 22 ადგილი, ეროვნულ-დემოკრატებმა – 1, სოციალისტ-რევოლუციონერებმა – 1, დაშნაკებმა – 7. როგორც ვხედავთ, ხელისუფლებამ მეტი ნდობა მოიპოვა ახალ-

ქალაქის მაზრაში, რაც ეროვნული პოლიტიკის დიდი გა-
მარჯვება იყო [გაზ. „ერთობა“, 1921: 17].

სამცხე-ჯავახეთში ადმინისტრაციული მოწყობის პრობლე-
მები და ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები გა-
მომდინარეობდა იქედან, რომ 1920 წლამდე საქართველოს
ხელისუფლებას არ ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პო-
ლიტიკა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობი-
სა. ამ სფეროში არსებული ხარვეზები საკანონმდებლო ბა-
ზის არარსებობითაც იყო განპირობებული.

ზოგიერთი პოლიტიკური ძალა სამცხე-ჯავახეთის ადმი-
ნისტრაციულ მოწყობას სხვადასხვაგვარად განიხილავდა.
მათვის მთავარი იყო არა ქვეყნის ტრადიციები და მემკვიდ-
რეობა, არამედ პოლიტიკური კონიუნქტურით შექმნილი ვითა-
რება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტონომის მინიჭების საკითხი
იდგა არა მხოლოდ აფხაზეთის, ზაქათალისა და ბათომის
ოლქის მიმართ, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს
მეორე ნაწილის – სამცხე-ჯავახეთის მიმართაც.

სამცხე-ჯავახეთის მხარისათვის ავტონომის სტატუსის
მინიჭების იდეას მხარს უჭერდნენ ეროვნულ-დემოკრატები (გ.
გვაზავა), სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალციხის
ორგანიზაციის ზოგიერთი გავლენიანი წევრი (ო. მიქელაზე).
ამ იდეას მხარდამჭერი პყავდა საქართველოს მთავრობაშიც
(ნ. რამიშვილი) და სხვ. ავტონომის იდეის მხარდამჭერთა
შორის უფრო ზომიერი იყო საქართველოს დამფუძნებელი
კრების წევრის გ. ანჯაფარიძის პოზიცია, რომელიც ოვლიდა,
რომ „საქართველოს მთავრობის დეკლარაცია (ამ დოკუმენტ-
ში საუბარიც არ იყო სამცხე-ჯავახეთზე – ე.მ.) ავტონომის
შესახებ გამოწვეული იყო უკიდურეს მდგომარეობით“. მისი
აზრით, „ეს „ავტონომია“ იყო კომპრომისი“ შექმნილ კრიტი-
კულ ვითარებაში. გ. ანჯაფარიძე დასაშვებად მიიჩნევდა მხო-
ლოდ კულტურულ ავტონომიას [სცხსა, ფ. 1833, საქ. 4, ფურც.
19-25].

1920 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ შექმნა
საკონსტიტუციო კომისია. მეათე თავის „ადგილობრივი

მმართველობა“ პროექტის მომზადება დაევალა მ. რუსიას [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920: 276].

საქართველოს ტერიტორიის დანაწილების ახალი საადმინისტრაციო ერთეულების (ოლქების) პროექტით (ძირითადი ავტორი ცნობილი მეცნიერი და პატრიოტი პავლე ინგოროვა) საქართველოში 17 ადმინისტრაციული ერთეული იყო გათვალისწინებული (XIX საუკაციუნებელი და XX საუკაციის დასაწყისშიც 17 მაზრა და 2 ოკრუგი იყო) [საქართ. უმაღ. სასწ. ... სამეცნ. კონფ. მასალები, 2005: 10].

მართალია, წინამდებარე პროექტი ე.წ. „რუსულ მოდელზე“ იყო აგებული, მაგრამ, როგორც მართებულად შენიშვნავს მკლევარი რ. თოფჩიშვილი, პ. ინგოროვას სრულიად არ გადმოუღია ცარიზმისდროინდელი სამაზრო დაყოფა.

მან მხოლოდ საფუძვლად დაუდო ის ახალ ადმინისტრაციული დაყოფის პროექტს და ცვლილებებიც შეიგანა. ეს რომ ასეთ პროექტის განმარტებიდანაც ჩანს: „სამაზრო დანაწილება, რომელიც მიღებული იყო რუსეთის მფლობელობის დროს, არ იყო ხელოვნურად შექმნილი რამ. ეს ერთეულები მთელი საუკუნეებია რაც არსებობს, და შეეფერება საქართველოს ბუნებრივ დანაწილებას საგეოგრაფიო ერთეულებად... თვითეული ამათგანი წარმოადგენს ცალკე ბუნებრივს გეოგრაფიულს პროვინციას, მთლიანს ოროგრაფიულად, ჰიდროგრაფიულად და სამეურნეო პირობების მიხედვით“. სამაზრო დაყოფა გვიანშეასაუკუნეების სადროში დაყოფა-საც შეეფარდებოდა [საქართ. უმაღ. სასწ. ... სამეცნ. კონფ. მასალები, 2005: 10].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით დაკანონდა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები და მათი მოწყობის ძირითადი პრინციპები, მაგრამ კონსტიტუციის განხორციელება არ ეწერა. 1921 წლის ოქტომბერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომში საქართველო დამარცხდა და ისევ იმპერიის პროვინციად (ამჯერად სახეშეცვლილი ფორმით) გამოცხადდა. ბოლშევიკებმა საქართველოში რუსული ადმინისტრაციული მართვის წესები დაამ-

კვიდრეს. არასწორი ეროვნული პოლიტიკისა და, განსაკუთრებით, ქვეყნის განაპირა მხარეებში მაშმადიანური სარწმუნოების მატარებელი მოსახლეობისადმი უნდობლობის ტრაგიკული შედეგები (მხედველობაში გვაქვს დეპორტირებული მესხები) დღემდე არ აღმოფხვრილა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვადაჭვორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, ობ., 2006.
2. მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათ., 1990.
3. ნოზაძე ვ., საქართველოს ადგგნისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, ობ., 1989.
4. სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათ., 2002.
5. ოოფჩიშვილი რ., სამაზრო (საოლქო) დაყოფა – საქართველოს ტერიტორიულ-ადგინისტრაციული მოწყობის ძირითადი პრინციპი. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათ., 2005, გვ. 101.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, ობ., 1990.

Ermile Meskhia

From the history of local governing of Samtskhe-Javakheti (1919-1920)

Summary

After February revolution in Russia in 1917 government changing in Samtskhe-Javakheti was conducted quickly and without organization. Difficult demographic region position profounded effect on dugh and local government.

In 1918 was confirmed governor-general government because of the state of emergency. Local government and leading party formation had begun. Besides that, parallel structures, regional commissars, plenipotentiary were functionated. In 1920 elections were conducted in local government, in which the leading party had won.

Some of political forces looked at administration municipal of Samtskhe-Javakheti in different ways. Constitution (February, 1921) of democracy Republic of Georgia had legalized territorial forms of government and the main principals of their administration. But this constitution was not realized because of the intervention of Russia.

Эрмиле Месхия

Из истории управления Самцхе-Джавахети (1919-1920гг.)

Резюме

После февральской революции 1917 г. в России смена правительства в Самцхе-Джавахетии проводилась поспешно и неорганизованно. На формирование уездного и городского самоуправления значительное влияние оказывало трудное демографическое положение края.

В 1918 г. из-за чрезвычайного положения было введено правление генерал-губернатора. Началось формирование местных органов управления и комитетов ведущей партии. Дополнительно функционировали параллельные структуры областной комиссар уполномоченный правительства. В 1920 г. были проведены выборы в местные органы власти и учредительных собраний, в которых победила правящая партия.

Некоторые политические силы по-разному рассматривали административное управление Самцхе-Джавахети. Конституцией (февраль 1921г.) демократической Республики Грузии были узаконены территориально-административные единицы страны и основные принципы их управления (деление на уезды) но осуществление этой конституции не произошло из-за оккупации Россией Грузии.

**ცხინვალის რეგიონის კონფლიქტური კერა
დოკუმენტური მასალების მიხედვით
(2000–2005 წწ.)**

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი რამდენადმე განპირობებულია საერთაშორისო ვთარებით – დასავლეთისა და რუსეთის ინტერესთა თანხვედრით, საქართველოს გეოსტრატეგიით და მსოფლიოს ენერგეტიკული პოლიტიკით. რაც შეეხება საქართველოს თავდაცვას მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციებში, ეს საკითხი შემდეგნაირად დგას: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის უშიშროებაზე ნატო ზრუნავდა და ამიტომაც ევროპული თავდაცვითი სტრუქტურა იმ პერიოდისათვის მოისუსტებდა. თუმც მე-20 საუკუნის ბოლოსათვის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე განვითარებულმა მოვლენებმა, ასევე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებმა და რუსეთის ექსპანსიის შიშმა ევროპული სახელმწიფოები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მას უნდა შეიქმნა ევროპის ერთიანი საგარეო ურთიერთობების დამცველი ორგანიზაცია. 2003 წლიდან ევროპაგმირი თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთიან სისტემას ქმნის. სწორად აღნიშნავს თ. გრიგოლია, რომ „დღეისათვის გაეროს უმოქმედობის ფონზე საქართველოსთან მიმართებაში ევროპაგმირი გვევლინება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ორგანიზაციად, რომლის დახმარების მიმართ საქართველოს მოლოდინი დღითიდღე იზრდება“ [თ.გრიგოლია, 2008: 241].

უახლოეს პერიოდში ევროპაგმირის ინტერესთა არეალში საქართველო ძირითადად იმის შემდეგ მოხვდა (გარდა იმისა, რომ საქართველოდანაც მოდიოდა სურვილები მასთან თანამშრომლობისა და მასთან ყოფნისა), როცა პრაქტიკულად ამოქმედდა ევროპის ენერგეტიკული და სატრანსპორტო პო-

ლიტიკა, კერძოდ კი PETRA (პანევროპული სატრანსპორტო არეალი), TRASEKA (ევროპა—კავკასია —აზიის სატრანსპორტო სატრანზიტო დერეფანი), INOGATE (ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება ევროპაში) და ამ პროექტების არეალში საქართველოც მოექცა. რამდენადმე სწორედ ამ პროექტების გამო საქართველო რუსეთისა და ევროპის დაპირისპირების არეალშია მოქცეული. რუსეთი, ერთის მხრივ კარგად ხედავს, რომ საქართველოზე კონტროლის დაკარგვით, ის მთელი კავკასიის რეგიონზე დაკარგავს კონტროლს. ხოლო მეორეს მხრივ კი ევროპისაკენ მიმავალი ნავთობის ახალი მაგისტრალები თუ მას გვერდს აუკლის და საქართველოზე გაივლის, მის ეკონომიკური ინტერესებს სერიოზულად დააზარალებს. ამ ორივე მიზეზის გათვალისწინებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა განსაკუთრებით დაძაბულია დღემდე და რომ რუსეთი ვერ ეგუება რეგიონზე კონტროლის დაკარგვასა და ეკონომიკური ინტერესების შელახვას, ამის პირდაპირი გამოძახილია აფხაზური და ოსური კონფლიქტების გადვივება და მისი ესკადაცია. სწორედ მისი ხელშეწყობით ხდება ოსი და აფხაზი სეპარატისტების წაქეზება და ქართული იურიდიული სივრცის ხელყოფა. ეს არის ის რეალობა, რომელშიც დღეისათვის გვიწევს ჩვენ ცხოვრება. მაგრამ, თუ უშუალოდ ამას როგორ აკეთებს და ოს და აფხაზ სეპარატისტებს როგორ აქეზებს საქართველოს წინააღმდეგ (მათ ზურგს უგან ამოფარებული), ეს კარგად ჩანს იმ მრავალრიცხვანი დოკუმენტებიდან, რომელიც მიღებულია რუსეთის ფედერაციის მთავრობისა თუ აფხაზური და ოსური დეფაქტო მთავრობათა წარმომადგენლების მიერ.

მართალია ცხინვალის რეგიონის კონფლიქტური კერა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩნდება, მაგრამ ჩვენი საკვლევი პერიოდი (2000-2005 წლები) განსაკუთრებით საინტერესოა იმ გარემოებათა გამო, რომ სწორედ ამ დროს ხდება კონფლიქტის მიახლოება იმ აშკარა ფართომასშტაბიან

დაპირისპირებამდე, რომელსაც ადგილი პქონდა 2008 წლის აგვისტოში.

ოსი სეპარატისტები, რომელთაც აშკარად ზურგს უმაგრებდა რუსეთის ფედერაცია, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის თავს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ თვლიდა და 2001 წლის 8 აპრილს მიიღო კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), რომელშიც აღნიშნულია, რომ:

,მუხლი 1.

1. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა არის სამხრეთ ოსეთის ხალხის თვითგამორკვევის შედეგად შექმნილი სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფო...

მუხლი 2.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის სახელმწიფო სამართლებრივ სტატუსს, წყვეტს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული აღმშენებლობის საკითხებს.

მუხლი 10.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას უფლება აქვს შევიდეს სხვა სახელმწიფოების კავშირში და გადასცეს კავშირის ორგანოებს თავისი უფლებამოსილების ნაწილი..."

[გაზ. „Южная Осетия”, №33, 2001].

ამ კონსტიტუციის მიღებით კ.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა მთავრობამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს იურიდიული სივრციდან გამოსვლა და იურიდიულად მოამზადა საფუძველი (მათი აზრით) რუსეთის ფედერაციაში შესვლისა.

შერეულმა საკონტროლო კომისიამ 2001 წლის 21 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ. რომელშიც ვკითხულობთ: „საფუძვლად იქნეს მიღებული ლტოლვილთა სკეცპომიტეტის მიერ წარმოდგენილი ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ და ქართულ-ოსერი კონფლიქტების შედეგედ დაზარალებულ სხვა პირთა დაბრუნების, მოწყობის, ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის რუსულ-ქართული სამთავრობათშორისი პროგრამის პროექტი

მათი დაბრუნების რაიონებში მეურნეობის აღდგენის ღონისძიებების ჩათვლით” [რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში..., 2005: 377-378]. ამავე კომისიის მიერ ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ დადგენილება 2001 წლის 3 ივლისაც იქნა მიღებული [იქვე, 382-383], მაგრამ საქმე წინ ვერ წავიდა და ლტოლვილთა პრობლემა კვლავ გადაუწყვეტელი დარჩა.

რუსეთის ფედერაციამ 1999 წლის ეუთოს სტამბოლის ერთობლივ შეხვედრაზე დადო პირობა დაეხურა გუდაუთის სამხედრო ბაზა და ნელ-ნელა თავისი ჯარები გაეყვანა საქართველოდან. ამის შეუსრულებლობის გამო 2001 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება: „საქართველოს პარლამენტი უკიდურეს შემფოთებას გამოოქმნას რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის გამო...“

მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა საშიში პრეცენდენტია და საფრთხეს უქმნის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და მსოფლიო მართლწესრიგს” [გაზ., „აფხაზეთის ხმა”, №29, 2001].

მიუხედავად ამ სამართლიანი მოწოდებისა, რუსეთი, რომელიც აშკარად ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდა (და საუბედუროდ დღემდე ატარებს), არ ჩქარობდა საქართველოდან თავისი ჯარების გაყვანას.

მოსკოვის წაქეზებით ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის ცხინვალის რეგიონში რამდენადმე კიდვე უფრო დაიძაბა სიტუაცია კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული პირების შეღწევისა და მათ მიერ აქ მყოფი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან შეტაკებების სახით [რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში..., 2005: 388]. ამას დაემატა ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 18 ნოემბრისათვის დაგეგმილი არარსებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა, რომელიც დაგმო საქართველოს პარლამენტმა: „საქართველოს პარლამენტი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ

ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული რეჟიმის ეს გადაწყვეტილება სამართლებრივად უსაფუძვლოა და წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მორიგ მცდელობას” [www. Parlament. ge].

ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების რუსეთის მხრიდან აშკარად შეუფარავ ესკალაციას და ოსურ-აფხაზური სეპარატისტული ღე-ფაქტო მთავრობების საქართველოს წინააღმდეგ მხარდაჭერის კლასიკური ნიმუშია რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმის 2002 წლის 6 მარტის განცხადება, რომელშიც კითხულობთ შემდეგს: „სახელმწიფო დუმა მიესალმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობისა და მოსახლეობის ოანმიმდევრულად გამოხსატულ რუსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობებით დაინტერესებას... მოვლენების არახელსაყრელი განვითარების შემთხვევაში სახელმწიფო დუმა მზადაა განიხილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობის შემდგომი ჩამოყალიბების სხვა გზა მათი ხალხების ნების დემოკრატიული გამოხსატვის საფუძველზე და ბოლო დროს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ პრაქტიკაში გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად” [www. duma. ru]. ბოლო დროს პრაქტიკაში გამოყენებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებში რუსეთი აშკარად ბალკანეთის ნახევარკუნძულს და აღმოსავლეთ ევროპას გულისხმობს. მას დასავლეთისადმი ერთგვარი შერისძიება ამოძრავებს და აფხაზურ-ოსური კონფლიქტების აშკარად გაღვივებითა და ხელშეწყობით ცდილობს ერთგვარად სამაგიერო გადაუხადოს „დანარჩენ მსოფლიოს” იმისათვის, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის საკითხები მის დაუკითხავად და რიგ შემთხვევაში, მისთვის არასასურველად რომ გადაწყვიტეს.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების გაჩენა გარკვეულწილად განაპირობა, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო

ორგანიზაციის შორის არსებულმა გეოსტრატეგიულმა და პოლიტიკურმა არათავსებადობამ. რუსეთის დუმის ეს განცხადებაც სწორედ ამ ფონზე უნდა განვიხილოთ. საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 20 მარტს დაგმო მოსკოვის მხრიდან გამოხატული აშეარა ანტიქაროული პროპაგანდა და განაცხადა:

„...რუსეთის სათათბიროს განცხადება, რომ იგი ითანამშრომლებს „აფხაზეთის“ და „სამხრეთ ოსეთის“ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან და „ცალმხრივად მიიღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთქმედების საფუძველზე“, წარმოადგენს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ეჭვეჭვეშ დაყენებას და სეპარატისტების მხარდაჭერას... ამგვარი ტიპის განცხადებები შესაძლებელია აღქმული იქნეს მხოლოდ როგორც პოლიტიკური ფონის მომზადება საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებისათვის“ [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №68, 2002].

2002 წლის 24 მაისს ქალაქ სანქტ-პეტერბურგში გაიმართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვ. პუტინისა და აშშ პრეზიდენტ ჯ. ბუშის შეხვედრა, სადაც მათ ერთობლივი განცხადება გააკეთეს: „ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე საქართველოს მთავრობასთან მუშაობაში, მხარს ვუკერთ მის სუვერენიტეტებს...“ [www.usinfo.state.gov]. ადნიშნული განცხადება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოსკოვს პრაქტიკულად არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება (მის მიერვე პროვოკირებულ) აფხაზურ-ოსური კონფლიქტებისადმი, ჩვენთვის ფარატინა ქადაღდის ტოლფასი განცხადებაა. უფრო მეტიც, ის აგრძელებს კონფლიქტის ესკალაციას. ვ. პუტინი ამარტივებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღებას და ცდოლობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას

რუსეთის მოქალაქეობა მისცეს [Собрание Законодательства Российской Федерации, №22, 2002: 5481-5496].

ორიოდე სიტყვით შევეხოთ „შერეული საკონტროლო კო-მისიის“ მოღვაწეობას. ის შეიქმნა 1992 წლის 24 ივნისის ქალაქ სოჭის შეთანხმების მესამე მუხლის თანახმად. კომისიის მუდმივი წევრები იყვნენ საქართველო, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, რუსეთი და ესტონებოდნენ უფოს, ევროკომისიის და გაეროს წარმომადგენლები. დაარსებიდან 10 წლის შემდეგ, 2002 წლისათვის, 22 შევედრის ოქმი არ-სებობდა, რომელიც იყოფოდა სამ ჯგუფად. შერეული სა-კონტროლო კომისიის ოქმებში ძირითადად გვითხულობთ, რომ აფხაზური და ოსური კონფლიქტური კერები მოკლე დროში უნდა აღმოიფხვრას, უნდა მოხდეს ამ კერების ეკო-ნომიკური აღორძინება და ლტოლვილთა უკან დაბრუნება. ასევე აქვე საუბარია რიგ მიმდინარე საკითხებზეც, მაგრამ დოკუმენტები თავისი შინაარსით და განცხადებებით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რუსეთის ფედერაციის განცხადებით აღნიშნული კომისია ქმედითუნარიანია და დიდ როლს თამაშობს ამ კონფლიქტების მოგვარებაში. რეალუ-რად კი საქმე იმაშია, რომ ვერც ეს კომისია და ვერც მის მიერ მიღებული დადგენილებები დიდი ვერაფერი ბედენა იყო, რადგანაც კონფლიქტური კერები ისევ ინარჩუნებდა დაძაბუ-ლობის მაღალ მუხტს და რუსეთი ისევ ძველებურად განაგრ-ძობდა სეპარატისტული მთავრობების აშკარა მხარდაჭერას.

დღითიდედე იზრდებოდა რუსეთის ექსპანსიის მუქარა საქართველოს წინააღმდეგ. ეს კარგად დაინახა ევროსაბჭომ და ამასთან დაკავშირებით გააკეთა სპეციალური განცხადება (2002 წლის 25 სექტემბერს, ქალაქ სტრასბურგში):

„11. ასაბლეა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის ხელი-სუფლებას:

თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისა და განცხადები-საგან, რომელიც შეიძლება წარმოადგენდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას ან საქართველოს სუვერენიტეტი-სა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, კერძოდ,

საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო მოქმედებების გატარებისაგან, როგორც ეს განცხადებული იყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2002 წლის 11 სექტემბერს” (აფ-ხაზეთის საკითხი თვიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი III, 318-320).

ანალოგიური ხასიათის განცხადება იქნა გაკეთებული 2003 წლის 30 იანვარს საქართველოს პარლამენტის მიერაც [www. Parliament. ge].

რუსული პოლიტიკის ერთგვარმა გამტარებელმა დსთ-მ 2003 წლის 19 სექტემბერს გააკეთა განცხადება, რომ „კვლავ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს...” [გამ. „საქართველოს რესპუბლიკა”, №251, 2003]. თუმც იგივე რუსეთი 2004 წლის 2 ივნისს აკეთებს შემდეგი ხასიათის განცხადებას: „რუსეთის ფედერაციის ფე-დერალური კრების სახელმწიფო დუმამ დრმა წუხილით აღიქვა საინფორმაციო სააგენტოების ცნობა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში 2004 წლის 31 მაისს სპეციალური და-ნიშულების ქვედანაყოფებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების შეყვანის თაობაზე. სა-ხელმწიფო დუმის დეპუტატთა აზრით, ეს აქცია სანქციორებუ-ლი იყო ქართული პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ და შეიძლება შეფასდეს, უთუოდ როგორც ძალის დემონსტრი-რება. ამგვარი ქმედებები იწვევენ სამხრეთ ოსეთის გარშემო ვითარების მკვეთრ დეპტაბილიზებას...” [www. duma. ru]. ამრიგად, რუსული დემოკრატიულობის თამაშის „ნიდაბი” (დსთ-ს განცხადების სახით), მისმა მკვეთრად გამოხატულმა ანტიქართულმა „რეალურმა” პოლიტიკურმა სურათმა შეცვა-ლა. საქართველოს პარლამენტმა (2004 წლის 4 ივნისს) მოუ-წოდა რუსეთს: „საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს რუ-სეთის ფედერაციის ხელისუფლების ცალკეულ ორგანოებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, გამოიჩინონ მეტი პოლიტიკური შორსმჭვრტელობა, ობიექტურობა, კორექტუ-ლობა და თავშექავება” [რეგიონალური კონფლიქტები სა-ქართველოში..., 2005: 466-467].

შემაშფოთებულია ცხინვალის რეგიონის კონფლიქტური პერისადმი გაკეთებული რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმის განცხადება (2004 წლის 10 ივლისი), რომელშიც ვკითხულობდა:

„რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმა გამოხატავს უკიდურეს წუხილს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების მქონე გამწვავებასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში 1774 წელს ნებაყოფლობით შევიდა როგორც ერთიანი ოსეთი და არა როგორც სამხრეთ და ჩრდილო ოსეთი. ეს ერთიანი ხალხია.

სახელმწიფო დუმის დეპუტატები უკიდურესად შემფოთებულნი არიან ცნობებით იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფალნი არ წყვეტენ თავიანთ მართლსაწინააღმდეგო და პროვოკაციულ ქმედებებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. ამგვარი მეთოდების გამოყენებით საქართველოს ხელისუფალნი უხეშად არღვევენ აღნიშნულ შეთანხმებას და საქმე მიჰყავთ იმისაკენ, რომ ქართულ-ოსური პრობლემის გადაწყვეტა გაიყვანონ სამართლებრივი სიბრტყის გარეთ.

უკიდურეს გაოცებას იწვევს საქართველოს ხელმძღვანელობის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებანი, რომლებშიც გამართლებულია ქართული ძალოვანი სტრუქტურების პროვოკაციული ქმედებები რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ...

ზემოხსენებულის გათვალისწინებით სახელმწიფო დუმის დეპუტატების აშკარა გაოგნებას იწვევს ეკროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის წევრების პოზიცია, რომლებმაც არსებითად მხარი დაუჭირეს ქართული დელეგაციის მიერ სამხრეთ ოსეთში სიტუაციის თაობაზე მიცემულ შეფასებას...” [www.duma.ru].

გვონებ, რაიმე კომენტარის გაკეთება აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ზედმეტია.

კონფლიქტის კიდევ უფრო მეტი ესკალაციისა და პრო-ვოცირებისაკენ გადადგმული ნაბიჯია რუსეთის დუმის 2004 წლის 5 აგვისტოს განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: „რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმა განსაკუთრებული შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ბოლო დღეებში უკიდურესად გამწვავდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის მოუწესრიგებლობასთან დაკავშირებული სიტუაცია კავკასიაში. ოფიციალური თბილისის მხრიდან ისმის საომარი სულისკვეთებით გამსჭვალული, ხოლო ზოგჯერ აშკარად აგრესიული განცხადებები, ქართულ-ოსური და ქართულ-აფახაზური კონფლიქტების ცალმხრივად გადაწყვეტის მიზნით ყველაზე გადამჭრებლი ზომებზე წასვლის მზადყოფნის შესახებ... ქართულმა მხარემ სხვა დაინტერესებული მხარეების აზრის სრული იგნორირებით კურსი აიღო არსებული პრობლემის ძალისმიერ გადაწყვეტისაკენ...“

შეუწყვეტელი მუქარა საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიმართ, წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის სუბერენიტეტის ხელყოფის მცდელობას...” [www. duma. ru]. აღნიშნული განცხადება, თუ ჩავუკირდებით მის ქვემოთ მეტად შემაშფოთებელია და ერთგარი სამხედრო ექსპანსიის დაწყების მუქარის ტოლფასია. იმ მუქარისა, რომელიც ცდილობს აშკარა ფართომასშტაბიანი შეტაკებების დაწყებამდე იურიდიული გამართლება მოუძებნოს საკუთარ ქმედებებს (რომელიც მართლაც სისრულეში მოიყვანეს 2008 წლის აგვისტოში).

ევროპარლამენტი კარგად ჩაწვდა რუსეთის ამ განცხადების ქვემსტებს და 2004 წლის 13 ოქტომბერს, ბრიუსელის შეხვედრისას საქართველოსთან დაკავშირებით მიიღო სპეციალური რეზოლუცია: „...ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში კონფლიქტის მოუგვარებლობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის განვითარებას...“

გმობს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების განცხადვას სამხრეთ კავკასიის რეგიონზე პრევენციული სამხედრო დარტყმების განხორციელების თაობაზე, რასაც რუსეთის ხელისუფლება საფუძვლად უდებს რუსეთის უსაფრთხოების დოქტრინას...

ევროპარლამენტი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მიიჩნევს, რომ აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტების მოგვარება უნდა მოხდეს მშვიდობიანი მოლაპარაკებებისა და ნდობის აღდგენის გზით, საქართველოს მოქალაქეების უფლებების გათვალისწინებით...” [www. Parlament.ge].

მიუხედავად ამ განცხადებებისა, 2005 წლის მიწურულისათვის ცხინვალის რეგიონში ვითარება კალავ ფეოქტიადსა-შიში რჩება. ქართული მხარე ცდილობს კონფლიქტი მშვიდობიანი მოლაპარაკებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების მკაცრი დაცვით გადაწყვიტოს. რუსეთის ფედერაცია კი, დასავლური დემოკრატიული დირექულებების საპირისპიროდ, საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობისა და ენერგეტიკული პოლიტიკის საჭიროების გათვალისწინებით არად დაგიდევთ ქართული იურიდიული სივრცისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფხაზეთის საკითხი თვიციალურ დოკუმანტებში, ნაწილი III, ობ., 2003.
2. გაზეთი „აფხაზეთის ხმა”, №29, 2001.
3. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა”, №68, 2002.
4. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა”, №251, 2003.
5. გრიგოლია თ., ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა და საქართველო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები III, ბათ., გვ., 240-247, 2008.

6. რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში—სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთის ასხრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 2005.
7. Собрание Законодательства Российской Федерации, #22, 2002.
8. Газ. „Южная Осетия”, №33, 2001.
9. www. Parlament. ge.
10. www. duma. ru.
11. www. usinfo. state. gov.

Sulkhan Aleksaia

Reviewing Tskhinvali Region conflict area on the basis of documentary materials (2000-2005)

Summary

Tskhinvali Region conflict area in 2000-2005 is particularly interesting from the point of the fact that, although the conflict arose in early 90s of 20th century, it reached its culmination in the period we are researching, taking place in August 2008 when it drew into a serious attack.

We have collected and analyzed all the political-legal acts or documents passed not only by Georgian Government or parliament but by De Facto so called south Osetian Government, Russian Federation, the USA, international organizations (UN, OSCE, EC, EU, CIS) that directly or indirectly refer to this problem.

Сулхан Алексаиа

Конфликтный очаг в Цхинвальском регионе в свете документальных Материалов (2000-2005 гг.)

Резюме

Конфликт в Цхинвальском регионе 2000-2005 годов, безусловно, интересно. Этот конфликт начался в 90-е годы XX века. Но для нашего исследования особый интерес представляет кульминационный момент, который наступил в августе 2008 году в виде широкомасштабного столкновения.

Предметом нашего исследования стали все политические и юридические документы прямо или косвенно касающиеся этой проблемы, которые были приняты с 2000 по 2005 годах правительством и парламентом Грузии, а также так называемой де факто правительством Российской Федерации, США и международными организациями (ООН, ОБСЕ, Евросоюз, СНГ).

ჩვენი მომავალი – ისტორიულ-გეოპოლიტიკური გააზრება

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ საქართველოს ისტორიის უახლოესი ოცნებულის გამოცდილებიდან? რა სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინება გვმართებს, რომ სწორად განვსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური ფუნქცია და მომავალი იმ სივრცეში, რომელშიც მას თავისი აქტივობის წარმართვა უწევს, ისე, რომ საქართველოს სახიცოცხლო ინტერესები წინააღმდეგობაში არ აღმოჩნდეს არც მის მეზობლებთან და არც სამომავლო პერსპექტივაში პარტნიორებთან და სტრატეგიულ მეგობრებთან? რას მოითხოვს სამართლიანობა, და საერთოდ, დღეს სამართლიანობად აღიარებული საერთაშორისო ურთიერთობების პროგრესული ნორმები, რათა საქართველოს არ უწევდეს საკუთარი სუვერენული უფლებებიდან უკან დახვისა თუ დათმობების ხარჯზე მისი უჰქმებელი საარსებო სივრცის საზღვრებისათვის განუწყვეტელი დავა და აქედან გამომდინარე, ქრონიკულ არასტაბილურ ვითარებასთან ბრძოლა საშინაო თუ საერთაშორისო ასპარეზზე.

გასაანალიზებელი პერიოდის მონაცემები გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ ძალები თუ არ მოვიკრიბეთ და საკუთარ ფეხზე არ დავდექით, საქართველოს დღევანდები მდგომარეობიდან ვერ ისხნის ვერც „დასაჭლეთისა“ და ვერც რუსეთის („აღმოსავლეთის“) მოიმედეობა, რადგან პოლიტიკური მორალი და მსოფლიო მოვლენების გადაწყვეტის მეთოდები თითქმის სრულებით არ შეცვლილა და აქ მხოლოდ მას უწევენ ანგარიშს, ვისაც რეალური ძალა უმაგრებს ზურგს. ამაში მხოლოდ პოლიტიკური სტაბილუ-

რობა და ეკონომიკური ძლიერება, სამხედრო პოტენციალი არ იგულისხმება – ქვეყნის სიმძლავრის უმთავრესი ქვაბუთ-ხედი, მისი ზნეობრივ-ეთიკური საკრდენი, რწმენა-მორალის სიმტკიცე და ურყევი ნებაა.

ჩვენ თუ გვსურს ისეთი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სადაც დაცული იქნება ყველა ჩვენგანის ღირსება და გამოყენებული ღირსეული ცხოვრების რეალური შესაძლებლობანი, ამას აუცილებლად მივაღწევთ. ოდონდ, უპირველეს კოვლისა, უნდა მოვახდინოთ ჩვენი სამომავლო სტრატეგიული მიზნების გეოპოლიტიკურ პრიზმაში გააზრება და მასზე დაყრდნობით, უახლოესი პერსპექტივის გათვალისწინებით, შევძლოთ რეალური სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამასთან ერთად, წინ უნდა წამოვწიოთ და დავუყრდნოთ ზნეობრივ-სამართლებრივ პრიორიტეტებს. ხოლო რაც ამაში იგულისხმება, ყველა საშუალებით დღემუდამ უნდა მიმდინარეობდეს ქართველი ხალხის შემზადება სათანადო, მეცნიერულად დამუშავებული და არგუმენტირებული ახსნა-განმარტებითი და აღმზრდებულობითი მუშაობით, რომელშიც მათ ნათლად უნდა დაინახონ საკუთარი წარმატებული მომავლის გარანტია და პერსპექტიულობა.

ჩვენი ერთი-ერთი უახლოესი და დიდი მეზობელი რუსეთი, სამწუხაროდ, თავისი მოძალადებრივი, უსამართლო პოლიტიკით, მხოლოდ იმას ახერხებს, თავის პოტენციურ მოკავშირეებსა და მეგობრებს იქეთ უბიძოს, რომ „დასაკლეიში“ ეძიონ ხენა და გადარჩენა. ამიტომაც მას სიმართლე პირში უნდა ვუთხრათ.

რასპუტინი და რასპუტინობა თავის დროზე რუსეთში იქცა მის სულიერ ძალთა გამოფიტვის სოციალურ-ფიზიოლოგიურ გამოხატულებად. რუსეთში რასპუტინობის აღზევება იყო სულიერი დეგრადაციის ნათელი დადასტურება, მისი სიცრუეზე და სიყალბეზე აგებული ცრუ მესიანიზმის პოლიტიკის საბოლოო კრახის ფიზიკური გამოხატულება.

რასპუტინი და რასპუტინობა იყო უფლის შერისგება ყალბი რუსული მესიანიზმის სახელით ხალხთა და სახელ-

მწიფოთა მკვლელობის ცდისათვის. რასპუტინობის აღზევებას მოჰყვა რომანოვების ტახტის დამხობა და მათი ოჯახის ფიზიკური განადგურება, რითაც რუსეთმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა მის სულში ჩაბუდებულ ველურ ინსტინქტებს, თუმცა, მათი ხელითვე აღსრულდა მართლმსაჯულებაც და უსამართლობათა ქმნისათვის უფლისაგან ხელადებული ცოდვილი დინასტია ცოდვილთა ხელით დაემხო (თუ რაიმე არ შეიცვალა, ამავე გზას ადგას, სხვათა შორის, დასავლური ცივილიზაციაც).

ბოლშევკინის სახით რუსეთს მოევლინა ახალი დამსახურებული სასჯელი და ცოდვათა სიმძიმის გამო მისი გადარჩენა თითქმის შეუძლებელი იყო. ის კი, იმის მაგივრად, რომ მოვლენათა ნამდვილ არსში ჩაწვდომა ეცადა, უფრო მეტი სისახტიკით დაატყდა თავს სუსტსა და მიუსაფარ ერებს და ცეცხლითა და მახვილით ბოლშევკიზმის თავს მოხვევით სცადა მათი საბოლოო მოშორობა (ამაში მას ხელი შეუწყო დასავლეთის წაყრუების პოლიტიკამაც). ეს უდიდესი განსაცდელიც უფლის ნებითა და შეწევნით გადაიტანა ჩვენმა სამშობლომ. მაგრამ რუსულ წიაღში ყოფნას ჩვენი ქმექნისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია და დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ისევ გაისმა სატანის ხარხარი საქართველოში. უკლაშე სამწუხარო კი ის არის, რომ არც თუ უმნიშვნელო იყო ე.წ. ოპოზიციურ ძალთა ცდა და ძალისხმევა იმ დიდ ცოდვაში, რომელიც საქართველოში დატრიალდა. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს რუსეთის მკერდზე გაზრდილმა კოლაბორაციონისტულმა ნომენკლატურამ („წითელი ინტელიგენციის“ ჩათვლით) და რა თქმა უნდა, მათმა სულისთქმამ და იმედმა საქართველოში – ედუარდ შევარდნაძემ. მას კი გვერდს უმშვენებდნენ „ქართველი“ ხუტლუ-ბუდები და (ძალიან სიმბოლურია! – უ.ო.) კაროლინა სობანსკაიები. და მიდიოდა უზნეო არჩევან-არადანობია. რუსი და რუსეთი კი იგივე რჩება. და ძველი, ცნობილი ფორმულა – რუსეთი თელავს პატარა ერებს და მათ ღირსებას, რუსეთის მდაფრად აშლილ ვნებებს კი თავისი ბასრი იარაღით

აცხრობენ რასპუტინები – ძალაშია. ასე რომ რასპუტინიდან პუტინამდე არაფერი შეცვლილა – რუსეთსა და პოსტსაბჭოურ სივრცეს კვლავ აბუზად იგდებს რასპუტინობა. პუტინ-მედვედევობა კი მხოლოდ მისი ნაირსახეობაა.

მსოფლიოს ამაოდ ჰქონდა იმედი, რომ ვლადიმერ პუტინი შესძლებდა რუსეთის ამ მდგომარეობიდან გამოყვანას და ამ უზურმაზარი გეოსტრატეგიულ სივრცეს ქაოსსა და კატასტლიზმებს ააცილებდა. მაგრამ მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ რუსეთის იმპერია თავის გარშემო ხელოვნურად თვითონ ქმნის და თვით არის ამ ქაოსის მიზეზი, რადგან მისი არსებობა სხვაგვარად წარმოუდგენელია, ამისათვის ხარჯავს უზარმაზარ სახსრებსა და ენერგიას, ნაცვლად იმისა, რომ ის საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის გამოიყენოს.

მის ოპპირულ პოლიტიკას საერთოდ მსოფლიოში და კერძოდ, კავკასიაში, კიდევ ერთხელ ახადა ნიდაბი ბოლო დროს მომხდარმა მოვლენებმა. საქართველოში, ჩეჩენეთში, ბექსლანში, ინგუშეთში თუ საერთოდ, კავკასიაში დატრიალებული ტრაგედიებისადმი დასავლეთის წაყრუების პოლიტიკა ბუმერანგივით დაუბრუნდა ისევ დასავლეთს და მედვედევ-პუტინის რუსეთისათვის მეტად სასიამოვნო გასართობი აღმოჩნდა იმის ცქერა, თუ როგორ იყინებოდა (ამ ზამთარში) სიცივისაგან თითქმის მთელი ეგროპა. ყოველივე ამან მსოფლიო პოლიტიკის მამები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ რუსეთმა წარმატებით დაიკავა ბოროტების იმპერიის ადგილი ევრაზიულ სივრცეში; რომ იგი, როგორც საბჭოური იმპერიის მემკვიდრე, ისევ დარჩა უბოროტების მუხტის მატარებელ ავბედით სივრცედ, სადაც ვერასდროს იზეიმებს კეთილგონიერება, – და თუ ასე გაგრძელდა „მესამე რომიც“ გაიზიარებს მისი წინამორბედების ბედს.

აქ არ შეიძლება არ შევეხოთ დღევანდელ მსოფლიოში მეტად მოღურ ე.წ. ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემას.

თუ ობიექტური პოზიციიდან შევხედავთ, წარმოუდგენელია ელემენტარულ ადამიანობაზე პრეტენზიის მქონეს თავისი თანამომევების უუჯვა ახარებდეს და საერთოდ, ვის რაში

უნდა აწყობდეს უმწეო ხალხის ხოცვა-ქლეტა?! მეორეს მხრივ, ვის ინტერესებში შედის ათასეულობით უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლით მანიპულირება ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით საომარი კამპანიების შესამზადებლად, რასაც ასე გაცხარებით ცდილობენ საინფორმაციო საშუალებებით?! და ბოლოსდა ბოლოს ვინ არის აქ ნამდვილი ტერორისტი?!! – იმ ქვეყნის ხელისუფლება, რომელმაც არაფერი გააკეთა საკუთარი მოსახლეობის გენოციდის თავიდან ასაცილებლად და რომელიც მრავალი წლების განმავლობაში აშკარა ძალადობითა და ტერორით ცდილობს მის მიერ მრავალგზის იავარქმილი ხალხის მორჩილებაში მოყვანას, – თუ ის პატრიოტები, რომლებიც ცდილობენ ამ ძალადობისაგან დაიცვან თავიანთი სამშობლო და შეინარჩუნონ კლემენტარული არსებობის უფლება?! ან, როდემდე შეიძლება ისტორიული მეცნიერების მქონე და საუკუნეების განმავლობაში თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი ხალხისათვის მარიონებების თავზე დასმა და მათი ჭეშმარიტი ნების იგნორირება?!

ეს ყველასათვის გასაგები უნდა გახდეს და მსოფლიოს მომავლისათვისაც წარმატების საწინდარი იქნება, თუ ბოლოს და ბოლოს ყველაფერ ამას ნამდვილი სახელი დაერქმევა და თავს დავანებებთ ერთმანეთისათვის თვალებში ნაცრის შეყრის პოლიტიკას, რითაც, სხვათაშორის, თავს ვისსნით ამ გაუგონარ სისაძაღლებში თანამონაწილეობისაგან. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მსოფლიო საზოგადოების საქმაოდ დიდი ნაწილისათვის, ეს ე.წ. ტერორისტები სრულებითაც არ აღიქმებიან ისე, როგორც ეს ზოგიერთებს სურთ წარმოაჩინონ. და თუ გვინდა, რომ მსოფლიო ამ გლობალური სენისაგან ნამდვილად განიკურნოს, ბოლო უნდა მოვუდოთ გლობალურ უსამართლობას, დავადგინოთ მისი გამომწვევი მიზეზების ნამდვილი რაობა და აქედან გამომდინარე უტყუარი არსი. როდესაც ყველაფერი ეს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის პრიზმაში გადამუშავდება და საბოლოო ჩამოყალიბებულ, დახვეწილ სახეს მიიღებს, იგი

აუცილებლად მივა დასკნამდე, რომ დღეს ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით მსოფლიოში მიმდინარეობს კუდიანებზე ნადირობა, რასაც ნამდვილ საფეხლად უდევს ზოგიერთი სუპერსახელმწიფოთა არცთუ უანგარო ინტერესების დაქმა-ყოფილება. და თუ დროზე არ შეჩერდებიან ისინი, შეიძლება ეს ახალი მსოფლიო ომის პრედუდიად იქცეს, რისი ყველა ნიშანიც უკვე თვალნათლივ ჩანს.

უნდა ვადიაროთ, რომ საერთაშორისო ტერორიზმისათვის ნოერ ნიადაგს ქმნის ზოგიერთი ე.წ. სუპერსახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა. და როდესაც ამ პოლიტიკის შედეგად დაჩაგრული პატარა ერები ვედარ ახერხებენ თავიანთი ტრადიციული ცხოვრების წესისა და თავისთავა-დობის შესანარჩუნებლად ამ სუპერსახელმწიფოებისათვის საერთაშორისო ნორმებით აღიარებული საშუალებებით ომის გამართვას (აშკარა განადგურების, ან ჯერ კიდევ შენარჩუ-ნებული ეფექტურული თავისუფლების დაკარგვის შიშით), სამართლიანობის აღდგენის მიზნით მიმართავენ საზოგა-დოებრივ აზრზე ზემოქმედების ექსტრემისტულ ფორმას – ე.წ. ტერორს.

ნურავის შეივანს შეცდომაში ის, რომ დღევანდელი მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა გარევნულად მხარს უჭერს ტერორიზმთან ბრძოლას. სინამდვილეში კი ეს არის მსოფლიოში დღეს გაბატონებული ძალების და მათგან მომდინარე შეხედულებათა საზოგადოებრივ აზრზე ზეწოლის შედეგი (ტერორის თავისებური ფორმა, რადგან ყველანაირი ზეწოლა თრგუნავს ადამიანის თავისუფალ ნებას), რაც სა-ზოგადოების დიდ ნაწილში სრულიად არ აღიქმება დვოთის ნებად (სამართლიანობად), როგორც ეს მათ სურთ წარმოა-ჩინონ... და ამერიკის პრეზიდენტისათვის სახეში ერაყელი ჟურნალისტის მიერ ნასროლი ფეხსაცმელიც, სწორედ ამის დადასტურება იქო.

როდესაც თანამდეროვე მსოფლიოსა და, განსაკუთრებით, რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ყოვლისმომცველ მხილე-ბას მივმართავთ, ჩვენი მიზანი სრულებითაც არ არის ვინმეს

გაბიაბრუება და, მითუმეტეს, აბუჩად აგდება-გამასხარავება. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ რუსეთი, ეს უდიდესი მონსტრი (რადაც დღეს არის ნაქცევი) და თავისი ყველანაირი პოტენციური შესაძლებლობებით უმდიდრესი ქვეყანა, გამოვაფხიზლოთ და შევაგნებინოთ მისი ნამდვილი და არა ფსევოდო-მესიანიზმზე აგებული მისია. თორემ ამ გზაზე შემგარი რუსეთი იმ ძალების მიერ, რომლებიც დღეს მსოფლიო ბედის წარმართვას ცდილობენ, განწირულია გარდაუვალი დასასრულისათვის. შემთხვევითი არაა ისიც, რომ რუსთა შეფეხბმა მესამე რომად მოსკოვის აღიარებით თავს მოიხვიეს იმ ცოდვათა მემკვიდრეობაც, რაც წინა ორ „რომში“ ტრიალებდა. კონსტანტინეპოლი ხომ თავისი არსებობის ბოლო საუკუნეებში იმავე იმპულსებს გადმოსცემდა და იმავე ბოროტების თესლით წამლავდა მსოფლიოს, როგორც ამას ყოფილი რუსეთის, შემდეგ საბჭოთა იმპერია და დღეს კი, მისი პოლიტიკის დღვევანდელი მძევალი, რუსეთი აქეთებს. მაგრამ რუსთ შეფეხბის ამ ნაბიჯს მაშინ ჰქონდა რაღაც გამართლება, რადგან მათ მოსკოვის მესამე რომად გამოცხადებით, გამოწვევა ქსროლეს წინა ორი რომის დამაქცევარ ძალებს და ამით თავიანთ სახელმწიფოს მსოფლიო ფუნქცია შესძინეს; ამასთან ეს ნაბიჯი შეიძლება გამართლებული იქნას იმითაც, რომ რუსეთმა მართლმადიდებლობის ამ ციტადელის (კონსტანტინეპოლი იგულისხება) დამმხობი ძალები, რომელიც კონსტანტინეპოლის ადებით და აიასოფიას ტაძარში ცხენზე ამხედრებული შესვლით, თავიანთი რელიგიური თუ სხვა ღირებულებების უპირატესობის დამტკიცებას ცდილობდნენ, დაარწმუნა მათ მიერ თითქოსდა განადგურებული იდეალების სიცოცხლისუნარიანობაში, შემდეგ კი მათ წინააღმდეგ წარმართა შურისგების ძლევამოსილი მახვილიც. თუ რით დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის მრავალსაუკუნოვანი სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება ყველასათვის ცნობილია. თუმცა რუსეთმა ვერ აისრულა თავისი სანუკვარი თცნება და სამემკვიდრეოდ მიჩნეულ ცარგრადში თავისი მფლობელობა ვერ „აღადგინა“, მაგრამ თავისი

შეუპოვარი ცდებით ოსმალეთის მემკვიდრე თურქეთი აიძულა, თავის გადასარჩენად ხსნა სწორედ ევროპულ ოჯახში ეძებნა.

თავისი დღევანდელი პოლიტიკით, რუსეთი მის მეზობელ რეგიონებზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით უხეშ ძალადობას მიმართავს და მისი გაძლიერების მოწინააღმდეგება ძალებს უადგილებს რუსეთის ირგვლივ ე.წ. ანაკონდას რკალის შექმნას. აბა, რუსმა პოლიტიკოსებმა სადად გადაავლონ თვალი თავიანთი დღევანდელი საზღვრების გასწვრივ მიმდინარე მოვლენებს და იმწუთშივე იგრძნობენ ცივსისხლიანი ანაკონდას სულისშემსუთავ სისინს, რომელიც დღითიდე ასუსტებს რუსეთის სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის მასაზრდოებელ ძალებს. ეს არის შედეგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც რუსეთი თავისი გავლენის სფეროდ მიჩნეულ სივრცეში ატარებს და თავისი უგუნური ნაბიჯებით მის პოტენციურ პარტნიორებს და მეგობრებს მოსისხლე მტრად ეკიდება და მათაც საკუთარი მთელი სასიცოცხლო რესურსების დაძაბვით, თავის გადასარჩენად მისდამი არაკეთილმოსურნებ განწყობილი ბანაკისაკენ ხელოფნურად უბიძებს. ეს არის სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ გაკრიტიკებული რუსული ცრუ-მესიანიზმზე აგებული პოლიტიკის გაგრძელების ინერციის შედეგი. რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მსგავსი ფსევდო-დირებულების წინ წამოწევით მსოფლიო აზრით მანიპულირება, ან მასზე ზემოქმედება იყო შესაძლებელი. დღეს ყველაზე ყველაფერი იცის და სიმართლის მისაჩქმადად სილაში თავშაყოფილი სირაქლემები (თუ დროზე აზრზე არ მოვლენ) იგრძნობენ სამართლიანობის სახელით ალექსილ ლახვართა დაბგერებას. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ამ მოსალოდნელ, ახალ „წარღვნაზე“ მიუთითებენ.

რუსეთს კი, თუ ის მსოფლიო პოლიტიკის ფარგატერში ნორმალურად ჩაჯდება, აქვს შანსი მსოფლიოს ეს უდიდესი კატაკლიზმები ააცილოს. მისდამი დაპირისპირებული ძალების მიზანი ყოველთვის იყო და დღესაც არის, რომ ის

ხელოვნურად ამოაგდონ განვითარების ნორმალური კალაპოტიდან (ასე მოხდა 1917 წლის ოქტომბერშიც) და მისი უშრეტი ენერგია მიმართონ ფსევდო ლირებულებების რეალიზაციაზე, – გააძრიყვონ ცრუმესიანისტური იდეებით და ააცილონ მის ჰეშმარიტ მსოფლიო ფუნქციას – ნამდვილ მართლმადიდებლურ საწყისებზე აღმოცენებულ მისი გადარჩენის მისიას.

რუსეთის ადგილი მსოფლიო რუსაზე და მისი შესაძლებლობები მსოფლიოს აძლევს შანსს შექმნას თვითრეალიზაციის უნიკალური სისტემა. თუ რუსეთიდან მისი პერიფერიებისა და მონაპირე რეგიონებისკენ დაიძვრება ჸეშმარიტი სიკეთითა და სიყვარულით გამოხარი, მასში დღემდე ხელოვნურად ჩაკლული, სასიცოცხლო ენერგია და იგი ევროპასა და აზიაში, როგორც თანატოლი-თანატოლს შეხვდება და გადაეჯაჭვება ანალოგიურ ძალთა უკვე ჩამოყალიბებულ ციფილიზაციებს, რომლებიც ადამიანთა მოდგმის უკეთეს მომავალსა და მათი უკეთილშობილესი მიზნების განხორციელებაზეა ორიენტირებული, იგი შეიძლება ნამდვილად იქცეს მსოფლიოს ბედის ერთ-ერთ გადამწყვეტვაქტორად.

აი, რუსეთის ჸეშმარიტი მისია და მისი ხსნაც! ხოლო რუსეთის ხსნა, მსოფლიოს ხსნაცაა... რადგან დაიწყებს თუ არა რუსეთი თავისი ნამდვილი, რეალური ფუნქციის შესრულებას, ევრაზიას მოეფინება განმაახლებელი სული; იგი აღისხება სასიცოცხლო ენერგიით, რომელიც მას აღუდგენს საკუთარი ძალებისადმი რწმენას და ამ სივრცეს პვლავ აქცევს მსოფლიოს ბედისწერის გადამწყვეტვამ ქვაკუთხედად, რომლისკენაც იმედით იქნება მიპყრობილი დედამიწავლითა გულისყური. ერთიანი ევრაზიას ჩამოყალიბებამ ხელი უნდა შეუწყოს მონროს პრინციპის განხორციელებას ამ უზარმაზარ გეოსტრატეგიულ სივრცეში (აფრიკის ჩათვლით) და მის ირგვლივ შეკრას ერთიანი მიზნით დამუხტული მსოფლიო დანიშნულების მქონე კონტინეტური ძალები, რომლებიც სრულიად გააკონტროლებენ აღნიშნულ სივრცეს და ადარ

დაუშვებენ ევრაზიაზე გარე ნახევარმთვარიდან მათი სტრატეგიული გამოფიტვისაკენ მიმართულ შორს გამიზნულ ზეწოლას; და თუ ეს უახლოეს პერიოდში არ განხორციელდა, ევროპისა და აზიის ის ძალები, რომელთაც პრეტენზია გააჩნიათ გავლენა იქონიონ მსოფლიო მოვლენების განვითარებაზე, ჯერ „მათსავე სასიკეთოდ“ განეიტრალიზებული იქნებიან ამ სივრცეში მიმდინარე მოვლენებზე ზემოქმედებისაგან, რასაც მოყვება მათი ინტერესების იგნორირებით აღნიშნული სივრცის ძალადობრივი ათვისება (რაც ფაქტობრივად უკვე დაწყებულია – ერაყი, ავღანეთი და სხვა) არაევრაზიული ძალების მიერ, და ბოლოს უველაფერ ამას დააგვირგვინებს მონდეალისტური ერთპოლუსიანი მსოფლიოს შექმნის ცდა, სადაც გაბატონებული იქნება ქწ. დასავლური ღირებულებანი და თალასოკრატიული, საზღვაო ცივილიზაცია. ეს ცდა კი, უფრო აღვივებს წინააღმდეგობას მსოფლიო ისტორიის წარმმართველ ორ ძალას შორის და ფაქტიურად უკვე დაწყებული მეოთხე მსოფლიო ომი (მესამე ცივი ომი იყო – უ.ო.) თავის გლობალურ ფაზაში შევა. ცივილიზაციათა შეჯახება საბედისწერო ხასიათს მიიღებს, სადაც ორივე მხარე აბსოლუტურად დარწმუნებული იქნება თავის „სიმართლეში“ და ერთმანეთის გასახადგურებლად ყველა საშუალებას გამართლებულად ჩათვლის (ასე იქნა ინსპირირებული მეორე მსოფლიო ომიც). ამის მაგალითები სახეზეა – „დასავლეთი“, აშშ-ს სახით, ცდილობს რა მსოფლიო დაარწმუნოს თავისი ქმედებების სამართლიანობაში, ამისათვის არაგითარ ტუულსა და ფალსიფიკაციას არ ერიდება – „აღმოსავლეთი“ კი, სწამს რა თავისი სიმართლე, მისგან სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვის ფასად ცდილობს თავისი იდეალების დაცვასა და შენარჩუნებას.

მსოფლიომ უნდა შეიგნოს, რომ „აღმოსავლეთი“ და „დასავლეთი“, სრულებითაც არ არის რაღაც პირობითი, ზერელე ცნებები და მათში კონცენტრირებულია ორი განსხვავებული ცივილიზაციის უღრმესი სასიცოცხლო იმპულსები – მათი განსხვავებული ცხოვრების წესით, ადათ-ჩვევებით, პულტუ-

რით, თუ სხვა უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებით. რომ ჰალებუნიანი კომივოიაჟერი, ყველაფრით მოვაჭრე, საკუთარ ოჯახში სტუმრად მყოფი შვილი და პომო-ფაბერი, ყოველთვის გაუგებარი და მიუღებელი იქნება აღმოსავლეთის უნაზესი გრძნობებით მფეთქავი გულისა და შემეცნებისათვის, რომელსაც ათასწლეულების ისტორიაში გამოვლილი და დღესაც უდიდესი პატივისცემით აღჭურვილი იერარქიულობა ახასიათებს... და ვინ რა სიტყვებითაც არ უნდა მონათლოს მათი ეს უფაქიზესი ურთიერთდამოყიდებულება და როგორც არ უნდა აძაგოს მათი ისტორიულ მიწაში ფესვგადგმული, არცთუ ცივილური შეხედულებანი, ვერავინ ამ დამოკიდებულებას და რწმენას ვერ შეაცვლევინებს, მისგან კი საპასუხოდ უკიდურეს ზიზდსა და ჯიხადს მიიღებს. ამიტომაც ნიშანდობლივია ამ ცივილიზაციისათვის საკუთარი იდეალებისათვის თავგანწირული, მისი ისტორიული ფესვების დასაცავად ყოველთვის გმირულად შემართული პარტიზანის ფიგურა.

იგი იბრძვის საკუთარ მიწაზე საკუთარი რწმენისა და იდეალების და, პოლოსდაბოლოს, საკუთარი ოჯახის გადასარჩენად. და თუ არა „ცივილიზებული დასავლეთისგან“ უცილობელი გაწირვის შეგრძება, იგი ძნელად გარდაიქმნებოდა იმ „ფანატიკოსად“, რომლის ტერორისტად შესაღებას დღევანდელი მსოფლიოსათვის ცდილობენ. ამ „ტერორისტების“ უმრავლესობა „დასავლეთის“ მიერ იქნა მომზადებული სსრ კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად „ცხელ წერტილებში“. როცა „ბოროტების იმპერიისგან“ მომავალი საფრთხე უკუგდებული იქნა, „აღმოსავლეთის“ პრობლემა მაინც გადაუქრებლი და უგუდებელყოფილი დარჩა; მიუხედავად თავიანთი თავგანწირული ბრძოლისა, „აღმოსავლელებმა“ ვერ მიიღეს თავიანთი პრობლემების სამართლიანი გადაწყვეტის ვერავითარი გარანტია (პირიქით, კიდევ უფრო დრმავდება და ცდილობენ ცივილიზებულ ფორმებში მოაქციონ საუკუნეების წინათ დაწყებული მათი ბუნებრივი რესურსების ბარბაროსული ძარცვა) და მიხვდნენ, რომ ერთ ბოროტებას მეორის

საშუალებით ებრძოდნენ, რომელიც არ კმაყოფილდებოდა უშუალო კონტროლის დაწესებით და არა ნაკლები მონდომებით ცდილობდა მათზე სრულ გაბატონებას, ვიდრე ის, ვისაც ადრე ებრძოდნენ. ამიტომაც მათი სიძულვილისა და საბრძოლო სულისკვეთების მასაზრდოებელი მოტივები თვალნათელია. მათ თავიანთ ადრინდელ „მოძღვრებში“ დანახული სიყალბე მთელი დასავლური ცივილიზაციის უმთავრეს მახასიათებლად აღიქვეს და არ მოელიან რა მათგან ხაჯიუსუფისნაირ ზერბრივ აქტს, თვითონ გადაწევიტეს გაწილებული რწმენისა და იმედებისათვის მათზე შურისგება; მითუმეტეს, აშკარად იგრძნეს, თუ როგორ მისხერებოდა მათ „დასავლეთის“ სისხლსმოწყურებული თვალები, ვითარცა მორიგ მსხვერპლს, რომლის გაგლეჯის გარეშე მის ოცენებებს აღსრულება არ ეწერა.

აი, საიდან დებულობს ამ ძალთა უკომპრომისობა და თავგანწირვა ყოვლისგადამლახავ დამანგრეველ ენერგიას... და სანამ არ მოისპობა ამ ენერგიის უმთავრესი მასაზრდოებელი წყარო – უსამართლობა, ყოველგვარი ბრძოლა მის წინააღმდეგ, კიდევ უფრო აძლიერებს ამ ენერგიათა კონცენტრაციას, და ვაი მას, ვისაც იგი სამართლიანობის აღდგენის სახელით დაატყვედება. ამიტომ ნურავის აუვარდება თავში, რომ დროებით, წარმავალი წარმატების ფონზე გამარჯვების ზეიმით, ტკბობა დაიწყოს; გამოგონილი ცნება „ისტორიის დასასრული“ ქიმერად და მსოფლიო ისევ მოწმეა ცივილიზაციათა შერკინებისა, ოდონდ დღეს მოჭარბებულ შეხვდელებათა გამო, ისევ უკანა პლანზეა გადანაცვლებული ზერბრივი კატეგორიები და მიზნის მისაღწევად ამოშიშვლებულია დევიზი, – თუმცა ამას ფარისევგლურად ჩქმალავენ, – „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

თუ ისტორიულ ანალოგიებს მივმართავთ, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი (ბუშზეა ლაპარაკი), ეს მსოფლიოს მფეთქავ ძარღვზე მოთამაშე მევიოლინე, მოგვაგონებდა რომის იმპერიისდროინდელ კალიგულას, რომელიც უხეში ჩქმებით თელავდა თავისუფლებაზე მეოც-

ნებე მსოფლიოს უკეთიდ შობილეს გრძნობებს და თან თავის მსახურ - „პარტნიორთაც“ მთელ მსოფლიოში აიძულებდა მასთან ერთად ჩაშვებულიყვნენ სიყალბის, სიბილწის და გარევნილების წუმპეში, რომელსაც თვითონ ხელოვნურად ნერგავდა და ახალისებდა. ასეთი ზერობის პირობებში არ არის გასაკვირი ნერონობის აღორძინებაც, რომელმაც თვითონ გადაწვა რომი, შემდეგ კი ეს ქრისტიანების გასაჟუჟავ საბაბად გამოიყენა.

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ევრაზიული სტრატეგიული ერთობის შექმნის აუცილებლობასა და მის მსოფლიო ფუნქციაზე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მხედველობაში გავქვს ამ უდიდესი პოტენციის მქონე სივრცეში არსებულ გონივრულ ძალთა კონსოლიდაციის აუცილებლობა, რომელიც გააუგნებელყოფს ეწ. დასავლეთიდან მომდინარე ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ არაჯანსაღ იმპულსებს, აღმოფხვრის ტერორისა და ტერორიზმის მასაზრდობებულ უსამართლობებს, ამ სივრცეში წარმოებულ საერთაშორისო პოლიტიკას გახდის სრულად გამჭვირვალეს და მას მიუსადაგებს საყოველთაო სიკეთის ინტერესებს; თავის ინტელექტუალურ და მატერიალურ შესაძლებლობებს გამოიყენებს დედამიწის შესამზადებლად სხვა ცივილიზაციებთან შესახვედრად. ამ ფუნქციის შესასრულებლად ევრაზიასთან გაერთიანდება აფრიკაც. და ეს გეოსტრატეგიულად სრულქმნილი „მსოფლიო კუნძული“ შეძლებს „დასავლეთიდან“ (აშშ) არაჯანსაღი ზეწოლის შედეგად დაკარგული ფუნქციის არამარტო აღდგენას, არამედ მასთან ხორმალურ მეტოქეობასა და პარტნიორობასაც. ამასთან გააწონასწორებს და „აღზრდის“ მას, რითაც ხელს შეუწყობს ნამდვილი სამართლიანობის პრინციპებზე აგებული ახალი მსოფლიოს ჩამოყალიბებასაც. აი, ეს არის ევრაზიულთა ნამდვილი მისია!

რაღაც დედამიწაზე ყველაფერში დუალიზმი, ორპოლუსიანობა ფიქსირდება, ამიტომ მისი ერთპოლუსიან მსოფლიოდ გარდაქმნის ცდა, მისი არსებობის კანონის საწინააღმდეგოცაა. ამიტომაც მისი ისტორიის წარმმართველ ძალებს

უნდა მივცეთ თავიანთ ორბიტებზე ბოლომდე განვითარების შესაძლებლობა და დედამიწის გონივრული მოთხოვნილების დაკმაყოფილება უახლოეს მომავალში უზრუნველყოფს მათ დედამიწის ორბიტაზე, კოსმოსში გაერთიანების გარდაუვალობას, რადგან უკიდეგანო სამყაროს ჩვენ არ შეგვიძლია ცალ-ცალკე შევხვდეთ. ეს თავისთავად მოხდება, როცა დედამიწის ენერგია უსასრულო სამყაროს ანბანის წაკითხვას მოისურვებს, და ვიგრძნობთ, რომ მისი დანაწევრება კატასტროფის ტოლფასია.

დღევანდელი გადასახედიდან კი ჭეშმარიტებისაგან ისე შორს ვართ, როგორც არასდროს. ამიტომაც ხდება, რომ სიმართლის მთქმელს, ჩვენს დროშიც, ცხენი შეგაზმული უნდა ჰყავდეს. მაგრამ არა უშავს. თეთრი ცხენი თავისუფლების სიმბოლოა და ვინც მასზე ამხედრდება, თავგანწირვისათვის მზად უნდა იყოს.

დვოის ნება ყველა ადამიანის თავისუფლებაა, — რასაც სრულებით არ უწყობს ხელს დღევანდელ მსოფლიოში გატარებული პოლიტიკა. ყველა უნდა დაფიქრდეს და როდესაც მსოფლიოს სსნაზე პრეტენზიას გაცხადეთ, ანგარიში გავუწიოთ მის აზრს იმდენად მაინც, რომ მას ჩვენ ცდომილებათა დავთის ნებად შესაღება არ გაკადროთ. მსოფლიოს სსნა კი უფლის ნებად და მის ამ როლს დედმიწაზე ვერავინ შეითავსებს.

Ucha Okropiridze

Our Future – Historical-Geopolitical Point of View

Summary

The work considers the geopolitical problems facing the formation of the Georgian state and the necessity to work out the real plans taking into consideration these problems. The work also shows the importance of the role of Russia in the Caucasian, particularly in the Georgian space; Relying on the corresponding materials it is concluded that the world has not been changed in the period from Rasputin to Putin, - the “rasputinism” keeps scoffing at the Russian and Post-Soviet space again, - and the “putin-medvedevism” is only its variety.

The work concerns to the problem of struggling against terrorism in the modern world and it puts a very polysemantic question – who is a real terrorist?! –The government of the country who has not done anything to avoid the genocide of its own population (Russia) and has been trying to make them obedient with evident violence and terror for many years, - or those patriots trying to defend their homeland from this violence and keep the right of common existence?! Or how long is it possible to impose the marionettes over the people with historical memory who have been fighting with heroism for their liberation?!

The article criticizes the policy of modern leading states and underlines that the “East” and the “West” are not something conditional, surface notions and the deepest vital impulses of two different civilizations are concentrated in them, - “the end of the history” is the chimera and the struggle of civilizations is going on.

Уча Окропиридзе

Наше будущее – историко-геополитическое размышление

Резюме

В работе вкратце рассмотрены те историко-геополитические явления, которые произошли в последние 20 лет в постсоветском пространстве и вокруг Грузии, и которые дают возможность сделать выводы, что от Распутина до Путина почти ничего не изменилось в мышление русской дипломатии и до сих пор здесь считаются только с грубой силой и возможностью насилиственно решить все вопросы, касающихся государств, которых она считает входящих в сферу своего влияния.

В работе сделаны критические выводы по поводу политики, которую проводят ведущие державы современного мира. Сказано, что «Восток» и «Запад», это вообще не поверхностное и иллюзорное понятие, и них сконцентрированы глубоко жизненные импульсы двух совершенно разных цивилизаций – что понятие - «Конец истории», это химера и противостояние двух цивилизаций продолжается.

მაია ამირბულაშვილი
თენის გრიბოედია

რელიგია თუ იდეოლოგია?

ჩვენ ვცხოვრობთ იდეოლოგიების ზეობის ეპოქაში. რა არის იდეოლოგია? ეს ისეთი სწავლება ანუ თეორიაა, რომელიც თავის თავს არა მხოლოდ აბსოლუტურ და ყოფლისმომცველ ჰქემარიტებად ასაღებს, არამედ ადამიანს გარკვეულ ქცევასა და მოქმედებასაც განუსაზღვრავს. თუკი იდეოლოგიის რაობას ჩავუდრმავდებით ვნახავთ, რომ ის ერზაცია და ცდილობს რელიგიას ჩაენაცვლოს, მაგრამ უდიდესი განსხვავება რელიგიასა და იდეოლოგიას შორის იმაშია, რომ რელიგია და რწმენა ყოველთვის ძალზედ პირადულია, მხოლოდ და მხოლოდ პირადი და დრმა შინაგანი გამოცდილებით მიიღწევა, რელიგია და რელიგიური ლირუბულებები შეიძლება ითქვას, ადამიანისა და საზოგადოების უკელა ლირებულებაზე მაღლა დგას [ე.კოდუა, 2001: 240]. მაშინ როცა ნებისმიერი იდეოლოგია ყოველგვარ პირადს, როგორც უსარგებლოს, უარყოფს.

რელიგია რწმენისაკენ მოწოდებაა და ყოველთვის ადამიანისაკნაა მიმართული. იდეოლოგია კი - ხალხის მასების, კოლექტივის, კლასებისა და კაცობრიობისადმი. რელიგიის არსი და მიზანია, რომ ღმერთის პოვნით ადამიანმა იპოვნოს საკუთარი თავი და გახდეს ნამდვილი ადამიანი. იდეოლოგიის მიზანი და არსი კი იმაშია, რომ მთლიანად დაიქვემდებაროს ადამიანი და იდეოლოგიის მსახური გახადოს. რელიგია ამბობს: “რაი სარგებელ არს კაცისა უკუთუ სოფელი ესე ყოველი შეიძინოს ხოლო სული თვისი იზღვიოს?” [ბიბლია, 1998: 26]. იდეოლოგია კი ამბობს: იდეოლოგიის განსახორციელებლად მთელი სამყარო უნდა შეიძინო. რელიგია მოგვიწოდებს სხვა ადამიანში ვხედავდეთ მოყვასს. იდეოლოგია კი

ყოველთვის შორეულ, უპიროვნო და განყენებული ადამიანებისაკენაა მიმართული.

იდეოლოგიის წინააღმდეგ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ცნობიერი ისტორიის დასაბამიდან დღემდე არ მოიძებნება არც ერთი დადგბითად დასახასიათებელი იდეოლოგია. მისი ყველა ისტორიული ფორმა ერთი ჯგუფის ინტერესებს სხვა ჯგუფების ხარჯზე წამოსწევს წინ, რასაც ბუნებრივია, სხვები ვერ ურიგდებიან და ემიჯნებიან. იდეოლოგიის ისტორიაში საყოველთაო მნიშვნელობის იდეოლოგია ჯერ არ არსებულა და არც იარსებებს, რადგან იგი უთანასწორობის დამკვიდრების საშუალებაა, დამთრგუნველი ძალაა [ე.კოდუა, 2001: 263].

რელიგიის მზის ჩასვენებამ და იდეოლოგიის ზეობამ საქმე პიროვნების იდეისა და მასთან დაკავშირებული მთელი გამოცდილების თითქმის სრულ კვდომამდე მიიყვანა. ამ გამოცდილების საფუძველი ცხადია რელიგიურია. მხოლოდ რელიგიაშია შესაძლებელი პიროვნების იდეის არსებობა – აი რა არ ესმით, რისი გაგება არ შეუძლიათ და არ სურთ თანამედროვე ადამიანებს, რომლებიც ხსნას ამა თუ იმ იდეოლოგიაში ეძიებენ.

არსებობდა მოსაზრება, რომ რელიგია, თავისი ზეობის ეპოქაში ისტორიულად ძალიან ხშირად თრგუნავდა პიროვნების იდეას და თვით პიროვნების უფლებების, თავისუფლებისა და სხვა ამგვარი პრინციპები რელიგიასთან ბრძოლაში იშვა. ეს ნაწილობრივ მართალია, მაგრამ საჭიროა ამ სიმართლის მთელი სირთულის გააზრება.

დიახ, ქრისტე რელიგიურმა ხალხმა აცვა ჯვარს, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მან მათი ცრუ რელიგიურობა ამხილა, ანუ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, იმაში ამხილა, რომ რელიგია იდეოლოგიად გადააქციეს. ქრისტეს მის ჯვარმცელებთან კონფლიქტის მთელი არსი შემდეგია: ქრისტემ ადამიანი ყველაფერზე მადლა დააყენა, მხოლოდ ის გახადა სიყვარულისა და აბსოლუტური ყურადღების საგანი. ქრისტეს მტრები კი რელიგიისაგან ელოდნენ წესრიგს, სამშობლოს გადარჩენას, თვითკმაყოფილებას და ყველაფერ ამისათ-

ვის მოითხოვდნენ უპიროვნო კანონებისადმი ბრძა მორჩილებას.

ამის შესახებ კი ქრისტეს სიტყვაც არ უთქვამს ისევ, როგორც არაფერი უთქვამს სახელმწიფოს, საზოგადოების, ისტორიისა და კულტურის შესახებ, რომლებიც ოდითგანვე ყველა იდეოლოგიისათვის მთავარ საკითხებს წარმოადგენდნენ. ქრისტეს უყრადღება ყოველთვის მიმართული იყო მის გარშემო მყოფ ცოცხალ ადამიანებზე. ის მათ უფლებებზე არც კი საუბრობდა. მან მხოლოდ მათკენ მიმართა სიყვარული, თანაგრძნობა და ინტერესი. სწორედ იმის გამო, რომ ქრისტემ ადამიანი სამყაროში ყველაფერზე მაღლა დააყენა, ის დაგმეს. მაგრამ ამ დაგმობით – დროა ეს შევიგნოთ – ოვითონ რელიგია იდეოლოგიდან ცოცხალ ძალად გარდაიქმნა და მთელ სამყაროზე მარადიულად გამეფდა პიროვნების იდეა, რომელიც რელიგიურია.

თუ დმერთი არ არსებობს, მაშინ არც ადამიანი არსებობს. არის მხოლოდ ხალხი, უპიროვნო მასა, რომლის ცხოველურ კეთილდღეობაზეც ზრუნავს იდეოლოგია და არ ერიდება ადამიანურ დანაკარგებას.

ამან უნდა შეგვაძრწუნოს, სანამ გვიან არ არის, სანამ ცოცხალი პიროვნება ჯერ კიდევ არ ჩანაცვლებული უბრალო რიგითი ნომრით, სანამ ადამიანი ჯერ არ გამხდარა სულ უფრო და უფრო რთული უზარმაზარი მანქანის უბრალო “ჭანჭიკი”. რელიგიის საკითხი ახლა, უპირველესად სწორედ პიროვნების შესახებ საკითხს წარმოადგენს.

პიროვნების ცნება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ რელიგიურ მსოფლმხედველობას. პიროვნების ამ ცნების, მისი ადიარების, ინტუიციის გარეშე ყოველგვარი ზრუნვა კაცობრიობაზე მთლიანად მოჩვენებითი და წარუმატებლობისათვის განწირულია.

ბევრი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ოვით საზოგადოებისა და მისი მიზნებისათვის სასარგებლოა პიროვნების თავისუფლებაც და მისდამი მეტი პატივისცემაც. თუ თავისუფლება იქნება, მრეწველობაც გაუმჯობესდება, მეცნიერებაც უფრო

სწრაფად განვითარდება და ყოველგვარი ოპოზიციაც შემცირდება. მაგრამ აქაც, ცხადია, თავისუფლება და პიროვნება კვლავ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი სარგებლობის თვალსაზრისით მოიაზრება.

თავისუფლებისა და პიროვნების უფლებების უტილიტარული დასაბუთება არა მხოლოდ არასაკმარისია, არამედ ის უბრალოდ შეუფერებელია ადამიანისათვის, რადგან აქ საბოლოოდ ადამიანი, როგორც ფასეულობა, განისაზღვრება მხოლოდ იმით, თუ რამდენად სასარგებლოა კოლექტივისათვის თავისი, ასე ვთქვათ, პროდუქტიულობით.

იმის ადიარება, რომ ყოველი ადამიანი აბსოლუტური ფასეულობაა, ნიშნავს მისთვის არა მხოლოდ საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი უფლებების მინიჭებას, არამედ, განუზომლად მეტს, ნიშნავს იმას, რომ სამყაროში სხვა არაფერს მივანიჭოთ აბსოლუტური მნიშვნელობა და პირველყოვლისა თვითონ საზოგადოებას. ეს ნიშნავს თავდაყირა დავაყენოთ მთელი ჩვენი ჩვეული წარმოდგენები და ბოლოს და ბოლოს ვაღიაროთ, რომ ადამიანი გამოირჩევა ჩვეულებრივი ბუნებრივი წყობიდან და ის უმაღლესი არსებაა. ამას კი ადამიანის შესახებ მხოლოდ რელიგია ამბობს და მეცნიერულად ვერ დავასაბუთებთ. ეს შეიძლება მხოლოდ გვწამდეს.

ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ ქრისტიანობის გააფთრებული მოძულე ნიცშე ამბობდა: “მოყვასისადმი სიყვარულს ჩვენ შეგცვლით შორეულისადმი სიყვარულით!” შორეული არის არავინ, ის, ვისაც ვერ ვხედავთ, რადაც ზოგადი, ჯერ არ არსებული ადამიანი. მოყვასი კი სახარების მიხედვით არის ის, ვინც ჩემს გვერდითაა, მისი ერთადერთი სახე ყოველთვის ცოცხალი, კონკრეტული და უნიკალურია. ცხადია, ასევე არ არის შემთხვევითი, რომ სამყაროში ყველაფერი, ყველა ფილოსოფია, იდეოლოგია და პროგრამა, რომელებიც მიმართულია შორეულისადმი, საზოგადოსადმი, კოლექტიურისადმი, სასტიკად ვერ იტანს რელიგიას და ყოველთვის, რადაც ურყევი კანონის მიხედვით, ებრძვის მას. მათ რასაკვირველია იციან, რომ რელიგიის ამოძირკვა

ნიშავს სწორედ პიროვნების თანდათანობით განადგურებას. ამიტომ არის, რომ ეშინიათ არა მათი, ვინც მხოლოდ ხმა- მაღლა გაჟყვირის თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებ- ზე, არამედ მათი, ვისაც სწამს ღვთაებრივი სული და სულის უკვდავება და ვისაც უბრალოდ გერავითარი მიწიერი სარ- გებელით ვერ აცდუნებ.

“რაი სარგებელ არც კაცისა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი წარწეშმიდოს?” [ბიბლია, 1998: 26]. სანამ დედამიწაზე ეს სიტყვები ისმის, სანამ ადამიანებს ახ- სოვთ პარადოქსალური სახარებისეული არითმეტიკა, რომ- ლის მიხედვითაც ერთი ადამიანი ყოველთვის ფასეული და მნიშვნელოვანია ოთხმოცდაცხრამეტზე, ადამიანის პიროვნე- ბას ვერავინ მოსპობს და აქედან გამომდინარე, ვერ შესძ- ლებენ კაცობრიობის საბოლოო კოლექტივიზაციას, როდესაც მონობას თავისუფლება დაერქმევა, უპიროვნო სარგებლისად- მი დაქვემდებარებას – უფლებები, ხოლო საპურობილებას – მიწიერი სამოთხეს.

მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია წინ ადუდგეს ტოტალიტა- რიზმის ყოველგვარ სახეობას დედამიწაზე – რწმენას დმერ- თისა, რომელმაც ადამიანი შექმნა თავის ხატებად და მსგავ- სებად და მოუწოდა მას თავისუფლებისა და მარადიულობი- საბაზე. მხოლოდ რწმენა და სხვა არაფერი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქოდუა ე., ქულტურის სოციოლოგია, თბ., 2001.
2. ბიბლია, თბ., 1998.
3. ჩიტაშვილი მ., რელიგიურობის ფსიქოლოგია, თბ., 2002.
4. http://theoryandscience.icaap.org/content/vol001.001/04fouche_clean.html
5. <http://www.scribd.com/doc/4477493/slavoj-zizek-religion-and-ideology>

Religion or Ideology?

Summary

There is often some confusion over the difference between religion and ideology. The outcome of a sturdy belief in either religious beliefs or a political ideology can result in the same actions, namely instilling a drive in a person to

Think and behave in a certain way, but when you pulled out a sander and polish off the surface similarities it becomes clear that the foundations below are significantly different. One primary, overriding difference exists between religion and ideology. A religion is defined by a moral code based on text most often referred to scripture that is usually collected within a single volume. The teaching of the scripture is the principal source behind the choices and behavior of followers. Ideology, on the other hand, does not refer back to a singular source. To take obviously misunderstood example, many critics argue that the writings of Karl Marx can never be pronounced untrue by a Marxist. Unfortunately for those who have tried their hardest to condemn Marxism, that is simply not the case. Even a cursory study of Marxist ideology will reveal striking differences in interpretation as well as outright rejection of much Marxian doctrine.

Religion also differs from ideology in considering the text, and in many cases the spokesmen for that text, to be infallible. Only the most hardened of Communist believers, for instance, would have considered Josef Stalin to be infallible, while on the other hand it is the strictest possible doctrine that any man who wears the big funny hat of a Pope is just as infallible as the word of God in the Bible the Pope consistently perverts for his own purposes. Infallibility of text or person, however, is not at all applicable to ideology. In the words of Louis Althusser, ideology is the inculcation of ideas through their reproduction by such apparatuses as the media, the educational system and even the religious infrastructure of the prevailing power.

Маяя Амиргулашвили, Тенгиз Григолия

Религия или идеология?

Резюме

Мы живем в эпоху торжества идеологий - ужасное слово, возникшее, в сущности, совсем недавно и уже почти непоправимо отравившее наш мир, нашу жизнь. Что такое идеология? Это учение или теория, не только выдающая себя за абсолютную и всеобъемлющую истину, но и предписывающая человеку определенное поведение, действие. На глубине идеологии - это, конечно, эрзац, подмена религии. Но разница, и огромная разница, между религией и идеологией в том, что религия, вера - это всегда нечто очень личное, невозможное без глубокого личного и внутреннего опыта, тогда как идеология, всякая идеология, начинает с того, что просто все личное отрицает и отвергает как ненужное.

Религия - призыв верить - всегда обращена к человеку. Идеология всегда обращена к массе, коллективу, в пределе к народу, к классу, человечеству. Цель, сущность религии - в том, чтобы, найдя Бога, человек нашел бы себя, стал собой. Цель и сущность идеологии - в том, чтобы подчинить себе без остатки человека, чтобы человек стал исполнителем и слугой идеологии. Религия говорит: "Какая польза человеку, если он весь мир приобретет, а душе своей повредит?" Идеология говорит: нужно весь мир приобрести для осуществления идеологии. Религия в другом человеке призывает видеть ближнего; идеология всегда направлена на дальних, безличных, отвлеченных людей.

ქარიზმატული ლიდერის პრობლემა თანამედროვე საქართველოში

ლიდერობის პრობლემაზე არსებულ თეორიათა შორის თანამედროვე პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „სიტუაციონიზმის“ თეორიას. ამ თეორიის მიმდევრები ლიდერობას განიხილავენ, როგორც სიტუაციის ფუნქციას. ადამიანი, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ლიდერია, ფსიქოლოგთა მტკიცებით, ახდენს საკუთარი როლის „ინტერიორიზებას“, ეწვევა ამ როლის შესრულებას და მასში ხდება იმ ნიშნის განვითარება-განმტკიცება, რომელიც აუცილებელია ამ როლის შესასრულებლად, მაგრამ ლიდერის ქცევა, რომელიც ერთ სიტუაციას შეეფერება, შეიძლება სრულიად გამოუსადეგარი იყოს სხვა სიტუაციაში. პიროვნება, რომელიც ლიდერობას შეძლებს საპროტესტო აქციების მოწყობაში, არსებული წეობის ნგრევაში, ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, შეიძლება უძლური და უნაყოფო აღმოჩნდეს ახლის შენებაში. კარგი ოპოზიციონერი თავისთავად არ ნიშნავს, რომ იგი კარგი ფუნქციონერი იქნება ყოველთვის.

გარდამავალი პერიოდი, მისთვის დამახასიათებელი არასტაბილურობითა და პრობლემათა რევოლუციურად გადაწყვეტის წესით არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. მსოფლიო ისტორია უამრავ მაგალითს იცნობს იმისას, რომ პოლიტიკოსები, რომელთაც იტვირთეს ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარების შემდეგომი ეტაპის წარმართვა, არამარტო თავიანთი პრინციპების დეკლარირებას ახერხებდნენ, არამედ კიდეც ახორციელებდნენ მათ. მაგალითად, 1799 წლის საფრანგეთის კონსტიტუციის ბოლო აბზაცში ვკითხულობთ: „მოქალაქენო, რევოლუცია დამთავრდა“. ეს ნიშნავდა,

რომ დაიწყო რეფორმების ხანა, რომელიც ყველა კლასსა და სოციალურ ფენას უნდა შეხებოდა და მათი პრობლემები უნდა მოეგვარებინა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ნაპოლეონმა დაიწყო მანამდე არნახული რეფორმატორული საქმიანობდა და თავიდანვე აღკვეთა ყველაფერი, რაც რევოლუციის შემდგომი საფრანგეთის განვითარებას შეუშლიდა ხელს. უკიდურეს მემარცხენებსა და მემარჯვენებს შორის დაიწყო შერიგების პროცესი, ჩამოაყალიბა სახელმწიფოს მართვის ახალი ადმინისტრაციული სისტემა, შექმნა კწ. „ნაპოლეონის კოდექსი“. შედეგი იყო ევროპული მასშტაბის იმპერიის წარმოშობა.

სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში ასე არ მოხდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან დასავლეთში ლიბერალიზმი, საბაზრო ეკონომიკის ტრადიციები, რაციონალისტური და ინდივიდუალისტური ფილოსოფია და რომაული სამართლის ტრადიციების მიმდევარი სამართლებრივი აზროვნება საუკუნეების განმავლობაში ამზადებდა საფუძველს, რათა არ მომხდარიყო დემოკრატიული პროცესების ოხლოკრატიად (ბრძოს ხელისუფლება) გადაგვარება და ისეთი ქარიზმატული ლიდერის წარმოშობა, რომელიც დაანგრევდა დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და დემოკრატიულ დირექტულებებს.

საქართველოში სტაბილური სოციალური სისტემის არსებობას თან ერთვოდა მასების კონსერვატიზმი. იქ სადაც რესპუბლიკური ტრადიცია სუსტია, – წერდა ამერიკელი პოლიტოლოგი ა. ჰაგსლეი, – ყველაზე საუკეთესო კონსტიტუციებიც კი ვერ დააბრკოლებს ამბიციურ პოლიტიკოსებს... აჟყვნენ ხელისუფლების ხელში ჩაგდების ცდუნებას [ვ. შებითიძე, ა. ბუცხრიკიძე, 2009: 173].

ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ვერცერთმა პრეზიდენტმა ვერ განიცადა რუტინიზაციის პროცესი. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზოიად გამსახურდიას ძალა და მისადმი მხარდაჭერა კომუნისტური წევრილებისადმი მკვეთრი დაპირისპირებით, იმპერიასთან შეუპოვარი ბრძოლით და, რაც მთავარია, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძო-

ლის იდეით იყო განპირობებული. მაგრამ ცხოვრებამ ცხად-
ებო, რომ ერთია დაუპირისპირდე არსებულს და მეორეა, რეა-
ლურად, ცივილიზებული გზით მოახდინო ძველის დემონტაჟი
და ააშენო ახალი სტრუქტურები. მან ვერ შეძლო ეროვნული
და სოციალური პროცესების ემოციონალური აღქმიდან რა-
ციონალურზე გადასვლა – შორსმოქმედი მიზნების პრაქტი-
კული რეალიზაცია და საზოგადოებრივი ურთიერთობების
თვისობრივი ცვალებადობა და დისიდენტი გამსახურდია
პრეზიდენტობის უამსაც დისიდენტად დარჩა.

საქართველოს მეორე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ
დიდი პოლიტიკის სცენაზე სამი როლი ითამაშა ერთნაირი
დიმილით, რომელიც ბევრ პოლიტიკოსს შეშურდებოდა, მაგ-
რამ სხვადასხვა ნიღბით. პირველი როლი კომუნისტურ
საქართველოში შეასრულა. მეორე სსრკ საგარეო საქმეთა მი-
ნისტრის პოსტი იყო, მას ეკისრებოდა მნიშვნელოვანი როლი
ახალი მსოფლიოს წამოყალიბებაში და მისი ეს როლი
შედგა.

მისი მესამე როლი საქართველოს პრეზიდენტის რანგში
უნდა შემდგარიყო. მას ეკისრებოდა წარმმართველი როლი
ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. ეს
როლი სამწუხაროდ, ვერ შედგა და არც შეიძლება შემდგა-
რიყო, რადგან არ არსებობდა გარდამავალ პერიოდში პრო-
ცესების მართვის სწორი თეორია, სწორი სტრატეგია და
ტაქტიკა. შევარდნაძის ხელისუფლებას არ გაუმჯდავნებია
პოლიტიკური ნება არც თუნდაც გარედან ნაკარნახვი სტრა-
ტეგიის კეთილსინდისიერი განხორციელების საქმეში. იგი
ბოლომდე დარჩა საგარეო საქმეთა მინისტრად და დეფორ-
მირებული სტრუქტურის ერთ-ერთი შემოქმედი მისივე მძღვა-
ლი გახდა.

ვერც საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი იქცა რევო-
ლუციის ბელადიდან ბიუროკრატიულ-დემოკრატიულ ლიდე-
რად. ამის დამადასტურებელია მისი პრეზიდენტობის დროს
შექმნილი პოლიტიკური, ეროვნული და სახელმწიფოებრივი
კრიზისი.

საქართველოს სამივე პრეზიდენტი მოვიდა ქარიზმატული ლიდერის სახით, თავისი მხარდამჭერებით დომინირებდნენ პარლამენტში და თითოეულ მათგანს შეეძლო ყველაფრის კეთება, რასაც საჭიროდ ჩათვლიდა. ასეთ პირობებში პოლიტიკურ პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრა პრობლემა ქარიზმატული ლიდერის პოლიტიკური ძლიერების საზღვრების ზრდის შესახებ და ხშირ შემთხვევაში ინსტიტუტები „პოლიტიკოსების ტანზე იქრება“ ხოლმე.

დასავლეთში პოლიტიკოსები დიდი ხანია არსებულ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს ერგებიან და აზრადაც არ მოხდით სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს სახე საკუთარი სურვილისა თუ გემოვნების შესაბამისად უცვალონ. დასავლეთისაგან განსხვავებით საქართველო იმ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება, სადაც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა მიდის რევოლუციებისა და გადატრიალებების თანხლებით. ამიტომაც ისინი, ვინც წინა ხელისუფლებას ამ გზით ცვლიდნენ, სახელმწიფო ინსტიტუტების გადაწყობას უკვე თავის გემოზე იწყებენ.

ზგიად გამსახურდიას მმართველობის დროს სწორედ მასზე გათვლით იქნა საქართველოში შემოღებული პრეზიდენტის ინსტიტუტი. გამსახურდიას მოწინააღმდეგებებს კი იერიში არა მხოლოდ პიროვნებაზე, არამედ პრეზიდენტის ინსტიტუტზეც მიპქონდათ. ასე რომ გამსახურდიას დამხობის შემდეგ „პრეზიდენტის ინსტიტუტი“ საქართველოში „დიქტატურის“ სინონიმად გამოაცხადეს და საქართველოში ჩამოყანილი შევარდაძისათვის პრეზიდენტობა დროებით შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ, 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს შევარდნაძისათვის სპეციალურად მოიგონეს და მან კენჭი იყარა ცალკე „პარლამენტის თავმჯდომარის“ პოსტზე. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით აირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარე.

1995 წლის კონსტიტუციაში ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა და პრეზიდენტის ინსტიტუტი „შევარდნაძის

თარგზე“ გამოიჭრა. ამ პოსტმა აღნიშნული უფლებამოსილებით მხოლოდ შევარდნაძის მმართველობის დასასრულამდე გაძლო. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ გააკეთა, ეს კონსტიტუციის გადაკეთება და პრეზიდენტის უფლებამოსილების პიდევ უფრო გაზრდა იყო. პრეზიდენტის ინსტიტუტი ახლა უკვე „სააკაშვილის თარგზე“ მოიჭრა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წლის თებერვალში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით შემოღებული იქნა პრემიერ-მინისტრის პოსტი და არავისოთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ ეს გაპეტდა ზურაბ ევანისათვის. პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრა იმ ძალთა ბალანსით, რაც არსებობდა იმ ღროს ვარდების რევოლუციის თვალსაჩინო ლიდერს – სააკაშვილსა და უვანიას შორის.

აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება განიხილებოდა 2001 წლისაც, მაშინ პარლამენტს მისი მიღების საწინააღმდეგო ბევრი არაფერი ჰქონდა, მაგრამ როგორც კი შევარდნაძემ აღნიშნა, რომ პრემიერის პოსტზე უვანიას ვარაუდობდა, პარლამენტში მაშინვე დაბლოკეს საკონსტიტუციო რეფორმა. პრემიერის პოსტის დაკავების ამბიცია მაშინაც ბევრს ჰქონდა, რადგანაც მისი დამკავებელი შევარდნაძის ყველაზე რეალურ მექანიზმებიდან მიიჩნეოდა.

სააკაშვილის თქმით, ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება საქართველოს დღევანდელი პირობების გათვალისწინებით სჭირდება, სამომავლოდ კი საქართველოც შეიძლება ევროპულ მოდელზე გადავიდეს, როდესაც „პრეზიდენტები რეალურ ძალაუფლებას არ ფლობენ და ლიდერები პრემიერ-მინისტრები არიან.“ „გარეგული ეტაპების გავლის შემდეგ, საქართველო, ალბათ, ევროპულ მოდელს აირჩევს და ოუზიტუაცია დალაგდება, ჩვენს ქვეყანაშიც საპარლამენტო ხელისუფლება და ევროპაში დამკიდრებული სისტემა ჩამოყალიბდება“ – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ბრატისლავაში ყოფნის ღროს [მ.მაცაბერიძე, 2007: 57].

1871 წ. საფრანგეთში რევოლუციის დროს ჟორჟ დანტონმა თქვა: „თუ ფრანგი ერის თავისუფლება დამოკიდებული იქნებოდა ერთ ადამიანზე, მაშინ ჩვენ დავიმსახურებდით მონობას და დამცირებასო“ ამ „ერთ ადამიანში“ მან იგულისხმა „ახალი და ძველი“ სამყაროს გმირად წოდებული გენერალი ლაფაიეტი, პიროვნება, ვინც მონაწილეობდა წრდილოეთ ამერიკის ცამეტი კოლონიის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში ინგლისის წინააღმდეგ და სარდლობდა ფრანგ მოხალისეებს, ვინც იყო ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დამაარსებელი, მოგვიანებით საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის თვალსაჩინო ლიდერი და „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ ერთ-ერთი ავტორი.

არანაკლებ საინტერესოა მხსნელად მოვლენილი ლაფაიეტის მისამართით დედოფალ მარი-ანტუანეტას მიერ თქმული: „მისიე დე ლაფაიეტი ჩვენს დასახსნელად მოვიდა, მაგრამ ვინ გვიხსნის ჩვენ მისიე ლაფაეტისაგან?“

ესაა მარადიული კითხვა, რომელიც არანაკლები სიმწვავით დგება საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე – ვინ გვიხსნის ჩვენ ქართველი ლაფაეტისაგან?

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაცაბერიძე მ., პოლიტიკური პროცესები საქართველოში, თბ., 2007.
2. ჭუბითიძე ვ., ბუცხრიძიძე ა., იმიჯოლოგია, თბ., 2009.

Ketevan Jijeishvili

Problem of Charismatic Leader in modern Georgia

Summary

In Georgian reality none of the presidents could experience the process of transformation and none of them could become a bureaucratic leader.

In the presented article on their examples are reviewed risks – factors which are brought to the country a charismatic leader, who is given a great power.

Кетеван Джиджеишвили

Проблема харизматического лидера в современной Грузии

Резюме

В Грузинской реальности не один президент Грузии не смог пройти процесс рутинизации и не смог перерости с вождя революций биурократическим лидером.

В этой статье на примерах трёх президента разобраны те риск-факторы, которые приносят для страны деятельности харизматических лидеров имеющих большую власть.

გლობალიზაცია – როგორც განვითარებადი ქვეყნების დაკაბალების ინსტრუმენტი

განვითარებადი სამყაროს არც ერთ ცალქე აღებულ ქვეყანაში გლობალიზაციას არ გამოუწვევია საერთო კეთილდღეობის ზრდა.

„გლობალიზაციის დოქტრინა სხვა არაფერია, თუ არა ლამაზად შედებილი ფასადი, რომლის საშუალებითაც იგი თავის მსხვერპლს განვითარებად ქვეყნებში ამშვიდებს და მისი უურადღება გადააქვს სხვა თემებზე, სანამ მდიდარი ქვეყნები დარიბ ქვეყნებს რესურსებისაგან ფიტავენ და ისეთ მდგომარეობაში აგდებენ, რომ ვერასოდეს შესძლონ იმპერიული ძალებისადმი წინააღმდეგობის „გაწევა“, – წერს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ჩალმერს ჯონსონი თავის წიგნში „იმპერიის ტკივილები. მილიტარიზმი, საიდუმლოებით მოცულობა და რესპუბლიკის დასასრული“.“

იმავდროულად, გლობალისტები არწმუნებენ ხალხს მთელ მსოფლიოში, რომ „განუვითარებელი“ ქვეყნები თვითონვე არიან თავიანთ სიღარიბეში დამნაშავე კორუფციის, კლანურობის და საკუთარი შანსების გამოყენების უუნარობის გამო.

სამაგიეროდ დიდი ქვეყნები ჩააგონებენ დარიბი სამყაროს მოსახლეობას, რომ დია ბაზრები, თავისუფალი ვაჭრობა, ყველას კეთილდღეობას ნიშნავს, რაც ძირშივე არასწორია და ხელს აძლევთ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებმაც იზრუნეს საამისოდ და ფლობენ ამ ბაზრებით მანიპულირების ძალასა და რესურსებს. ამიტომაც არის, რომ გლობალიზმს უველაზე მეტი მომხრეები ამერიკელ ეკონომისტებსა და პოლიტოლოგებში ჰყავს.

დღესდღისობით არსებულ 25 მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას წარმატებისათვის არ მიუღწევია გლობალიზაციის მიერ ნაქადაგები რეცეპტებით. ჯერ კიდევ 1841 წელს აშშ-ში გერმანიიდან ემიგრირებული ეკონომიკის თეორეტიკოსი ფრიდრიხ ლისტი ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიკის ნაციონალური სისტემა“ წერდა: „ვინც მადალ სიმაღლეებზე მწვერვალს მიადგინა, მათი საყვარელი და თან მოხერხებული ტრიუკია იმ კიბის გადაგდება, რომლის საშუალებითაც ისინი ამ სიმაღლეზე ავიდნენ, რათა სხვამ ვერავინ შესძლოს მათსავით ამოსვლა“ [გ.რცხილაძე, 2008: 75].

ფაქტია, რომ უმნიშვნელოვანება ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, როგორებიცაა აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვეცია, ბელგია, ნიდერლანდები, შვეიცარია და ინდუსტრიულად განახლებადი ქვეყნები (სამხრეთ კორეა, ტაივანი და სინგაპური), მეტ-ნაკლებად ერთნაირი გზით და საშუალებით მიადგინეს წარმატებას – ესაა ეკონომიკური პროტექციონიზმი. მათ საკუთარი ბაზრები მაღალი საბაჟო ტარიფებისა და კიდევ ბევრი „არასატარიფო“ სავაჭრო დაბრკოლების შექმნის გზით გააძლიერეს. მაგ: დიდმა ბრიტანეთმა თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ 1840 წელს დაუშვა – როდესაც თავიდ დიდი ხანია იყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა. 1790 წლიდან 1940 წლამდე აშშ მსოფლიოში ბაჟებითა და სავაჭრო ბარიერებით ყველაზე უფრო დაცულ მაკროეკონომიკას წარმოადგენდა. ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც 1970-80-იან წლებში არც ერთი იაპონური მანქანა არ მოძრაობდა, სამხრეთ კორეა იყო, რომელიც ამ პერიოდში საკუთარი სავგტომობილო ინდუსტრიის ორგანიზებას იწყებდა. თითოეულმა ამ ოდესდაც „განვითარებადმა“ ქვეყანამ სხვადასხვა მეთოდით მოიპოვა პროგრესული ტექნოლოგიები იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც მათ განვითარებას უწყობდნენ ხელს, იკვლევდა და აანალიზებდა ამ ტექნოლოგიებს და შემდეგ მიზნობრივად დებდა ინკესტიციებს მათ გაუმჯობესებასა და განვითარებაში. სახელმწიფო იცავდა და მხარს უჭერდა წარმატებულ სამამულო საწარმოებს, რომლებშიც

ექსპორტიორობის პოტენციალს ხედავდა. იმისათვის, რომ საქუთარი პროდუქციით ჩაენაცვლებინათ იმპორტული საქონელი, ეს ქვეყნები მასობრივი სუბვენციებით, ხშირად ხარჯიანობის გათვალისწინების გარეშე ეხმარებოდნენ არაკონკურენტულ ადგილობრივ კომპანიებს.

მოკლედ, მსოფლიოში არსებული მცირერიცხოვანი (25 ქვეყანა 200-დან) წარმატებული ქვეყნები ზუსტად იმის საწინააღმდეგოს აკეთებდნენ, რაც მათ გლობალიზაციის თეორეტიკოსთა მიხედვით უნდა გაეკეთებინათ, ხოლო ვინც გაატარა გლობალისტთა თეზისები – „თავისუფალი ვაჭრობის“ შემოღება, კომუნალური საწარმოების გაყიდვა, კაპიტალის გადაადგილებებზე კონტროლის მოხსნა, საკუთარი მეწარმეებისათვის პრივილეგიების გაუქმება და ა.შ. – ყველამ კატასტროფული შედეგი მიიღო [გ.რცხილაძე, 2008: 77]. ამ ქვეყნების რიცხვში შედის საქართველოც, რომლის ეკონომიკა ფაქტობრივად დაინგრა.

1981 წლიდან აშშ გლობალიზაციის დროშით და მის საფარველქვეშ ახორციელებს საგანგებო სტრატეგიას, რომელიც 2 მიზნის მიღწევას ისახავს ამოცანად: ერთი მხრივ, აშშ ცდილობდა სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმის (როგორიცაა იაპონიაში) დისკრედიტაციას და იაპონური მოდელით განვითარებადი აღმოსავლეთ-აზიური ქვეყნებიდან დანარჩენ მსოფლიოში ამ მოდელის გავრცელების დამუხრუჭებას. მეორე მხრივ, აშშ ცდილობდა განვითარებადი, მესამე სამყაროს ქვეყნების სუვერენიტეტის შესუსტებას, რათა გაძლიერებულიყო მათი დამოკიდებულება მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე, არ მომხდარიყო მათი ერთ ძალად ორგანიზება და მდიდარი ქვეყნებისაგან სამართლიანი სავაჭრო პირობების მოთხოვნის წამოყენება. ამ სტრატეგიის განხორციელების ბერკეტებად გამოყენებულ იქნა ჯერ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მერე კი 1995 წლიდან შექმნილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო).

რეალურად კი მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი აშშ ფინანსთა სამინისტროდან კონტროლ-დებიან. ორივეს რეზიდენცია მდებარეობს ვაშინგტონში თომ მეზობელ ქუჩაზე (მე-19 და „ეზ“ ქუჩებზე), ორივე ისეთ სისტემაზეა დაფუძნებული, რომ აქ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებენ აშშ ფინანსთა მინისტრის თანხმობის გარეშე. 1980-იან წლებში აშშ-მა ორივე ორგანიზაციას მიანიჭა „მესამე მსოფლიოს“ ვალების პრობლემების მოგვარების პრეროგატივა და მისცა ორი მითითება ამ კუთხით: პირველ რიგში იზრუნეთ იმისთვის, რომ მოვალე ქვეყნები თავიანთი ვალების გასტუმრებას ნაწილობრივ მაინც მოემსახურებიან და ოფიციალურად გადახდის უუნაროდ არ გამოაცხადებენ თავს, ამასთან, ამ ქვეყნებს იმდენი ფული გამოსძალეთ, რამდენიც შესაძლებელია.

ორივე ორგანიზაციამ სიამოვნებით მიიღო აღნიშნული ინსტრუქცია, რის საშუალებითაც მათ ახალი ფუნქცია შეიძინეს არაპერსპექტიული კრედიტების გამცემი ბანკების სასარგებლოდ ფულის ამოღების სახით [Ch.Johnson, 2003: 78].

ძალიან მალე მესამე სამყაროს ქვეყნების უმრავლესობა მოექცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური იდეოლოგიის წესში და 2000 წლისათვის 90 სახელმწიფო (მათ შორის საქართველო) ვაშინგტონის მიერ გამოწერილი შოკური თერაპიის ფარგლებში „სტრუქტურულად ადაპტირებულ“ იქნა (ვალდენ ბელლო).

ეს ქვეყნები თავიანთი ვალების მოსამსახურებლად ახალ კრედიტებს იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუ შეასრულებდნენ მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის „რეკომენდაციებს“ (სინამდვილეში ბრძანებებს), ისინი პირველ რიგში ითხოვენ ვაჭრობის „ლიბერალიზაციას“, რაშიც იგულისხმება უცხოელებისათვის ადგილობრივ ეკონომიკაში ჩარევის საშუალებებისათვის კველანაირი ბარიერის მოხსნა. ამის გარდა, მოცემულმა ქვეყანამ უნდა შეამციროს ჯანდაცვისა და განათლების სფეროში სოციალური პროგრამებისათვის გათვალისწინებული ხარჯები, რათა საბიუჯეტო სახსრები გამოი-

ვისუფლებულ იქნას უცხოური ბანკებისადმი არსებული და-
ვალიანების მოსამსახურებლად. შემდგომ ხდება აღგილობ-
რივი სოფლის მეურნეობისათვის სუბვენციების შეწყვეტის
იძულება და ამის საპირისპიროდ იმ აგროკონცერნებისათვის
დახმარების გაზრდა, რომლებიც აწარმოებენ ყვავილებს ან
ხილს. სავალუტო ფონდი ითხოვს, რომ გაუქმდეს კაპიტალზე
კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით და უცხოელი ინგეს-
ტორებსა და საწარმოებს მიენიჭოთ უფლება, შეისყიდონ
სახელმწიფო მფლობელობაში არსებული კომუნალური სა-
წარმოები, სატელეფონო და სატრანსპორტო კომპანიები და
ნედლეულის მომპოვებელი საწარმოები (ყოველივე ჩამოთვ-
ლილი საქართველოში უკვე უცხოელთა ხელშია).

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მაინც შემდეგი
მოთხოვაა: ოუკი განვითარებად ქვეყნას სურს მსოფლიო
ბანკისაგან კრედიტის აღება, მან საკუთარი ვალუტის (მაგ. –
ლარის) კონვერტაციურობა უნდა უზრუნველყოს. ამრიგად,
ეს სახელმწიფო იძულებული ხდება, გაცვლითი კურსის
მიუხედავად, საკუთარი ვალუტა უცხოურ საანგარიშშიორებო
საშუალებებზე გაყიდოს და ამით მისი მომავალი ღირე-
ბულების განვითარება სასპექულაციო ოპერაციებზე დამოკი-
დებული გახსადოს. ასეთი პროგრამები, როგორც წესი, ისე
ასუსტებენ ამა თუ იმ ქვეყნას, რომ იგი პერიოდული ეკონო-
მიკური კრიზისებით მოცემულ კლებტოკრატიად ყალიბდება,
რომელთაც წინ უსწრებდნენ ველური სპექულაციები (რო-
გორც, მაგალითად მექსიკაში 1994-95 წლებში, ტაილანდში,
სამხრეთ კორეასა და ინდონეზიაში 1997 წელს, ბრაზილიასა
და რუსეთში – 1998 წელს, არგენტინაში 2000 და ვენ-
სულეგაში 2002 წლებში).

ამის გარდა სამუშაო ბაზარი დამოკიდებული ხდება და-
სავლურ კონცეფციებზე, რომლებიც იმ მომენტში უკვე
პრაქტიკულად მთელი სამომხმარებლო საქონლისა და საზო-
გადოებრივი მომსახურების სექტორის ერთმანეთში გაყოფას
ასწრებენ (ჯონ მედელი). ამ პოლიტიკის არქიტექტორი და
მთავარი მოგებული მხარე აშშ-ია. მაგ.: 1992-93 წლებში

მსოფლიო ბანკში კრედიტების საკითხს წყვეტდა ლოურენს სამერსი, შემდეგში პრეზიდენტ ქლინონის ადმინისტრაციაში ფინანსთა მინისტრი და ბოლოს პარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი. სწორედ სამერსმა მოუწოდა 1991 წლის 12 დეკემბერს მემორანდუმით ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ქვეყნების გარემოს დამაბინძურებელი კომპანიების მფლობელებს თავიანთი წარმოებები განვითარებად ქვეყნებში გადაეტანათ: „მე ვფიქრობ, დაბინძურებული ნარჩენების შენახვა დაბალი ხელფასების ქვეყნებში იდეალური ვარიანტია“ [გ.რცხილაძე, 2008: 80]. ასე „ზრუნავენ“ განვითარებად ქვეყნებზე განვითარებული ქვეყნები. შედეგებიც სათანადოა. თუ 1960-80 წლებში ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის ქვეყნების ეკონომიკა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვევებლით ერთ სულ მოსახლეზე 75%-ით გაიზარდა, ხოლო 1980-2000 წლებში – გლობალიზაციის ფაზის პიკზე – მხოლოდ 6%-ით.

ნობელის პრემიის ლაურეატი, ეკონომისტი, მსოფლიო ბანკის კვლევების ყოფილი დირექტორი, იოზეფ შტიგლიცი შემდეგ დასკნამდე მივიდა: „შეძლებული ქვეყნები, რომლებიც ოფიციალურად თავისუფალ ვაჭრობას ქადაგებენ, უფრო ხშირად თავად იყენებენ საბაჟო გადასახადებსა და სუბჟექტებს დარიბი ქვეყნებიდან იმპორტის შესახლუდად და ისინი ამით უარს ამბობენ დარიბი ქვეყნების საექსპორტო შესაძლებლობების რეალიზაციაზე, რაც მათ სიდატაკისაგან თავის დასაღწევად და ეკონომიკური ზრდისთვის ბიძგის მისაცემად სჭირდებათ“ [Ch.Johnson, 2003: 83].

ფაქტია ისიც, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაარსების შემდეგ (1995წ.) მსოფლიოში სიღარაკე კი არ შემცირდა, არამედ პირიქით, უფრო ჩქარა იწყო მატება.

მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის უველაზე თვალსაჩინო მსხვერპლი გახდა ერთ დროს მდიდარი და განვითარებული ქვეყანა – არგენტინა.

1991 წლის ოქტომბერვალში არგენტინამ გადაწყვიტა საკუთარი ეკონომიკის რადიკალურად გადაკეთება აშშ-ის მოდე-

ლის მიხედვით. პრეზიდენტმა კარლოს მენემმა უკონომიკის მინისტრად მოიწვია პარვარდის უნივერსიტეტში განათლება-მიღებული ეკონომისტი დომინგო კავალლო. მან არგენტინის ეკონომიკა მასობრივად გახსნა უცხოური ინვესტორებისათვის (როგორც ეს კეთდება დღეს საქართველოში) და არგენტინული პესოს მიბმა მოახდინა ამერიკულ დოლარზე ($1=1$). ორივე ვალუტა თავისუფალ ბრუნვაში იქნა გაშებული. არგენტინა სავალუტო ფონდის ნეოლიბერალურ სავაჭრო-ეკონომიკურ პრინციპებს და რეცეპტებს უვდა ქვეყანაზე გულმოღვინედ ატარებდა ცხოვრებაში. 1998 წელს არგენტინული ბანკების 80% უცხოელებს ეკუთვნოდა. აშშ ფინანსთა მინისტრი, ზემოთ ნახსენები ლოურენს სამერსი აქეზებდა არგენტინას და ქებას არ იშურებდა მის მიმართ. თავდაპირველად პესოს დოლარზე მიბმამ არგენტინის პოზიციები გააძლიერა საერთაშორისო ვაჭრობაში, მაგრამ, როცა დოლარის ფასმა მოიმატა და კონკურენტმა ქვეყნებმა თავიანთი ვალუტის კურსი დაწიქს, მათი პროდუქცია გაიაფდა არგენტინულ პროდუქტთან შედარებით. ვინაიდან არგენტინაში ეროვნული მასშტაბით განხორციელებული სამწარმეო ტრანსაქცირების დიდი ნაწილი დოლარში იყო განხორციელებული და საბანკო ანგარიშები ასევე დოლარში გახსნილი, არგენტინის მთავრობამ ვერ მოახერხა პარიტეტის გაუქმება. შედეგად არგენტინული პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე გაძვირდა და მთავრობა იძულებული გახდა, აელო კრედიტები, რომ ეკონომიკა სრული კოლაფსისაგან ეხსნა.

ამ მომენტიდან არგენტინამ დაამყარა უსიამოვნო რეკორდი – მას კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი დავალიანება დაუგროვდა – 160 მილიარდი დოლარის ოდენობით. ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ერთ წელიწადში 68%-ით შემცირდა, მოსახლეობის ნახევარზე მეტი, რომელიც საშუალო ფენას ეპუთვნოდა, სიღარის ზღვარს ქვევით აღმოჩნდა. მთავრობამ კვლავ სავალუტო ფონდს მიმართა დახმარებისათვის. ფონდმა არგენტინის მაშინდელ პრეზიდენტს ფერნანდო დე ლა რუას კრედიტების წინაპირობად დაუდო მკაცრი

საბიუჯეტო ეკონომიის კურსის გატარება – ხალხი გაათავისუფლეს საჯარო სამსახურებიდან (როგორც საქართველოში), შემცირდა ხელფასებისა და პენსიების სიდიდე, გაუქმდა ხელფასების დანამატი პრემიები. ამის შემდეგ მასობრივმა დემონსტრაციებმა და პოლიციის ტერორმა ქვეყნის ეკონომიკა თითქმის დაანგრია. 2000 წლის დეკემბერში სავალუტო ფონდმა არგენტინას თანხმობა გამოუცხადა 40 მილიარდიან კრედიტზე იმ პირობით, თუ მთავრობა განაგრძობდა საგარეო ვალების მომსახურებას და დარიბებისათვის სოციალური დახმარების შემცირებას. ეს ისეთი პირობები იყო, რომელთა მიღებაც უკვე არც ერთ მთავრობას არ შეეძლო. მომდევნო 14 თვის მანძილზე ქვეყანაში 5 მთავრობა და 6 ეკონომიკის მინისტრი გამოიცვალა. რაღანაც არგენტინის მთავრობა სავალუტო ფონდის მითითებებს ამჯერად ისე ადარ ახორციელებდა და ვინაიდან ეს ქვეყანა აშშ-თვის ნაკლებ სტრატეგიული მნიშვნელობას ატარებდა (ვიდრე, მაგალითად, ასევე დიდი დავალიანების მქონე თურქეთი), სავალუტო ფონდმა უარი განუცხადა არგენტინას კრედიტებით დახმარებაზე. შედეგად, არგენტინაში ინფლაციაში 10 წლის განმავლობაში პირველად ისევ მიაღწია ორნიშნარიცხვს, პესოს ღირებულება 220%-ით დაეცა და საზოგადოებრივი წესრიგი მოიშალა. საბოლოოდ არგენტინა – ლათინური ამერიკის ეს ერთი ყველაზე უფრო მდიდარი ქვეყანა, წარუმატებლობის საჩვენებელ მაგალითად იქცა – ნეოლიბერალიზმის, გლობალიზაციისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წყალობით.

არგენტინის მაგალითი საქართველოს ხელისუფლებისათვის სერიოზულ გაფრთხილებად უნდა იქცეს. დაანახოს მას, თუ რა შედეგები მოაქვს სხვის ჭკუაზე სიარულს, დია საზღვრებს, თავისუფალ ვაჭრობას, ყველა სტრატეგიული ობიექტის სხვებზე მიყიდვას, ეკონომიკური პროტექციონიზმის არგატარებასა და ეროვნული ბიზნესისათვის დაუხმარებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რცხილაძე გ., აშშ საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ამერიკელი და ევრო-პერიოდის ავტორების მიხედვით, ობ., 2008.

2. Chalmers Johnson: The Sorrows of Empire. Militarism, Secrecy, and the End of the Republic. By Metropolitan Books, New York 2003.

Vadja Shubitidze, Georgi Talakhadze

Globalization – as impeding instrument of developing countries

Summary

Globalization did not rise or strengthen common welfare in neither of the separate countries of third world.

Nowadays existing 25 high developed capitalistic countries have not achieved success as it was preached by globalization. All of them used economical protectionism for it. The countries which zealously realized the theses of globalization, including Georgia had hard and often destruction results. Big countries even today inculcate the population of poor countries that open markets and free trade mean welfare for all, which is incorrect in the basis and it support translational companies.

USA use financial organizations which are under its control as an instrument to economically subordinate third world countries – such as World Bank and international currency fund, which factually rob developed countries and weaken their sovereignty. The number of such countries exceeds 90. Herewith these countries will receive credit only in that case, If they comply demeaning and destruction, Recommendations" of World Bank and currency fund (ch. Johnson).

For the same purpose US used world trade organization that was established in 1995, its creation did not reduced poverty in world but accelerate it. International financial organizations demand trade „liberalization” from third world countries, which means that foreigners can participate in local economy without any drawback. Also country that will

take credit must reduce expenditures of medical care, education and social programs, in order that sum of money used for existing debt service of foreign Banks. After that it will begin to cease subsidy for local agriculture and in contrary ro rise subsidies and support for agricultures that produce flowers and fruit, currency fund is demanding to abolish control on capital in the scale of whole country and foreign investors and enterprisers give right to purchase existing communal enterprises, tele-communications, transport companies and row materials producing enterprises, which are under state property. The most important demand of all is that if developing country wants to take credit from world bank, it have to guarantee the convertibility of its own currency. Such programs weaken some countries, which often have economical crisis. The most prominent victim of world Bank and currency fund become Argentina, that was rich and developed country at one time and which amass record debts – 160 milliard dollar.

This example of Argentina must become the serious caution for Georgia, about how hard results it can bring to do as others want, to open borders, free trade, to sell all strategic subjects to others, not carry out economical protectionism and not help Georgian business.

Важа Шубитидзе, Георгий Талахадзе

Глобализация как инструмент подчинений развивающих стран

Резюме

В статье подчеркивается тот факт, что все развитие страны своё время достигли успехов путём экономического протекционизма и, наоборот, ни одна страна третьего Мира не может нормально развиваться и достичь успеха с помощью рецептов глобалистов. Именно развитие страны контролируют международные финансовые институты (Мировой банк, международный валютный фонд, мировая торговая организация и др.), с помощью которых они фактически грабят стран третьего мира и ослабевают их суверенитет.

დეპორტირებული მესხების ქართული იდენტობის ფსიქოლოგიური პრობლემები

I. 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მესხების ქართული იდენტობის პრობლემის საფუძვლებად შეიძლება მინერალი იქნეს შემდეგი გარემოებები:

1. მესხები მათი რელიგიური კუთვნილების მიუხედავად არიან დიდი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც შეადგენენ კ.წ. „ზემო ქართლის“ მოსახლეობას და ისინი ისევე როგორც „ქვემო ქართლის“, „შუა ქართლის“ და „შიდა ქართლის“ მოსახლეობა ჩვეულებრივი ქართლელებია ანუ მცენა რუსული კლასიფიკაციით „საკუთრივ ქართველებია.“

2. მესხები „საკუთრივ ქართველებია,“ რადგან XIX საუკუნეში მათი უმრავლესობის სამეტყველო და სამწერლებო ენა იყო ქართული.

3.ისტორიული „ზემო ქართლის“ ტოპონიმიკა, აღმოსავლეთი თურქეთის დიდი ნაწილის ჩათვლით, ქართულია. ამ რეგიონის მოსახლეობაც „საკუთრივ ქართული“ იყო და აბსოლუტურად მოკლებულია საფუძველს პიპოთება მუსლიმიანი მესხების თურქული წარმოშობის შესახებ. ადამიანს შეუძლია საკუთარი თავი ნებისმიერ ეროვნებას მიაკუთვნოს, უარი თქვას საკუთარ ფესვებზე და ეროვნულ წარსულზე ასეთი პიროვნება უდიდეს დისკომფორტს განიცდის, რადგან ერთის მხრივ, ის ხელოვნურად ცდილობს მიუკრთდეს სხვა ეროვნებას, ვისთვისაც ის უცხოა, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარ ეროვნებაზე უარის თქმა მნიშვნელოვნად საკუთარ პიროვნულ „მეობაზეც“ უარის თქმას უტოლდება, რაც არ შეიძლება არ იყოს ძლიერ შემაწუხებელი ადამიანისათვის.

4. ჩვენი მონაცემებით „მუსლიმანი მესხების“ უმრავლესობას დღესაც ახსოვს მათი ქართული გვარები, რაც შეუძლია მესხების ქართული გვარების დაცვის მიზანის სახის მიერთოს.

ლებელი იქნებოდა თუ „მუსლიმანი მესხები“ არ იქნებოდნენ „საკუთრივ ქართული“ წარმოშობის. მესხეთ – ჯავახეთის სოფლებში მართლაც ცხოვრობდნენ თურქები, მაგრამ ისინი არასდროს არ აცხადებდნენ პრეტენზიებს „მესხობაზე“ და ეს შეუძლებელიც იყო, რადგან ახლაც მუსლიმანმა მესხებმა მშვენივრად იციან, თუ ვინ რომელ სოფელში იყო თურქი და ვინ იყო ქართული წარმომავლობის.

II. დეპორტირებული მესხების ქართული ეროვნული იდენტობის პრობლემას სავარაუდოდ აქვს შემდეგი თავისებურებები:

1. საქართველოს ფეოდალური დაშლილობის ხანაში, როდესაც საქართველოს სამეფოები და სამთავროები განსხვავებული ხარისხით იყვნენ დამოკიდებული ოსმალეთის იმპერიაზე, ქართული სამსებრო-ფეოდალური ზედაფენა ქართული ფეოდალური მმართველობისა და მიწათმფლობელობის თავისებურებების შესანარჩუნებლად ხშირად ფორმალურად დებულობდა ისლამს, ოსმალებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს სხვა რეგიონების წინააღმდეგ სამხედრო თპერაციებში, რაც იმ პერიოდში არ იწვევდა დიდ გაკირვებას, რადგან ასეთ თპერაციებში არაისლამიზებული ფეოდალებიც მონაწილეობდნენ. ამავე დროს ქართული ფეოდალური ზედაფენის შემოსავლების დიდი ნაწილი სამხედრო-საბრძოლო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ისინი მრავალი ხნის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც წინააღმდეგობის გაწევას კონკრეტულ სიტუაციაში აზრი არ ქონდა იძულებული გახდნენ ამ იმპერიის სამხედრო სამსახურში ჩამდგარიყვნენ და ამგვარად უზრუნველყოთ საკუთარი არსებობა, რადგან ყველა სხვა საშუალება შეენარჩუნებინათ საკუთარი სოციალური, მატერიალური თუ სულიერი მდგომარეობა მათთვის დახურული იყო. გასაგებია, რომ იმ ქართულ რეგიონებში, რომლებიც მთლიანად ინკორპირებული იყვნენ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ქართველი ფეოდალების მიმართ ძალიან დიდი იძულება არც იყო

საჭირო ისლამის მისაღებად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ავტომატურად კარგავდნენ მათი არსებობისათვის საჭირო ყველა კომპონენტს. ამ ქართველი ფეოდალებისათვის ისლამის მიღება მხოლოდ გარეგნულ ხასიათს ატარებდა და ისინი მხოლოდ შესაფერის სიტუაციას ელოდებოდნენ, რათა ისევ ქრისტიანობაში დაბრუნებულიყვნენ, თუმცა ასეთი შანსი მათ უმრავლესობას მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მიეცათ, როდესაც საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ.

2. მცხერამებელ საუკუნის დასაწყისში ისლამი საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს მესხეთ -ჯავახეთში, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა მესხების ნაწილს მართლმადიდებლობას დაბრუნებოდა. ეს პროცესი გაცილებით უფრო ინტენსიური იქნებოდა რუსეთის ხელისუფლებას მესხეთ-ჯავახეთის ბეგებისათვის საქართველოს სხვა რეგიონების წარჩინებულ გვართა მსგავსად, რუსეთის თავად - აზნაურობის პრივილეგიები რომ მიენიჭებინა. დარწმუნებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შემდგომში ამ რეგიონში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები ქართველების მიმართ რუსეთის იმპერიის არათან-მიმდევრული პოლიტიკის შედეგია. ერთის მხრივ, რუსეთის ხელისუფლება საკუთარ თავს საქართველოს სამეფოს ტერიტორიების გამაერთიანებლად წარმოადგენდა და ამის დასადასტურებლად მეფისნაცვლის თანამდებობაც კი დააფუძნა საქართველოში. ქართველი ფეოდალები რუსეთის იმპერიის თავად-აზნაურობას გაათანაბრა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ ენდობოდა ქართველ წარჩინებულებს, რომლებიც საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით მიერთებულად თვლიდნენ და ამიტომ ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მეტი ნიშნების მიკუთვნებას მოითხოვდნენ პირდაპირ და ირიბად. ასეთ სიტუაციაში რუსეთის აღმინისტრაცია ცდილობდა შექმნებინა არაქართული მოსახლეობის ადაპტაცია-ასიმილაცია ქართულ საზოგადოებასთან, გაეზარდა არაქართული ელემენტის შემადგენლობა ძირითადად ქართულ რეგიონებში (ასეთი უნდა ყოფილიყო მესხეთ-ჯავახეთი მე-XIX საუკუნის

დასაწყისში) სხვა ქვეყნებიდან არაქართული ჯგუფების ჩამოსახლებით, რომლებსაც, როგორც ხიზნებს დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის პრეტენზია სულაც არ ჰქონდათ და ერთგული იყვნენ რუსეთის ხელისუფლებისა. ამიტომ რუსეთის ადმინისტრაცია არ იყო დაინტერესებული მუსლიმანი მესხების ქრისტიანობაში დაბრუნებით, რაც გააძლიერებდა მათვის არასანო ქართულ მოსახლეობას, გაზრდიდა ქართველების ავტონომიურობის მოთხოვნებს, მით უმეტესად, რომ მაშინ ქართველები ამიერკავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი, ფეოდალურად ორგანიზებული მოსახლეობა იყო და ამიტომ რუსეთის ადმინისტრაცია ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეწყო მუსლიმანი მესხების ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებისათვის.

3. 1828–1829 წლების რუსეთ–თურქეთის ომის შემდეგ მესხეთში დარჩენილ მუსლიმან მესხებში ჩამოყალიბება დაიწყო იმ დროისათვის საქართველოში გაბატონებული ოფიციალური საზოგადოებრივი ცხოვრების რუსული წესის მიმართ „გაუცხოების კომპლექსმა.“ რუსული ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად განპირობებული იყო რუსული მართლმადიდებლობით, რომელიც იმ დროისათვის ოფიციალურად დანერგილი იყო საქართველოს სხვა რეგიონებში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აგორაგვალიის გაუქმებით. ამრიგად მესხებს უკვე აღარ შეეძლოთ მართლმადიდებლობა განეხილათ, როგორც რელიგიური სულიერების მხოლოდ ქართული ფორმა. უფრო მეტიც ასეთ ვითარებაში რუსული ქრისტიანული მართლმადიდებლობა მათ მიერ შეიძლება განხილული ყოფილიყო როგორც უცხო იდეოლოგია ქართული რელიგიური სულიერებისათვის. იმ დროისათვის საქართველოში დანერგილი რუსული მართლმადიდებლობის ასეთ შეფასებას უნდა გამოეწვია მუსლიმანური რელიგიურობის გაძლიერება, როგორც რუსული ქრისტიანული მართლმადიდებლობისაგან თავდაცვის საშუალება. ის არ უზრუნველყოდა ტრადიციული ყოფითი კულტურის შენარჩუნებას. მუსლიმან მესხებს შეეძლოთ ასეთი მართლმადიდებლობა

არაქართულიად ჩაეთვალათ, რომელიც მათვის მტრულიც იყო, რადგან მართლმადიდებლურმა რუსეთმა იარაღით დაიკავა მესხეთი და ასევე ძალით დანერგა რუსული მართლმადიდებლობა ქრისტიან ქართველებში. ამავე დროს მართლმადიდებელი ქართველები უფრო იყვნენ ადაპტირებული რუსულ მმართველობასთან და უფრო მეტიც მონაწილეობას ღებულობდნენ საბრძოლო ოპერაციებში, რომლებიც მიმართული იყო მესხეთის შემოერთებაზე. მათ მიერ ასეთი ბრძოლა განიხილებოდა, როგორც ქართული რეგიონის განთავისუფლება, იმ დროს, როდესაც მუსლიმანი მესხები იმავე საბრძოლო მოქმედებას განიხილავდნენ, როგორც რუსეთის მხრივ ომს მესხეთის წინააღმდეგ და ამ ბრძოლებში ქართველი მართლმადიდებლების მონაწილეობას კი რუსებისადმი ხელშეწყობად. ამრიგად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ზუსტად ზემოთ აღნიშნულმა ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა განაპირობეს მუსლიმანი მესხების დისტანციონება მაშინდელი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისაგან, როგორც მათვის მტრული რუსული თვითმყრობლობისა და რუსული მართლმადიდებულობის განსახიერებისაგან.

4. მიამიტურია შეხედულება, რომ დეპორტირებული მესხები, მათი უმრავლესობის მიერ ქართულის არცოდნის გამო, არ იქნებიან მიღებული ქართულ საზოგადოებაში. სინამდვილეში ენის ცოდნა აუცილებლად არ არის დაკავშირებული ეროვნულ იდენტობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ირლანდიულებმა, რომელთა უმრავლესობა ვერ ფლობს ირლანდიურს, უარი უნდა თქვან საკუთარ ეროვნებაზე, რაც არც ერთს მათგანს არ გაუკეთებია. ამიტომ გაუგებარია, რატომ მაინცდამაინც მესხებმა უნდა თქვან უარი საკუთარ ეროვნულობაზე, როდესაც ზუსტად ისინი არიან იმ „საკუთრივ ქართული“ ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ქართულ სახელმწიფოებრიობას;

5. ამტკიცებენ, რომ თურქულენოვან მესხებს არ მიიღებს ქართული საზოგადოება, რაც გაზვიადებაა, რაღან ქართულ საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია ადაპტირებულია არაქართული წარმოშობის თურქულენოვანი მოსახლეობა, ხოლო ქართული წარმოშობის მესხებისადმი ინტერესი ქართულ საზოგადოებაში ყოველთვის იყო და არის. აქ შესაფერისი ინტერესის გამოვლენა თვით დეპორტირებულ მესხების მხრიდანაც უნდა ჩანდეს;

6. ამტკიცებენ აგრეთვე, რომ თურქულენოვანი მესხების ყოფითი კულტურის თავისებურებები მიუღებელია ქართული საზოგადოებისათვის. ასეთ მოსახრებას აქვს არსებობის უფლება, რადგან ახალ საზოგადოებასთან შეგუება ყოველთვის არის დაკავშირებული მრავალ სირთულესთან. ეს სირთულეები ზოგადია და ისინი არა მხოლოდ თურქულენოვან მესხებს ეხება. დეპორტირებული მესხები უნდა იჩენდნენ ინტერესს ქართული კულტურისადმი, ქართული ენის შესწავლისადმი. ქართველობასთან იდენტიფიცირებას, უპირველეს ყოვლისა, ისინი საკუთარ პიროვნებაში უნდა ცდილობდნენ. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ მე უნდა ვთვლიდე თავს ქართველად და ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გინ რას ფიქრობს ჩემზე;

7. ამტკიცებენ, რომ დეპორტირებული მესხების ადაპტაცია ქართულ საზოგადოებასთან თითქოს ძალიან გართულებული იქნება იმის გამო, რომ ქართული მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანებია, ხოლო დეპორტირებული მესხების უმრავლესობა მუხლისანია. კარგად არის ცნობილი, რომ ქართული მოსახლეობის ნაწილი მუხლისანური აღმსრულებლობისაა, მაგრამ ისინი დიდ სირთულეებს არ განიცდიან ქართულ საზოგადოებასთან ადაპტაციაში.

ლიტერატურა

1. Бакрадзе Дм. Археологическое путешествие по Гурии и Ачаре. СПб., 1978.
2. Вейденбаум Е. Закавказские этюды. Тб., 1901.
3. Загурский Л. Поездки в Ахалцихский уезд в 1972 г.
4. Казбеки Г. Три месяца в Турецкой Грузии. Записки З/к отдела императорского русск. географ. общества. кн. Х.в. I.Тб., 1876.
5. Ломсадзе Ш.В. Самцхе-Джавахети с середины XVIII в. по пятидесятые годы XIX в.. 1975..

Guram Chaganava

The Problems of Georgian Identity of the Deported Meskhes

Summary

In the article it is shown, that deported meskhes basely of Georgian origin, but the peculiarity of joining of Musketi, inconsistency of Russian government in the attitude to the Georgian Muslim population and the disturbance of the traditional interrelation with the other regions of Georgia determined the spread of the Turkish language.

Гурам Чаганава

Психологические проблемы грузинской идентичности депортированных месхетинцев

Резюме

В статье указано, что депортированные месхетинцы, в основном, грузинского происхождения. Однако особенности присоединения Месхетии, непоследовательная политика царской России в отношении к грузинскому мусульманскому населению и нарушение грузинских традиционных связей этого региона с другими регионами Грузии опосредовало распространение турецкого языка.

ს ა რ ჩ გ ვ ი

ნანა ხახუთაშვილი – მოსხების // მესხების ისტორიისათვის	5
Nana Khakhutaishvili – Towards The Issue of the History of the Meskhi-Moskhi	20
Нана Хахутаишвили – К вопросу истории Месхов // Москхов	21
ირინე ტატიშვილი – მოსაზრებები ხეთების საზოგადოების	22
ჰუმანიზრობის შესახებ	
Irene Tatishvili – Reflections about humanism of the Hittite society	31
Ирина Татишвили – Размышления о гуманизме хеттского общества	31
ნანა ბახსოლიანი – ურარტუს ქალაქები	32
Nana Bakhsholian – Cities of Urartu	37
Нана Бахсолиани – Города Урарту	37
ნუგზარ წულუკიძე – ბაგრატიონთა მითოსური წინაპარი	38
„მაჟაბეარატადან“	
Nugzar Tsulukidze – Bagrations' mythical ancestors from „Makhabkharata“	48
Нугзар Цулукидзе – Мифический предок Багратион с „Махабхараты“	48
რევაზ უზუნაძე, მერაბ უზუნაძე – სოფელ ერგეს ისტორიიდან	49
(ნიკითაური, გვარელა)	
Revaz Uzunadze, Merab Uzunadze – From the history of village Erge	59
(Nikitauri, Gvarela)	
Реваз Узунадзе, Мераб Узунадзе – Из истории села Эрге	59
(Никитаври, Гварела)	
ირაკლი ბარამიძე – ზენდიდის ციხისა და მისი მფლობელი	60
ბეჯანიძეების გვარის ისტორიისათვის	
Irakli Baramidze – History of the Zendidi fortress and its owner the Bejanidzes	71
Ираклий Барамидзе – История Зендидской крепости и ее владельца рода	
Бежанидзе	71
ედიშერ გვენეტაძე, ზურაბ კვეთენაძე – საქართველოს პოლიტიკური	72
მდგომარეობა XV ს. პირველ ნახევარში და აღექსანდრე I	
Edisher Gvenetadze, Zurab Kvetenadze – The political condition in the	
I half of XV century in Georgia	78
Едишер Гвенетадзе, Зураб Кветенадзе – Политическая положение	

Грузии I половине XV в. и Александр I	78
მურმან პაპაშვილი – ინგლისის დიპლომატია რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებაში და საქართველო (1722-1724 წწ.)	79
Murman Papashvili – Diplomacy of England in Russian-Turkish strained relations and Georgia (1722-1724)	90
Мурман Папашвили – Дипломатия Англии в обострении русско-турецких отношений и Грузия (1722- 1724 гг.)	91
თლევა ჯიბაშვილი – რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ქართლ-კახეთის მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხისათვის	92
Oleg Jibashvili – For the issueof appropriateness of Kartl-Kakheti participation in Russian-Osman war in 1768-1774	112
Олег Джибашвили – К вопросу целесообразности участия Картли-Кахетинского царства в Русско-османской войне 1768-1774 годов	112
ცაცა ჩხარტგიშვილი – ჯუმათის მონასტრის განძი უცხოეთში	114
Caca Chkhartishvili – The Treasure of Jumati Monastery in Abroad	122
Цаца Чхартишвили – Сокровище Джуматского Монастыря находящегося в загранице	122
ღოდო ჭუმბურიძე – ქართველი მოწყალების და არტაანში ანა ერისთავი-ჭავჭავაძე (1833-1878 წწ.)	123
Dodo Chumburidze – The Georgian Nurse in Artaani Ana Eristavi – Chavchavadze (1833 - 1878)	133
Додо Чумбуридзе – Сестра милосердия в Артаани Анна Эристави-Чавчавадзе (1833-1878)	134
ჯემალ გარალიძე – ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა 1888-1900 წლებში	135
Jemal Karalidze – Batumi urban self-government in 1888-1900	141
Джемал Карапидзе – Батумское городское самоуправление в 1888-1900 г.г.	142
დელა სარალიძე – უცხობი ფურცლები აჭარის ისტორიიდან (ემიგრაციული პრესის მასალების მიხედვით)	143
Lela Saralidze – Unknown folios from the history of Adjara (Basing on the emigration Press)	151

Лела Саралидзе – Неизвестные страницы из истории Аджарии (по материалам эмиграционной прессы)	152
ბიჭიკო დიასამიძე – განათლება და კულტურა აბუსერისძეთა მოღვაწეობის დროის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში	154
Bichiko Diasamidze – The Abuserisdzes in the Cultural Life of South-Western Georgia in 11th-14th Centuries	168
Бичико Диасамидзе – Род Абусерисдзе в культурной жизни Юго-Западной Грузии в XI-XIV веках	168
ბალხაზ სიორიძე – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რეინიგზის განვითარებათა მოწყობის ისტორიისათვის (1878-1918 წწ.)	170
Malkhaz Sioridze – History of the Construction of the Railway Branches in the South-Western Georgia	184
Малхаз Сиоридзе – К истории устройства железнодорожных ветвей в Юго-Западной Грузии (1878-1918 гг.)	185
ოთარ თურმანიძე – გადასახადები და საგადასახადო სისტემა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლად (1901-1917 წწ.)	186
Otar Turmanidze – Taxes and tax system in the rural areas of South-West Georgia (1901-1917)	198
Отар Турманидзе – Налоги и налоговая система на селе в Юго-Западной Грузии (1901-1917гг.)	199
ერმილე მესხია – სამცხე-ჯავახეთის მმართველობის ისტორიიდან (1919-1920 წწ.)	200
Ermile Meskhia – From the history of local governing of Samtskhe-Javakheti (1919-1920)	211
Эрмиле Месхия – Из истории управления Самцхе-Джавахети (1919-1920гг.)	212
სულხან ალექსაია – ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი კერა დოკუმენტური მასალების მიხედვით (2000-2005 წწ.)	213
Sulkhan Aleksaia – Reviewing Tskhinvali Region conflict area on the basis of documentary materials (2000-2005)	224
Сулхан Алексаина – Конфликтный очаг в Цхинвальском регионе в свете документальных материалов (2000-2005 гг.)	225
უჩა ოქროპირიძე – ჩვენი მომავალი – ისტორიულ-გეოპოლიტიკური გააზრება	226

Ucha Okropiridze – Our Future – Historical-Geopolitical Point of View	240
Уча Окропиридзе – Наше будущее – историко-геополитическое	
размышление	241
მაია ამირგულაშვილი, თენის გრიგოლია – რელიგიის თუ იდეოლოგია?	242
Maia Amirkulashvili, Tengiz Grigolia – Religion or Ideology?	247
Майя Амиргулашвили, Тенгиз Григолия – Религия или идеология?	248
ქეთევან ჯიჯევიშვილი – ქარიზმატიული ლიდერის პრობლემა	
თანამედროვე საქართველოში	249
Ketevan Jijishvili – Problem of Charismatic Leader in modern Georgia	255
Кетеван Джиджеишвили – Проблема харизматического лидера в	
современной Грузии	255
ვაჟა შებითიძე, გიორგი ტალახაძე – გლობალიზაცია როგორც	
განვითარებადი ქვეყნების დაქაბალების ინსტრუმენტი	256
Vadja Shubitidze, Georgi Talakhadze – Globalization as impeding	
instrument of developing countries	264
Важа Шубитидзе, Георги Талахадзе – Глобализация как инструмент	
подчинений развивающих стран	265
გურამ ჩაგანავა – დეპორტირებული მესხების ქართული	
იდენტობის ფსიქოლოგიური პრობლემები	266
Guram Chaganava - The Problems of Georgian Identity of the	
Deported Meskhes	272
Гурам Чаганава – Психологические проблемы грузинской	
идентичности депортированных месхетинцев	272

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბუჭიდად 27.07.2009

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 17.3

ტირაჟი 100

ვასი სახელშეპრულებო

დაიბეჭდა უნიგერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35